ვახტანგ გურული

მეფე ერეკლე და რუსეთი

ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798)

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2018

მონოგრაფიაში გაშუქებულია ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების წინა ხანებიდან ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე 1798 წ. ნაშრომი ემყარება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ შემონახულ დოკუმენტებსა და მასალებს, ქართველი და რუსი ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევებს.

წიგნის გამოსაცემად მომზადებაში მონაწილეობდნენ
ირინე ტაბატაძე და **კონსტანტინე გურული**

რედაქტორი: პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

რეცენზენტები: პროფესორი **ლევან ჯიქია**
პროფესორი **ბეჟან ხორავა**

© ვახტანგ გურული, 2018

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი", 2018

ISBN 978-9941-9534-9-1

ეძღვნება მასწავლებლის —
პროფესორ ვალერიან მაჭარაძის — ხსოვნას

წინასიტყვა

კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონის ავტოქტონ ქართველ ერს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება დიდ იმპერიებთან ბრძოლაში უხდებოდა. მძლავრი სახელმწიფოების სწრაფვა კავკასიის რეგიონში განმტკიცებისათვის სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს საფრთხე განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი), რასაც მალე, XVI საუკუნის დამდეგიდან, საგარეო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება – კავკასიის რეგიონში ორი ისლამური სახელმწიფოს, ირანისა და ოსმალეთის, დაპირისპირება – მოჰყვა. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის დამდეგიდან რეგიონში დამკვიდრებაზე პრეტენზია რუსეთმა განაცხადა. ცხადია, ქართული სამეფო-სამთავროები თავს მარტო ვერ დაიცავდნენ, აუცილებელი გახდა სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის პოვნა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები კავკასიის რეგიონში რეალურ ძალას არ წარმოადგენდნენ და, როგორც ჩანდა, ასეთად ვერც უახლოეს ათწლეულებში იქცეოდნენ. XVI-XVIII საუკუნეებში ქართველ მეფე-მთავრებს, ქართველ დიპლომატებს მოკავშირე სამ დამპყრობელს – **ირანს, ოსმალეთსა** და **რუსეთს** – შორის უნდა ამოერჩია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არჩევანი კარგსა და ცუდს შორის კი არა, არამედ ცუდსა და უარესს შორის უნდა გაკეთებულიყო. ლავირება ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის დროდადრო გარკვეულ შედეგს იძლეოდა, მაგრამ XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დამდეგს მეფე ერეკლე II-ის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საკითხი: **ირანი, ოსმალეთი თუ რუსეთი?** ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცხადია, ძალზე რთული იყო. თავისთავად პასუხგასაცემი იყო კითხვა: **ვის უფრო მეტი შანსი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისა, ირანს, ოსმალეთს**

თუ რუსეთს? ერეკლე II-ს წარმოუდგენლად მძიმე ვითარებაში უხდებოდა გადაწყვეტილების მიღება. **ქართლ-კახეთის სამეფოს არ ჰყავდა პროფესიონალი დიპლომატები, ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში არ ფუნქციონირებდა ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიური და სამხედრო დაზვერვა, მეფეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება უხდებოდა აუცილებელი ინფორმაციის არარსებობის პირობებში.** ერეკლე II-მ თითქმის არაფერი იცოდა სამი იმპერიის კავკასიური პოლიტიკის საომავლო გეგმების შესახებ, იმ მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებების თაობაზე, რომლებსაც უახლოეს წლებში სამხრეთ კავკასიაში მოელოდნენ. ასეთ პირობებში **ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და აი, 1783 წელს მფარველობითი ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი – დაიდო.** ერეკლე II გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან გარდაცვალებამდე, 1798 წლამდე, ყოველ ღონეს მიმართავდა, რომ რუსეთისაგან რეალური მფარველობა მიეღო, მაგრამ უშედეგოდ! **დაუსრულებელი მოლოდინით დაღლილი და იმედგაცრუებული მეფე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სამეფოს ხსნის გზა ვერ იპოვა.**

პროფესორმა ვალერიან მაჭარაძემ, ადამიანმა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში, რთული ოპერაციის წინ მითხრა: „ძალიან მინდოდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომი პერიოდის ისტორიის შესწავლა. მე, ალბათ, ამას ველარ შევძლებ, მინდა ის ნაშრომები დავამთავრო, რომლებიც დაწყებული მაქვს (ეს ნაშრომები მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა – **ვ.გ.**), იქნებ შენ გამოიკვლიო ეს ეპოქა. ეს ძალიან დიდი და ძნელი საქმეა, მაგრამ აუცილებელია“. მასწავლებლის სურვილის შესრულებას ძალზე დიდხანს მოვუნდი, თუმცა ახლაც არ ვიცი, შევასრულე კი დანაპირები, არის კი წინამდებარე ნაშრომი ის, რასაც ჩემგან მოელოდა ადამიანი, რომელიც უკვე აშკარად გრძნობდა ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის მოახლოებას.

თავი I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ქართლ-კახეთის სამეფოსა[1] და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორია 1783 წლის ზაფხულიდან (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან) 1797-1798 წლების მიჯნამდე (ერეკლე II-ის ავადმყოფობასა და გარდაცვალებამდე) ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადება და დადება წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის ბოლო მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მონოგრაფიულად დამუშავდა[2]. **როგორც წყაროთმცოდნეობითი ბაზის სისრულით, ისე საკითხის გააზრების სიღრმით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვალერიან მაჭარაძის „გეორგიევსკის ტრაქტატი“.** ნაშრომში სრულყოფილადაა წარმოჩენილი გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების ისტორია, გაანალიზებულია ის დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ტრაქტატს, შესწავლილია ტრაქტატისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების დედნები, უაღრესად საინტერესოა დოკუმენტების ფოტოპირები, საგანგებოდ დამზადებული ამ გამოცემისათვის. ავტორმა გაასწორა საკითხის ირგვლივ არსებული ბევრი უზუსტობა და ხარვეზი.

§ 1. წყაროები

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორია ძალზე ფრაგმენტულად აისახა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის ქართულ საისტორიო მწერლობაში. **პაპუნა ორბელიანი** თავის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ მხოლოდ

---

[1] XVIII საუკუნის რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში, ისევე, როგორც XIX საუკუნის დოკუმენტებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში **ქართლ-კახეთის სამეფოს** იხსენიებდნენ „Грузия“-დ, ხოლო ერეკლე II-ს – **„საქართველოს მეფე“**-დ: **(„Царь Грузии“).**

[2] **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1983; **გიორგი პაიჭაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980; გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **გიორგი პაიჭაძემ.** გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.

1739-1758 წლების მოვლენებს ეხება და ამდენად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის წყაროდ ვერ გამოდგება[3]. **ომან ხერხეულიძე,** მართალია, 1722-1787 წლების ისტორიას გადმოცემს, მაგრამ **1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა ძალზე ფრაგმენტულად აქვს წარმოდგენილი, უმნიშვნელოვანესი მოვლენების აბსოლუტურ უმრავლესობას ან საერთოდ არ ეხება, ან ორი-სამი წინადადებით იფარგლება**[4]. ომან ხერხეულიძეზე ოდნავ მეტ ადგილს უთმობენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს **დავით ბატონიშვილი** თავის „ახალ ისტორიაში" და **ბაგრატ ბატონიშვილი** „ახალ მოთხრობაში", თუმცა თემა აქაც ცალკეული ფრაგმენტის სახით არის წარმოდგენილი[5]. **მართალია, როგორც დავით ბატონიშვილი, ისე ბაგრატ ბატონიშვილი 1783-1798 წლების მოვლენებს ეხებიან, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის ისტორიისათვის რაიმე საინტერესო მასალას ვერ გვაწვდიან.** დავით და ბაგრატ ბატონიშვილების თხზულებებთან ზედმიწევნით მსგავსებას ამჟღავნებს **თეიმურაზ ბატონიშვილის** „ახალი ისტორია"[6]. 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიისათვის თითქმის არანაირ მასალას არ გვაწვდის **ვახტანგ ბატონიშვილი** თავის ნაშრომში „ისტორიებრი აღწერა".[7]

ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი არქივი, მეფის კანცელარია აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს ან დაიწვა, ან იქ დაცული მასალები უკვალოდ დაიკარგა. სწორედ ამიტომ დღეს **ჩვენთვის უცნობია ის დოკუმენტები, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მიიღეს რუსეთის იმპერატორებისაგან, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო უწყებებისა თუ**

---

[3] **პაპუნა ორბელიანი.** ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1981.

[4] **ომან ხერხეულიძე.** მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1989.

[5] **დავით ბატონიშვილი.** ახალი ისტორია. **ბაგრატ ბატონიშვილი.** ახალი მოთხრობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

[6] **თეიმურაზ ბატონიშვილი.** ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება, თბილისი, 1983.

[7] **ვახტანგ ბატობნიშვილი.** ისტორიებრი აღწერა. სარგის კაკაბაძის გამოცემა. ტფილისი, 1914.

უწყებათა ხელმძღვანელებისაგან, კავკასიის ხაზის მთავარსარდლებისაგან, ასევე, ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) გარსევან ჭავჭავაძისაგან. ამ მასალების ნაწილი არა დედნის, არამედ ასლის, შავი მონახაზის, სახით ისევ რუსეთის არქივებშია შემონახული. სამაგიეროდ, **რუსეთის არქივებში თითქმის სრულად არის გადარჩენილი ქართლ-კახეთის სამეფო კარის (ერეკლე II-ის, დარეჯან დედოფლის, ბატონიშვილების) მიერ სანკტ-პეტერბურგში გაგზავნილი მრავალფეროვანი მასალა, რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის, გარსევან ჭავჭავაძის, წერილები რუსეთის იმპერატორების ეკატერინა II-ისა და პაველ I-ის, რუსეთის იმპერიის კანცლერისა და ვიცე-კანცლერის, საგარეო საქმეთა კოლეგიისა და სხვათა მიმართ, ასევე ერეკლე II-ის მიმოწერა კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან, ქართლ-კახეთის სამეფოს თაობაზე კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მიმოწერა რუსეთის საიმპერატორო კარსა თუ ცალკეულ სახელმწიფო უწყებასთან.** ეს მრავალფეროვანი მასალა, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად უთუოდ პირველხარისხოვანი და ღირებული, გამოაქვეყნა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა **ალექსანდრე ცაგარელმა** (1844-1929). 1783-1798 წლებს ეხება ამ გამოცემის მეორე ტომის პირველი[8] და მეორე ნაკვეთები[9]. **ალექსანდრე ცაგარლის პუბლიკაციის დონე, ცხადია, ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერის ღვაწლი განუზომლად დიდია პრობლემის შესწავლის საქმეში, ეს გამოცემა დღესაც სამაგიდო წიგნად რჩება საკითხით დაინტერესებულთათვის.**

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის შესწავლისას მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის **სტეპან ბურნაშევის** (1743-1824)[10] ქართლ-კახეთის სამეფოს

---

[8] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898.

[9] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902.

[10] **სტეპან ბურნაშევი** (1743-1824)– რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, კარტოგრაფი, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი (1790 წ.), მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში, რუსეთის

ალექსანდრე ცაგარელი

პოლიტიკური მდგომარეობის აღწერას, რომელიც სათაურით „Картина Грузии", 1793 წელს გამოიცა ქ. კურსკში, ხოლო 1896 წელს – თბილისში[11]. პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის „Картина Грузии" თბილისში ნამსახური რუსი მოხელის მემუარებს არ წარმოადგენს. ესაა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) ოფიციალური მოხსენება ან ამ მოხსენების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი. ამ მოხსენებისათვის მასალებს მისი ავტორი ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნის პერიოდში (1783-1787 წწ.) აგროვებდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო სტეპან ბურნაშევის „Картина Грузии" უაღრესად საინტერესო წყაროა.

1901 წელს **სერგეი ბურნაშევმა** (1875-1929)[12] გამოსცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, რომლებიც რუსი მოხელის საქართველოში ყოფნის პერიოდს (1783-1787 წწ.) ეხება[13]. სერგეი ბურნაშევის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები ბევრ საინტერესო საკითხს ფენს ნათელს.

იმპერიის მმართველი სენატის წევრი (1798-1800 წწ.). 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, დაინიშნა კომისიონერად (რწმუნებულად) ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ იყო რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი ნარმომადგენელი (მინისტრი) ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაური (1783-1787 წწ). სამსახურიდან გადადგა 1800 წელს.

[11] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896.

[12] **სერგეი ბურნაშევი** (1875-1929) –რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს ჩინოვნიკი, კამერგერი. 1797 წლიდან მუშაობდა მინისტრთა საბჭოს კანცელარიაში, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905), 1913 წელს მიენიჭა კამერგერის, ხოლო 1914 წელს –ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის წოდება, 1914-1915 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა მოხელე, 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა პოლონეთში.

[13] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901.

§ 2. ლიტერატურა

1787-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის საკითხები რუსულ ისტორიოგრაფიაში პირველად **პიოტრ ბუტკოვმა** (1775-1858)[14] გააშუქა ნაშრომში „Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год.",[15] მართალია, პიოტრ ბუტკოვს მთელი კავკასიის (ჩრდილო და სამხრეთი კავკასიის) ისტორია აქვს წარმოდგენილი, მაგრამ 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას საკმაოდ დიდი ადგილს უთმობს. პიოტრ ბუტკოვის დამსახურებაა ის, რომ მან სამეცნიერო მიმოქცევაში პირველმა შემოიტანა დიდი მოცულობის საარქივო მასალა და შექმნა გამოკვლევა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს ისტორიულ-კვლევითი ღირებულება. **პიოტრ ბუტკოვი რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია, მისი მიზანია რუსეთის კავკასიური პოლიტიკის გამართლება.** ამასთან ერთად, ისტორიკოს პიოტრ ბუტკოვის ნაშრომი ზოგ შემთხვევაში ობიექტურობას ინარჩუნებს და ამდენად, არ გამოდგება რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის ხოტბისათვის, რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო უწყებათა, რუს პოლიტიკოსთა და სამხედროთა პრაქტიკული საქმიანობის გასამართლებლად.

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპე-

---

[14] **პიოტრ ბუტკოვი** (1775-1857) – ისტორიკოსი, აკადემიკოსი, სენატორი, გენერალ-ლეინტენანტი.სამსახური დაიწყო ვლადიმირის დრაგუნთა პოლკში, კავკასიაში სამხედრო სამსახურის პერიოდში აგროვებდა მასალებს რუსეთ-კავკასიისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიისათვის, 1802-1803 წლებში იყო საქართველოს მთავარსარდლის გენერალ კარლ კნორინგის კანცელარიის მმართველი, 1803 წელს სამსახურიდან გადადგა და სანკტ-პეტერბურგში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, 1805 წელს სამხედრო სამსახურში დაბრუნდა, 1809 წელს მიენიჭა გენერალ-აუდიტორ-ლეინტენენტის სამხედრო წოდება და მსახურობდა მოლდოვაში რუსეთის არმიაში, 1823 წლიდან მსახურობდა ფინეთის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელედ, 1828 წელს დაინიშნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად, ორგზის ასრულებდა მინისტრის მოვალეობას, 1841 წელს აირჩიეს რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 1849 წელს– სენატორად. ჩგამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან.

[15] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869.

რიის ურთიერთობის ისტორიის ცალკეულ საკითხს აშუქებს **ნიკოლაი დუბროვინი** (1837-1904)[16] თავის გამოკვლევაში" Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России", რომელიც პირველად 1867 წელს, ხოლო მეორედ 1897 წელს გამოიცა[17]. კიდევ უფრო საინტერესოა **ნიკოლაი დუბროვინის** მრავალტომეული „История войны и владычества русских на Кавказе", რომლის მეორე[18] და მესამე[19] ტომები ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება. პიოტრ ბუტკოვის მსგავსად, ნიკოლაი დუბროვინმაც დიდი მოცულობის საარქივო მასალა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, გამოიყენა უკვე გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები. თავის დროზე **ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევები ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა, მას დღესაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაი დუბროვინი, პიოტრ ბუტკოვისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის აშკარა მეხოტბედ გვევლინება და ხშირად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამართლებს რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკას, რუსეთის იმპერიის სახლმწიფო უწყებათა, რუს პოლიტიკოსთა და სამხედროთა დამოკიდებულებას ქართლ-კახეთის სამეფოს ბედისადმი. ნიკოლაი დუბროვინის ნაშრომი დაზღვეული არ არის ფაქტობრივი უზუსტობებისგანაც.

1899 წელს თბილისში გამოიცა საინტერესო გამოკვლევა – „Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799

---

[16] **ნიკოლაი დუბროვინი** (1837-1904) –ისტორიკოსი, აკადემიკოსი, გენერალ-ლეინტენანტი. განათლება მიიღო პოლოცკის კადეტთა კორპუსსა და მიხეილის საარტილერიო აკადემიაში, მსახურობდა ლეიბ-გვარდიაში, 1869 წელს დაინიშნა რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროს მთავარ შტაბში სამხედრო-ისტორიული ხასიათის სამუშაოს საწარმოებლად, 1878 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, 1882 წელს დაინიშნა მთავარი შტაბის სამხედრო-სასწავლო კომიტეტის წევრად, 1888 წელს მიენიჭა გენერალ-ლეინტენენტის სამხედრო წოდება, 1886 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, 1893 წელს არჩეული იქნა მეცნიერებათა აკადემიის მდივნად, ჩგამოქვეყნებული აქვს სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომები რუსეთისა და კავკასიის ისტორიიდან.

[17] **Н. Дубровин.** Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1867. Издание второе, С.-Петербург, 1897.

[18] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886.

[19] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе Том III. С.-Петербург,1886

ნიკოლაი დუბროვინი

года."[20] წიგნი **ვასილი პოტტოს** (1836-1911)[21] რედაქციით გამოვიდა. პიოტრ ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ვასილი პოტტოს რედაქციით გამოცემული" Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии" მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით არ გამოირჩევა, იგი ძირითადად უკვე გამოცემულ დოკუმენტებსა და მასალებს, ასევე არსებულ სამეცნიერო გამოკვლევებს (მათ შორის პიოტრ ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევებს) ეყრდნობა. სამაგიეროდ, „კავკასიური ომების ისტორიული ნარკვევი" მანამდე გამოცემული ყველა ნაშრომისაგან გამოირჩევა მეცნიერული დონით, გამოკვლევისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით. ამასთან ერთად, გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ **ვასილი პოტტოც რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის მეხოტბეა.**

---

[20] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899.

[21] **ვასილი პოტტო** (1836-1911) – გარუსებული გერმანელი, გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო ისტორიკოსი. სწავლობდა ჯერ ტულის კადეტთა კორპუსში, ხოლო შემდეგ – ორიოლის კადეტთა კორპუსში, 1855 წლიდან მსახურობდა ნოვოროსიის დრაგუნტთა პოლკში, ყირიმის ომის (1553-1855) დროს, 1855 წელს, მონაწილეობდა ყარსის ბლოკადასა და ციხე-სიმაგრის აღებაში, 1857 წელს მიენიჭა პორუჩიკის, ხოლო 1862 წელს შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდება, 1863-1864 წლებში მონაწილეობდა პოლონეთში მიმდინარე აჯანყების ჩახშობაში, 1866 წელს დაინიშნა კავალერისტთა სასწავლებლის მასწავლებლად, იმავე წელს ჩაირიცხა ლეიბ-გვარდიის პოლკში შტაბს-როტმისტრად, 1870 წელს მიენიჭა მაიორის სამხედრო წოდება და დაინიშნა ორენბურგის იუნკერთა სასწავლებლის უფროსად, 1872 წელს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის, ხოლო 1877 წელს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, 1881 წლიდან რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროში მუშაობდა, 1885 წელს სამსახურიდან გადადგა. 1887 წელს კვლავ დაბრუნდა სამხედრო სამსახურში, 1896 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო ისტორიული განყოფილების უფროსად, 1896 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის, ხოლო 1907 წელს – გენერალ-ლეინტენენტის სამხედრო წოდება, გარდაიცვალა თბილისში,ჩგამოქვეყნებული აქვს სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომები რუსეთისა და კავკასიის ისტორიიდან.

ვასილი პოტტო

* * *

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს მოღვაწე რუს ისტორიკოსთა (პიოტრ ბუტკოვის, ნიკოლაი დუბროვინის, ვასილი პოტტოს და სხვ.) დაწყებული საქმე გააგრძელეს რუსმა საბჭოთა ისტორიკოსებმა. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეცნიერები რუსეთის იმპერიის ისტორიკოსებთან შედარებით გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუ XIX საუკუნეში თითქმის არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა საარქივო მასალებისა და დოკუმენტების გამოყენების მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებამ მკაცრი ცენზურა დააწესა არქივებზე, მასალების ნაწილი მიუწვდომელი გახდა ისტორიკოსებისათვის. ისიც აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსები თითქმის არ იზღუდებოდნენ ცენზურისაგან, საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომები კი მხოლოდ მკაცრი ცენზურის გავლის შემდეგ თუ იხილავდნენ დღის სინათლეს. ცხადია, ასეთ პირობებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ობიექტური შესწავლა შეუძლებელი იყო. ყოველივე ამას თან დაერთო ერთი უარყოფითი ტენდენცია: **საბჭოთა ისტორიოგრაფია, რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის მსგავსად, ცდილობდა გაემართლებინა რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკა ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ, რაც მხოლოდ ჭეშმარიტების მიჩქმალვის გზით იყო შესაძლებელი.** ამიტომაა, რომ საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ნაშრომებს თითქმის არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსმა **საბჭოთა ისტორიკოსებმა შეძლეს საინტერესო საარქივო მასალების მოძიება და გამოქვეყნება, რამაც გაზარდა ინტერესი იმ დოკუმენტაციისადმი, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შესახებ არქივებში იყო დაცული.** ამ მასალების მცირე ნაწილი ნიკიტა ხრუშჩოვისეული ე.წ. „დათბობის“ პერიოდში გამოქვეყნდა (ცხადია, სათანადო განზოგადებისა და დასკვნების გარეშე), ხოლო გაცილებით დიდი ნაწილი – მომდევნო ათწლეულებში, განსაკუთრებით – მიხეილ გორბაჩოვისეული ე.წ. „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ. **რუს ისტორიკოსებთან ერთად ორივე მოვლენით კარგად ისარგებლეს ქართველმა ისტორიკოსებმაც.**

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიას რამდენიმე რუსი ისტორიკოსი შეეხო. მათ შორის უნდა მოვიხენიოთ **ოლგა მარკოვას** ნაშრომი, რომელიც

XVIII საუკუნის რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას ეძღვნება.[22] ოლგა მარკოვამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე უცნობი მრავალფეროვანი საარქივო მასალა. ისევე, როგორც XIX საუკუნეში მოღვაწე რუსი ისტორიკოსები (პიოტრ ბუტკოვი, ნიკოლაი დუბროვინი, ვასილი პოტტო), **ოლგა მარკოვაც გარკვეულწილად სუბიექტურია, რადგან ცდილობს გაამართლოს რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, მიჩქმალოს ხელისუფლებისათვის არასასურველი ფაქტები და მოვლენები, შედეგად ისტორიული პროცესის გაყალბება მივიღეთ.**

* * *

ქართველ მეცნიერთაგან 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხები პირველად **პლატონ იოსელიანმა** (1809-1875) გააშუქა. მისი წიგნი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველად ავტორის სიცოცხლეშივე, 1867 წელს, გამოიცა, მეორედ – 1895 წელს, მესამედ 1936 წელს, მეოთხედ – 1978 წელს[23]. 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის გაშუქების თვალსაზრისით **პლატონ იოსელიანის ნაშრომი საგრძნობლად ჩამოუვარდება პიოტრ ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის ნაშრომებს, იგი ბევრად ნაკლები ღირებულებისაა ვასილი პოტტოს რედაქციით გამოცემულ ნაშრომთან შედარებითაც**. პირველ რიგში, ეს ეხება წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უგულებელყოფას. გარდა ამისა, პლატონ იოსელიანის ნაშრომს აქვს ორი სერიოზული ნაკლი: 1. ავტორი აშკარად ტენდენციურია ქართლ-კახეთის სამეფო სახლის (ერეკლე II-ის, დედოფალ დარეჯანის, ბატონიშვილების) მიმართ; 2. ავტორი აშკარად ამჟღავნებს მოვლენათა

---

[22] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966.

[23] **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა. თფილისი, ჩყიზ [1867]; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. თფილისი, 1895; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. გამომცემლობა „ფედერაცია", ტფილისი, 1936; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1978.

პლატონ იოსელიანი

რუსოფილური პოზიციიდან შეფასების ტენდენციას.

პიოტრ ბუტკოვზე, ნიკოლაი დუბროვინსა და ვასილი პოტტოზე, როგორც ისტორიკოსი, გაცილებით მაღლა დგას **ზურაბ ავალიშვილი** (1874-1944). ცხადია, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავლა. 1901 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა ზურაბ ავალიშვილის „Присоединение Грузии к России."[24]. 1906 წელს ნაშრომი მეორედ დაიბეჭდა თბილისში[25]. 2011 წელს იგი მესამედ გამოიცა მოსკოვში[26]. ზურაბ ავალიშვილის მიზანი არ ყოფილა 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის მონოგრაფიულად გამოკვლევა, თუმცა ამ პერიოდის შესახებ ავტორს ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული. ზურაბ ავალიშვილის გამოკვლევის მეცნიერული ღირებულება განაპირობა იმან, რომ ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობდა გამოქვეყნებულ წყაროებასა და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას. **ზურაბ ავალიშვილმა სამართლიანად უარყო რუსი ისტორიკოსების ზოგიერთი მცდარი დებულება, მაგრამ თავად რუსული ოფიციალური ისტოგრიოგრაფიის გავლენისაგან მთლად ვერ განთავისუფლდა**. ავტორი ხშირად თითქოს ობიექტურად აფასებს მოვლენას, მაგრამ არ უღრმავდება ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს და ნებსით თუ უნებლიეთ ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფიის შეხედულებას იზიარებს. ალბათ ამითაა გამოწვეული ის, რომ 2011 წელს მოსკოვში ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი მესამედ გამოიცა.

1906 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე ცალკე გამოცემად დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в."[27]. ნაშრომი შევიდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მეთორმეტე ტომში[28]. ნაშრომის შესავალ ნაწილში ივანე ჯავახიშვილი მოკლედ ეხება 1783-1798 წლების მოვ-

---

[24] **З. Авалов.** Присоединение Грузии к России. С.-Петербург, 1901.

[25] **З. Авалов**. Присоединение Грузии к России. Издание второе, Тифлис, 1906.

[26] **Зураб Авалов.** Присоединение Грузии к России. Издательство «Вече», Москва, 2011.

[27] Прив.-доц. **Джавахов**. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. Книгоиздательство «Сакартвело», С.-Петербург, 1906.

[28] **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი XII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 434-458.

ზურაბ ავალიშვილი

ლენებს, მათ შორის ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას. შედარებით ვრცლად ჩერდება **ივანე ჯავახიშვილი** ამ საკითხზე 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში"[29]. ეს ნაშრომიც შესულია ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მეთორმეტე ტომში[30]. ნაშრომის მეხუთე თავი („1783 წ. ხელშეკრულების შედეგები"), მეექვსე თავი („რუსეთის მიერ მიტოვებული საქართველოს მდგომარეობა"), მეშვიდე თავი („აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა საქართველოში") და მერვე თავი („რუსეთის გალაშქრება აღა-მაჰმად-ხანისა და სპარსეთის წინააღმდეგ 1796 წ. მისი მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზები და დასასრული") სწორედ 1783-1798 წლების შეფასებას ეძღვნება[31]. **ივანე ჯავახიშვილის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან უარყო პიოტრ ბუტკოვის, ნიკოლაი დუბროვინის, ვასილი პოტტოს, პლატონ იოსელიანისა და ნაწილობრივ ზურაბ ავალიშვილის შეხედულებანი და წარმოადგინა 1783-1798 წლების მოვლენათა ახლებური გააზრება.**

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიას ეხება **სარგის კაკაბაძე** 1922 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.).[32] 1997 წელს გამოიცა **სარგის კაკაბაძის** „ქართველი ხალხის ისტორია.1783-1921".[33] ამ ნაშრომში კიდევ უფრო დიდი ადგილი ეთმობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიას.[34]

---

[29] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. ქართული კლუბის გამოცემა. თბილისი, 1919.

[30] **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი XII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 398-433.

[31] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. ქართული კლუბის გამოცემა. თბილისი, 1919, გვ. 32-49; **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი XII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 416-426.

[32] **სარგის კაკაბაძე.** საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. ტფილისი, 1922, გვ. 222-244.

[33] **სარგის კაკაბაძე.** ქართველი ხალხის ისტორია.1783-1921. გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 1997.

[34] **სარგის კაკაბაძე** ქართველი ხალხის ისტორია.1783-1921. გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 1997. გვ.10-45.

ივანე ჯავახიშვილი

ერეკლე II-ის მეფობის ისტორიას ეძღვნება **გერონტი ქიქოძის** მონოგრაფია „ერეკლე მეორე".[35] ნაშრომი პირველად 1947 წელს გამოვიდა, ხოლო მესამედ – 1958 წელს. **მართალია, ნაშრომი სამოცდაათი წლის წინ გამოიცა, მაგრამ იგი დღემდე ითვლება ერეკლე მეფის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად.**

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის **იასე ცინცაძის** მონოგრაფიებს: „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი"[36] და „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი)"[37]. ავტორმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტები და მასალები. მართალია, იასე ცინცაძე 1783-1798 წლების მოვლენებს თანმიმდევრულად არ განიხილავს, მაგრამ **ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები საარქივო მასალებზე დაყრდნობით საფუძვლიანად აქვს შესწავლილი**. ასევე საინტერესოა **იასე ცინცაძის** სტატია „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან".[38] ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა, თუ როგორ აისახა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია **სეხნია ჩხეიძის** თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა"; **პაპუნა ორბელიანის** ნაშრომში „ამბავნი ქართლისანი" და **ომან ხერხეულიძის** მატიანეში „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა". როგორც ცნობილია, სეხნია ჩხეიძე და ომან ხერხეულიძე 1783-1798 წლების ისტორიას არ აშუქებენ, ამიტომ ჩვენ მათი ნაშრომების იასე ცინცაძისეულ შეფასებაზე არ შევჩერდებით, შევეხებით მხოლოდ ომან ხერხეულიძის თხზულებას. ივანე ჯავახიშვილი ომან ხერხეულიძის თხზულების შეფასებისას წერს:" ომან მდივანბეგ ხერხეულიძის მატიანე, ვითარცა საისტორიო ნაწარმოები, მაინცდამაინც დიდი არაფერია და

---

[35] **გერონტი ქიქოძე**. ერეკლე მეორე. საბლიტგამი, თბილისი, 1958.

[36] **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960.

[37] **იასე ცინცაძე**. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1969.

[38] **იასე ცინცაძე**. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი", 1953, ტომი III, გვ. 87-107.

პაპუნა ორბელიანისას ხომ ძალზე ჩამოუვარდება".[39] იასე ცინცაძე ეთანხმება ივანე ჯავახიშვილს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვლის, რომ ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა" მნიშვნელოვანი წყაროა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის შესწავლისათვის[40]. ვფიქრობთ, რომ ომან ხერხეულიძის მატიანე ასეთ შეფასებას არ იმსახურებს, თუმცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ისტორიის შესწავლისას მისი უგულებელყოფა არ შეიძლება, ამის თაობაზე გარკვევით მიანიშნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც ომან ხერხეულიძის ნაშრომის განხილვისას წერდა: „მხოლოდ ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესასწავლად, როგორც საისტორიო წყაროს, მასაც, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს."[41]

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხი გაშუქებულია **შოთა ლომსაძის** მონოგრაფიაში „სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე)".[42]

მართალია, **ვალერიან მაჭარაძეს** ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის 1783 წლის შემდგომი პერიოდის ისტორია მონოგრაფიულად არ შეუსწავლია, მაგრამ საკითხის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მისი სტატია „ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება".[43]

1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერი-

---

[39] **ივანე ჯავახიშვილი.** ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.).– ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VIII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1977, გვ. 372.

[40] **იასე ცინცაძე.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი", 1953, ტომი III, გვ. 101-103.

[41] **ივანე ჯავახიშვილი.** ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.).– ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VIII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1977, გვ. 372.

[42] **შოთა ლომსაძე.** სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე). გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1975.

[43] **ვალერიან მაჭარაძე.** ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995. გვ. 235-255.

ის ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები შეჯამდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მეოთხე ტომში. 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას ამ გამოცემის მეთოთხმეტე თავი ეძღვნება[44]. მეთოთხმეტე თავში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორია **მამია დუმბაძის** მიერაა დაწერილი, ხოლო ერთი საკითხი მისი და **ზურაბ ცქიტიშვილის** ავტორობითაა წარმოდგენილი. ისევე, როგორც 1973 წლამდე, 1973 წლის შემდგომ გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომში 1783-1798 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა წარმოდგენილია ფრაგმენტულად და უმნიშვნელოვანესი წყაროების გვერდის ავლით, არ ჩანს ორი ქვეყნის ურთიერთობის უწყვეტი პროცესი. ქართული ისტორიოგრაფიის ამ საერთო ნაკლს ორი მიზეზი განაპირობებდა: **პირველი**. აუცილებელი დოკუმენტებისა და მასალების სრულყოფილად შეუსწავლელობა, პროცესის გააზრება ნაკლულ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით; **მეორე**. პოლიტიკური კონიუნქტურა, პოლიტიკური რეჟიმისათვის არასასურველი დოკუმენტებისა და მასალების ანალიზისათვის გვერდის ავლა. თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ XIX-XX საუკუნეების რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიას, აშკარა გახდება: **რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში მოღვაწე ისტორიკოსები გაცილებით თამამად ავითარებდნენ პოლიტიკური რეჟიმისათვის მიუღებელ შეხედულებებს, ვიდრე საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები.**

[44] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, გვ. 694-777.

თავი II. რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის (XVIII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანები)

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვა საქართველოში აქტიურად მოქმედებდა XVIII საუკუნის დამდეგიდან. პირველი სერიოზული სადაზვერვო მასალა რუსეთის ხელისუფლებამ (მეფემ, საგარეო საქმეთა კოლეგიამ, სამხედრო კოლეგიამ და სხვ.) XVIII საუკუნის 20-იან წლებში მიიღო. ეს იყო პერიოდი, როცა ქართლის მეფის **ვახტანგ VI**-ისა და **პიოტრ I**-ის ურთიერთობას საფუძველი ეყრებოდა, ხოლო რუსეთის ჯარი კასპიისპირეთში ლაშქრობდა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვა ქართლ-კახეთის სამეფოში აქტიურად მოქმედებდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომისა და მომდევნო ხანებში. რუსეთმა დაზვერვის საქმიანობა განსაკუთრებით გააააქტიურა გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების წინა ხანებში და ტრაქტატის დადების შემდგომ. XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს სხვადასხვა ფორმალური მიზეზით მოევლინა ბევრი რუსი თუ რუსეთის ქვეშევრდომი არარუსი მოგზაური, ექიმი, მხატვარი და ა.შ. მათი დიდი ნაწილი პროფესიონალი მზვერავი იყო, რომელთა მიერ მინოდებული მასალა საფუძვლად ედებოდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას ქართლ-კახეთის სამეფოში. ცხადია, **ერეკლე II გრძნობდა, რომ ის უცხოელები, რომლებიც მუდმივად ტრიალებდნენ მეფისა და სამეფო ოჯახის წევრთა შორის, საგანგებო დავალებით იყვნენ მოვლინებულნი. მიუხედავად ამისა, მეფე ამ დაუპატიჟებელი სტუმრების თბილისში ჩამოსვლას წინ ვერ აღუდგებოდა. გარდა რუსეთიდან სპეციალური დავალებით ჩამოსული რუსი და არარუსი ეროვნების მზვერავებისა, რუსეთს სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას აწვდიდნენ სომეხი მელიქები და სომეხი საეკლესიო იერარქები.** XVIII საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური დაზვერვის წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ: **იაკოვ ელიხი (რაინექსი)** (1744-1793)[45],

---

[45] **იაკოვ ელიხი (რაინექსი)** (1744-1793) – რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ საქართველოში საგანგებო საიდუმლო მისიით მოვლინებული აგენტი. დიდხანს იმყოფებოდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, როგორც ექიმი, რუსეთში აგზავნიდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციას, მონაწილეობდა გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებაში. ინგლისელი ექიმის სახელზე 1777 წელს გაცემულ

პოლკოვნიკი **სტეპან ბურნაშევი** (1743-1824) და პოდპოლკოვნიკი **ვასილი ტამარა** (1740-1813)[46]. 1784 წლის შემოდგომაზე თბილისში ხანმოკლე ვადით ყოფნისას მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაცია შეკრიბეს გენერალ-პორუჩიკმა **პაველ პოტიომკინმა** და გენერალ-პორუჩიკმა **ალექსანდრ სამოილოვიჩმა**. როგორც დგინდება, **ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ ინფორმაციის შეკრებით დაკავებული იყვნენ 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსული ორი რუსული ბატალიონის მეთაურები და სხვა ოფიცრები.**

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სადაზვერვო ინფორმაციის შეკრებაზე დიდ თანხას ხარჯავდა. ეს ეხებოდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოში მის ოფიციალურ წარმომადგენლებს (სამხედროებს, დიპლომატებს) ისე სხვადასხვა ფორმალური მისიით მოვლენილ მზვერავებს.

იაკოვ რაინექსის პასპორტს ხელს აწერდა ინგლისის ელჩი სტამბოლში რობერტ ენსლი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იაკოვ რაინექსი აგრძელებდა კავშირს ინგლისის საელჩოსთან სტამბოლში, რაზეც მეტყველებს 1780 წლის 12 აპრილს მის სახელზე გაცემული პასპორტი. პასპორტს, გარდა სტამბოლში ინგლასის ელჩ რობერტ ენსლის ხელმოწერისა, აქვს სანკტპეტერბურგში ინგლისის ელჩის ჰარრისის 1782 წლის 23 ივლისის რეზოლუცია. სტამბოლში რუსეთის ელჩი იაკოვ ბულგაკოვი 1784 წელს ეკატერინა II-ისათვის გაგზავნილ მოხსენებაში იაკოვ რაინექსს "მანანწალას" უწოდებს, რომელიც სტამბოლიდან საქართველოში მიემგზავრებოდა და თავს რუსეთის საიმპერატორო კარის „რწმუნებულს" უწოდებდა.

[46] **ვასილი ტამარა** (1740-1813) – რუსი დიპლომატი, პოლკოვნიკი. მოღვაწეობა დაიწყო კავკასიაში მთარგმნელად, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იყო რუსეთის წარმომადგენელი ვენეციაში და მონაწილეობდა ეგეოსის ზღვაში რუსეთის სამხედრო ფლოტის ექსპედიციის მომზადებაში, ომის დამთავრების შემდეგ პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდებით კვლავ დაბრუნდა კავკასიაში, 1783 წლიდან მონაწილეობდა რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების მომზადებასა და დადებაში, იყო პაველ პოტიომკინის თანაშემწე. 1783 – 1784 წლებში ორგზის იმყოფებოდა თბილისში, გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, 1784 წლიდან ირანში გაგზავნილ დიპლომატიურ მისიაშია, 1797 წელს დაინიშნა რუსეთის იმპერიის წარმომადგენლად ოსმალეთში, 1802 წელს სტამბოლიდან გამოიძახეს, იმავე წელს სამსახურიდან გადადგა.

§1. ზოგადი ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ

ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ მრავალფეროვანი სადაზვერვო ხასიათის ინფორმაცია შეკრიბა პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა. ქართლ-კახეთის სამეფოში სტეპან ბურნაშევის გამოგზავნის გადაწყვეტილება გენერალ-ანშეფმა **გრიგორი პოტიომკინმა** მიიღო. გრიგორი პოტიომკინი უკმაყოფილო იყო კავკასიაში იაკოვ რაინექსის მოღვაწეობით. მართალია, იაკოვ რაინექსმა შეძლო მეფე ერეკლეს ნდობის მოპოვება და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დაახლოებას, მაგრამ, ამასთან ერთად, იაკოვ რაინექსის მოღვაწეობის შედეგად მნიშვნელოვნად გართულდა ვითარება ირანის აზერბაიჯანულ სახანოებსა და დაღესტანში. იაკოვ რაინექსმა თავი ეკატერინა მეორის ელჩად გაასაღა და აზერბაიჯანელი და დაღესტნელი ხანების რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანას ცდილობდა. იაკოვ რაინექსი გრიგორი პოტიომკინს არწმუნებდა, რომ ოსმალეთი ძალზე დასუსტდა, რის გამოც რუსეთს მცირე აზიის დაპყრობა არ გაუჭირდებოდა. იაკოვ რაინექსი ასევე ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ადვილად დაიპყრობდა აზერბაიჯანულ სახანოებს. გრიგორი პოტიომკინს იაკოვ რაინექსის ავანტურისტული მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩა და მისი შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო.[47]

1783 წლის 3 აპრილს გრიგორი პოტიომკინის მიერ პოლკოვნიკ **სტეპან ბურნაშევის** სახელზე გაცემულ ორდერში აღნიშნულია, რომ იგი ეკატერინა II-ის მიერ იგზავნება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო კარზე, მეფეებთან – ერეკლე II-თან და სოლომონ I-თან. სტეპან ბურნაშევი დანიშნული იყო გრიგორი პოტიომკინის **კომისიონერად** (წარმომადგენლად). ორდერის შინაარსი ასეთია:

1. გრიგორი პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს ავალებდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ტერიტორიების შესწავლას, სამეფოების სასაზღვრო სიმაგრეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავებას, მეზობელი სახელმწიფოების თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვის ზღუდეების ასაგებად ადგილების შერჩევას (რუსულ დედანში: „Вы уполномочиваетесь при обоих сих Царях моим Коммиссионером для осмотру положения их земель и приведения

[47] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство "Наука", Москва, 1966. стр.165.

оных в безопасность потребными по границам укреплениями. Для того долженствует по местном обозрении земли сделать описание их пределов и назначить – какия и где для сих Государств нужны от их соседей обороны. Нет надобности заводить больших крепостей, но прожектировать малыя укреплении, достаточныя однако к защищению их от впадении соседних, и все сии прожекты представить ко мне”);

2. გრიგორი პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს აცნობებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოზე მალე დამყარდებოდა რუსეთის იმპერიის პროტექტორატი (რუსულ დედანში: „Царь Ираклий приемлется уже под Высочайшую Ея Императорскаго Величества протекцию“), მალე დაიდებოდა ტრაქტატი. რაც შეეხებოდა იმერეთის სამეფოს, იქ გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო სხვა მდგომარეობა იყო, თუმცა სოლომონ I რუსეთის იმპერატორის მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდა და სურვილი ჰქონდა იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულიყო (რუსულ დედანში: „...открываются мирныя сего владельца желания приобресть Высочайшее Ея Императорскаго Величества покровительство“);

3. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-თვის გაგზავნილი სიგელები სტეპან ბურნაშევს ორივე მეფისათვის პირადად უნდა გადაეცა და შესდგომოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რაშიც მეფეები ხელს შეუწყობდნენ (რუსულ დედანში: „Грамоты, нам врученныя, на имя обоих тех Царей имеете вы отдать им само-лично и приступить к немедленному исполнению дела, на вас возложеннаго. В чем, конечно, со стороны сих Царей тем более способствования ожидать должно, чем нужнее им пределов их безопасность”);

4. სტეპან ბურნაშევისათვის მინდობილი საქმის მნიშვნელობისა და იქიდან გამომდინარე, თუ რა შორეულ ქვეყანაში იგზავნებოდა იგი, მოხელის კუთვნილ სარგოს ყოველწლიურად დაემატებოდა 1200 მანეთი (რუსულ დედანში: „В разсуждении важности поручаемой вам комиссии и отдаленности того края, полагаются вам сверх вашего жалованья столовые деньги по тысяче по двесте рублей в год из экстра-ординарной суммы, которые со времени определения сего и отпустятся вам за полгода вперед, а потом получать имеете оные от господина генерал-поручика и кавалера Потемкина”);

5. გრიგორი პოტიომკინი წერდა, რომ სტეპან ბურნაშევს საქართ-

გრიგორი პოტიომკინი

ველოში გააცილებდა კაზაკთა რაზმი, რომელთაგან საქართველოს საზღვრებში შესვლის შემდეგ იგი დაიტოვებდა 20 კაცს (რუსულ დედანში: „Для препровождения вас в Грузию предписал я господину генерал-поручику и кавалеру Потемкину послать с вами надлежащий отряд казаков, из коего имеете вы по вступлении туда оставить при себе в конвое двадцать человек”);

6. ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტეპან ბურნაშევს პირადად გრიგორი პოტიომკინისათვის უნდა მიეწოდებინა (რუსულ დედანში: „С каким успехом будете производить возложенное на вас – имеете сколь возможно чаще ко мне доносить, уведомляя и о всем том, что для службы Ея Императорскаго Величества полезным и нужным найдете, особливо же какия в соседстве тамошнем открываться будут произшествия”).[48]

1783 წლის 16 ივნისს გრიგორი პოტიომკინმა პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის სახელზე მეორე ორდერი გასცა. გრიგორი პოტიომკინი სტეპან ბურნაშევისაგან ითხოვდა ეცნობებინა: რა მდგომარეობაში იყო საქართველო (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები). რა ურთიერთობა ჰქონდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს მეზობლებთან. როგორი იყო სამეფოების შიდაპოლიტიკური ვითარება (რუსულ დედანში: „В месте теперешняго пребывания вашего удобно можете вы подать лучшия понятия, нежели какия доселе мы имели о пределах Грузии, положении ея, союзах с соседственными народами и обстоятельствах внутренних и внешних. Сии познания и рекомендую я вам стараться приобрести и доносить мне оныя”). გრიგორი პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს ავალებდა სასწრაფოდ შეედგინა საქართველოს რუკა, რომელზეც აბსოლუტური სიზუსტით იქნებოდა დატანილი ქვეყნის საზღვრები, განსაკუთრებით საზღვარი ოსმალეთთან (რუსულ დედანში: „ Между тем же потщитесь как наискорее сделали карту Грузии, определя со всевозможною точностию границы ея, особливо с Турецкой стороны. Равномерное исполнение препоручаю вам и вразсуждении Имеретии, надеясь, что вы не пропустите сего удобнаго случая показать усердие ваше к службе Ея Императорскаго Величества, искуство и знание в своем деле и оправдать мой выбор”)[49].

---

[48] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 1-2.

[49] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-

პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა დიდი სამუშაო შეასრულა და გრიგორი პოტიომკინს უაღრესად საინტერესო მასალა მიაწოდა. სტეპან ბურნაშევს თავისი ნაშრომის ძირითადი ნაწილი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, 1783-1784 წლებში უნდა დაეწერა. ცხადია, ცალკეულ ცნობას იგი თბილისიდან ნაშრომის დასრულებამდეც აგზავნიდა. ნაშრომს საბოლოო სახე 1786-1787 წლებში მიეცა. სავარაუდოა, რომ მცირე დამატებები და ცვლილებები მან შემდეგ ხანებშიც (1793 წლამდე) განიცადა. მოგვიანებით, 1793 წელს, ეს მასალა სტეპან ბურნაშევმა კურსკში გამოსცა სათაურით „Картина Грузии"[50]. 1896 წელს სტეპან ბურნაშევის ნაშრომი თბილისშიც გამოიცა[51].

* * *

სტეპან ბურნაშევის ნაშრომი მეტად საინტერესოა. ამ ნაშრომით საქართველოს შესახებ საჭირო ინფორმაციას იღებდნენ არა მარტო გრიგორი პოტიომკინი და პაველ პოტიომკინი, არამედ რუსეთის საიმპერატორო კარი, თვით იმპერატორი ეკატერინა II. სტეპან ბურნაშევის ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:

I. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა;

ა) ქართლი;

ბ) კახეთი;

II. იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა[52].

სტეპან ბურნაშევი ასეთ ცნობებს გვაწვდის: 1) ქართლ-კახეთის

Петербург,1886, стр. 8; Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев.** Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 3.

[50] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н..Бегичева, Тифлис, 1896, стр. 1-24.

[51] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 1-5.

[52] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 5-6.

მეფეს, გარდა ქართლისა და კახეთისა, ემორჩილებოდნენ ირანული სახანოები – ერევნისა და განჯისა (რუსულ დედანში: „Обитающих в царствах Кахетии, Карталинии, городах Кавказских и в состоящих под зависимостию у грузинскаго царя Адребижанских городах Эривани и Ганже, с их землями...“);

2) 1783 წლისათვის ქართლ-კახეთის მოსახლეობა სახანოების ჩათვლით (ქართველები, სომხები, ბერძნები, მუსლიმები, ქურთები, კავკასიის მთიელები) შეადგენდა 42.000 კომლს (რუსულ დედანში: „...грузин, армян, греков, магометан, разных горских народов и Курдов, считалось в 1783 году, при вступлении Грузии в Высочайшее Всероссийскаго Престола покровительство, 42.000 дворов“);

3) ქართლ-კახეთის მოსახლეობა სამ ფენად იყოფოდა: სამღვდელოება, არისტოკრატია, გლეხები (რუსულ დედანში: „ духовенство, дворянство и хлебопашцы“);

4) ქართლ-კახეთის მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას;

5) ქართლ-კახეთის სამეფოში საკმაო რაოდენობით ყოფილა ოქროსა და ვერცხლის მადანი (რუსულ დედანში: „Руд золотых и серебряных, довольно...“);

6) ვაჭრობდნენ ირანთან და ინდოეთთან (რუსულ დედანში: „Торги отправляются в Персию и Индию“);

7) თბილისში სხვადასხვა საქონლით სავაჭრო დაახლოებით 500 დუქანი ყოფილა (რუსულ დედანში: „Лавок с красными товарами, рукоделиями и съестными припасами, в Тифлисе до 500“)[53].

სტეპან ბურნაშევი აღნიშნავს, რომ ქართველები ბერძნული რწმენის, ე. ი. მართლმადიდებლობის მიმდევრები იყვნენ (რუსულ დედანში: „Обряд веры у грузин – греческий...“). სამღვდელოება ქვეყანაში დიდ პატივში ყოფილა და სამეფო კარზეც დიდი გავლენა ჰქონია[54].

---

[53] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр.1-3.

[54] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр.3.

სტეპან ბურნაშევი საგანგებოდ ჩერდება ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის ფორმაზე. მმართველობა დახასიათებულია როგორც მეფის შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელიც თითქმის არ ემყარებოდა მიღებულ კანონებს (რუსულ დედანში: „Единовластие, царская воля не ограничена, законов и учреждений письменных почти нет, властей подчиненных мало, все дела и самое малое зависит от решения царскаго; ему единому повинуются с подобострастием, прочим чинам весьма худо“)[55].

რუსეთის საიმპერატორო კარი დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებით. სტეპან ბურნაშევი აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ხაზინაში შემოსავლები შედიოდა: გლეხებისაგან, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის წარმოებიდან, საბაჟო გადასახადისაგან, განჯისა და ერევნის სახანოებიდან, თბილისიდან[56].

სტეპან ბურნაშევს ყურადღებით შეუსწავლია ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის მდგომარეობა და ასეთი დასკვნები გამოუტანია:

1. სამეფოს კმაყოფაზე მყოფი (ჯამაგირის მქონე) ჯარი ქართლ-კახეთში არ არსებობდა;

2. ათი წლის წინ ერეკლე II-ს შეუქმნია **მორიგე ჯარი**, რომელიც 4.000 მებრძოლისაგან შედგებოდა. **ლევან ბატონიშვილს** ამ ჯარით ლეკთა თარეში აღუკვეთია, თუმცა 1783 წლისათვის მეფის ვერცერთი შვილი ლევან ბატონიშვილის მსგავსად ვერ ახერხებდა მორიგე ჯარის ორგანიზებას, ვერ იცავდა მოსახლეობას ლეკთა მოთარეშე რაზმებისაგან.

3. 1783 წლისათვის მეფე ერეკლე დაახლოებით 6.000 ცხენოსანს აგროვებდა. ყაზახ-შამშადილუს მუსლიმ მოსახლეობას მეფე არ ენდობოდა და ომის დროს ჯარში არ იწვევდა, ქირაობდა ოსებსა და ყაბარდოელებს, ასევე ლეკებს.

4. ჯარი შეიარაღებული იყო თოფებით, ხმლებითა და ხანჯლებით. 1783 წლისათვის ერეკლე II-ს ჰქონდა თბილისში დამზადებული

---

[55] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр.1 -5.

[56] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр.5-6.

12 ზარბაზანი. თოფისწამალსაც თბილისშივე ამზადებდნენ, რომელიც ცუდი ხარისხისა ყოფილა.

5. ჯარში უმაღლესი სამხედრო წოდება იყო **სარდალი**. სულ იყო სამი სარდალი: კახეთში სარდალი იყო **ჩოლოყაშვილების** საგვარეულოდან. ქართლში ორი სარდალი იყო: ზემო ქართლში – **ამილახვრების** საგვარეულოდან, ქვემო ქართლში (სომხითში) – **ორბელიანების** საგვარეულოდან. სარდლის თანამდებობა მემკვიდრეობით იყო – მამიდან შვილზე გადადიოდა. კათოლიკოს-პატრიარქს თავისი სარდალი ჰყავდა.

6. ჯარში არ იყო დისციპლინა; არ არსებობდა ჯარის წინ მიმავალი მზვერავი რაზმები და ღამის დარაჯები, რის გამოც დაბანაკებული ჯარი ღამით სრულიად დაუცველი იყო; ლაშქრობის წინ არ მზადდებოდა იარაღისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი.

სტეპან ბურნაშევი ქართლში ასახელებს სტრატეგიული მნიშვნელობის შემდეგ ციხე-სიმაგრეებს: **თბილისის, გორის, ანანურის, გორისციხის, სურამის**. სტეპან ბურნაშევი ციხე-სიმაგრეებს შორის მოიხსენიებს მცხეთას, კერძოდ, **სვეტიცხოვლის გალავანს**, ხოლო კახეთში სულ ორ ციხე-სიმაგრე ყოფილა – **თელავისა** და **სიღნაღისა**[57].

გაცილებით მწირია სტეპან ბურნაშევის ცნობები იმერეთის სამეფოს შესახებ[58].

* * *

სტეპან ბურნაშევის ნაშრომი, აღწერილობითი ნაწილის გარდა, ანალიტიკურ მიმოხილვასაც შეიცავს, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება:

პირველი. პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების – გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადებამდე;

---

[57] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 6–9.

[58] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 20–24.

მეორე. პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადებისა და ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ;

მესამე. პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გაყვანის შემდგომ (1787 წ.).

ნაშრომის ანალიტიკური მიმოხილვის პირველ ნაწილში დახასიათებულია:

1) ქართლ-კახეთის სამეფო სახლი, დამოკიდებულება სამეფო სახლის წევრებს შორის;

2) ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულება ირანთან, კერძოდ განჯის, ერევნის, შუშის, ნუხის, ნახჭევნისა და სხვა სახანოებთან;

3) ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან: ავარიის სახანოსთან, ყაბარდოელებთან, ოსებთან, ლეკებთან და სხვ.

4) ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულება ოსმალეთთან და კერძოდ, ახალციხის ფაშასთან.

ანალიტიკური მიმოხილვის მეორე ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ირანის სახანოების (განჯის, ერევნის, შუშის და სხვ.), კავკასიის მთიელებისა (ლეკების, ავარიელებისა და სხვ.) და ოსმალეთის (ახალციხის საფაშოს) დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა (1783 წ.) და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ.

ანალიტიკური მიმოხილვის მესამე ნაწილში საუბარია იმ საფრთხეზე, რომელიც შეიქმნა ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ (1787 წ.)[59].

* * *

სტეპან ბურნაშევს, გარდა გრიგორი პოტიომკინისა, დავალებებს აძლევდა პაველ პოტიომკინიც. ეს დავალებები უფრო პრაქტიკული ხასიათისა იყო, თუმცა ზოგჯერ აუცილებელი ხდებოდა ანალიტიკური მი-

---

[59] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 10–20.

მოხილვებიც. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1783 წლის 24 ივლისამდე) პაველ პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს სხვადასხვა ხასიათის ცნობის მიწოდებას სთხოვდა. კერძოდ:

1) ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთში მიმავალი გზის აღწერას;
2) ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ ცნობების მიწოდებას;
3) ირანულ სახანოებში შექმნილი ვითარების ანალიზს;
4) ახალციხის საფაშოში შექმნილი ვითარების ანალიზს.[60]

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, თუ როგორ სერიოზულად ემზადებოდა რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების – გეორგიევსკის ტრაქტატის – დასადებად და ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის შემოსაყვანად. გაანალიზებული იქნა არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს შინაური ვითარება (დამოკიდებულება სამეფო სახლის წევრებს შორის, ეკონომიკური მდგომარეობა, ქართული ჯარის შესაძლებლობანი და სხვ.), არამედ ქართლ-კახეთის ურთიერთობა ირანთან (ირანულ სახანოებთან), ოსმალეთთან (ახალციხის საფაშოსთან) და ჩრდილო კავკასიის მთიელებთან (ლეკებთან, ავარიელებთან, ოსებთან, ყაბარდოელებსა და სხვ.).

§2. ცნობები ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა შესახებ

1784 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოსულ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს პოლკოვნიკ სპეტან ბურნაშევისაგან უკვე საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფო სახლში არსებული ვითარების შესახებ. გენერლის წარმოდგენა უფრო სრული გახდა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. 1783 წლის სექტემბრისათვის ერეკლე II უკვე 62 წლისა იყო (ერეკლე II დაიბადა 1720 წელს – ვ. გ.). გენერალი მეფეს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „საშუალო ტანის“, „ოდნავ მხრებში მოხრილი“, „ენერგიით აღსავსე“, „გამჭოლი გამოხედვა“. პაველ პოტიომკინი წერს, რომ მეფე გამჭოლი მზერით აკვირდებოდა მოსაუბრის სახის გამომეტყველებას[61]. ერეკლე II-სთან პირველი შეხვედრისთანავე

[60] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал С. Н. Бурнашев. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1901, стр. 4-28.

[61] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 37.

გენერალს გაუკეთებია დასკვნა, რომ მეფეს „სრულყოფილად ჰქონდა ათვისებული აზიური პოლიტიკის თავისებურებანი"[62]. პაველ პოტიომკინს ისიც სცოდნია, რომ ახალგაზრდობისა და სიმწიფის წლებში ერეკლე II დიდ და საინტერესო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, უყვარდა თავისი სამშობლო, ცდილობდა ქვეშევრდომთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქვეყანაში ევროპული განათლების შემოტანას[63]. რუსი გენერალი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფე ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო, მუდმივად ესწრებოდა საეკლესიო მსახურებას, ეკლესიაში ლოცვისა და წირვის შემდეგ ყოველდღიურად სასახლეში კიდევ ლოცულობდა ორი საათის განმავლობაში, ვერავინ და ვერაფერი აიძულებდა შეეწყვიტა ლოცვა[64].

პაველ პოტიომკინს თბილისში ყოფნისას შეუტყვია, რომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ (ე.ი. 1780 წლიდან) ერეკლე II-სთან ერთად სამეფო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობდა დედოფალი **დარეჯანი** (სამეგროლოს მთავარ ოტია დადიანის ძმის, კაციას, ასული). დედოფალი დარეჯანი, პაველ პოტიომკინის აზრით, ყოფილა ჭკვიანი, მაგრამ ცბიერი, მკაცრი და ხელისუფლების მოყვარული ადამიანი[65]. რუს გენერალს ისიც შეუტყვია, რომ ერეკლე II-ის ასაკში შესვლასთან ერთად დარეჯან დედოფალი სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებდა სამეფოს მართვა-გამგეობაში. განუსაზღვრელი ყოფილა ერეკლეს ნდობა დედოფლისადმი, იმდენად განუსაზღვრელი, რომ სამეფოსათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მეფე დედოფალთან თათბირის გარეშე არ წყვეტდა[66]. რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი დუბროვინი წერდა: „დედოფლისადმი მეფის ბრმად მინდობამ, დედოფლის ხელში ძალაუფლების თავმოყრამ შემდგომში დამღუპველი გავლენა იქონია საქართ-

---

[62] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 37.

[63] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[64] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[65] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[66] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

ველოს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო – ვ.გ.) ბედზე"[67]. ნიკოლაი დუბროვინის აზრით, დარეჯან დედოფლის ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრამ გამოიწვია დაპირისპირება სამეფო სახლის წევრებს შორის. დარეჯან დედოფალი მფარველობდა თავის შვილებს, თანაც ვერ იტანდა და დევნიდა თავის გერებს[68]. ამიტომ დაასკვნის ნიკოლაი დუბროვინი: „დარეჯან დედოფალი იყო ქვეყანაში ყველა უთანხმოების, არეულობისა და ქვეყნის ბევრი უბედურების მიზეზი, იმ ქვეყნისა, რომელიც უკეთესი ბედისა უნდა ყოფილიყო"[69].

პაველ პოტიომკინს ცნობები შეუკრებია ბატონიშვილების შესახებ. მეფის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი **გიორგი** (ერეკლე მეფისა და მისი მეორე მეუღლის, დედოფალ ანა აბაშიძის ასულის ვაჟი) დედოფალ დარეჯანის ახირებულობის გამო საერთოდ ჩამოცილებული ყოფილა სამეფოს მართვა-გამგეობას. პაველ პოტიომკინი გიორგი ბატონიშვილს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ჭკვიანი", „სახის კეთილი გამომეტყველებით", „გულახდილი", „ღრმადმორწმუნე"[70]. გიორგი ბატონიშვილი მუდმივად ეკლესიის მსახურთა გარემოცვაში იმყოფებოდა, არ ეძებდა სამხედრო დიდებას, ჰქონდა მშვიდობისმოყვარე ხასიათი. რუს გენერალს ისიც შეუმჩნევია, რომ გიორგი ბატონიშვილს ფუფუნებისაკენ ჰქონია მიდრეკილება[71]. ბატონიშვილ გიორგის შვილებიდან გენერალი გამოჰყოფდა ბაბუის უსაყვარლეს შვილიშვილს **დავითს**, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ და განათლებულ ადამიანს[72].

მეფის მეორე ვაჟს, ბატონიშვილ **იულონს** (ერეკლე მეფის მესამე მეუღლის, დარეჯან დედოფლის, შვილებში უფროსს) მფარველობდა დედამისი, დედოფალი დარეჯანი. პაველ პოტიომკინი მას ახასიათებს შემდეგი სიტყვებით:„ჩაკეტილი", „გულჩათხრობილი", „მოჩვენებითად

---

[67] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[68] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[69] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[70] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[71] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38.

[72] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 38-39.

გულახდილი“, „ჭკუით არგამორჩეული“[73].

პაველ პოტიომკინის თბილისში ყოფნის დროს ერეკლე მეფის მესამე ვაჟი, ბატონიშვილი **ვახტანგი,** ქალაქში არ იმყოფებოდა, ამიტომ გენერალი მის შესახებ არაფერს წერს. ერეკლე მეფის დანარჩენი შვილები ჯერ კიდევ მცირეწლოვნები იყვნენ, რის გამოც პაველ პოტიომკინი არც მათ შესახებ გვაწვდის ცნობებს[74].

§3. ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის შესახებ

საინტერესოა რუსეთის დაზვერვის ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის შესახებ. XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივი (რეგულარული) ჯარი არ არსებობდა. ჩვენ ზემოთ გავეცანით ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის შესახებ პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის ცნობებს, რომლებიც 1783-1787 წლებს განეკუთვნება. პაველ პოტიომკინს ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარი, ცხადია, იმავე მდგომარეობაში დახვდებოდა, რა მდგომარეობაშიც დახვდა თბილისში ცოტა ადრე ჩამოსულ სტეპან ბურნაშევს[75]. დაახლოებით იმავე პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის მდგომარეობის შესახებ რუსულენოვან წყაროებში დაცული უფრო ვრცელი ცნობებიც გაგვაჩნია. ამ ცნობების მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის უმაღლეს მმართველობაში შედიოდნენ:

1) **სარდალი** – სრული გენერალი. ეს იყო უმაღლესი სამხედრო წოდება და იგი მემკვიდრეობით გადადიოდა. ქართლში იყო ოთხი სარდალი, კახეთში – ერთი.

2) **მინბაში** ანუ ათასისთავი – 1000 მებრძოლის მეთაური. მინბაშები

---

[73] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 39.

[74] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 39.

[75] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 6-8; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 193-194.

მშვიდობიანობის დროსაც სარდლებს ექვემდებარებოდნენ და მუდმივად მზად იყვნენ ომისათვის. მინბაშების რაოდენობა განისაზღვრებოდა ჯარის რაოდენობით. სამ მინბაშზე მეტი არცერთ სარდალს არ ჰყოლია. თბილისის ციხის (ნარიყალას ციხის) კომენდანტს მინბაშის წოდება ჰქონდა.

3) **ხუთასისთავი** ანუ გუნდისთავი – 500 მებრძოლის მეთაური.

4) **ასისთავი** – 100 მებრძოლის მეთაური.

5) **დასბაში** ანუ ათისთავი – 10 მებრძოლის მეთაური[76].

ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარში **არტილერიის** დანერგვა და მისი სერიოზულ ძალად გადაქცევა მეფე ერეკლეს სახელს უკავშირდება. 1770 წლისათვის ერეკლე მეფეს 10 ქვემეხი თუ ექნებოდა, რომელთა მოვლა-პატრონობა და ბრძოლაში გამოყენება 60 არტილერისტს ევალებოდა. არტილერია მინბაშს ექვემდებარებოდა. რუსეთში საარტილერიო საქმის შესასწავლად გაგზავნილ **პაატა ანდრონიკაშვილს** სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერეკლე II-მ **თოფჩიბაშის** წოდება უბოძა (ამ წოდებას ატარებდა თვით ერეკლე II). პაატა ანდრონიკაშვილმა თბილისში გამართა ქვემეხების ჩამოსასხმელი საამქრო. ამ საამქროში ამზადებდნენ ბრინჯაოს ქვემეხებს, მორტირებსა და ყუმბარებს. პაატა ანდრონიკაშვილმა ძველი ქვემეხები გადაადნო და ახლები ევროპული კალიბრის მიხედვით ჩამოასხა. სულ დაამზადეს 15 ქვემეხი. ამას 1787 წელს დაემატა 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე II-თვის ნაბოძები 24 ქვემეხიდან რის ვაი-ვაგლახით თბილისში ჩამოტანილი 12 ქვემეხი და ამდენად, 1787 წლისათვის ქართლ-კახეთის ჯარს შეიარაღებაზე 27 ქვემეხი ჰქონდა. ერეკლე II-მ არტილერიაში რუსული სამხედრო წოდებები შემოიღო: **მაიორი, კაპიტანი, პორუჩიკი** და **სერჟანტი**. ყველაზე დაბალი წოდება **თოფჩი** იყო. სულ არტილერიაში დაახლოებით 100 თოფჩი მსახურებდა. თოფჩები ძირითადად რუსი ჯარისკაცებისაგან შეარჩიეს, რომლებიც 1769-1787 წლებში საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარიდან გაიქცნენ. რუსი ჯარისკაცების ნაწილი მეფე ერეკლემ ჩრდილო კავკასიაში გამოისყიდა ტყვეობიდან. 1794 წლისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში რუსი დეზერტირი ჯარისკაცებისა და ჩრდილო კავკასიაში ტყვეობიდან გამოსყიდულთა საერთო რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო – დაახლოებით 300 მებრძოლი. 1796-1797 წლებში რუსეთის ჯარის ირანში ლაშქრობის

[76] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 225.

შემდეგ საქართველოში კიდევ დაახლოებით 300 რუსი დეზერტირი ჯარისკაცი დარჩა. რუსი ჯარისკაცების დიდი ნაწილი ქართველ ქალებზე დაქორწინდნენ და საბოლოოდ საქართველოში დაიდეს ბინა[77]. ქართლ-კახეთის სამეფოს საველე არტილერიის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ ომის დროს არტილერია გადაჰქონდათ ცხენებზე აკიდებული, სპეციალურ შალითებში გახვეული[78].

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ არტილერიის უფროსად დანიშნა თავისი ვაჟი **იოანე ბატონიშვილი** და მას **ფელდცეხმაისტერის** სამხედრო წოდება მიანიჭა. არტილერიის შტაბსა და, საერთოდ, არტილერიაში უფროსი ოფიცრების წოდება თავადებსა და აზნაურებს ენიჭებოდათ, უმცროსი ოფიცერი სხვა სოციალური ფენიდანაც შეიძლებოდა ყოფილიყო[79].

ქართლ-კახეთის სამეფოში ტრადიციული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არსებობდა (ზემო ქართლი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და ა. შ.). ჯარის ორგანიზების მიზნით ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გვერდით არსებობდა ტერიტორიული დაყოფა სამხედრო თვალსაზრისით. ყველაზე მსხვილი ერთეული (სამხედრო ოლქი) იყო **სასარდლო**. როგორც აღვნიშნეთ, ქართლში იყო 4 სასარდლო, კახეთში – 1. ქართლის ოთხ და კახეთის ერთ სასარდლოში უმაღლესი სამხედრო მოხელე იყო **სარდალი**. სარდლებს არ ემორჩილებოდა **მორიგე ჯარი**. მორიგე ჯარი მეფის უშუალო დაქვემდებარეში იმყოფებოდა და მას რომელიმე უფლისწული სარდლობდა. ომის დროს საგანგებოდ შერჩეულ ადგილებში შეკრებილი ქართლისა და კახეთის ლაშქარი ასე იყოფოდა:

I. მოწინავე პოლკი. მოწინავე პოლკში შედიოდა: 1. ქვემო ქართლის ლაშქარი (სარდალი თავადი ორბელიანი); 2. ქიზიყის ლაშქარი (სარდალი და მოურავი თავადი ანდრონიკაშვილი).

II. დიდი პოლკი. დიდ პოლკში შედიოდა: თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის რაიონების ლაშქარი (სარდალი თავადი ციციშვილი).

---

[77] **Н. Дубровин**. Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 226.

[78] **Н. Дубровин**. Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 226.

[79] **Н. Дубровин**. Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 226.

თავად ციციშვილის ლაშქარში ოთხი თავადური საგვარეულოს ლაშქარი იყო გაერთიანებული. დიდ პოლკში შედიოდა ასევე ხევსურეთის, ფშავ-ისა და თუშეთის ლაშქარი მოურავ თავად ჩოლოყაშვილის სარდლობით. თავადი ჩოლოყაშვილი მხოლოდ საერთო სარდლობას უწევდა ხევსურებს, ფშავლებსა და თუშებს, რომელთაც თავიანთი წინამძღოლები – **დეკანოზები** ედგნენ სათავეში. დიდ პოლკს ომის დროს პირადად მეფე სარდლობდა.

III. მარჯვენა ხელის (მარჯვენა ფრთის) ლაშქარი შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: 1. **შუა ქართლის ლაშქარი** (სარდალი თავადი ამილახვარი). თავად ამილახვრის ლაშქარში თოთხმეტი თავადური საგვარეულოს ლაშქარი იყო გაერთიანებული; 2. **შუა კახეთის ლაშქარი** (სარდალი რუსთველი არქიეპისკოპოსი). ომის დროს შუა კახეთის ლაშქარს ერთ-ერთი თავადი სარდლობდა.

IV. მარცხენა ხელის (მარცხენა ფრთის) ლაშქარი (სარდალი თავადი ბაგრატიონ-მუხრანელი). ამ ლაშქარში შედიოდა ზემო ქართლისა და მუხრანის ლაშქარი, ქსნისა და არაგვის ერისთავების ლაშქარი, ასევე ქსნისა და ლიახვის ხეობის ოსები.

V. ყაზახ-შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობის (თათრების) ლაშქარი ცალკე კორპუსს შეადგენდა და მას ამ მხარის მოურავი სარდლობდა. ყაზახ-შამშადილუს ლაშქარი მარჯხვენა ხელის (მარჯვენა ფრთის) ლაშქართან ერთად იბრძოდა.

VI. ბორჩალოს მუსლიმი მოსახლეობის ლაშქარი ცალკე კორპუსს შეადგენდა და მას ამ მხრის მოურავი სარდლობდა. ბორჩალოს ლაშქარი მარცხენა ხელის (მარცხენა ფრთის) ლაშქართან ერთად იბრძოდა[80].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სარდლობით გადახდილი მრავალი ბრძოლის დროს ერთდროულად ქართლისა და კახეთის სამეფოებში 10.000 მებრძოლზე მეტი ვერ იკრიბებოდა. თავადები, აზნაურები, მათი მსახურები, ყაზახ-შამშადილუსა და ბორჩალოს მუსლიმი მოსახლეობა, ქსნისა და ლიახვის ხეობის ოსები ცხენოსან ჯარს შეადგენდნენ. ქვეითად იბრძოდნენ ხევსურები, ფშავლები, თუშები. როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითი ჯარი შეიარაღებული იყო ხმლებით, ხანჯლებით, თოფებით, დამბაჩებით. ხევსურები, ფშავლები და

[80] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 225-228.

თუშები ბრძოლაში მცირე ზომის ფარებსაც იყენებდნენ[81].

მუდმივი (რეგულარული) ჯარის არარსებობა შეუძლებელს ხდიდა ქვეყნის საზღვრების დაცვას ჩრდილო კავკასიის მთიელთა, განსაკუთრებით ლეკთა თარეშისაგან. ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ სცადა მუდმივი ჯარის შექმნა. მეფის ბრძანების თანახმად, სამეფო, საუფლისწულო, სათავადო და საეკლესიო სოფლებიდან ერთი წლის ვადით იწვევდნენ 2000 ცხენოსან ჯარისკაცს. სურსათი და ფურაჟი სახელმწიფო ხაზინას უნდა გაეღო, ხოლო სოფლიდან გაწვეული ცხენოსნისათვის ხელფასი (წელიწადში 20-დან 40 მანეთამდე) სოფლის მოსახლეობას უნდა გადაეხადა. ამ წესით შეკრებილი მუდმივი ჯარი თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ძირითადად ირანის შაჰის კარზე ყოფნისას ახლდა[82].

1773-1774 წლებში მუდმივი (რეგულარული) ჯარის შექმნა დაიწყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ. ახალ ტიპის ჯარს **მორიგე ჯარი** ეწოდა. დამტკიცებული წესდების თანახმად, თითოეული კომლიდან ერთ ჯარისკაცს წელიწადში ერთი თვე თავისი ხარჯით უნდა ემსახურა ჯარში. მორიგე ჯარში სამსახურიდან განთავისუფლდნენ სამეფოს საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები ხევსურები, ფშავლები, თუშები, ასევე ქსნისა და ლიახვის ხეობის ოსები. მორიგე ჯარში არ იწვევდნენ ქალაქის მოსახლეობას – ვაჭრებსა და ხელოსნებს. ყოველ გაწვევაზე თავს იყრიდა 5000 კაცი. მორიგე ჯარში თავადები ერთი თვით გადიოდნენ, ხოლო ათასისთავები, ხუთასისთავები და ასისთავები მთელი წელი ჯარში რჩებოდნენ, რისთვისაც ისინი ხაზინიდან ხელფასს იღებდნენ. მორიგე ჯარი შედგებოდა ცხენოსნებისა და ქვეითთაგან. წესის თანახმად,7 ჯარში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი თვით გადიოდნენ. საჭიროების შემთხვევაში გაწვევა ორი-სამი თვე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მორიგე ჯარიდან იქმნებოდა საყარაულო რაზმები, რომლებიც ისეთ ადგილებში იყვნენ განლაგებული, საიდანაც ლეკთა რაზმები შემოდიოდნენ სამეფოს ტერიტორიაზე[83].

პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი და სხვები საგანგებოდ სნავ-

---

[81] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 228.

[82] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 228.

[83] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 228-229.

ლობდნენ ქართლ-კახეთის სამეფო ჯარის შესაძლებლობებს (რიცხოვნობას, რეზერვებს, შეიარაღებას, მომარაგებას და სხვ.). სტეპან ბურნაშევი წერს, რომ ქართლ-კახეთში რეგულარული ჯარი არ არსებობდა, წინათ შექმნილი მორიგე ჯარი ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ ეფექტურად ვეღარ მოქმედებდა (რუსულ დედანში: „Войск содержимых на жалованьи нет; десять лет назад, как для защищения от всегдашняго хищения лезгин, утесняющих их под самими стенами городов набирается у них, называемая милиция Мурыга, в 4000 ратников состоящая, кои отправя службу один месяц, возвращаются домой, а на место их поступают другие по очереди со всего государства. С сею Мурыгою, покойный царевич Леон, очистил почти всю землю от наглых граблений горцев, но теперь ни один из сынов царских не подвизается столь мужественно, а потому и Мурыги, по злоупотреблению чиновников, нигде на защищение дорог, деревень и хлебопащцев не обретается")[84]. რუსი პოლკოვნიკი იმითაც კი დაინტერესებულა, რამდენ ჯარს კრებდა ქართლ-კახეთის მეფე, როგორი იყო ჯარის ეროვნული შემადგენლობა, რა შეიარაღება გააჩნდა ჯარს (რუსულ დედანში: `Благородные служат все на коне, равно и все имущие, воинов всякаго состояния, в бытность нашу собиралось до 6000 тыс. Магометан, Казахов и Шамшадыл, лучших военных людей, со времени вступления в покровительство Российское, не доверяя им, царь, по причине возмущения, их не призывал, Кабардинцы и Осетины служат на войне царя за жалованье, так же некоторые роды Лезгинские, от коих царь имеет во уверение верности их заложников. Вооружены они, большею частию винтовками, пистолетами за кушаком, подсумком чрез плечо, кинжалом и саблею, и сам царь вооружен таким образом, беднейшие же из крестьян, наряженные на войну, по не имению оружия, идут с дубинами")[85].

საინტერესოა ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის არტილერიის სტეპან ბურნაშევისეული შეფასება: 1. არტილერია გამოუსადეგარი იყო

---

[84] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 6.

[85] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 6-7.

გადაადგილებისათვის, ამ დროს იგი იმდენად ზიანდებოდა, რომ ბრძოლაში არტილერიის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა; 2. არტილერიის მატერიალური ნაწილი ცუდ მდგომარეობაში იყო; 3. იგრძნობოდა საარტილერიო ყუმბარების ნაკლებობა; 4. დენთი ცოტა და ისიც უხარისხო იყო (რუსულ დედანში: „Артиллерия грузинская возится на волах, и хотя не весьма сделана правильно и не исправна, страшна однако ж соседям, их неприятелям; ибо те оной в поле не имеют; теперь у царя 12 собственных орудиев, вылитых в Тифлисе, порох деляют сами, но по не знанию пропорции – крайне плох")[86]. სტეპან ბურნაშევი აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ცუდად იყო დაყენებული ჯარის პროვიანტით მომარაგების საქმე, რის გამოც მეფეს ლაშქრობის დიდი ხნით გაგრძელება არ შეეძლო (რუსულ დედანში: „ Провиант не приготовляется, каждый идущий на войну, берет с собою сколько может, а от того части претерпевают голод, иногда бывает подвоз из Тифлиса; но редко, и потому на походе берут хлеб и протчее для пропитания из селений без разбора и без назначения; недостаток в продовольствии бывает не избежною причиною, что царь не может войско свое содержать долго в поле")[87]. ჯარში არ ყოფილა სათანადო დისციპლინაც, ჯარი ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით ხშირად მონაწილეობდა ძარცვაში (რუსულ დედანში: „строгости воинской и подчинения вовсе нет, а потому собственным землям пребывание и поход войск от наглости крайне раззорителен, добыча и ограбление есть единое награждение всем, кто находится в войсках")[88].

ასეთი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარი XVIII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის – რუსეთის ჯარის შემოსვლის დროისათვის.

---

[86] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 7; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 45-46.

[87] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 8.

[88] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896, стр. 8.

თავი III. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1782–1784 წლებში

§1. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1782 წლის სექტემბერი – 1783 წლის ივლისი)

1782 წლის სექტემბერში რუსეთის იმპერატორმა ეკატერინა II-მ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ყირიმის, ტამანისა და მთელი ყუბანისპირეთის დაპყრობის თაობაზე. ამ დროისათვის რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებთან განლაგებული იყო ორი კორპუსი – **ყუბანისა** და **ასტრახანისა**. ახალი ტერიტორიების დაპყრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყო ყუბანისა და ასტრახანის კორპუსების გაძლიერება. იმხანად ყუბანის კორპუსს სარდლობდა გენერალ-პორუჩიკი **დე ბალმენი**, რომელიც 1782 წლის ოქტომბერში გენერალმა **ალექსანდრ სუვოროვმა** შეცვალა. ასტრახანის კორპუსის სარდლად გენერალ **ფიოდორ ფაბრიციანის** ნაცვლად 1782 წლის სექტემბერში გენერალ-პორუჩიკი **პაველ პოტიომკინი**[89] დაინიშნა. მას სახელიც შეუცვალეს და **კავკასიის კორპუსი** უწოდეს. კავკასიის კორპუსი იქცა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევის მთავარ დამრტყმელ ძალად. პაველ პოტიომკინის დაქვემდებარებაში იყო სერიოზული სამხედრო ძალა: 23 ბატალიონი, დრაგუნთა 20 ესკადრონი, 4 საარტილერიო ასეული (30 ქვემეხი), დონის კაზაკთა 4 პოლკი და ასტრახანის კაზაკთა ჯარი.[90]კავკასიის ხაზის

---

[89] **პაველ პოტიომკინი** (1743-1796) – გრაფი, რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი, მწერალი, გრიგორი პოტიომკინის გარე ბიძაშვილი. სწრაფად დაწინაურდა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში, 1774-1775 წლებში მონაწილეობდა ემელიანე პუგაჩოვის და გლეხთა ომის სხვა მოთავეთა საქმის გამოძიებაში, 1782 წელს დაინიშნა კავკასიის ხაზის მთავარსარდლად, 1782 წლიდან მონაწილეობდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დასადები ხელშეკრულების მომზადებაში, 1783 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერა გერგიევსკის ტრაქტატს, 1783 წლის სექტემბრიდან მეთაურობდა ჩეჩნების წინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ექსპედიციას, 1783 წლია აგვისტოდან მეთაურობდა შეიხ მანსურის წინააღმდეგ ყუბანისპირეთში მოქმედ სამხედრო ექსპედიციას, მონაწილეობდა 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1794 წელს მონაწილეობას იღებდა რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთში დაწყებული აჯანყების ჩახშობაში, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები.

[90] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под

პაველ პოტიომკინი

მთავარსარდალი გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი გეორგიევსკში, კავკასიის ხაზზე განლაგებულ კავკასიის კორპუსის შტაბში, 1782 წლის 4 ნოემბერს ჩავიდა.[91]

გენერალ-ანშეფმა გრიგორი პიტიომკინმა 1782 წლის 6 სექტემბრის ბრძანებით, კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს სამოქმედო გეგმა განუსაზღვრა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ პაველ პოტიომკინს სხვადასხვა მიზეზით უნდა გაეცნო და ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-თან.[92] 1782 წლის შემოდგომისათვის გრიგორი პოტიომკინს უკვე დასრულებული ჰქონდა ყირიმის სახანოს დაპყრობის გეგმა. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ ყირიმის სახანოს დაპყრობას შეიძლებოდა ოსმალეთთან ომი მოჰყოლოდა. გრიგორი პოტიომკინი მოქმედების ასეთი სცენარისთვისაც მზად იყო. ოსმალეთისათვის გართულების შექმნის მიზნით მან გადაწყვიტა ყირიმის სახანოს დაპყრობასთან ერთად აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა სამხრეთ კავკასიაში, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას გულისხმობდა. ოსმალეთისა და ირანის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებას ისახავდა მიზნად პოტიომკინის მიერ დაგეგმილი რუსეთის ჯარის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყება ჩრდილო კავკასიასა (ყუბანისპირეთსა) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (კასპიისპირეთში)[93]. იმპერატორ ეკატერინა II-ის რესკრიპტში გრიგორი პოტიომკინისადმი (1782 წლის სექტემბერი) აღნიშნული იყო: იმ შემთხვევისათვის, თუ ოსმალეთი ევროპის კონტინენტზე (იგულისხმებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი – **ვ.გ.**) ომს დაიწყებდა, რუსეთის ჯარი მზად უნდა ყოფილიყო დერბენტიდან (დარუბანდიდან) ირანის ტერიტორიაზე (კასპიისპირეთში) შესაჭრელად, საიდანაც საქართველოს გავლით უნდა დაელაშქრა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციები. [94]

редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 155-156.

[91] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.159.

[92] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.160.

[93] **О. П. Маркова**. Россия,Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.160.

[94] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке.

1772 წლიდან 1782 წლამდე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ამაოდ ცდილობდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას. ეკატერინა II არ ჩქარობდა. მაგრამ საერთაშორისო ვითარება 1782 წლის შემოდგომიდან შეიცვალა და რუსეთის საიმპერატორო კარიც თავად გააქტიურდა[95]. ქართლ-კახეთის სამეფო კართან მოლაპარაკების საწარმოებლად პაველ პოტიომკინმა საქართველოში მყოფი გერმანელი **იაკოვ ელიხი (რაინექსი)** შეარჩია. მან იაკოვ რაინექსი თბილისიდან გაიწვია და ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე თავის კომისიონერად („Коммисионер"), ანუ წარმომადგენლად, დანიშნა. 1782 წლის შემოდგომაზე იაკოვ რაინექსი თბილისში დაბრუნდა[96].

1782 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე სანკტ-პეტერბურგში ახალი თხოვნა გაგზავნა. თხოვნა შემდეგ პუნქტებს შეიცავდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის (4000 კაცი) გამოგზავნა; 2. ახალციხის მხარის (სამცხე-ჯავახეთის) გათავისუფლება ოსმალთაგან; 3. ლეკთა თარეშის აღკვეთა; 4. მეფე ერეკლესა და მისი მემკვიდრეებისათვის სამეფო ტახტის შენარჩუნება; 5. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის დაცვა რუსეთში გადახვეწილი მუხრანელი ბაგრატიონების (ვახტანგ VI-ის შთამომავლების) მტრული მოქმედებებისგან; 6. ქართლ-კახეთის მეფისათვის ქართული ჯარის შესანახად სესხის მიცემა. მეფე ერეკლე, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პირობას დებდა, რომ ქართლ-კახეთში გამოგზავნილი რუსეთის ჯარს შეინახავდა შემდეგი შემოსავლების წყალობით: 1. რუსეთის ჯარის მიერ ოსმალთაგან განთავისუფლებულ ქართულ მიწაზე (სამცხე-ჯავახეთში) აკრეფილი გადასახადებიდან, 2. ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლიდან. დამატებით ერეკლე II შემდეგ ვალდებულებას იღებდა: 1. თუ რუსეთის დახმარებით ქართლ-კახეთის სამეფოში ახალ საბადოებს დაამუშავებდნენ, შემოსავლის ნახევარი რუსეთის ხაზინას გადაეცემოდა; 2. ქართლ-კახეთის სამეფოში აღრიცხული კომლებიდან ყოველწლიუ-

---

Издательство „Наука", Москва, 1966. стр.160.

[95] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 64-65.

[96] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 157.

რად რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ თითოეული კომლი გაიხდიდა 70 კაპიკს; 3. რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ ყოველწლიურად 70 კაპიკს ასევე გადაიხადა რუსეთის ჯარის დახმარებით ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ ქართულ მიწაზე (სამცხე-ჯავახეთში) აღრიცხული ყოველი კომლი; 4. ქართლ-კახეთის სამეფო ყოველწლიურად რუსეთს გადასახადის სახით მისცემდა 200 ფუთ აბრეშუმს. როგორც ვხედავთ, მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის ეკონომიკისათვის ძალზე მძიმე ვალდებულებას იღებდა. თუმცა იგი დამატებით კიდევ უფრო მძიმე ვალდებულებას კისრულობდა. რუსეთს შეეძლო ქართლ-კახეთის სამეფოდან რეკრუტის წესით (ოცდახუთწლიანი სამხედრო სამსახური – **ვ. გ.**) ჯარში გაეწვია ქართველები[97].

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ დასადები ხელშეკრულების მეფე ერეკლესეული პროექტის გაცნობის შემდეგ 1782 წლის დეკემბერში ეკატერინა II-მ **ალექსანდრ ბეზბოროდკოს**[98] შემდეგი მითითება მისცა: 1. ქართველ მეფეებთან (ერეკლე II, სოლომონ I – **ვ. გ.**) უნდა დადებულიყო სამოკავშირეო ტრაქტატი: „заключить с грузинскими царями союзный трактат"; მეფეებისათვის არ უნდა ეწოდებინათ ქვეშევრდომები, არამედ – მოკავშირეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდნენ: „не именуя их подданными, но союзниками, от империи всероссийской покровительствуемыми"; 2. ქართული სამეფოებისაგან რუსეთის იმპერიას არანაირი ფულადი გადასახადი არ უნდა აეღო, გარდა ლითო-

---

[97] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 1-2; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 157-158.(შეადარე: **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.167).

[98] **ალექსანდრ ბეზბოროდკო** (1747-1799) – გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მონაწილეობდა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1779 წელს მიენიჭა ბრიგადირის სამხედრო წოდება, რუსეთის იმპერიის ფოსტის მთავარი დირექტორი, 1781 წლიდან რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, 1793-1795 წლებში პოლონეთის დანაწილების ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი, 1797 წლიდან პირველი კლასის ნამდვილი სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველი და რუსეთის იმპერიის კანცლერი, 1798 წელს სახელმწიფო სამსახურიდან გადადგა.

ალექსანდრ ბეზბოროდკი

ნისა და მინერალებისაგან მიღებული შემოსავლის ნახევრისა, ყველანაირი შემოსავალი უნდა დარჩენოდა ქართველ მეფეებს. ყოველწლიური გადასახადის სახით რუსეთს უნდა მიეღო მხოლოდ აბრეშუმი, ღვინო და ცხენები: „Поборов денежных не принять никаких, ниже половины с металлов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присылку шелку, вин и лошадей"; 3. ჯარის შესანახი სუფსიდია უნდა გამოყოფილიყო ომის დროს ჯარის რაოდენობის მიხედვით, ხოლო პირველ ხანებში ჯარის შესანახად უნდა გამონახულიყო გარკვეული რაოდენობის თანხა: „...назначить им субсидии денежныя по числу войск во время войны, а на первое время сумму некоторую, будет изволите найти надобным"[99].

რუსეთის იმპერატორს ეკატერინა II-ს გაცილებით ფართო, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება და მისი მტრებისაგან დაცვა იყო. იმპერატორს არც ერეკლე II-ის შეთავაზებული მფარველობითი ხელშეკრულების პირობები აინტერესებდა და კონკრეტულად, არც ქართლ-კახეთის სამეფოდან წლიურად მისაღები 250. 000 მანეთი (ეს თანხა იმდენად მცირე იყო, რომ ქართლ-კახეთში გამოსაგზავნი ორი რუსული ბატალიონის შესანახადაც არ იკმარებდა). ეკატერინა II-ს ჩაფიქრებული ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანი ხალხებისაგან ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მხოლოდ რუსეთის იმპერიაზე იქნებოდა დამოკიდებული. ამისათვის კი ამ ხალხების ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლება იყო აუცილებელი. მხოლოდ ამ მიზნის განხორციელების წადილი ამოძრავებდა რუსეთის იმპერატორს, როდესაც მეფე ერეკლე II-ის თხოვნას გაუწია ანგარიში[100]. ეკატერინა II-ის ფავორიტი გენერალ-ანშეფი **გრიგორი პოტიომკინი**[101] ყველაზე უკეთ ჩასწვდა კავკასიური პოლიტიკის არსს. ამი-

---

[99] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 64.

[100] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 2.

[101] **გრიგორი პოტიომკინი** (1739-1791) – გრაფი, რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი. ეკატერინა II-ის ყურადღება მიიქცია 1762 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს, გახდა იმპერატირის ფავორიტი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში, 1774 წელს მიენიჭა გენერალ-პორუჩიკის, 1775 წელს – გენერალ-ანშეფის, 1784 წელს– გენერალ-ფელდმარშალის სამხედრო წოდება. 1774 წლიდან იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერ-

ტომ იყო, რომ იმპერატორმა ამ პოლიტიკის განხორციელება სწორედ მას დაავალა. გრიგორი პოტიომკინს ჩააბარეს არა მარტო ირანსა და საქართველოსთან, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობა. ამასთან ერთად, იმპერატორის ფავორიტმა მიიღო განუსაზღვრელი უფლებამოსილება, შეეძლო ნებისმიერი საკითხი პირადი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა. გრიგორი პოტიომკინს დაევალა ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების მომზადება და დადება[102]. გრიგორი პოტიომკინმა თავისი ნათესავს (გარე ბიძაშვილს), კავკასიის ხაზის მთავარსარდალს, გენერალ-პორუჩიკ **პაველ პოტიომკინს** დაავალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ II-თან ურთიერთობის დამყარება[103]. გრიგორი პოტიომკინი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ სასურველი იყო თბილი ურთიერთობა დაემყარებინა ერეკლე II-თან, დაახლოებოდა მას და ამ გზით მიექცია ყურადღება. ერეკლე II-ს მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი და მაჰმადიანი მმართველების რუსეთთან დაახლოების საქმეში[104]. ერეკლე II-ის მიმხრობის მიზნით გრიგორი პოტიომკინმა ეკატერინა II-ს ურჩია გარკვეულ დათმობებზე წასულიყო ქართლ-კახეთის მეფის მიმართ. ამიტომ იყო, რომ საბოლოოდ გეორგიევსკის ტრაქტატში შეიტანეს ისეთი პირობები, რომელთა წამოყენებაც მფარველობითი ხელშეკრულების პროექტში ერეკლე II-მ ვერ თავს იდო[105].

1783 წლის დამდეგს გრიგორი პოტიომკინმა ქართლ-კახეთის მეფე

ნატორი, ხელმძღვანელობდა უირიმის დაპყრობისათვის ბრძოლას, დააარსა რუსეთის იმპერიის შავი ზღვის სამხედრო ფლოტი და იყო მისი პირველი მთავარსარდალი, ხერსონესის, სევასტოპოლის, ნიკოლაევის და სხვა ქალაქების დამაარსებელი, ოსმალეთისა და ირანის დაპყრობა-დანაწილების იდეის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი და მხარდამჭერი, რუსეთის იმპერიის კავკასიური და აღმოსავლური პოლიტიკის პრაქტიკული განმახორციელებელი. რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დროს იყო რუსეთის არმიის მთავარსარდალი, გარდაიცვალა იასის ზავის (1791 წ.) დადებამდე.

[102] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 2-3.

[103] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 3.

[104] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 3.

[105] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 3-4.

ერეკლე II-ს აცნობა, რომ საქართველოსთან ურთიერთობა პირადად მას ჰქონდა ჩაბარებული, მასვე დაევალა რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების მომზადება და დადება. გრიგორი პოტიომკინი მეფეს ასევე აცნობებდა, რომ ხელშეკრულების მომზადება და დადება, თავის მხრივ, მან პაველ პოტიომკინს დაავალა, რომელსაც თანაშემწედ დაუნიშნა პოდპოლკოვნიკი **ვასილი ტამარა,** რომელიც თბილისში ჩამოვიდოდა და ხელშეკრულების პროექტს ერეკლე II-ს წარუდგენდა. გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-ს სთავაზობდა, არ გაეჭიანურებინა ხელშეკრულების მომზადება და ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლები დროულად გაეგზავნა კავკასიის ხაზზე. გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-ს იმასაც აცნობებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის გამოგზავნა პაველ პოტიომკინს ჰქონდა დავალებული[106].

* * *

1783 წლის 3 აპრილს სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილ პოდპოლკოვნიკ ვასილი ტამარას თან მფარველობითი ხელშეკრულების პროექტი მოჰქონდა. 1783 წლის მაისის შუა ხანებში პოდპოლკოვნიკი კავკასიის ხაზიდან თბილისში გამოემგზავრა. ხელშეკრულების პროექტის გარდა, ვასილი ტამარას თან მოჰქონდა გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინის წერილი ერეკლე II-ისადმი. პაველ პოტიომკინი ერეკლეს სთხოვდა, კავკასიის ხაზზე, გეორგიევსკის ციხესიმაგრეში, ხელშეკრულების დასადებად გაეგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოს ორი წარმომადგენელი. გენერალი მეფეს ასევე თხოვდა, მოემზადებინა პროვიანტი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონისათვის, რომელთა გამოგზავნა იგეგმებოდა ქართლ-კახეთის სამეფოში. პაველ პოტიომკინმა, სხვა დავალებებთან ერთად, პოდპოლკოვნიკ ვასილი ტამარას ერთი საგანგებო მითითებაც მისცა. პოდპოლკოვნიკს ერეკლე II უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ ქართლ-კახეთის სამეფო თავის შვილებს შორის არ დაენაწილებინა, ანუ არ შეექმნა საუფლისწულოები. ეს რუსეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო: რუსეთის იმპერატორი ვერ დაუშვებდა იმ ქვეყნის საუფლისწულოებად დანაწილებას,

---

[106] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 4.

რომლის მფარველობაში მიღებასაც აპირებდა[107]. პაველ პოტიომკინი ვასილი ტამარას სთხოვდა გაერკვია, რა მიზნით ანაწილებდა მეფე ერეკლე სამეფოს. ვასილი ტამარამ 1783 წლის 24 მაისს პაველ პოტიომკინს აცნობა: რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლას აფერხებდა ბატონიშვილების მოთხოვნა – მფარველობაში შესვლამდე სამეფო საუფლისწულოებად ყოფილიყო დანაწილებული.[108] 1783 წლის 3 ივნისს პაველ პოტიომკინი ვასილი ტამარას არწმუნებდა: მეფე ერეკლე თავის სამეფოს ერთიანად მიიჩნევს, რის გამოც ბატონიშვილების მოთხოვნა სამეფოს საუფლისწულოებად დაყოფის შესახებ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ვერ შეფერხებსო.[109]

ვასილი ტამარა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ აქტიურ საქმიანობას შეუდგა. ერეკლე მეფე ძალზე ჩქარობდა მფარველობითი ხელშეკრულების დადებას და რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსვლას. ამიტომ იყო, რომ მეფეს ვასილი ტამარასათვის არანაირი დაბრკოლება არ შეუქმნია. ქართლ-კახეთის მეფე ვარაუდობდა, რომ რუსეთის ჯარი საქართველოში 1783 წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის შემოვიდოდა, მეფისადმი გამოგზავნილ წერილში კი პაველ პოტიომკინი ერეკლე II-ს არწმუნებდა, რომ კავკასიის ხაზიდან ჯარი მფარველობითი ხელშეკრულების დადებამდე ვერ დაიძვრებოდა[110]. მიუხედავად იმისა, რომ ვასილი ტამარამ ერეკლე მეფესთან ურთიერთობა ადვილად მოაგვარა, რუსეთის წარმომადგენელს აფიქრებდა ერთი საკითხი: მეფე აყოვნებდა გეორგიევსკში მფარველობითი ხელშეკრულების დასადებად გასაგზავნი ორი წარმომადგენლის შერჩევას. ჭიანურდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებისათვის უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის (რწმუნების სიგელის) შედგენაც. რწმუნების სიგელის პროექტი საბოლოოდ ვასილი ტამარამ შეადგინა. გეორგიევსკში გასაგზავნი ქართლ-კახეთის სამეფოს

---

[107] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 4-5.

[108] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.170.

[109] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.170).

[110] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 5.

წარმომადგენლების შერჩევის დაჩქარება ვასილი ტამარას იმიტომაც სურდა, რომ იგი თბილისიდან ქუთაისში იმერეთის მეფე სოლომონ I-თან შესასვვედრად უნდა გამგზავრებულიყო. საბოლოოდ ვასილი ტამარა ქუთაისში ისე გაემგზავრა, რომ ერეკლე მეფეს გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონია. ქუთაისში გამგზავრების წინ მეფე ვასილი ტამარას დაჰპირდა, რომ მისი თბილისში დაბრუნების დროისათვის წარმომადგენლების შერჩევა დასრულებული იქნებოდა. ვასილი ტამარა იმერეთში საკმაოდ დიდხანს შეყოვნდა. იგი ქუთაისში მხოლოდ 1783 წლის 5 ივნისს ჩავიდა. სამი დღის შემდეგ ავად გახდა სოლომონ I. ვასილი ტამარას ქუთაისში დარჩენა კიდევ ცხრა დღით გაუხანგრძლივდა და საბოლოოდ იგი ქუთაისიდან 1783 წლის 14 ივნისს გამოემგზავრა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ვასილი ტამარამ შეიტყო, რომ გეორგიევსკში დანიშნულ მოლაპარაკებაზე ერეკლე II-ს წარმომადგენლებად ოტია ანდრონიკაშვილი და სულხან თუმანიშვილი დაენიშნა. 1783 წლის 24 ივნისს მეფემ ვასილი ტამარას აცნობა, რომ მან შეცვალა წინათ მიღებული გადაწყვეტილება და წარმომადგენლებად დანიშნა **იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი** და **გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე**, ხოლო წარმომადგენლების ასისტენტად – არქიმანდრიტი **გაიოზი**. ერეკლე II რუსეთის წარმომადგენელს იმასაც აცნობებდა, რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდებოდა, ორი წარმომადგენლისაგან მფარველობით ხელშეკრულებაზე ერთის ხელმოწერაც საკმარისი იქნებოდა[111].

§2. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წლის 24 ივლისი)

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი) მომზადდა და დაიდო იმხანად მოქმედი საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინა II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1772 წელს დააყენა. 1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-თვის გას-

[111] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 7.

ერეკლე II

აგზავნ დოკუმენტს – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართული მხარე რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების **„უცვალებელად"** და **„მოუშლელად"** შენარჩუნებას ითხოვდა. სამეფო ხელისუფლების თაობაზე ხელშეკრულების პროექტში ვკითხულობთ: „კუალად, ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ **თქვენისა დიდებულების** მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად ეგოს..." პეტერბურგში ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი ასე თარგმნეს: „Из давных еще лет предки наши восприяли царское достоинство и находились царями. Из милосердия Вашего Величества всенижайше прошу дозволить и нам на вечныя времена находиться на таком же основании ..."[112] ასევე მკაფიო და სავსებით ნათელი იყო ერეკლე II-ის თხოვნა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების შენარჩუნების თაობაზე: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად ". (რუსულ თარგმანში: „Каталикос оставатсья имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены").[113] როგორც ვხედავთ, მეფე ითხოვდა სამეფო ხელისუფლების (მონარქიის) უცვლელად შენარჩუნებას ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში, ასევე, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქის – კათოლიკოს-პატრიარქის თავის უფლებებში უცვლელად დატოვებას, ე.ი. ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნებას.

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის მიზნით რუსეთის ჯარის ოთხიათასიანი კორპუსის გამოგზავნას; 2) ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე ოსმალთა ტყვეობისაგან თავდახსნილ ქართველთა სამშობლოში

---

[112] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 83; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 59, 61.

[113] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 83; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 59, 61.

თავისუფლად დაბრუნების უზრუნველყოფას; 3) ქართლ-კახეთის ჯარის შესანახად რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცემას; 4) რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმხანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი –ვ. გ.) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა" (ე.ი. სამცხე-საათაბაგო) არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში, „ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ." (რუსულ თარგმანში: `ибо сия провинция принадлежит Грузии и на грузинской земле лежит, обыватели тамошние имеют грузинской язик, и многие из них поныне христианами находятся, а некоторыя не в давных временах зделались магометанами.")[114]

1772 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელმოწერილ იქნა მეორე დოკუმენტი – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ ერეკლე II ადასტურებდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: მეფე **ერეკლე II**, დედოფალი **დარეჯანი**, კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I**, ბატონიშვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი** და **ვახტანგი**. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა და პირობას ფიცით ამტკიცებდა: „ეს **ყოვლად ძლიერსა ღმერთსა** და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებია და თვით ჴ-ელითა ჩემითა დამიწერია და ეგრეთვე სახლეულთა ჩემთა ჴელმოწერით და დაბეჭდით მტკიცე მიყოფია." (რუსულ თარგმანში: „и утверждаем клятвою нашею пред всемогущим богом, пред святым евангелем и пред животворящим его крестом, и собственною мою рукою писал я сие прошение, и как я, так и все из фамилии моей каждой порознь своеручно свое имя подписали и порознь каждой приложили к сей присяге чернильную печать с изображением наших имян").[115]

---

[114] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 84; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 60, 62.

[115] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 63, 64.

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) სანკტ-პეტერბურგში 1772 წელს ჩაიტანეს კათოლიკოზ-პატრიარქმა **ანტონ I-მა** და **ლევან ბატონიშვილმა.** იმავდროულად რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღებას სთხოვდა იმერეთის მეფე **სოლომონ I.**

რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს იფიქრეს ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის შემოთავაზებაზე. 1782 წლის მიწურულსა თუ 1783 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინა II-ის მდივანმა (1775 წლიდან) და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა (1783 წლიდან) **ალექსანდრ ბეზბოროდკომ** კავკასიის ხაზის უფროს გრიგორი პოტიომკინს წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატების) თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის დანაწილებისა და ოსმალეთის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან განდევნისათვის დაწყებული ბრძოლის გამო შექმნილ რთულ ვითარებაში ეკატერინა II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უბრძანებია: „ ... დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უნოდეთ – მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში" (დედანში: „...заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от империи всероссийской покровительствуемыми.") იმავდროულად, ეკატერინა II კატეგორიულად მოითხოვდა, ერეკლესა და სოლომონს შეეწყვიტათ ურთიერთობა ავსტრიის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (დედანში: „Отклонить всякое из знакомство с императором (იგულისხმება ავსტრიის იმპერატორი – **ვ. გ.**) и с другими христианскими державами"). ეკატერინა II საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ (დედანში: „да и писем к императору не посылать").[116] **ამრიგად, რუსეთის იმპერატორმა მფარველობითი ხელშეკრულების დადების პირობად წამოაყენა ისეთი მოთხოვნა, რომელიც ლახავდა ქართლ-კახეთისა და**

[116] **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 64-65.

ეკატერინა II

იმერეთის სამეფოების სუვერენიტეტს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს აეკრძალათ ავსტრიის იმპერატორსა და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან დიპლომატიური ურთიერთობა (მიმოწერაც კი!).

საგულისხმოა ეკატერინა II-ის კიდევ ერთი პირობა: გრიგორი პოტიომკინს უნდა დაემყარებინა მშვიდობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის, ხოლო მომავალი უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთს უნდა შეესრულებინა (დედანში: „Ея Величество изволила примечать, не нужен ли под вашим руководством мир между царями Ираклием и Саломоном постановить ясный и точный, учиня себя как ручателем оного, так и арбитром в случае взаимных вновь жалоб").[117] ამ პირობის წამოყენების მიზანი სრულიად ნათელია: **რუსეთი ეცდებოდა ერეკლესა და სოლომონს შორის უთანხმოების გამძაფრებას, რათა შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად დაეჭირა – ქართველ მეფეთა დაპირისპირებაში არბიტრის როლის შესრულებით თავისი ინტერესი დაეკმაყოფილებინა.**

ალექსანდრ ბეზბოროდკოს მიერ გრიგორი პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ეკატერინა II-ს აზრი არ გამოუთქვამს ქართლ-კახეთის სამეფოში ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სამაგიეროდ, ამ საკითხს შეეხო თვით ალექსანდრ ბეზბოროდკო. იგი გრიგორი პოტიომკინს სწერდა, რომ კათოლიკოსი რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შორის დაიკავებდა ადგილს (დედანში: „архиепископа же католикоса — то ему соборнаго, поставить степенем в Российской церкви между первыми").[118] ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს „სიახლე" კათოლიკოს-პატრიარქის, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მოხსენიებაში: „архиепископа же католикоса." ეს იმას ნიშნავდა, რომ **მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქი არქიეპისკოპოსს (მთავარეპისკოპოსს) გაუტოლეს.** ეს ალექსანდრ ბეზბოროდკოს შემთხვევით არ მოსვლია. იმავე წერილში ალექსანდრ ბეზბოროდკო აღნიშნავდა, რომ ქართველი სამღვდელოების რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის დაქვემ-

---

[117] **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 64.

[118] **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 64-65.

დებარებით მოიხსნებოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობიდან მომდინარე საფრთხე (დედანში: „Когда по духовенству они привязаны будут к Синоду, то по сему примеру и римское духовенство от России же получать будут, а сим кончится сношение с императором,[119] которому причиною мисионарии").[120] ალექსანდრ ბეზბოროდკო ამ შემთხვევაშიც სრულიად გარკვეულ მიზანს ისახავდა. რუსეთის საიმპერატორო კარისა და რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის კარგად იყო ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ევროპული ორიენტაცია, მისი ახლო ურთიერთობა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან. ცხადია, რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მისიების შეწყვეტით. ეს გარკვეულწილად შეაფერხებდა ერეკლე II-ის მხრიდან დასავლეთ ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიების საქმეს, საქართველოში ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელებას.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ სიმაგრე **გეორგიევსკში** დაიდო ტრაქტატი (ხელშერულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ტრაქტატს ქართლ-კახეთის მხრიდან ხელი მოაწერეს **იოანე ბაგრატიონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**, რუსეთის მხრიდან – **პაველ პოტიომკინმა**. პრეამბულის მიხედვით, ტრაქტატი იყო **„მეგობრობითი ხელშეკრულება"** (რუსულ დედანში: **„дружественный договор"**), ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის **„უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას"** (რუსულ დედანში: **„верховную власть и покровительство"**).[121]

გეორგიევსკის ტრაქტატის **პირველი მუხლში** ანიშნულია: ერეკლე II თავისი და მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა: „ვითარმედ არა შერაცხს იგი თჳს ზედა და მენაცუ'ლეთა თჳსთა ზედა სხუ'ასა თჳთმპყრობელსა თჳნიერ უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარ- უ'ჴლობისა **მისისა**

---

[119] იგულისხმება ავსტრიის იმპერატორი.

[120] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 65.

[121] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 67, 73-74.

იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მენაც- უ'ლეთა საიმპერატოროისა ტახტისა..." (რუსულ დედანში: „что он не признает над собою и преемниками иннаго самодержавия, кроме верховной власти и покровительства Ея Императорскаго Величества и ея высоких наследников и преемников престола "...)[122]

ტრაქტატში ასახვა ვერ პოვა ეკატერინა II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინა II მოერიდა ასეთი მოთხოვნის ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობისას იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის **მეორე მუხლში** აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა სამუდამო მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისაგან: „...**დიდებულება მისი** აძლევს იმპერატორებრსა თავს-მდებობასა თუსსა მრთლად (და დაუკლებელად) დაცუ'ასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა..." (რუსულ დედანში: „...Ея Величество дает императорское свое ручательство на сохранение целости настоящих владений его светлости царя Ираклия Теймуразовича... ").[123]

---

[122] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1014-1015; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 102-103; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 210, 221; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 68, 74. (შეადარე: **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.168).

[123] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1015; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 103; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილი-

ტრაქტატის **მესამე მუხლი** ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში შენარჩუნებულ იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. ახალი მეფის ტახტზე ასვლას სამეფო ნიშნების (ინვესტიტურის) გამოგზავნით ადასტურებდა რუსეთის იმპერატორი: „ჴსენებულნი იგი მეფენი ოდეს-იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთვ[ი]ს კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა..." (რუსულ დედანში: „постановлено, что помянутые цари, вступая наследственно на царство их, имеют тотчас извещать о том российскому императорскому двору, испрашивая чрез посланников своих императорскаго на царстве подтверждения и инвеститурою")[124]

ტრაქტატი არ ეხებოდა ერეკლე II-ის უფლებას ქვეშევრდომებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართული სამართლსა და სასამართლო სისტემას, ფულად-საფინანსო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას და ა.შ. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი. ტრაქტატის **მეექვსე მუხლში** აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი: „შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართებელობასა თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა..." (რუსულ დედანში: „Власть, со внутренним управлением

სი 1960. გვ. 210-211, 221-222; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 68, 74 (შეადარე: **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.169).

[124] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1015; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 103; **იასე ციცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 211, 222. **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 68, 74 (შეადარე: **О. П. Маркова**. Россия Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.169).

сопряженную, суд и расправу и збор податей предоставить его светлости царю в полную его волю...").[125] რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში (რუსულ დედანში: „... запрещая своему военному и гражданскому начальству вступаться в какия-либо распоряжения").[126] ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ტრაქტატის **მეშვიდე მუხლი**. ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურება რუსეთის წინაშე: „...რათა უსაკუთრესად აჩუ'Ღნოსმცა უდიდესობაᲘ მსახურებისათჳს რუსეთის იმპერიისა..." (რუსულ დედანში: „...В определении людей к местам и возвышении их в чины отменное оказывать уважение на заслуги пред Всероссийскою империею...").[127]

---

[125] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1015-1016; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 104; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 212, 223-224; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 69, 75.

[126] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1015-1016; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 104; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 212-213, 224; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 69, 75(შეადარე: **О. П. Маркова.** Россия Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.169).

[127] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1016; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 105; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 212-213, 224; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი,

ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყველა პრორუსული ორიენტაციისა არ იყო. ტრაქტატის მეშვიდე მუხლი რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ ანტირუსული განწყობილების მქონენი. თუმცა ეს მუხლი, ცხადია, ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

გეორგიევსკის ტრაქტატში ვერ აისახა ერეკლე II-ის მიერ შემუშავებულ ხელშერკულების პროექტში (1771 წლის 30 დეკემბერი) შეტანილი მოთხოვნა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების უცვლელად („მოუშლელად") დატოვების თაობაზე. ტრაქტატის **მერვე მუხლი,** რომელიც ეკლესიასა და კათალიკოს-პატრიარქს ეხებოდა, თითქმის მთლიანად ალექსანდრ ბეზბოროდკოს მოსაზრების მიხედვით ჩამოყალიბდა. მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ხდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი, იგი სინოდის წევრ მღვდელმთავართა შორის იკავებდა მერვე ადგილს ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. მერვე მუხლში ვკითხულობთ: „...ინებებს **მისი** იგი **დიდებულებაი,** ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუ'ნდეს ადგილი რიცხუ'თა შორის რუსეთისა მღუ'დელთ-მთავართასა მერუ'Ჩსა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად **ტობოლსკისა...**" (რუსულ დედანში: „...чтоб католикос или начальствующий архиепископ их состоял местом в числе российских архиереев в осьмой степени, именно после тобольскаго...").[128] 1700 წლიდან 1917 წლამდე რუსეთის ეკლესიას

1983, გვ. 69, 75 (შეადარე: **О. П. Маркова.** Россия Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.169

[128] Полное Собрание Законов Российской Империи. Том XXI. С 1781 по 1783. От No 15.106 до 15.901. С.-Петербург, 1830, стр. 1016; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С-петербург, 1898, стр. 105; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 213, 225; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 69, 75(შეადარე: **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.169).

პატრიარქი არ ჰყავდა, სინოდის წევრები მხოლოდ მღვდელმთავრები (ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) იყვნენ. იმხანად ანტონ I-ის რანგის საეკლესიო იერარქი რუსეთს არ ჰყოლია. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელი სინოდის წევრების – რიგით მღვდელმთავრებისთვის – გაეტოლებინათ. ამასთან, შვიდი მღვდელთმთავარი სინოდში ანტონ I-ზე დიდი პატივით სარგებლობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **შეილახა კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება**. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ უძველეს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელთან. ამიტომ იყო, რომ, მერვე მუხლის ძალით, ორი ქვეყნის ეკლესიას შორის ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო ცალკე ხელშეკრულებით: „..ამისთჳს უკუ'ᲩÑ დაიწერების სხუ'ა არტიკული" (რუსულ დედანში: „...о том составится особливый артикул"). ასეთი ხელშეკრულება აღარ დადებულა.[129]

ტრაქტატის ძირითად ტექსტთან (პრეამბულა და ცამეტი მუხლი) ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა (ცალკე მოეწერა ხელი) საიდუმლო მუხლებს (ოთხ მუხლს), ანუ **„სეპარატისა არტიკულებს"** (რუსულ დედანში: „ Сепаратные Артикулы").[130]

აღსანიშნავია, რომ **პირველ სეპარატულ (ცალკე) ანუ საიდუმლო მუხლში** ასახვა პოვა ეკატერინა II-ის მოთხოვნამ. ერეკლე II მეგობრულ ურთიერთობაში უნდა დარჩენილიყო სოლომონ I-თან, ხოლო მეფეებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერატორი, რომლის გადაწყვეტილებასაც ერეკლე II უნდა დამორჩილებოდა: „...აწ და შემდგომად შერაცხს **მისისა იმპერატორებისა დიდებულებასა** სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს **მისისა** მიერ უზენაესისა განჩინებისა ანუ განჩენისა ვერ გულისჴმის-საყოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ მფლობელთა უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა" (რუსულ დედანში: „...ныне и впредь признает ея императорское величество совершенным арбитром, подвергая распри и недоразумения, между двумя владетелями паче всякаго чаяния

---

[129] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 69, 75.

[130] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 70-71, 76-77.

происходящия, ее верховному решению").[131] ცხადია, პირველი სეპარატული მუხლი ლახავდა როგორც ერეკლე II-ის, ისე სოლომონ I-ის სუვერენულ უფლებებს და ამავე დროს რუსეთს საშუალებას აძლევდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობაში.

მეორე სეპარატული მუხლი გვაუწყებს: „დაცვისათვის სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მწედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** აღსთქუ'ამს შენახუ'ად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუ'ჱითსა ოთხითა ზარბაზნითა..." (რუსულ დედანში: „Для охранения владений Карталинских и Кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск его светлости царя на оборону ея императорское величество обещает содержать в областях его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками...").[132] მეორე სეპარატულ მუხლში სავსებით ცხადად იყო განსაზღვრული, ვის უნდა გაეღო ორი რუსული ბატალიონის შენახვის ხარჯები: „დაცვისათვის სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მწედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** აღსთქუ'ამს შენახუ'ად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუ'ჱითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუ'თა ხარისხისაებრ მწედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუ'თა სყიდულ იქმნების ნაყოფი ძლით ქუ'ჱყანისა თანწმობითა

---

[131] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 108; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 230-231; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 70, 76.

[132] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 108-109; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 231; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

მისის უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღვრისა მთავრისა დადებულითა ფასითა" (რუსულ დედანში: „Для охранения владений Карталинских и Кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск его светлости царя на оборону ея императорское величество обещает содержать в областях его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками, которым провиант и фураж по их штатам производиться будет в натуре от земли по соглашению его светлости с главным пограничным начальником за положенную в штатах цену")[133].

მესამე სეპარატული მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში დამატებითი დახმარება აღმოეჩინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შეერაცხა: „... დასდუ'ას ჰ[ა]ზრი შეწევნისათჳს თქმულთა მათ ქუ'ჴყანათა და წინა-აღ-მდგომისა მტერთასა მოქმედებისათვ[ი]ს, რომელიცა არა სხუ'ჴბრ, არ-ამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუ'ად სათანადო არს" (რუსულ დედანში: „...согласить и положить на мере о защищении означенных земель и о действии против неприятеля, который не инако как за общаго врага разумеем быть должен").[134]

მეოთხე სეპარატული მუხლი ითვალისწინებდა, რომ ომის შემთხ-ვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანსა და ოსმალეთთან) რუსეთი ვალ-დებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარებოდა იარაღით. ამასთან ერთად, საზავო მოლაპარაკების დროს უნდა ეცადა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა წინათ მტერთაგან წართმეული

---

[133] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 108-109; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტა-ტი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომ-ცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 231; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომ-ცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

[134] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 109; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლო-ბა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 231-232; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომ-ცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

ტერიტორიები: „...რათა დროსა ბრძოლისასა იჴმაროსმცა ყოველი შემ-ძლებელობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურუ'ჱლისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათჳს ქუ'ჱყანისა და ადგ-ილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუ'ჱლადვე სამეფოჲსა მიმართ ქა-რთლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუჱ დაშთებიან სამფლო-ბელოდ მუნებურთა მეფეთა..." (რუსულ დედანში: „...в случае войны употребить все возможное старание пособием оружия, а в случае мира настоянием о возвращении земель и мест, издавна к царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавших, кои и останутся во владении царей тамошних...").[135]

გეორგიევსკში ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმებისას ქა-რთულმა მხარემ მოითხოვა ერეკლე II-ის ტიტულატურა განსაზღვრუ-ლიყო ასე: **„ერეკლე II, მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, ყაზახის მთავარი, ბორჩალოს მთავარი, შამშადილუს მთავარი, კახის მთავარი, შაქის მთავარი და შირვანის მთა-ვარი, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა."** („Ираклий II, царь кахетинский и царь карталинский, наследный князь самцхе-саатабагский, князь казахский, князь борчальский, князь шамшадильский, князь кахский, князь шакский и князь ширванский, владетель и покровитель ганджийский, эреванский и проч".). რუსული მხარის უარყოფითი პოზი-ციის გამო ერეკლე II-ის ამგვარმა ტიტულმა გეორგიევსკის ტრაქტატში ასახვა ვერ პოვა.[136] უარყოფა შემდეგ მიზეზებს უნდა გამოეწვია: 1) სამ-ცხე-საათაბაგო, საქართველოს ისტორიული ტერიტორია, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა და ცხადია, რუსეთი ქართლ-კახეთის მეფეს სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრე

---

[135] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1898, стр. 109; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემ-ლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1960. გვ. 232; **ვალერიან მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომ-ცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 71, 77 (შეადარე: **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.170).

[136] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 130.

მთავრად ვერ მოიხსენიებდა, ეს ოსმალეთის პროტესტს გამოიწვევდა; 2) კახი (საქართველოს ისტორიული ტერიტორიის – ჭარ-ბელაქნის ნაწილი), შაქი, შირვანი ირანის სახელმწიფოში შედიოდა, ირანის სახელმწიფოში შედიოდა განჯისა და ერევნის სახანოებიც. ასე რომ, ერეკლე II-ის აღიარება კახის, შაქის, შირვანის, განჯისა და ერევნის მფლობელად ირანს გააღიზიანებდა.

გეორგიევსკის ტრაქტატთან ერთად, ასევე ცალკე დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა **ფიცის ნიმუში (სახე)**, რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. დოკუმენტი იწყება ასე: „**სახე**, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა **ირაკლი** თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა **მისისა იმპერატორების დიდებულებისასა** თ**ჯთმპყრობელისა** ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა **მ**ფარუ'ᲩᲚობისა და უზენაესისა ᲬᲔᲚმწიფებისა იმპერატორთასა **მ**ეფეთა ზედა **ქ**ართლისა და **კ**ახეთისათა" (რუსულ დედანში: „Образец, по которому Его Светлость Царь Карталинский и Кахетинский Ираклий Теймуразович учинит клятвенное обещание на верность Ея Императорскому Величеству Самодержаще Всероссийской и на признание покровительства и верховной власти всероссийских Императоров над царями карталинскими и Кахетинскими").[137] ამრიგად, ფიცის ნიმუშშიც (სახეშიც) დადასტურებულია ქართლ-კახეთის მეფეებისა (და, ცხადია, სამეფოს) არსებობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმხანად საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, რატიფიკაცია და გამოქვეყნება). ამ თვალსაზრისით საინტერესოა დოკუმენტის **მეთორმეტე მუხლი**. მართალია, ტრაქტატი „საუკუნოდ", სამუდამოდ (რუსულ დედანში: „на вечныя времена")[138] იდებოდა, მაგრამ თუ მასში ურთიერთსასარგებლო ცვლილებების შეტანა იქნებოდა საჭირო, ეს უნდა მომხდარიყო ორივე მხარის თანხმობით: „...უკეთუ განხილულ იქმნების რაᲜმე

---

[137] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 71-72, 77-78.

[138] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 70, 76.

საჭიროდ შეცუ'ალებად, ანუ დართუ'ად ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქუ'ს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჴმობისა" (რუსულ დედანში: „... оное да возымеет место по обостороннему соглашению").[139]

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ. იმავე წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი გამართა, ზეიმზე პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევიც მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებსა და დიდებულებთან ერთად მობრძანდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, მისცეს სალუტი[140]. 1783 წლის 17 აგვისტოს ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს ტექსტის დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი – 13 მუხლი – მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გამოსაცხადებლად". იგი რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში. 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინა II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, **„მეგობრობის ხელშეკრულების"** რატიფიკაცია და დოკუმენტი საქართველოში გამოგზავნეს. [141]

§3. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში (1783 წლის ოქტომბერ-ნოემბერი)

1783 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს გეორგიევსკის ტრაქტატით იყო განსაზღვრული, ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა. გეორგიევსკის ტრაქტატი ჯერ კიდევ არ იყო ხელმოწერილი, როდესაც გენერალ-ანშეფმა **გრიგორი პოტიომკინმა** ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნისათვის დაიწყო მზადება. ამ

---

[139] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 70, 76.

[140] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 129-130; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 12;
ვალერიან მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 21-22.

[141] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 15;
ვალერიან მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 21-22

საქმეს პრაქტიკულად გენერალ-პორუჩიკი **პაველ პოტიომკინი** ხელმძღვანელობდა. 1783 წლის 1 ივლისს პაველ პოტიომკინს დაეკისრა ჩრდილო კავკასიაში მოზდოკიდან ასტრახანამდე (კასპიის ზღვამდე) კავკასიის სასაზღვრო ხაზის დაცვა. ცოტა მოგვიანებით, 1784 წლის 2 თებერვალს, იგი დაინიშნა **სარატოვისა** და **კავკასიის გენერალ-გუბერნატორად** და კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე განლაგებული რუსეთის ჯარების **მთავარსარდლად – კავკასიის ხაზის მთავარსარდლად.** 1785 წლის 5 მაისს შეიქმნა **კავკასიის სამეფისნაცვლო,** რომელშიც შედიოდა კავკასიისა და ასტრახანის ოლქები[142].

კავკასიის ხაზიდან (მოზდოკი, გეორგიევსკი) თბილისისაკენ მომავალი გზა ჯარისა და არტილერიის გადაადგილებისათვის გამოუსადეგარი იყო. თბილისში ჩამოსულმა პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა პაველ პოტიომკინს აცნობა, რომ იგი შეუდგა თბილისიდან კავკასიონის უღელტეხილამდე გზების შეკეთებასა და ხიდების მშენებლობას. სტეპან ბურნაშევს ერეკლე II 1.500 კაცით დახმარებას შეჰპირებია[143]. ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოზდოკი-ასტრახანის ხაზს ჩაიბარებდა, 1783 წლის მაისში, პაველ პოტიომკინმა ობერ-კვარტერმაისტერ **ფოხტს** დაავალა, წესრიგში მოეყვანა მდინარე **თერგის** გასწვრივ არსებული გზა საქართველოს საზღვრამდე. სამუშაოს შესასრულებლად ფოხტს გამოუყვეს 800 ჯარისკაცი. გრენადერთა ერთი ბატალიონი გზის მშენებლების უსაფრთხოებას იცავდა. 1783 წლის ოქტომბერში ფოხტმა მდინარე თერგზე ხიდების მშენებლობა დაასრულა. თერგზე, სოფელ **ბალთადან** (ოსეთი) **სტეფანწმინდამდე (ყაზბეგამდე)**, გზის 32-კილომეტრიან მონაკვეთზე 27 ხიდი აიგო. თუმცა ფოხტის ხიდები საკმაოდ მყარი იყო, 1786 წელს ადიდებულმა თერგმა ისინი მაინც დაანგრია[144].

1783 წლის ოქტომბერში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოსაკენ დაიძრა რუსეთის ჯარის ეგერთა (ქვეითთა) 2 ბატალიონი 4 საველე

---

[142] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 163.

[143] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 12;

[144] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 130-131; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 12-13;

ზარბაზნით. იმ წელს ადრე დაზამთრდა. კავკასიონის მთებზე უკვე თოვლი იდო. რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი 1783 წლის ოქტომბერში **ბალთა-ყაზბეგის (ბალთა-სტეფანწმინდის)** გზით შემოვიდა საქართველოში. 1783 წლის 3 ნოემბერს, შემოდგომის სუსხიან დღეს, რუსულმა ბატალიონებმა თბილისს მოაღწია.[145]

* * *

ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გამოგზავნასთან ერთად, გრიგორი პოტიომკინი ცდილობდა ჩრდილო კავკასიიდან (მოზდოკიდან) საქართველოში მომავალი გზის დაცვას. 1784 წლის გაზაფხულზე კავკასიონის მთისწინეთში დაარსდა **ვლადიკავკაზის** ციხე-სიმაგრე, ხოლო მოზდოკიდან ვლადიკავკაზამდე გზაზე აიგო რედუტები: **პოტიომკინი** (მდინარე თერგზე), **კუმბელეინი** (მდინარე კუმბელეიზე), **გრიგორიოპოლისი** (მცირე ყაბარდოში)[146].

ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის, თუნდაც ორი ბატალიონის, შემოსვლა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი იყო. იმპერატორი ეკატერინა II მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა. 1784 წელს პაველ პოტიომკინმა მიიღო დიდი ოდენობით თანხა, რათა ასტრახანში შეექმნა წელიწად-ნახევრის სურსათის მარაგი 6.000 ჯარისკაცისათვის, ქერის მარაგი 1.500 ცხენისათვის. თუ რუსეთის ჯარი **დერბენტს** (დარუბანდს) დაიკავებდა, ეს მარაგი კასპიის ზღვის ფლოტილიას დერბენტში უნდა გადაეტანა[147].

1783 წლის 3 ნოემბერს თბილისში შემოსული რუსეთის ჯარის ეგერთა ორი ბატალიონი ოთხი საველე ზარბაზნით უკვე საქართველოში

---

[145] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 191; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 13;

[146] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131.

[147] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 143.

მყოფ პოლკოვნიკ **სტეპან ბურნაშევს** დაექვემდებარა[148]. ცხადია, ორი ბატალიონი ოთხი საველე ქვემეხით არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს დააშინებდა. 1784 წლის 6 დეკემბერს იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს უწყალობა 24 ქვემეხი ყუმბარების ორი კომპლექტითურთ. 1785 წლის თებერვალში ქვემეხები ოთხთვალებით სანკტ-პეტერბურგიდან **ტვერში** გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ **ცარიცინამდე** ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ **ეკატერინოგრადში,** გადაიტანეს. ასე რომ, ნაჩუქარი ქვემეხების სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში ჩამოტანა ძალზე გაჭინაურდა[149]. იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ 1784 წელს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-თვის ნაბოძები ქვემეხების ნაწილმა თბილისში მხოლოდ 1787 წელს ჩამოაღწია[150], მეორე ნაწილი, ერეკლე II-ის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ იყო თბილისში ჩამოსული,[151] მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე II იმპერატორ ეკატერინა II-ს 1793 წლის 17 იანვარს უკვე მერამდენედ სთხოვდა ჩრდილო კავკასიაში, ეკატერინოგრადში, ჩარჩენილი ქვემეხების ნაწილის საქართველოში გაგზავნის დაჩქარებას.[152]

პაველ პოტიომკინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. 1784 წლის ზაფხულში იგი მოზდოკიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა, თუმცა თბილისს მხოლოდ სექტემბერში მოაღწია[153]. პავლე პოტიომკინს თან ახლდა ბრწყინვალე ამალა: გრიგორი

---

[148] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 191.

[149] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131-132.

[150] **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 226.

[151] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 78., 180.

[152] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 112, 89-91, 180.

[153] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии.

პოტიომკინის ნათესავი გენერალ-პორუჩიკი **ალექსანდრ სამოილოვიჩი**, ჰესენის პრინცი, რუსეთის ჯარის პოდპოლკოვნიკი **რეინსფელდი** (იგივე რეინსფელდსკი) და ოფიცრები ცნობილი რუსული საგვარეულოებიდან. პაველ პოტიომკინი თბილისში დიდი ზეიმით მიიღეს. ზეიმის დასრულების შემდეგ რუსი გენერალი შეხვდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. პაველ პოტიომკინმა მეფეს ქართული ჯარის გაძლიერების აუცილებლობაზე მიანიშნა[154].

§4. გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი **ვასილი ტამარა** პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პაველ პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა. 1784 წლის 2 იანვარს ვასილი ტამარა მოზდოკიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა და 17 იანვარს თბილისს მოაღწია. სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენლის მიღების დღედ 1784 წლის 22 იანვარი დაინიშნა[155].

რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში 1783 წლის 3 ნოემბერს შემოვიდა. იმ დღეს თბილისში ძლიერ ციოდა. ამინდი არც შემდგომ გაუმჯობესებულა, პირიქით, სიცივემ იმატა. 24-25 დეკემბერს ღამით და 26 დეკემბერს თბილისში დიდი თოვლი მოვიდა, ქალაქის ვიწრო ქუჩებში მოძრაობა ძალზე გართულდა[156]. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) რატიფიკაციასთან დაკავშირებით თბილისში ზეიმი იყო დაგეგმილი. ზეიმს ხელს უშლიდა

К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 155.

[154] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 192-193.

[155] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 15.

[156] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 13.

თოვლი და ძლიერი სიცივე. საბოლოოდ ზეიმის დღედ დაინიშნა 22 იანვარი. 1784 წლის 22 იანვარს, დილით ადრე, ნარიყალას ციხის ზარბაზანიდან 101-ჯერ გაისროლეს. ცერემონიის მონაწილენი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის რეზიდენციასთან შეიკრიბნენ, საიდანაც მეფის სასახლისაკენ დაიძრნენ. მსვლელობას წინ ქართველი ცხენოსნები მიუძღოდნენ, შემდეგ მიდიოდა რუსეთის ჯარის ორი ოცეული, ხოლო მათ უკან – 24 ქართველი თავადი. ქართველი თავადების უკან მიჰყვებოდა ცხენზე ამხედრებული რუსეთის ჯარის პოდპოლკოვნიკი **მერლინი** და რუსეთის ჯარის უფროსი ოფიცრები, რომელთაც მიჰქონდათ დროშა, ხმალი, სამეფო მანტია, სკიპტრა, გვირგვინი და რუსეთის იმპერატორის სიგელი. სამეფო რეგალიებს მარჯვნიდან და მარცხნიდან ქართველი თავადების მწკრივი მიჰყვებოდა. რუს ოფიცერს, რომელსაც ხელთ ეპყრა ეკატერინა II-ის სიგელი, უკან მიჰყვებოდა პოლკოვნიკი **ვასილი ტამარა**. ვასილი ტამარას ერთი მხრიდან გვერდით ედგა მეფის ობერშტალმეისტერი თავადი **აბაშიძე**, ხოლო მეორე მხრიდან მეფის გენერალ-ადიუტანტი თავადი **ბარათაშვილი**. პროცესია სრულდებოდა რუსეთის ჯარის ეგერთა ორი ოცეულით და ქართველთა ცხენოსანი რაზმით. მეფის სასახლესთან მისულ პროცესიას მუსიკით შეეგებნენ, ხოლო სასახლის ეზოში საყვირების ხმა გაისმა. მეფის სასახლის კარიბჭეში პროცესიას პოლკოვნიკი **სტეპან ბურნაშევი** და **მირიან ბატონიშვილი** მიეგებნენ, ხოლო კიბის პირველ საფეხურთან, ასევე სამეფო დარბაზის კარებთან – მეფის დიდმოხელენი[157]. სამეფო დარბაზში იდგა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისათვის გამოგზავნილი ტახტი, ტახტის წინ იდგა მეფე, მარჯვნივ და მარცხნივ ბატონიშვილები, მეფის შვილიშვილები, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, მეუფეები, მინისტრები და სხვა დიდმოხელენი. პოლკოვნიკმა ვასილი ტამარამ მისალმების შემდეგ ერეკლე II-ს

[157] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 15-16.

გადასცა რუსეთის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და სიგელი. ერეკლე I-მ რეგალიები და სიგელი ტახტის წინ ფეხზემდგომმა ჩაიბარა. დროშა და ხმალი მეფემ გადასცა ერთ-ერთ თავადს, რომელსაც, ძველი ქართული ტრადიციით, უფლება ჰქონდა სამეფო დარბაზში მყოფს ხმალი ეტარებინა; ხოლო მანტია ჩაიბარეს მეფის დიდმოხელეებმა. ერეკლე II-მ ბრძანა, რომ სამეფო გვირგვინი და სკიპტრა ბალიშზე დასვენებული ხელში სჭეროდათ დიდმოხელეებს. სიგელი გიორგი ბატონიშვილმა გადასცა თავად ორბელიანსა და თავად ბაგრატიონს. როცა ერეკლე II-ს ეკატერინა II-ის სიგელის გადასცეს, 101-ჯერ გაისროლეს ზარბაზნიდან. სიგელის გადაცემის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ტახტზე აბრძანდა, ხოლო ტახტის საფეხურებზე მარჯვნიდან მარცხნივ დადგა შვიდი ბატონიშვილი და მეფის ორი შვილიშვილი[158]. ტახტზე მჯდომმა მეფე ერეკლემ გულითადი მადლიერება გამოხატა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ის მიმართ, რის შემდეგაც დამსწრეთაგან მილოცვები მიიღო. მილოცვისას ყველანი მეფეს ხელზე ემთხვივნენ[159]. ცერემონიალი დასრულდა დიდი ტრაპეზით, რომელზეც მეფემ, სამეფო სახლისა და დიდმოხელეთა გარდა მიიწვია პოლკოვნიკეიბ ვასილი ტამარა და სტეპან ბურნაშევი, აგრეთვე ყველა რუსი ოფიცერი[160].

1784 წლის 24 იანვარს რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი ვასილი ტამარასა და სტეპან ბურნაშევის მეთაურობით დისლოკაციის ადგილიდან სამეფო სასახლისაკენ დაიძრა. ვასილი ტამარა და სტეპან ბურნაშევი სამეფო დარბაზში მიიწვიეს, სადაც იმყოფებოდნენ მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, მინისტრები და სხვა დიდმოხელენი. ყველანი ერთად სიონის ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს ფიცი უნდა დაედო. სიონის ტაძარში მეფე საგანგებოდ მომზადებულ ტახტზე აბრძანდა და სამეფო მანტიით შეიმოსა. ტახტის ორივე მხარეს მდგომთ ხელთ ეპყრათ სამეფო რეგალიები, ტახტის წინ იდგნენ ბატონიშვილები და მათი შვილები. ტახტის წინ, ოდნავ მარჯვნივ, ძვირფასი ქსოვილით დაფარულ მაგიდაზე იდო გეორგიევსკის

---

[158] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 16.

[159] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 17.

[160] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 17.

ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი, რომელსაც ხელს აწერდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II. იმავე მაგიდაზე იდო გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა ლიტურღიისას პირველად მოიხსენია რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II. სიონის ზარის რეკას ხმას უწყობდა თბილისის ყველა ეკლესიაში ატეხილი საზეიმო რეკა. ლიტურღიის დასრულების შემდეგ ერეკლე II-მ ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტაძრის სარატიფიკაციო სიგელს, რის შემდეგაც დაიწყო ფიცის დადების ცერემონიალი. ტახტის წინ დაბრძანებული იყო ჯვარი და სახარება. მეფის მარჯვნივ იდგა პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი, მარცხნივ — პოლკოვნიკი ვასილი ტამარა. ფიცის ტექსტის წარმოთქმის შემდეგ შედგა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა. პოლკოვნიკმა ვასილი ტამარამ ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა ეკატერინა II-ის მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი, ხოლო ვახტანგ ბატონიშვილმა პოლკოვნიკ ვასილი ტამარას გადასცა ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი[161].

გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციასთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორმა ეკატერინა II-მ ქართლ-კახეთის დედოფალი **დარეჯანი** წმინდა ეკატერინეს ორდენით დააჯილდოვა. სხვადასხვა სახის ჯილდო მიიღეს ბატონიშვილებმა: **გიორგიმ**, **იულონმა** და **ვახტანგმა**. მეფის მეოთხე ვაჟმა, 18 წლის **თეიმურაზმა**, რომელიც ბერად იყო აღკვეცილი **ანტონის** სახელით, რუსეთის იმპერატორისაგან რუსეთში მიწვევა და არქიეპისკოპოსის ხარისხში აყვანის პირობა მიიღო. ერეკლეს კიდევ ერთ ვაჟს, 17 წლის **მირიანს**, ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციამდე, 1784 წლის 17 აგვისტოს, პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ებოძა და დაინიშნა რუსეთის ჯარის ყაბარდოს ქვეითთა პოლკის მეთაურად. კათოლიკოს-პატრიარქ **ანტონ** I-ს ებოძა ბრილიანტის ჯვარი და 2.500 მანეთი. 1784 წლის 29 იანვარს **გარსევან ჭავჭავაძე**, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში, დაინიშნა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) რუსეთის საიმპერატორო კარზე[162]. საქართ-

---

[161] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 17-19.

[162] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-

ველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი **სტეპან ბურნაშევი**, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის საიმპერატორო კარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) მოვალეობის შესრულებას.[163]

* * *

გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისა და ამ მოვლენასთან დაკავშირებით თბილისში გამართული ზეიმის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ სურვილი გამოთქვა გამგზავრებულიყო სანკტ-პეტერბურგში და პირადად გადაეხადა მადლობა ეკატერინა II-თვის. რუსეთის იმპერატორმა საჭიროდ არ მიიჩნია ქართლ-კახეთის მეფის სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა და ერეკლე II-ს რუსეთში შვილების გაგზავნა ურჩია[164]. 1784 წლის 23 მაისს, ეკატერინა II-ის სურვილის თანახმად, **მირიან ბატონიშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი (ბერდიაკონი ანტონი)** გარსევან ჭავჭავაძის თანხლებით სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრნენ. დედაქალაქში ჩასვლამდე მათ კრემენჩუგში გრიგორი პოტიომკინი მოინახულეს და მხოლოდ 1784 წლის სექტემბერში ჩააღწიეს პეტრეს ქალაქს. საქართველოდან ჩასული ერეკლე II-ის შვილები და **გარსევან ჭავჭავაძე** რუსეთის იმპერატორმა მიიღო[165]. მიღება შედგა 1784 წლის 20 სექტემბერს. წირვის დასრულების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) გარსევან ჭავჭავაძე ზამთრის სასახლის სამეფო დარბაზში შეიყვანეს, სადაც ტახტზე დაბრძანებული იყო ეკატერინა II. გარსევან ჭავჭავაძემ ერეკლე II-ის სახელით მიმართა რუსეთის იმპერატორს. ეკატერინა II-ის სახელით გარსევან ჭავჭავაძეს მიმართა რუსეთის იმპერიის კანცლერმა. ცერემონიალის დასრულების შემდეგ გარსევან ჭავჭავაძე ხელზე ემთხვია ეკატერინა II-ს და სამგზის თაყვანისცემის შემდეგ ისე, რომ ზურგი არ შეუქცევია იმპერატორისათ-

---

Петербург, 1886, стр. 19-20.

[163] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 22.

[164] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 20.

[165] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 20.

ვის, უკუსვლით დატოვა სამეფო დარბაზი[166].

* * *

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით დაგვირგვინდა რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ესაა უმნიშვნელოვანესი მიჯნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში. **ტრაქტატის შედეგები დამლუპველი აღმოჩნდა.** გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან სულ მალე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა რუსეთის იმპერიის აღმოსავლურმა პოლიტიკამ, კერძოდ, ურთიერთობამ ოსმალეთსა და ირანთან. შეცვლილ ვითარებაში რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში აქტიურ მოქმედებაზე უარი თქვა და, ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფო დაუცველი დარჩა. ამასთანავე, **ტრაქტატმა მუსლიმური სამყაროს გაღიზიანება გამოიწვია, ხოლო რუსეთისაგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა**[167].

---

[166] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 20-21.

[167] **ივ.ჯავახიშვილი.** დამოიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. ქართული კლუბის გამოცემა. თბილისი,1919, გვ.32-49; **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომიXII . თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,1998,გვ.416-426. **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801). გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 50-59; **ვახტანგ გურული.** საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2010, გვ. 100-105; **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2011, გვ. 69-70; **ვახტანგ გურული.** გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.). გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2013. გვ. 56.

თავი IV. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1783-1787 წლებში

§1. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში

XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ოსმალეთის იმპერია, რომელსაც მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, ღრმა კრიზისს განიცდიდა. კრიზისმა გავლენა იქონია არმიისა და ფლოტის ბრძოლისუნარიანობაზე. ოსმალეთის ორასიათასიანი არმიის ბირთვს წარმოადგენდა მუდმივი ჯარი – იანიჩართა კორპუსი. ჯარის დაკომპლექტებისა და შენახვის წესი იმდენად მოძველდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დროს მობილიზაციის შედეგად ოსმალეთმა ჯარის მოსალოდნელი რაოდენობის მეოთხედი ნაწილიც კი ვერ შეკრიბა. რაც შეეხება ოსმალეთის ჯარის ბირთვს, იანიჩართა კორპუსს, იგი სულთნის კარზე არსებული დაჯგუფებების ინტერესების დამცველად იქცა. ოსმალეთის იმპერიის კრიზისმა და ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შესუსტებამ გააძლიერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ლტოლვა მახლობელ აღმოსავლეთში დამკვიდრებისაკენ. ინგლისს დაასწრო და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები მოიპოვა საფრანგეთმა. ცოტა მოგვიანებით ინგლისმა საფრანგეთის შევიწროება მოახერხა. რაც შეეხება ავსტრიის იმპერიას, მას მახლობელ აღმოსავლეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლის ნათლად გამოხატული პროგრამაც კი არ ჰქონია და ოსმალეთისადმი დამოკიდებულებასაც შექმნილი საერთაშარისო ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავდა.

რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ყალიბდება და იგი დაკავშირებულია იმპერატორ ეკატერინა II-ის (1762-1796) სახელთან. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში რუსეთი ფართო გეგმებს არ ისახავდა მიზნად. რუსეთის საიმპერატორო კარი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნას და ვაჭრობისათვის შავი ზღვის გამოყენებას ცდილობდა. გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში იმპერატორი ეკატერინა II ოსმალეთთან ისეთივე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ვარაუდობდა, როგორიც ერთ დროს ამ ძლიერ იმპერიასთან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ჰქონდათ. რუსეთს, ცხადია, სურდა ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომ

ყირიმის სახანოს დაპყრობა, მაგრამ ამჯერად ოსმალეთიდან ყირიმის სახანოს ჩამოშორებით და მისი დამოუკიდებლობის აღიარებითაც დაკმაყოფილდებოდა. რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა და 1774 წლის 21 ივლისს **ქუჩუკ-კაინარჯში** (ბულგარეთი) დაიდო რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.[168] ზავის დადების დროისათვის ყირიმში, მოლდოვაში, ვლახეთში, ბულგარეთში, ბესარაბიაში, ასევე არქიპელაგზე რუსეთის ჯარები იდგა. ეს ტერიტორიები, ზავის პირობებით, რუსეთის ჯარმა დატოვა. რუსეთმა მიიღო სტრატეგიული სიმაგრეები ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპიროებთან: **ქერჩი, ენიკალე, კინბურნი**, ასევე, ტერიტორია ჩრდილო კავკასიაში – **დიდი** და **მცირე ყაბარდო**. ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორია, ოსმალეთის მიერ ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად, უზრუნველყოფდა რუსეთის საზღვრების უსაფრთხოებას, აძლიერებდა მის პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის. დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა ისიც, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთის სავაჭრო ფლოტმა შავ ზღვაზე გადაადგილების უფლება მიიღო. ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა რუსეთის სავაჭრო ფლოტი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გაეტარებინა. **შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებამ რუსეთი მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტის პროცესის თანამონაწილედ აქცია, თუმცა შავ ზღვაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის არარსებობა მნიშვნელოვნად ასუსტებდა იმპერიის პოზიციებს.** მართალია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის მიხედვით, საბერძნეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, ვლახეთი, სერბეთი ოსლამეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ ომის შემდეგ რუსეთს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისი გავლენის გასაძლიერებლად ხელსაყრელი პირობები შეექმნა.[169] 1779 წლის 21 მარტს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო აინალი-კავაკის კონვენცია.[170] კონვენციაში განმეორდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ძირითადი პირობები. ოსმალეთმა კვლავ დაადასტურა ყირიმის სახანოს

---

[168] **Е.И. Дружинина**. Кючук- Кайнарджийский мир 1774 года. Издательство А Н СССР, Москва, 1955, стр. 349- 360.

[169] **Е.И. Дружинина**. Кючук- Кайнарджийский мир 1774 года. Издательство А Н СССР, Москва, 1955, стр. 349- 360; **В. А. Георгиев, Н. С. Киняпина, М. Т. Панченкова, В. И. Шеремет**. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в . Издательство „Наука“, Москва, 1978, стр. 31-39.

[170] **Е.И. Дружинина.** Кючук- Кайнарджийский мир 1774 года. Издательство А Н СССР, Москва, 1955, стр. 361-369.

დამოუკიდებლობა, თუმცა რუსეთს გარკვეულ დათმობაზე მაინც მოუხდა წასვლა: ტახტზე ასვლის შემდეგ ყირიმის ხანს ხელდასხმა სტამბოლში უნდა მიეღო; მდინარეებს დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის მოქცეული ყირიმის სახანოს კუთვნილი ტერიტორია ოსმალეთს გადაეცა.[171]

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ერთი მხრივ, რუსეთ-პრუსიის და მეორე მხრივ, ავსტრია-საფრანგეთის კავშირმა გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა. ინგლისის თანამონაწილეობით დაიწყო რუსეთისა და ავსტრიის დაახლოება. ეს პროცესი განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთი მახლობელ აღმოსავლეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდა. ამ პოლიტიკური კურსის სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო ეკატერინა II-ის ფავორიტი გრიგორი პოტიომკინი. სწორედ გრიგორი პოტიომკინის პრაქტიკული ხელმძღვანელობით დაიწყო შავ ზღვაზე რუსეთის გაბატონებისა და მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრის ახალი ეტაპი.[172]

რუსეთის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის დაშლა, დაშლის შემდეგ – ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხებისაგან რუსული ორიენტაციის სახელმწიფოების შექმნა. ამ პოლიტიკის **პირველი ეტაპი** ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთ-ავსტრიის კავშირის შექმნა იყო. 1781 წელს რუსეთსა და ავსტრიას შორის დაიდო შეთანხმება. ავსტრიამ ცნო ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ოსმალური ტერიტორიების გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. მან ვალდებულება აიღო, ოსმალეთთან ომში დახმარებოდა რუსეთს იმ პირობით, თუ ოსმალეთი თავს დაესხმოდა ამ უკანასკნელს. აღმოსავლური პოლიტიკის ახალ, **მეორე ეტაპად** იქცა იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ შემუშავებული ე.წ. **საბერძნეთის პროექტი (ბერძნული პროექტი)**. ეს პროექტი მიზნად ისახავდა ოსმალეთის დანაწილებას და სტამბოლის ხელში ჩაგდებას. ამ შემთხვევაში ეკატერინა II პიოტრ I-ის (1696-1725) პოლიტიკური ანდერძის ხორცშესხმას ცდილობდა.[173]

---

[171] **Е.И. Дружинина.** Кючук- Кайнарджийский мир 1774 года. Издательство А Н СССР, Москва, 1955, стр. 349- 360; **В. А. Георгиев, Н. С. Киняпина, М. Т. Панченкова, В. И. Шеремет.** Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в . Издательство „Наука“, Москва, 1978, стр.40-41.

[172] **О. П. Маркова.** О происхождении так называемого греческого проекта. - журнал „История СССР“, 1958, N4, стр. 56;

[173] **В. А. Георгиев, Н. С. Киняпина, М. Т. Панченкова, В. И. Шеремет.** Восточный

ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დროს გრიგორი პოტიომკინმა წამოაყენა ევროპიდან (ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან) ოსმალეთის განდევნისა და ბალკანეთზე ბერძნული იმპერიის შექმნის იდეა, რომლის მონარქი რომანოვების სამეფო სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.[174] რუსეთის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება 1768-1774 წლების ომში ოსმალეთის მარცხმაც განაპირობა. ომის შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარმა დახვეწა აღმოსავლური პოლიტიკა და უფრო მიზანსწრაფული ხასიათი მისცა მას. ოსმალეთზე გამარჯვებამ იმპერატორი ეკატერინა II დაარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს, ოსმალეთს დაშლიდა ქრისტიანულ სახელმწიფოებად. იმპერატორის პოზიციამ ხელ-ფეხი გაუხსნა გრიგორი პოტიომკინს. ყოველივე ზემოთქმული იმას ნიშნავდა, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან რუსეთის აღმოსავლურმა პოლიტიკამ ახალი შინაარსი შეიძინა, რაც **ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაკავებაში** გამოიხატებოდა. ეს იყო საბერძნეთის პროექტის უმთავრესი მიზანი. არსებობდა ამავე პროექტის შედარებით უფრო ზომიერი ვარიანტი: **ოსმალეთის ომში დამარცხების გზით მისი გადაქცევა რუსეთის გავლენის სფეროდ ოსმალეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებად დაშლის გარეშე**. გრიგორი პოტიომკინის იდეა ოსმალეთის დაშლის შესახებ 1782 წელს განავითარა ალექსანდრ ბეზბოროდკომ. მან წამოაყენა იდეა ოსმალეთის ტერიტორიის რუსეთსა და ავსტრიას შორის გადანაწილების შესახებ. გადანაწილებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც. [175] ალექსანდრ ბეზბოროდკოს მოხსენების საფუძველზე ეკატერინა II-მ მოლაპარაკება დაიწყო ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-თან. შემუშავდა ოსმალეთის ტერიტორიის გადანაწილების ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტის მიხედვით, **ავსტრიას უნდა მიეღო სერბეთი, ბოსნია და დალმაცია, რუსეთს – ოჩაკოვის სიმაგრე, ტერიტორია მდინარეებს დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის, ყირიმის ნახევარკუნძული და რამდენიმე კუნძული არქიპელაგზე. მოლდოვას, ვლახეთისა და**

вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в . Издательство „Наука“, Москва, 1978, стр.42.

[174] **С. Жигарев.** Русская политика в Восточном вопросе. Том I. С.-Петербург, 1896, стр. 208.

[175] **С. Жигарев.** Русская политика в Восточном вопросе. Том I. С.-Петербург, 1896, стр. 208-210.

ბესარაბიის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო დაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ნეიტრალიტეტის დაცვის საფასურად საფრანგეთი მიიღებდა ეგვიპტეს. მეორე ვარიანტის მიხედვით, **ოსმალეთის იმპერია მთლიანად უნდა დაშლილიყო და ბალკანეთზე უნდა შექმნილიყო საბერძნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო,** რომლის მეფე იქნებოდა ეკატერინა II-ის შვილიშვილი კონსტანტინე. საბერძნეთის პროექტის ორივე ვარიანტი საბოლოოდ ქაღალდზე დარჩა.[176]

რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის რადიკალური მიმართულების მომხრენი გრიგორი პოტიომკინი და ალექსანდრ ბეზბოროდკო ოსმალეთის დაშლას ხელის ერთი დაკვრით, ერთი ომით აპირებდნენ. ზომიერი მიმდინარეობის მომხრენი გათვლას ხანგრძლივ პერიოდზე აკეთებდნენ. საბოლოოდ იმპერატორმა ეკატერინა II-მ ზომიერ მიმდინარეობას დაუჭირა მხარი და 1783 წელს ავსტრიის იმპერატორთან ოსმალეთის გადანაწილების თაობაზე მოლაპარაკება შეწყვიტა. 1783 წელს ევროპის სახელმწიფოებთან კონფლიქტის გარეშე რუსეთის იმპერიამ ყირიმის სახანო შეიერთა. მოკავშირეებისაგან მიტოვებული ოსმალეთი იძულებული გახდა 1783 წლის დეკემბერში რუსეთთან კონვენცია დაედო, რომლის ძალითაც ოსმალეთმა ცნო ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლა.

***

რუსეთის საიმპერატორო კარზე ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, 1781-1782 წლებში, შემუშავდა გეგმა იმის შესახებ, რომ იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში აქტიურად გამოეყენებინათ ქართლ-კახეთის სამეფო. **აღმოსავლურ პოლიტიკაში ქართლ-კახეთის სამეფოს გამოყენება იყო ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინა II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღება გადაწყვიტა.** ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელობას ზრდიდა ისიც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის (1783 წ.) ჩრდილო კავკასიაში რუსეთის პოზიციები სუსტი იყო – რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას, მუსლიმ ხალხებს, ომი ჰქონდათ რუსეთთან. ამას

---

[176] **В. А. Георгиев, Н. С. Киняпина, М. Т. Панченкова, В. И. Шеремет.** Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в . Издательство „Наука“, Москва, 1978, стр.42-43.

ემატებოდა ისიც, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ოსმალეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ანაპასა და სხვა სიმაგრეებს. ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ასეთი ფუნქციის მინიჭება, ცხადია, მუსლიმურ სამყაროსთან დაპირისპირებას გამოიწვევდა. **ირანი, ოსმალეთი და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად მიიჩნევდნენ და ყოველნაირად ეცდებოდნენ წინ აღდგომოდნენ რუსეთის შემოჭრას სამხრეთ კავკასიაში.** ამ საშიშროებას, ცხადია, ერეკლე II-ც კარგად გრძნობდა, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურებით და მფარველობაში მიღებული ქვეყნისათვის ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის პირობებში შეიძლებოდა..

გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციასთან დაკავშირებით გამართული ზეიმის შემდეგ თბილისიდან სანკტ-პეტერბურგში მიმავალ ვასილი ტამარას 1784 წლის მაისში ერეკლე II-მ წერილი გადასცა. მასში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მოკავშირის ფუნქციის შესრულებას ორი პირობით შეძლებდა: 1. რუსეთი ერეკლე მეფეს უნდა დახმარებოდა ლეკთა შემოსევების აღკვეთაში; 2. რუსეთის დახმარებით ქართლ-კახეთის მეფის ძალაუფლება უნდა გავრცელებულიყო განჯის, ერევნისა და ნახჭევნის სახანოებზე.[177] რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს აიმედებდა, რომ სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას არ მოაკლებდა. 1784 წლის იანვარში კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს სწერდა: „მის უმაღლესობა მეფეს ჩემი სახელით გამოუცხადეთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობა მეფეს ხელს არ შეუშლის თავისი ძალაუფლების გავრცელებაში, პირიქით, მფარველობა გააძლიერებს მეფეს."[178] რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო, რომ ერეკლე II-ს კავშირი ჰქონდა არა მარტო ირანთან, არამედ

---

[177] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.174.

[178] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.174). **В. А. Георгиев, Н. С. Киняпина, М. Т. Панченкова, В. И. Шеремет.** Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX в . Издательство « Наука", Москва, 1978, стр.41-42.

ერაყთან, სირიასა და ეგვიპტესთან. რუსეთი ამ კავშირების გამოყენების შანსს, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა.[179] ოსმალეთთან ომისათვის მზადების პირობებში გენერალ-ანშეფმა გრიგორი პოტიომკინმა გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა ოსმალეთთან დაპირისპირებულ ეგვიპტელ მამელუკ ბეგებთან. ამგვარი კავშირის დამყარება გრიგორი პოტიომკინს შესაძლებლად მეფე ერეკლეს მეშვეობით მიაჩნდა.

1785 წელს ერეკლე მეფის აზნაური **მანუჩარ კაჭკაჭიშვილი** საგანგებო მისიით ქაიროში გაემგზავრა.[180] მანუჩარ კაჭკაჭიშვილმა ეგვიპტიდან ერეკლე მეფეს მოხსენებები გამოუგზავნა, საიდანაც ირკვევა, რომ ეგვიპტის მამელუქი ბეგები, კერძოდ, ეგვიპტის ფაქტობრივი მმართველი **იბრაჰიმ ბეი** (ქართველი აბრამ შინჯიკაშვილი) და **მურად ბეი** უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ოსმალეთის სულთნის მიმართ და მზად იყვნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად.[181] მანუჩარ კაჭკაჭიშვილის მიერ გამოგზავნილი მოხსენებები ერეკლე მეფემ გრიგორი პოტიომკინს გადაუგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა 1786 წელს ეკატერინა II-ს გააცნო. მანუჩარ კაჭკაჭიშვილის მოხსენებებში არსებულ ინფორმაციას რუსეთი 1787 წელს ოსმალეთთან დაწყებულ ომში იყენებდა.[182]

ერეკლე II ცდილობდა რუსეთის ავტორიტეტის მოშველიებით ურთიერთობა დაელაგებინა ირანულ სახანოებთან. ნახჭევნის სახანოზე ქართლ-კახეთის მეფის ძალაუფლების გავრცელებას წინ აღუდგა ხოის ხანი **აჰმედი**. მეფე ერეკლემ აჰმედ ხანს ურჩია თავი შეეკავებინა ნახჭევნის სახანოს საქმეებში ჩარევისაგან, თუ არ უნდოდა ის უპირატესობაც დაეკარგა, რომელსაც იგი სხვა ხანებთან შედარებით ფლობდა. [183]

რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად, ერეკლე II ცდილობდა რუსეთის გავლენის გავრცელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ კა-

---

[179] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.174-175.

[180] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[181] დაწვრილებით იხილე: **Валериан Мачарадзе**. Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века . Издательство ТГУ, Тбилиси, 1967.

[182] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[183] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

ვკასიის ირანულ სახანოებზე. ერეკლე მეფის უშუალო მონაწილეობით შედგა ყარაბაღის (შუშის) ხან **იბრაჰიმისა** და ხოის ხან **აჰმედის** თხოვნები რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-დმი მფარველობაში მიღების შესახებ.[184] 1784 წლის იანვარში ერეკლე მეფემ პაველ პოტიომკინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ეკითხებოდა: სასურველი იქნებოდა თუ არა თავრიზის ხანის დარწმუნება იმაში, რომ შესულიყო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში.[185] ნახჭევნის ხანი **აჰმედი** მეფე ერეკლეს დაჰპირდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდოდა.[186]

1782-1783 წლებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ ორი ძლიერი ხანი იბრძოდა – დერბენტის ხანი **ფათალი** და ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი**. მართალია, იბრაჰიმ ხანი ერეკლე II-ის მოკავშირე იყო, მაგრამ ქართლ-კახეთის მეფე და ყარაბაღის ხანი ერთმანეთს ებრძოდნენ განჯის სახანოზე გავლენის მოპოვებისათვის. ბოლოს ისინი შეთანხმდნენ და განჯიდან შემოსულ ხარკს შუაზე იყოფდნენ. [187] რაც შეეხება რუსეთის მოძულე ფათალი ხანს, იგი ერეკლე II-თან მორიგებას არ აპირებდა. ხანი რუსეთის საიმპერატორო კარის თვალში ერეკლე მეფის ავტორიტეტის შელახვას ცდილობდა. 1782 წლის დეკემბერში ფათალი ხანი ეკატერინა II-ს ატყობინებდა, რომ ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ ხანის პოლიტიკით უკმაყოფილობას გამოთქვამდნენ აზერბაიჯანელი ხანები და რუსეთისაგან აზერბაიჯანული სახანოების დაცვას ითხოვდა.[188] თანდათან აშკარა ხდებოდა, რომ ფათალი ხანი ერეკლე II-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ლიდერობას ეცილებოდა. დერბენდის ხანი რუსეთთან დაახლოებისათვის კარგად იყენებდა იმას, რომ ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის გავლენის გავრცელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში და ამავე დროს ებრძოდა **აღა მაჰმად ხან ყაჯარს**. თავისი ანტიოსმალური

---

[184] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[185] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[186] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[187] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.175.

[188] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.176.

განწყობილების დასამტკიცებლად ფათალი ხანმა ოსმალეთთან ვაჭრობა აკრძალა. 1783 წლის იანვარში ფათალი ხანმა პაველ პოტიომკინს წერილი გაუგზავნა და კავკასიის ხაზის მთავარსარდლად დანიშვნა მიულოცა. ფათალი ხანის წარმომადგენელმა გენერალს წერილი გადასცა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მეფე ერეკლე II-ის პოლიტიკა აზერბაიჯანში ხელს უშლიდა ირანის აზერბაიჯანული სახანოების რუსეთთან დაახლოებას.[189] 1783 წლის გაზაფხულმა ისე ჩაიარა, ფათალი ხანი ყარაბაღის სახანოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ლაშქრობისათვის მზადება ჯერ კიდევ 1782 წლის შემოდგომაზე დაიწყო და 1782-1783 წლის ზამთარშიც გაგრძელდა. იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ ფათალი ხანმა თალიშისა და ნუხის ხანები, ასევე დაღესტნელები მიიმხრო. ფათალი ხანს მხარს უჭერდნენ ხოის, თავრიზისა და ურმიის ხანები. ძლიერი კოალიცია დიდ საფრთხეს უქმნიდა ყარაბაღის ხან იბრაჰიმს. პაველ პოტიომკინმა თავისი წარმომადგენელი სეკუნდ-მაიორი **ჰაუზენი** ფათალი ხანთან გაგზავნა და ყარაბაღის სახანოზე ლაშქრობისაგან თავის შეკავება ურჩია.[190] 1783 წლის 18 თებერვალს ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა პაველ პოტიომკინს და ფათალი ხანის ყარაბაღის სახანოზე ლაშქრობის შეჩერება სთხოვა. მეფე გენერალს სწერდა, რომ თუ ფათალი ხანი მაინც ილაშქრებდა ყარაბაღის სახანოზე, მაშინ თვითონ ყარაბაღის ხანს დაეხმარებოდა.[191] ერეკლე მეფე პაველ პოტიომკინს უხსნიდა, რომ ფათალი ხანის ყარაბაღის სახანოზე ლაშქრობის შეჩერება ნიშნავდა, რომ გადარჩებოდნენ ყარაბაღელი სომხები და ამავე დროს დაცული იქნებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს უსაფრთხოება.[192] ერეკლე II-ის წერილის მიღების შემდეგ პაველ პოტიომკინმა ფათალი ხანთან მეორედ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. გენერალი დარწმუნებული არ იყო, რომ ხანი მის თხოვნას გაითვალისწინებდა. ამიტომ იყო, რომ 1783 წლის 21 თებერვალს პაველ პოტიომკინმა შექმნილი ვითარების შესახებ გრიგორი პოტიომკინს მოახსენა და თან რჩევაც ჰკითხა: როგორ მოქცეულიყო,

---

[189] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.177.

[190] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.177-178.

[191] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.177-178.

[192] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.178.

თუ ფათალი ხანი ლაშქრობას მაინც დაიწყებდა. პაველ პოტიომკინის წარმომადგენლის მეორედ მისვლამ ფათალი ხანი აიძულა ლაშქრობაზე ხელი აეღო.[193]

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლამ წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენა დერბენტის ხანი ფათალი. ეს უკანასკნელი გრძნობდა, რომ ერეკლე II სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში პირველობას მას არ დაუთმობდა. გამოსავალს რუსეთის მოძულე ხანი მოჩვენებითი პრორუსული ორიენტაციის უფრო მკვეთრად გამოხატვაში ხედავდა. 1783 წლის ბოლოს ფათალი ხანის წარმომადგენელმა **ნაზირ ბეიმა** პაველ პოტიომკინს წერილი მიართვა და სიტყვიერადაც განუცხადა, რომ დერბენტის ხანს რუსეთის იმპერატორის მფარველობაში სურდა შესვლა. იმავდროულად ფათალი ხანი სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრა და არდებილი დაიკავა. 1784 წლის ზაფხულში გრიგორი პოტიომკინმა ხანი იაძულა შეეწყვიტა ირანში ლაშქრობა.[194]

ფათალი ხანი პაველ პოტიომკინს არწმუნებდა, რომ ერეკლე II-ის აგრესიული პოლიტიკა ირანის აზერბაიჯანულ სახანოებში რუსეთის ინტერესებს ვნებდა, მაგრამ ერეკლე მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში გართულმა ხანმა ვერ გაითვალისწინა, რომ აზერბაიჯანში შეჭრით ხანების ნაწილი აიმხედრა. ავარიის ხანი **უმმა** პაველ პოტიომკინს სთხოვდა, მისთვის ხელი არ შეეშალა ფათალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. უმმა ხანი პაველ პოტიომკინსაგან იმასაც მოელოდა, რომ ტარკის შამხალი გაეფრთხილებინა, რათა ფათალი ხანისათვის დახმარება არ აღმოეჩინა. კაიტაღის უცმია პაველ პოტიომკინს ჯარს სთხოვდა ფათალი ხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.[195]

რუსეთის საიმპერატორო კარზე დარწმუნდნენ, რომ ფათალი ხანი მოკავშირედ არ გამოადგებოდათ. ამან თავისთავად გაზარდა ერეკლე II-ის ავტორიტეტი და ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელობა რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში. 1784 წლის ივლისში გრიგორი პოტიომკინი ფათალი ხანს სწერდა: "განჯა მეფე ერეკლესა და შუშის ხან იბრაჰიმს

---

[193] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.178.

[194] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.179-180.

[195] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.180.

ეკუთვნის, მეფე ერეკლე რუსეთის მფარველობაშია და მას რუსეთის ჯარი დაეხმარება."[196] განჯის სახანოში, ისევე, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოში შემავალ მუსლიმებით დასახლებულ პროვინციებში, მღელვარება გაძლიერდა. ამით სასწრაფოდ ისარგებლეს ლეკებმა და სამეფოს ტერიტორიაზე იწყეს შემოსვლა. 1784 წლის 6 ივლისს პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინს სწერდა: „საქართველოს გზები სავსეა ოსმალეთის მხრიდან შემოსული ლეკებით.[197] ვითარების განმუხტვას გრიგორი პოტიომკინი ფათალი ხანის დაშინებით ცდილობდა. 1785 წლის თებერვალში იგი პაველ პოტიომკინს აცნობებდა, რომ მან წერილი გაუგზავნა ფათალი ხანს და იმედს გამოთქვამდა, რომ წერილი" თვალებს აუხელდა და ჭკუაზე მოიყვანდა „დერბენტის ხანს."[198] გრიგორი პოტიომკინი ცდილობდა განჯისა და ერევნის სახანოებში ერეკლე II-ის პოზიციების განმტკიცებას. ეს აუცილებელი იყო ირანში რუსეთის შეჭრის მომზადებისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც ერეკლე II, ისე სტეპან ბურნაშევი ითვალისწინებდნენ ოსმალეთის მოსალოდნელ გაღიზიანებას და განჯის სახანოში ქართულ ჯართან ერთად რუსეთის ჯარის შეყვანისაგან თავს იკავებდნენ.[199] განჯის ხანი შეშინდა, ქალაქი ქართული ჯარის ალყაში იყო. ვრცელდებოდა ხმები, რომ ქართველთა დასახმარებლად თბილისიდან რუსეთის ჯარი დაიძრა. 1785 წლის ივლის-აგვისტოში მიმდინარე მოლაპარაკების შემდეგ განჯის ხანი დანებდა და ერეკლე II-ს მძევლები მისცა. შექმნელ ვითარებაში ერევნის ხანმაც ხელახლა დაიფიცა ერეკლე მეფის ერთგულებაზე[200].

ყარაბაღის სახანოში ბევრი სომეხი ცხოვრობდა. სომეხი მელიქები ერეკლე II-ის მეშვეობით ცდილობდნენ რუსეთისაგან დახმარების მიღებას. რუსეთის საიმპერატორო კარმა სავსებით გარკვევით გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სომხური სახელმწიფოს შექმნასთან

---

[196] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.180.

[197] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.180

[198] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.181.

[199] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.181.

[200] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.181-182.

დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორი და მეფე ერეკლე ყარაბაღელ სომხებს ბუნებრივ მოკავშირედ განიხილავდნენ, რაც აღიზიანებდა ყარაბაღის ხან იბრაჰიმს. იბრაჰიმ ხანი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა, მაგრამ ერთი პირობით: რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ყარაბაღის სახანოს საშინაო საქმეებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ იბრაჰიმ ხანი თავად განსაზღვრავდა, თუ როგორ მოპყრობოდა სომხებს. ხანის პირობა მიუღებელი იყო რუსეთისათვის, რადგან ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს გარკვეული როლი ეკისრებოდათ რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ცხადია, იბრაჰიმ ხანის პირობა მიუღებელი იყო ერეკლე II-თვისაც.[201]

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოების მიმართ რუსეთმა ამგვარი პოლიტიკა შეიმუშავა: ხანები, როგორც რუსეთის მფარველობის მთხოვნელნი, ისე რუსეთის მოწინააღმდეგენი, მუდმივ გაურკვევლობაში უნდა ყოფილიყვნენ, სანამ საბოლოოდ არ გამოიკვეთებოდა მათი პოლიტიკური ორიენტაცია. ამ პოლიტიკამ ცვლილება განიცადა რუსეთ-ოსმალეთის ომის მოახლოებასთან დაკავშირებით. ომის დაწყების დროისათვის რუსეთის საიმპერატორო კარს ზუსტად უნდა სცოდნოდა პრორუსულ და ანტირუსულ ძალთა ბალანსი სამხრეთ-აღმოსავლეთ კვკასიაში.

1787 წელს დაწყებულმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური ვითარება კავკასიაში, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში.

§2. მუსლიმური სამყაროს რეაქცია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის მიმართ

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) დადებიდან (1783 წლის 24 ივლისი), რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ-ანშეფმა გრიგორი პოტიომკინმა კავკასიის მუსლიმ მფლობელებს (ჩრდილო კავკასიელ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასის ირანელ ხანებს) აცნობა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. მუსლიმი

[201] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.183.

მმართველები ამ ცნობამ ძლიერ ააღელვა. კიდევ უფრო დიდი მღელვარება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მალე ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარი შემოვიდოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანელი და ჩრდილო კავკასიელი ხანები, ასევე ახალციხის ფაშა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას დიდ საფრთხედ აღიქვამდნენ. შიში რუსეთისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა რუსეთის ჯარების მიერ ყირიმის სახანოს დაპყრობა (1783 წ.) და ყუბანისპირეთის დაპყრობისათვის ბრძოლების დაწყება[202]. **რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსვლას მუსლიმი მმართველები მიიჩნევდნენ ირანისა და ოსმალეთის ტერიტორიის დაპყრობის დასაწყისად.** სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიის ხანები, რომლებიც წინათ რუსეთისადმი მტრული მოქმედებისაგან თავს არ იკავებდნენ, ამჯერად სამაგიეროს გადახდის მოლოდინში იყვნენ და გამალებით ემზადებოდნენ თავდაცვისათვის. ხანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ, თუმცა მოქმედების ერთიან გეგმაზე ვერ შეთანხმდენენ. ხანების ერთი ნაწილი მომხრე იყო, რუსეთის წინსვლა ბრძოლით შეჩერებინათ, ხოლო მეორე ნაწილი ემზადებოდა, თავიანთი სახანოები მიეტოვებინათ და მეზობელ სახანოებს შეხიზვნოდნენ.

ირანის გარდა, რუსეთის იმპერიის წინსვლა სამხრეთ კავკასიაში დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსმალეთს. **რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღებით რუსეთს არ დაურღვევია ოსმალეთთან დადებული არცერთი ზავი, არ შეჭრილა სამხრეთ კავკასიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოსმალეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა(იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები). ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალი იყო და ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატმა შელახა ირანის და არა ოსმალეთის უფლებები.** სტამბოლში კარგად აცნობიერებდნენ იმას, რომ ოსმალეთს ფორმალური საბაბი არ ჰქონდა რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება მოეთხოვა. რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ ირანს მოეთხოვა, მაგრამ 1783-1784 წლებისათვის ირანი შინაომებისაგან იმდენად დასუსტებული იყო, რომ რუსეთს პრეტენზიას ვერ წაუყენებდა, მით უფრო, ომს ვერ გამოუცხადებდა. შექმნილი ვითარება ოსმალეთის სულთანს აიძულებდა, რაღაც საშუალებებით ხელი შეეშალა

[202] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 22.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის დამკვიდრებისათვის. ოსმალეთის მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალი იყო, რის გამოც ოსმალეთი რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობაში ვერ ჩაერეოდა. ამასთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლა ოსმალეთს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ოსმალეთის სულთნისათვის კარგად იყო ცნობილი ის, რომ **ერეკლე II სამცხე-საათაბაგოს (ოსმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით, ახალციხის საფაშოს) ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილად მიიჩნევდა და არ იყო გამორიცხული, რომ რუსეთის ჯარი სწორედ ახალციხის საფაშოს ლიკვიდაციისთვის გამოეყენებინა.** სტამბოლში ისიც კარგად უწყოდნენ, რომ რუსეთ-ოსმალეთის მომავალი ომი ცხრა მთას იქით არ იყო. ყირიმის სახანოს გაუქმებამ (1783 წ.) უკიდურესად დაძაბა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. რუსეთთან მომავალ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის ყოფნა ოსმალეთს სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა. მიუხედავად ამისა, ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის არანაირი ფორმალური საბაბი არ ჰქონდა. რჩებოდა ერთადერთი გზა: **ახალციხის ფაშას მეშვეობით ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოები (ერევნის, განჯის, ყარაბაღის, ნახჭევნის, ხოის, შაქის, შირვანის, დერბენტისა და სხვ.) და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები (ტარკის შამხალი, ავარიის ხანი და სხვ.) აემხედრებინა.** ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ახალციხის ფაშა რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებებში აშკარად არ გარეულიყო.

ახალციხის ფაშა **სულეიმანს** (გამუსლიმებულ ქართველს ჯაყელების საგვარეულოდან) მოსვენება დაუკარგა ცნობამ რუსების მიერ კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის მშენებლობის შესახებ. გზის მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც ოსმალეთის პროპაგანდის შედეგად ჩრდილო კავკასიაში ყაბარდოელთა, ჩეჩენთა, და ინგუშთა მღელვარება დაიწყო. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ ყაბარდოს, ჩეჩნეთსა და ინგუშეთის გარდა, ოსმალეთის ემისრები აქტიურად მოქმედებდნენ დაღესტანში. აშკარა იყო, რომ ოსმალეთი ადვილად არ შეურიგდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის

მფარველობაში შესვლას.[203]

1783 წლის ზაფხულში ოსმალო ფაშა 10.000 მებრძოლით **ფოთში** შევიდა. 1783 წლის მიწურულს ოსმალეთის სულთანმა **ტრაპიზონში, არზრუმსა** და **ახალციხეში,** ხოლო მოგვიანებით **ყარსში** ახალი სარდლები დანიშნა. საქართველოს მოსაზღვრე ფაშებს სტამბოლიდან აცნობეს, რომ რუსეთის ჯარმა კავკასიონის მთები გადმოლახა და ოსმალეთისათვის საქართველოს წასართმევად ემზადებოდა.[204] ახალციხის, არზრუმის, ყარსისა და ბაიაზეთის ფაშებმა გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანულ სახანოებს. სტამბოლიდან სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებსა და დაღესტანში ახალციხის ფაშა სულეიმანის მეშვეობით ხშირად ჩადიოდნენ ოსმალეთის სულთნის ემისრები. სულთნის ფირმანი მუსლიმებს მოუწოდებდა გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ. ოსმალეთის სულთანმა სულეიმან ფაშას დაავალა დაკავშირებოდა ირანელ ხანებს, ავარიის ხანს და დიდი ფულისა და საჩუქრების მეშვეობით ისინი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაეთანხმებინა. მუსლიმი მფლობელების მოსყიდვის მიზნით ახალციხის ფაშამ სტამბოლიდან 50 ქისა ოქრო მიიღო.[205] სულეიმან ფაშა სასწრაფოდ დაუკავშირდა იმხანად ირანში შაჰის ტახტისათვის მებრძოლთა შორის ყველაზე ძლიერ **ალი მურად ხანს,** ასევე ამიერკავკასიის ირანელ ხანებს და დაღესტნის მფლობელებს. სულეიმანმა მათ რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა: „ცრემლმორეული გევედრებით, დაგვეხმარეთ ჩვენ, მოიმოქმედეთ რაიმე, რათა ურწმუნოები ჩვენი საზღვრებიდან განვდევნოთ"[206].

ოსმალეთის საბრძოლო სამზადისის შესახებ ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები. 1784 წლის 18 აპრილს ენზელიდან რუსი კონსული ასტრახანის გუბერნატორს სწერდა: არზრუმსა და ბაიაზეთში თავი მოიყარა დიდმა ჯარმა, ოსმალო სარდალი კავშირშია ირანელ და დაღესტნელ

---

[203] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.201.

[204] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.201-202.

[205] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 24.

[206] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 25.

ხანებთან, მოუწოდებს მათ დახმარება აღმოუჩინონ ოსმალეთის ჯარს და ყოველ მებრძოლს ჯილდოდ წელიწადში 200 მანეთს ჰპირდება.[207]

საქართველოს მოსაზღვრე საფაშოთა გამგებლები უკვე აშკარად გამოხატავდნენ აღშფოთებას ერეკლე II-ის პოლიტიკით. სტამბოლში გავრცელდა ხმები ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველთა და რუსთა ჯარის ერთობლივი ბრძოლისათვის მზადების შესახებ. ვითარების განმუხტვის მიზნით გრიგორი პოტიომკინმა გადაწყვიტა პირადად ჩასულიყო სტამბოლში და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები დაერწმუნებინა გავრცელებული ხმების სიცრუეში. რუსეთის ელჩმა სტამბოლში **იაკოვ ბულგაკოვმა** 1784 წლის 16 მარტს წერილი გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს და სტამბოლში ჩასვლისაგან თავის შეკავება ურჩია. ვიზიტი არ შედგა.[208]

1783 წლის ზაფხულში ახალციხე იქცა ლეკთა მოთარეშე რაზმების თავშეყრის ადგილად. ახალციხეში ლეკები იღებდნენ ფულს და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის ინსტრუქციას. ახალციხის ფაშას აქტიური მოქმედების შედეგად გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ გაძლიერდა ლეკთა თავდასხმები ქართლ-კახეთის სამეფოზე. სულეიმან ფაშა თავის აგრესიულ მიზნებს არ ამჟღავნებდა და ერეკლე II-ის მეგობრად ასაღებდა თავს. 1783 წელს რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო. ოსმალეთი იძულებული გახდა შერიგებოდა ყირიმის დაკარგვას, რაც დადასტურდა ყირიმის შესახებ რუსეთ-ოსმალეთის 1783 წლის კონვენციით. **კონვენციის დადების შემდეგ ოსმალეთის სულთანმა ახალციხის ფაშა სულეიმანს ქართლ-კახეთის მიმართ მტრული მოქმედებისაგან თავის შეკავება უბრძანა**. სულეიმან ფაშამ კი სულთანს ურჩია: ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებები უნდა გაგრძელდეს, რათა ერეკლე II არ გაძლიერდეს. სულთანმა სულეიმან ფაშას, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა.[209]

1784 წლისათვის სულეიმან ფაშას კონკრეტული გეგმა ასეთი იყო:

---

[207] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.202.

[208] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.202.

[209] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.203.

დაღესტნის მფლობელებს ახალციხეში უნდა გაეგზავნათ 3.000 მებრძოლი, რომელთა ჯამაგირითა და სურსათით უზრუნველყოფას ფაშა თავის თავზე იღებდა. დაღესტნის მფლობელთა დიდი ნაწილი, ცხადია, ძარცვა-გლეჯაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ ახალციხის ფაშას მიმართ რაიმე კონკრეტული ვალდებულების აღება ერჩიათ. ამიტომ იყო, რომ ლეკების დიდმა ნაწილმა სულეიმან ფაშას მხარი არ დაუჭირა. დაღესტნის მფლობელებმა ახალციხის ფაშას ასეთი პასუხი შეუთვალეს: „ჩვენ რუსებთან და ქართველებთან ერთად არასდროს ვიქნებით. მზად ვართ ვემსახუროთ სულთანს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი რეალურ დახმარებას აღმოგვიჩენს"[210]. სულეიმან ფაშამ იგრძნო, რომ დაღესტნელების რუსეთის წინააღმდეგ დარაზმვას ვერ შეძლებდა. ამიტომ იყო, რომ მან მთელი ყურადღება სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებზე გადაიტანა. 1784 წელს სულეიმან ფაშა ყარაბაღის ხან **იბრაჰიმს** სწერდა: „წყეულმა რუსებმა კავკასიის მთებში გზა გაიყვანეს, რაც საშუალებას აძლევს მათ გადმოიტანონ არა მხოლოდ საჭირო ბარგი, არამედ არტილერია და ჯარის გამოსაკვებად აუცილებელი სურსათი. რუსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში, ზაფხულის მიწურულს ისინი (ქართველები და რუსები – ვ. გ.) ირანზე თავდასხმისათვის შეიკრიბებიან და ისევე შთანგვთქავენ ჩვენ, როგორც ზაფხულის წვიმების შემდეგ მოსული ნიაღვარი თავის გზაზე შთანთქავს ყველაფერს"[211]. სულეიმან ფაშა იბრაჰიმ ხანს ურჩევდა კარგად დაფიქრებულიყო და ცეცხლი მანამდე ჩაექრო, სანამ ხანძრად გადაიქცეოდა. სულეიმან ფაშას იბრაჰიმ ხანი შემთხვევით არ შეურჩევია. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში დიდ საფრთხეს უქმნიდა ყარაბაღის ხანს. საქმე ის იყო, რომ ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე უამრავი ქრისტიანი სომეხი ცხოვრობდა, რომლებიც რუსეთს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნევდნენ[212].

ოსმალეთის აგენტურა აქტიურად მოქმედებდა ირანში. ქართლ-კახეთის სამეფოს უშუალო მეზობლები, ერევნისა და განჯის სახანოები, ერეკლე II-ის ხელისუფლების უზენაესობას აღიარებდნენ. გეორგიევსკის

---

[210] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 25.

[211] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 25.

[212] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 25-26.

ტრაქტატის დადებიდან მალე, 1783 წლის ბოლოს, გარდაიცვალა ერევნის ხანი **ჰუსეინ ალი.** თბილისში ერეკლე II-თან გამოცხადდნენ ერევნის სახანოს წარმომადგენლები, მათ შორის გარდაცვლილი ხანის ორი ვაჟი და მეფეს ხანის ტახტზე ჰუსეინ ალის უფროსი ვაჟის დამტკიცება სთხოვეს. ერეკლე მეფემ თხოვნა დააკმაყოფილა და ერევნის ხანი გახდა ჰუსეინ ალის უფროსი ვაჟი[213]. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე განჯის სახანოც ხანის გარეშე დარჩა. თვალებდათხრილი განჯის ხანი ციხეში ჰყავდა გამოკეტილი ყარაბაღის ხან იბრაჰიმს. განჯის ხანის ტახტი მიტაცებული ჰქონდა **მეჰმედ** ხანს, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის უზენაესობას არ ცნობდა. ერეკლე II-მ და იბრაჰიმ ხანმა განჯაზე ილაშქრეს, მეჰმედ ხანმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ დამარცხდა. ხანი შეიპყრეს, თვალები დასთხარეს და ციხეში გამოკეტეს. განჯა ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ ხანის ერთობლივ მმართველობას დაექვემდებარა. სახანოს ტერიტორია ორად გაიყო: ერთ ნაწილს ერეკლე II-ის მიერ დანიშნული მოხელე განაგებდა, ხოლო მეორე ნაწილს – იბრაჰიმ ხანისა[214].

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მერყეობა დაეტყო ერეკლე მეფის ძველ მოკავშირე ყარაბაღის ხან იბრაჰიმს[215]. ყარაბაღის ხანმა განჯის სახანოს გადაბირება დაიწყო. იბრაჰიმ ხანმა ერეკლე მეფის წინააღმდეგ განჯის მოსახლეობის აჯანყებაც კი სცადა. აჯანყება ჩაიშალა, თუმცა მოვლენები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის მაინც არასასურველად განვითარდა — უკმაყოფილო განჯელებმა როგორც ერეკლე II-ის, ისე იბრაჰიმ ხანის დანიშნული მმართველები გამოაძევეს[216].

მიუხედავად ქართული ჯარის სისუსტისა, ერეკლე II ცდილობდა სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებზე, პირველ რიგში, ერევნისა და განჯის სახანოებზე, გავლენის აღდგენას. 1784 წელს მეფემ ჯარი შეკრიბა და თავად **ანდრონიკაშვილისა** და შამშადილუელი **ალი სულთნის** სარდლობით განჯის დასამორჩილებლად გაგზავნა. განჯის ხა-

---

[213] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

[214] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

[215] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

[216] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40-41.

ნის ლაშქარი ქალაქის მისადგომებთან შეხვდა ქართულ ჯარს, მაგრამ პირველი შეტაკებისთანავე უკან დაიხია და განჯის ციტადელს შეაფარა თავი[217]. ერეკლე მეფე ვარაუდობდა, რომ თუ დერბენტის ხანი ფათა-**ლი** ყარაბაღის ხან **იბრაჰიმს** ვერ გადაიბირებდა და იბრაჰიმ ხანი ერ-ეკლე II-ს განჯის ხანის წინააღმდეგ ჯარით დაეხმარებოდა, ქართული ჯარი განჯის სახანოს დაიმორჩილებდა[218]. ამიტომ იყო, რომ ერეკლე მეფემ ელჩი გაუგზავნა ფათალი ხანს და ყარაბაღის სახანოს საქმეე-ბში ჩარევისაგან თავის შეკავება ურჩია. ერეკლეს ელჩი დერბენტის ხანს ყარაბაღის სახანოსაკენ ჯარით მიმავალს **სალიანში** შეხვდა. ხანი სალიანში სურსათის მარაგის ამოწურვის გამო შეჩერებულიყო. ფათალი ხანთან გამოცხადდნენ ერეკლე მეფისა და ახალციხის ფაშა სულეიმა-ნის ელჩები. ამ უკანასკნელმა ხანს 3.000 ჩერვონეცი, ძვირფასი ქურქი და ბრილიანტებით მორთული საათი გადასცა საჩუქრად. სულეიმან ფა-შას ელჩმა დერბენტის ხანს ოსმალეთის სულთნის სახელით დახმარება აღუთქვა. ელჩი ფათალი ხანს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. სულეიმან ფაშა ფათალი ხანს სწერდა: „ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთი იმიტომ წყალობს, რომ ხელში ჩაიგდოს ირანი. წი-ნასწარ გაფრთხილებთ, რომ მზად იყოთ 1784 წლის ზაფხულში ომის დაწყებისათვის... თქვენ თქვენი მხრიდან შემოუტევთ, მე ჩემის მხრი-დან დავესხმები თავს საქართველოს. გირჩევთ თავი მოუყაროთ მთელ თქვენს ჯარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ მალე ინანებთ..."[219].

დერბენტის ხანს, ცხადია, არ სჯეროდა სულეიმან ფაშას დანაპირ-ებისა, მაგრამ ცდილობდა შექმნილი ვითარებიდან სარგებელი მიეღო. ფათალი ხანმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა პაველ პოტიომკინ-თან და ახალციხის ფაშას საჩუქრებისა და წერილის თაობაზე აცნობა. ფათალი ხანმა პაველ პოტიომკინს ისიც აცნობა, რომ ახალციხის ფა-შას ელჩი მასთან შეხვედრის შემდეგ ყარაბაღის ხან იბრაჰიმთან მო-სალაპარაკებლად გაემართა. იბრაჰიმ ხანს ელჩი დიდი პატივით მიუღია, ქალაქში ელჩის შესვლისას საარტილერიო სალუტი მიუცია და ელჩის

---

[217] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 77.

[218] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 77.

[219] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 77.

მიღებისას ყველას თვალწინ ოსმალეთის სულთნის მიერ ბოძებული ხალათი მოუსხამს. რუს გენერალს ასევე აცნობებდა: მართალია, იბრაჰიმ ხანი რუსეთის მფარველობაში მყოფად აცხადებს თავს, მაგრამ ოსმალეთის სულთანთან ელჩებს აგზავნის და საიდუმლო მიმოწერაც აქვს სულთნის კართან, საჩუქრებსაც იღებს სულთნისაგან[220]. ფათალი ხანმა პაველ პოტიომკინისაგან შექების ნაცვლად ასეთი პასუხი მიიღო: ახალციხის ფაშას ელჩი უნდა დაგეპატიმრებინა, მოქცეულიყავი ისე, როგორც მოიქცეოდა რუსეთის ერთგული ყველა ადამიანი[221]. ფათალი ხანი მიხვდა, რომ იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ ჩაფიქრებულმა ინტრიგამ მიზანს ვერ მიაღწია. მისი ლაშქარი იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა, ლაშქარს სურსათის მარაგი არ გააჩნდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ხანმა ქართლ-კახეთის მეფესთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე აიღო გეზი. ხანმა დიდი პატივით მიიღო ერეკლე მეფის ელჩი. ფათალი ხანი ერეკლე II-ს სთავაზობდა ყარაბაღის სახანოს ორად გაყოფას იმ პირობით, თუ სახანოს გაყოფაში რუსები არ ჩაერეოდნენ[222]. დერბენტის ხანი ერეკლე II-ის ელჩს სთხოვდა მეფისათვის ეცნობებინა შემდეგი: 1) დერბენტის ხანი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა, თუ მეფე ერეკლე 500 მებრძოლს დაახმარდა; 2) ყარაბაღის სახანოს დაპყრობისა და ქალაქ შუშის აღების შემდეგ, ყაზახსა და შამშადილუდან ყარაბაღში გახიზნული თათრები კვლავ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დაბრუნდებოდნენ; 3) ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები მეფე ერეკლეს განკარგულებაში გადავიდოდნენ, ხოლო მუსლიმი მოსახლეობა დერბენტის ხანს დარჩებოდა; 4) თუ მეფე ერეკლე თანახმა იქნებოდა, ყარაბაღის ხანი იბრაჰიმ ხანის ძმა გახდებოდა, რომელიც როგორც ქართლ-კახეთის მეფის, ისე დერბენტის ხანის მორჩილებაში იქნებოდა; 5) თუ დერბენტის ხანის პირობებს ერეკლე მეფე მიიღებდა, ხანი პირობას დებდა, რომ განჯის სახანოს საქმეებში აღარ ჩაერეოდა[223]. ერეკლე II-

---

[220] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 77-78.

[221] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 78.

[222] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 78-79.

[223] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 79.

ის ელჩმა დერბენტის ხანს ასეთი პასუხი გასცა: ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის მფარველობაშია და ამდენად, იმპერატორთან შეთანხმების გარეშე თქვენს პირობებზე პასუხს ვერ გაგცემთო. ცხადია, ფათალი ხანი, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფისა და ყარაბაღის ხანის კავშირისა ეშინოდა, ასეთმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და გარკვეული კითხვა-პასუხის შემდეგ მეფე ერეკლეს წარმომადგენელს განუცხადა: „მე არ ვაპირებ რაიმე საქმე დავიჭირო რუსებთან და ისინი ჩემი მოღვაწეობის თანამონაწილეებად ვაქციო. თუ ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ჯარი თავის დასაცავად ჰყავს, დაე, იგი ეთათბიროს რუსებს, მე კი მთელი ძალით ვეცდები დავიპყრო ყარაბაღი"[224].

ქართლ-კახეთის მეფესთან ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ კავშირის შეკვრის წარუმატებელი ცდის შემდეგ ფათალი ხანი ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. იბრაჰიმ ხანი ქალაქ შუშიდან გამოვიდა და ოთხი ვერსის მოშორებით ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში შევიდა, საიდანაც დახმარების თხოვნით მაცნე გაგზავნა ერეკლე II-სთან. მეფეს ჯარის გაგზავნის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ განჯასთან მდგარ თავად ანდრონიკაშვილს და ალი სულთანს სთხოვა იბრაჰიმ ხანის დასახმარებლად დაძრულიყვნენ. ქართველთა და შამშადილუელთა ლაშქარმა განჯის ციხეს ალყა მოხსნა და იბრაჰიმ ხანის დასახმარებლად დაიძრა. განჯაში ზეიმი დაიწყო. მალე განჯელებმა ერეკლე მეფის წინააღმდეგ შამშადილუელი და შამქორელი თათრების ამხედრება დაიწყეს, რამაც მეფეს ახალი თავსატეხი გაუჩინა.

ოსმალეთი ცდილობდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთი გავლენიანი მმართველის, ისპაჰანის ხან **ალი მურადის** გადაბირებას. სულთანი დათმობაზე წავიდა და ბაღდადში ოსმალების მიერ დანგრეული სპარსული მეჩეთის აღდგენისათვის დიდი ფული გაიღო. მიუხედავად ამისა, ალი მურად ხანმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაგან თავი შეიკავა. [225] პაველ პოტიომკინს უამრავი ცნობა ჰქონდა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთი ყველგან ცდილობდა წყლის ამღვრევას. 1784 წლის აპრილში ახალციხეში დაბრუნდნენ 1783 წლის შემოდგომაზე **ჰალილ ეფენდის** წინამძღოლობით კავკასიაში გამოგზა-

---

[224] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 79.

[225] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.203.

ვნილი ემისრები. ემისრების მიზანს შეადგენდა ჩრდილო კავკასიის დაღ-ესტნელი მფლობელებისა და ირანის სახანოების რუსეთისა და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამხედრება. ახალციხის ფაშა სულეიმანი მუსლიმებს რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა. თავის წერილებთან ერ-თად სულეიმან ფაშა მუსლიმ მფლობელებს უგზავნიდა რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის გაგზავნილი იმ ნოტის ასლს, რომელიც ადასტურებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლას.[226]

ჰალილ ეფენდიმ შემოიარა დაღესტანი, შირვანი და ყარაბაღი, ხოლო შემდეგ ერევანში ჩავიდა. ერეკლე II-ის მიერ ერევნისა და განჯის სახანოების მმართველად დანიშნულმა თავადმა ანდრონიკაშვილმა მეფეს ხალილ ეფენდის შესახებ აცნობა და თანაც ოსმალო ემისრისათ-ვის წერილების ჩამორთმევის ნებართვა ითხოვა. მეფე წერილების ჩამ-ორთმევის წინააღმდეგ წავიდა. 1784 წლის აპრილში პაველ პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს სწერდა, რომ მეფე სავსებით სწორად მოიქცა, როცა ხალილ ეფენდის წერილები ძალის გამოყენებით არ ჩამოართვა.[227]ხალილ ეფენდი შუშაში იბრაჰიმ ხანთან დაბრუნდა. ამ დროისათვის შუშა ოს-მალო ემისრების შტაბ-ბინად იქცა. 1784 წლის 19 აპრილს მეფე ერეკლე სტეპან ბურნაშევს სწერდა, რომ მან შუშაში თავისი ხალხი გაგზავნა, რათა ჰაჯი ეფენდისათვის წერილები მოპარათ. შუშაში ხალილ ეფენდის მოღვაწეობის შესახებ პაველ პოტიომკინს ცნობებს აწვდიდა ყაითაღის უცმია **ამირ ჰამზა.**[228]

ჰალილ ეფენდის მისიის წარმატება ბევრად განაპირობა იმან, რომ მას მხარი დაუჭირეს დაღესტნელმა მფლობელებმა. სამხედრო კავში-რი რუსეთისა და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ თითქოს შეიკრა. 1784 წლის იანვარში ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა შუშაში თავი მოუყარა 8 000 მებრძოლს. იბრაჰიმ ხანს შეუერთდნენ: ხუნძახის ხანის შვილი, ჲყაითაღის უცმიის ნათესავი, რამდენიმე მამასახლისი ჩეჩნეთიდან და სხვები. ამ ცნობის მიღებისთანავე პაველ პოტიომკინმა დაღესტნელ მფლობელებს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, თავიანთი შვილები და

---

[226] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.203.

[227] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.204.

[228] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.204.

ნათესავები ყარაბაღიდან გამოეხმოთ და არ დაეშვათ იბრაჰიმ ხანთან ერთად მათი ახალციხეში ჩასვლა. პაველ პოტიომკინის თხოვნა დაღესტნის მმართველებმა ყურად იღეს.[229]

1784 წლის თებერვალში ყაითაღის უცმია ამირ ჰამზამ ახალციხის ფაშას წერილი მიიღო. სულეიმან ფაშა ამირ ჰამზას ახალციხეში 300 მებრძოლის გაგზავნას სთხოვდა და თითოეულს ჯამაგირის სახით 60 მანეთსა და ასევე ქართლ-კახეთის დარბევის შედეგად მოპოვებულ ნაალაფარს ჰპირდებოდა. ფაშა ამირ ჰამზას სთხოვდა ახალციხეში თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, რათა უცმიისათვის განკუთვნილი წინა წლების ჯამაგირი აეღო. მსგავსი ხასიათის წერილები სულეიმან ფაშამ ტარკის შამხალ **მურთაზ ალის**, ავარიის ხან **უმმას**, ყაზიყუმუხის ხან **მუჰამედს** და სხვა ხანებს, სულ 24 ხელისუფალს, დაუგზავნა. ხანებმა ეს წერილები პაველ პოტიომკინს გადასცეს, ხოლო ამ უკანასკნელმა – გრიგორი პოტიომკინს. უმმა ხანმა არა მარტო სულეიმან ფაშას წერილი გადასცა პოტიომკინს, არამედ თავისი სამსახურიც შესთავაზა. ახალციხის ფაშას წერილის მიღების შემდეგ ტარკის შამხალმა მურთაზ ალიმ პაველ პოტიომკინს რუსეთის იმპერიაში შესვლის თხოვნით მიმართა.

ჩრდილო კავკასიისა და ირანის მუსლიმ მფლობელებს შორის ანტიქართული განწყობილების შესარბილებლად პაველ პოტიომკინმა ხანებს დაუგზავნა ცნობა რუსეთ-ოსმალეთის 1783 წლის დეკემბრის კონვენციის შესახებ, რომლის ძალითაც ოსმალეთმა ცნო ყირიმის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. ხანებთან გაგზავნილმა რუსმა ოფიცრებმა პაველ პოტიომკინს გადასცეს წერილები, რომლებშიც მუსლიმი მფლობელები რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდნენ. 1784 წლის 30 მაისს პაველ პოტიომკინმა ეს წერილები გრიგორი პოტიომკინს გაუგზავნა.[230]

ამიერკავკასიაში **ჰალილ ეფენდის** წარუმატებელი მისიის მიუხედავად, ოსმალეთი ანტირუსულ პროპაგანდას არ წყვეტდა. მალე მან უფრო რეალური გეგმები დაისახა. ოსმალებმა თვალი დაადგეს ერევნის ძლიერ ციხეს. ხალილ ეფენდის დავალებული ჰქონდა ერევანში ანტიქართული გამოსვლის ორგანიზება. სტეპან ბურნაშევის მეშვეობით 1784 წლის თებერვალში პაველ პოტიომკინმა ერეკლე II-ს ურჩია თვალყური

---

[229] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.204.

[230] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.205.

ედევნებინა ერევნის ახალი ხანისათვის, რომლის ორპირობის შესახებ რუს გენერალს უკვე ჰქონდა ცნობები. ამასთან ერთად, პოტიომკინი ერეკლე მეფეს ურჩევდა ჯარი შეეყვანა ერევანში. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გართულებებს ელოდა, ამიტომაც შეკითხვა გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს: როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები ერევნის ციხის დაკავებას შეეცდებოდნენ. ვითარება მართლაც დაიძაბა. ერევნის ხანთან გამოცხადდნენ ახალციხის, ყარსის, არზრუმის და ბაიაზეთის ფაშათა ელჩები. ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ერევნის ახალი ხანის, **ულამ ალისათვის,** სამძიმრის გამოცხადება მამის გარდაცვალების გამო. სინამდვილეში ელჩებმა ულამ ალი ხანს ერევნის ციხის ოსმალეთისათვის გადაცემა შესთავაზეს დიდი ფულის სანაცვლოდ. ელჩების ვიზიტის შემდეგ მალე, 1784 წლის ზაფხულში, ულამ ალი ხანი მოკლეს. ხანი გახდა მოკლულის თორმეტი წლის ვაჟი **მუჰამედი,** რომელსაც დედა ქართველი ჰყავდა. ამ დროიდან ერეკლე მეფის გავლენა ერევნის სახანოზე კვლავ გაიზარდა.[231]

ოსმალეთი მაინც არ წყვეტდა ერევნის ციხის დაუფლებისათვის ბრძოლას. ახალციხის ფაშა სულეიმანის მცდელობით ერევნის ციხის ხელში ჩაგდების მიზნით ერთმანეთს დაუკავშირდნენ ერევნის სახანოს ერთ-ერთი გავლენიანი მფლობელი **აჰმედ სულთანი** და ხოის ხანი **აჰმედი.** ოსმალეთის სულთანმა **აბდულ ჰამიდმა** და ოსმალო ფაშებმა ერევნის მცხოვრებლებს ფირმანი გაუგზავნეს და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. მათ სტამბოლიდან არზრუმში ჩაიტანეს დიდი ოდენობით ფული. სულთანმა ახალციხის, ბაიაზეთისა და ყარსის ფაშებს უბრძანა ჯარი შეეკრიბათ და ერევანი ერეკლე მეფისაგან დაეცვათ.[232] აშკარა იყო, რომ ოსმალეთმა ირანის „დამცველის" ფუნქცია იკისრა. ერევნის ხანისათვის გამოგზავნილ ფირმანში სულთანი წერდა, რომ „თბილისის მეფე" (ერეკლე II – **ვ. გ.**) ცდილობდა აზერბაიჯანელი ხანების რუსეთთან კავშირზე დაყოლიებას, რითაც დაღუპავდა მათ. ოსმალეთის სულთანი ერევნის ხანს სწერდა, რომ ხოის ხანი აჰმედი მან ჯარების სარდლად დანიშნა და ირანის სხვა ხანებს დახმარებისაკენ მოუწოდა. სულეიმან ფაშა ერევნის

---

[231] **O. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.205.

[232] **O. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.206.

ხანს სწერდა, რომ ფაშებს ნაბრძანები ჰქონდათ, დახმარებოდნენ ერევანს. ყარსის ფაშა ერეკლე II-ს ემუქრებოდა: თუ რუსეთთან მეგობრობას თავს არ დაანებებ, შენს სამეფოს დავარბევო.[233]

ერევნის ციხის ოსმალეთის ხელში გადასვლა დიდი მარცხი იქნებოდა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. **ვერც ერეკლე II და ვერც ეკატერინა II სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ოსმალეთის პოზიციის გაძლიერებას ვერ დაუშვებდნენ.** ეს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკას, კერძოდ, ოსმალეთის დასუსტებისა და დაშლის გეგმას. ერევნის სახანოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერეკლე მეფის მხარდამჭერებსა და ოსმალური ორიენტეციის მომხრეებს შორის. გადამწყვეტ მომენტში, 1784 წლის აგვისტოში, ერეკლე II-მ ერევანში ჯარი (2.000 მებრძოლი) გაგზავნა. ერევნელები ცდილობდნენ ქართლ-კახეთის მეფე თავიანთ ერთგულებაში დაერწმუნებინათ. ერევნის ხანი მუჰამედი სულეიმან ფაშას სწერდა, რომ იგი ერეკლე მეფის მორჩილი იყო. 1784 წლის სექტემბერში თბილისში კავკასიის ხაზის მთავარსარდლის, გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინის ჩამოსვლამ ერევნის სახანოს გარშემო ვნებათაღელვა დროებით დაამშვიდა. [234]

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლით შეშფოთებული ოსმალეთი არ ცხრებოდა. 1784 წლის შემოდგომაზე სტამბოლიდან კავკასიაში გამოგზავნეს დიდი მისია (დაახლოებით 60 კაცი) **იბრაჰიმ ეფენდის** ხელმძღვანელობით. მისიამ თან ჩამოიტანა სულთან აბდულ ჰამიდის ფირმანები და მდიდრული საჩუქრები. სულთანი ირანისა და დაღესტნის დაცვის მიზნით მორწმუნეებს საღვთო ომისაკენ მიუწოდებდა. იბრაჰიმ ეფენდის მისია აცხადებდა, რომ იგი ირანელი და დაღესტნელი ხანების თხოვნის პასუხად ჩამოვიდა. შეიძლება სტამბოლში დაბრუნებულმა ხალილ ეფენდიმ იბრაჰიმ ეფენდის მართლაც გადასცა ზოგიერთი ირანელი და დაღესტნელი ხანის თხოვნა, მაგრამ ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ დერბენტის ხან ფათალის დახმარების მიზნით ოსმალეთისათვის მიემართა. უფრო მისაღებია ის, რომ ფათალი ხანს ხმებს ურხევდნენ მისი დაუძინებელი მტრები – ყაითაღის უცმია **ამირ ჰამზა** და ავარიის ხანი **უმმა.** ამირ ჰამზა და უმმა ხანი კავკასიის

---

[233] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.206.

[234] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.206.

ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს ფათალი ხანის წინააღმდეგ გალაშქრებას, დერბენტის, ბაქოსა და შემახიის დაკავებას ურჩევდნენ. ერეკლე II-ც გამორიცხავდა ფათალი ხანის კავშირს ოსმალეთთან, რის შესახებაც 1784 წლის 16 ივლისს მეფე პაველ პოტიომკინს სწერდა კიდეც.[235]

იბრაჰიმ ეფენდის მისია კავკასიაში 1784 წლის შემოდგომიდან 1785 წლის გაზაფხულამდე დარჩა და დიდი ენერგია შეალია ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ კოალიციის შექმნას. 1785 წლის გაზაფხულზე ერეკლე II-ის სამტროდ გაერთიანდნენ: ახალციხის ფაშა, შირვანის, ნუხის, ყარაბაღის, ხოის ხანები და ჭარელი ლეკების მამასახლისები. დადებული ხელშეკრულება ფიცით განმტკიცდა. იბრაჰიმ ეფენდისთან ხელშეკრულების დასადებად მისული ხანთა წარმომადგენლები ამ უკანასკნელმა თან წაიყვანა სტამბოლში. მიუხედავად იმისა, რომ იბრაჰიმ ეფენდი ცდილობდა ერეკლე მეფის წინააღმდეგ დადებული ხელშეკრულება დრომდე საიდუმლოდ დარჩენილიყო, მეფის დაზვერვამ ეს ამბავი მაინც შეიტყო და სტეპან ბურნაშევის მეშვეობით პაველ პოტიომკინს აცნობა. ერეკლე მეფის წინააღმდეგ ირანელი და დაღესტნელი ხანების კავშირი რეალურად არ ამოქმედებულა. იბრაჰიმ ეფენდიმ ხანები ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ხელშეკრულების დადებაზე სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მოსალოდნელი ლაშქრობის შიშით დაიყოლია. ლაშქრობა არ შედგა და ანტიქართული კოალიციაც დაიშალა.[236]

ოსმალეთის გათვლა ირანელი ხანების გადაბირების თაობაზე მცდარი გამოდგა. ოსმალები ფათალი ხანის გეგმების ამოცნობისას შეცდნენ. საბოლოოდ, ვერც დერბენტის ხანი და ვერც აზერბაიჯანელი ხანები ოსმალეთმა ვერ მოისყიდა. მართალია, ხალილ ეფენდიმ და იბრაჰიმ ეფენდიმ დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხანებში რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოსადმი სიძულვილი გააძლიერეს, მაგრამ ომის დაწყებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა აზერბაიჯანელი ხანები ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ ოსმალეთთან მეგობრობისაგან ისინი თავს იკავებდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო ერთიანი ფრონტის შექმნა.

---

[235] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.207.

[236] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.207

ტრადიციულად, ასეთი ფრონტი ქრისტიანთა წინააღმდეგ საღვთო ომის მონოდებით იქმნებოდა. 1785 წლის მარტში ჩრდილო კავკასიაში იმამმა **უშურმამ (შეიხ მანსურმა)** რუსეთის წინააღმდეგ საღვთო ომი დაიწყო. შეიხ მანსურის მოკავშირედ გამოვიდა ავარიის ხანი უმმა, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის მზადებას. ოსმალეთის სულთნის ზეგავლენით უმმა ხანმა იმამ უშურმას შესთავაზა ერთად ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. ავარიის ხანის გარდა, იმამ უშურმას მხარს უჭერდნენ სხვა დაღესტნელი ხანები და ყაზიყუმუხელი მფლობელები. იმიმი უშურმა და მისი მოკავშირეები ყიზლარის სიმაგრისა და ყიზლარიდან საქართველოში მომავალი გზის დაკავებას აპირებდნენ. აჯანყებულები რუსეთთან ომში დამარცხდნენ, იმამი უშურმა დასავლეთ კავკასიონის ხეობებს შეეხიზნა და ამჯერად რუსების წინააღმდეგ ყუბანისპირეთის აჯანყება სცადა. უშურმა აქაც დამარცხდა და თავი ოსმალეთის შავიზღვისპირა სიმაგრე ანაპას შეაფარა.[237]

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მუსლიმური ქვეყნების კოალიციის შექმნა მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. დიპლომატიური გზებით გრიგორი და პაველ პოტიომკინებმა ანტიქართული კოალიციის შექმნისაგან ერეკლე II ვერ იხსნეს. ანტიქართული კოალიციის ჩაშლის ერთადერთ საშუალებას ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დიდი კონტინგენტის გამოგზავნა წარმოადგენდა, რაზეც რუსეთის საიმპერატორო კარი, ერეკლე II-ის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, თავს იკავებდა. ორი რუსული ბატალიონი ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს ვერ დააშინებდა. ცნობილი რუსი მკვლევარი **ნიკოლაი დუბროვინი** სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „ქართლ-კახეთის სამეფოში შეყვანილი ეგერთა ორი ბატალიონი ქვეყანას ვერც ყოველი მხრიდან მომდგარი გარეშე მტრებისაგან დაიცავდა და ვერც ქვეყნის შიგნით არსებულ უწესრიგობაზე მოახდენდა გავლენას. მუსლიმი მოსახლეობა (იგულისხმება ერევნისა და განჯის სახანოების მუსლიმები – **ვ. გ.**) მეტ-ნაკლებად ან საერთოდ არ ემორჩილებოდა მეფეს. რაც შეეხება ქართლში მცხოვრებ თათრებს (იგულისხმება ყაზახისა და შამშადილუს ისლამის აღმსარებელი მოსახლეობა – **ვ. გ.**), ისინი გაქცევისათვის მზად იყვნენ (იგულისხმება ყაზახ-შამშადილუს მუსლიმ-

[237] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.207-209.

თა მისწრაფება ყარაბაღის ან სხვა სახანოებში გახიზვნისაკენ)"[238].

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლამ რუსეთის იმპერიის მფარველობაში და გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის ჯარის მცირე კონტინგენტის (ორი ბატალიონის) გამოგზავნამ საქართველოში სერიოზულად გაართულა ქაართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ოსმალეთი, ირანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოები) და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები (ავარიის ხანი, ხუნძახის ხანი და სხვ.) ყოველნაირად ცდილობდნენ რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლას და რუსეთის გაძევებას სამხრეთ კავკასიიდან. თავდაპირველად რუსული დიპლომატიისა და ერეკლე II-ის მცდელობით ანტიქართული კოალიციის შექმნა თავიდან იქნა აცილებული. 1785 წლის გაზაფხულიდან ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ გაერთიანდა ხუნძახის ხან ომარისა და ახალციხის ფაშა სულეიმანის ძალები. ლეკთა და ოსმალთა შემოსევებმა ორი რუსული ბატალიონის იმედად დარჩენილი ქართლ-კახეთის სამეფო უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

§ 3. ქართული და რუსული ჯარების ერთობლივი ბრძოლები ლეკთა და ოსმალთა წინააღმდეგ (1784 წლის შემოდგომა — 1785 წლის გაზაფხული)

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ორი ბატალიონის შემოსვლა, ცხადია, სამეფოს მტრებს ვერ დააშოშმინებდა. დიდი საბრძოლო მოქმედებების ჩატარება ორ რუსულ ბატალიონს არ შეეძლო.. მეფე იმასაც გრძნობდა, რომ რუსეთის ჯარის გამოყენებას ლეკთა წინააღმდეგ კი აპირებდა, მაგრამ ორი ბატალიონი ქართლ-კახეთს ლეკთა შემოსევებისაგან სრულად ვერ დაიცავდა.

1. ალაზნის ბრძოლა. 1783 წლის ნოემბერში, თბილისში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის შემოსვლის შემდეგ, მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ძალებით ჭარელი ლეკების წინააღმდეგ გაელაშქრებინა. 1784 წლის შემოდგომაზე თბილისში მყოფ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს მეფემ ჭარელი ლეკების წინააღ-

[238] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 76.

მდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. რუს გენერალს მეფემ აღუთქვა, რომ ლეკების წინააღმეგ ლაშქრობისათვის 11.000 ქართველი მებრძოლის გამოყვანას შეძლებდა, ამას დაემატებოდა 4.000 მებრძოლი ყაზახ-შამშადილუსა და ბორჩალოდან, 400 სომეხი, ერევნის ხანის ლაშქარი – 1000 მებრძოლი, ყაბარდოს ხანის ლაშქარი – 2.000 მებრძოლი. ასე რომ, ქართლ-კახეთის მეფეს 18.400 მებრძოლის შეკრების იმედი ჰქონდა. პაველ პოტიომკინი დაეთანხმა ერეკლე II-ის გეგმას. მან თბილისში დატოვა გენერალ-პორუჩიკი **ალექსანდრ სამოილოვიჩი.** რუსეთში გამგზავრების წინ პაველ პოტიომკინმა ალექსანდრ სამოილოვიჩის განკარგულებაში 1783 წლის შემოდგომაზე, თბილისში შემოსული ეგერთა 2 ბატალიონისა და 4 საველე ქვემეხის გარდა, თავისი ამალიდან დატოვა დრაგუნთა ერთი ესკადრონი და 180 ცხენოსანი კაზაკი. ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ჯარს ერეკლე II სარდლობდა[239].

გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვიჩი ლაშქრობის დაწყებას ჩქარობდა, ქართული ჯარის შეკრება კი ფერხდებოდა. გარდა ამისა, ქართულ ჯარს არ გააჩნდა საბრძოლო მასალისა და სურსათის მარაგი. სურსათის მარაგი არ გააჩნდა არც რუსეთის ჯარის ბატალიონებს. საბოლოოდ მოხერხდა რუსეთის ჯარისათვის ათდღიანი მარაგის შექმნა. ალექსანდრ სამოილოვიჩი პაველ პოტიომკინს მოახსენებდა, რომ ერეკლე II სულითა და გულით ეხმარება მას, რაც არ ითქმოდა მეფის ქვეშევრდომებზე. გენერალი წერდა, რომ მეფის მიერ გამოყოფილ თანხას სხვები იპარავდნენ. ერეკლე მეფის ერთადერთ პატიოსან ქვეშევრდომად რუსი გენერალი **გაიოზ არქიმანდრიტს** მოიხსენიებდა, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩენია ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში[240]. დაასრულა თუ არა ლაშქრობისათვის მზადება, ალექსანდრ სამოილოვიჩი არ დაელოდა ქართული ჯარის შეკრებას და რუსული ბატალიონები მდინარე ალაზნის ნაპირისაკენ დაძრა[241]. 1784 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ეგერთა ორი ბატალიონი, ერთი ესკადრონი და ცხენოსან კაზაკთა რაზმი მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირს მიადგა. მეფე ერეკლე

---

[239] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 157-158; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

[240] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

[241] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

ქართული ჯარით თბილისიდან ცოტა მოგვიანებით უნდა გასულიყო. ალაზნის ნაპირზე მისულმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა შეიტყო, რომ სოფლების მოსახლეობა დიდ შიშიანობაში იყო – ლეკები განუკითხავად არბევდნენ და ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს. ლეკების თარეშის აღსაკვეთად გენერალმა რუსეთის ჯარის ეგერთა ბატალიონები გაგზავნა. როგორც კი ეგერები ერთი სოფლიდან განდევნიდნენ ლეკებს, მოდიოდა ცნობა მეორე სოფლის დარბევის შესახებ. მეორე სოფელში მისულ ეგერებს ცნობა მისდიოდათ უკვე სხვა სოფლის აწიოკების შესახებ. ლეკები შეუსვენებლივ მოძრაობდნენ მდინარე ალაზნის ორივე ნაპირზე, ხან დინების მიმართულებით, ხანაც დინების საწინააღმდეგოდ. ისინი ერთიანი ფრონტით არ უპირისპირდებოდნენ რუსულ ბატალიონებს – მცირე რაზმებად დაშლილი მოქმედებდნენ. ალექსანდრ სამოილოვიჩი ჯარის დაქსაქსვას ერიდებოდა და ცდილობდა ლეკების ძირითადი ძალები როგორმე ბრძოლაში ჩაეთრია. გენერალს აფიქრებდა ისიც, რომ ერეკლე მეფე იგვიანებდა. ალექსანდრ სამოილოვიჩმა პაველ პოტიომკინს აცნობა, რომ ქართველთა ჯარი რუსებს არ ეხმარებოდა და ერეკლე II-ს უპასუხისმგებლობაში სდებდა ბრალს[242]. რუსმა გენერალმა არ იცოდა ქართლ-კახეთის ლაშქრის დაგვიანების ნამდვილი მიზეზი. სწორედ იმ დღეს, როდესაც ქართველთა ჯარი ერეკლე მეფის სარდლობით თბილისიდან უნდა დაძრულიყო, მეფეს განჯის ხანის შემონათვალი გადასცეს: თუ ერეკლე II ჭარელი ლეკების დამორჩილებას შეეცდებოდა, განჯის ხანი ლეკების მხარეზე იბრძოლებდა[243]. მეფე სწორედ განჯის ხანის მუქარამ შეაფერხა, თუმცა საბოლოოდ ქართველთა ჯარი 1784 წლის 8 ოქტომბერს მაინც შეუერთდა მდინარე ალაზნის პირას მდგარ რუსთა ჯარს[244].

---

[242] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 47-48; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 195.

[243] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 195.

[244] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под

სანამ ქართველთა და რუსთა ძალები გაერთიანდებოდა, ამინდი შეიცვალა – დაიწყო დიდი წვიმები. გზები ატალახდა და გაძნელდა არტილერიის გადატანა. მდინარე ალაზანში წყლის დონემ მნიშვნელოვნად მოიმატა, რაც აძნელებდა ჯარის მარცხენა ნაპირზე გადაყვანას. ლეკებმა ქართული სოფლების დარბევა შეწყვიტეს. მხოლოდ მცირე ჯგუფები ახერხებდნენ ადიდებულ ალაზანზე გადმოსვლას და დამარტოხელებული ადამიანების დახოცვას ან გატაცებას[245].

მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ქართველთა და რუსთა ჯარის გაერთიანების შემდეგ ერეკლე II-მ ბრძოლისათვის სერიოზულ სამზადისს შეუდგა. ალექსანდრ სამოილოვიჩმა მეფეს საბრძოლო გეგმის ორი ვარიანტი შესთავაზა: 1. შეჭრილიყვნენ ბელაქანში, დაერბიათ იგი და შემდეგ შესულიყვნენ ჭარში; 2. აეკლოთ მდინარე ალაზნის მეორე ნაპირზე არსებული ლეკთა სოფლები და შემდეგ შეჭრილიყვნენ ჭარში[246]. მეფე დიდხანს ფიქრობდა, პირველად **ჭარში** შეჭრილიყო თუ **ბელაქანში**. ალექსანდრ სამოილოვიჩი უკმაყოფილო იყო მეფის ყოყმანით. გაღიზიანებული გენერალი პაველ პოტიომკინს სწერდა: „დიდი უბედურებაა ის, რომ მეფემ თავის თავზე აიღო სარდლობა და არ გამოგზავნა თავისი სარდლები. მე სარდლებს ვაიძულებდი ემოქმედათ, მეფეს კი შეიძლება მხოლოდ ვურჩიო“[247]. რუსმა გენერალმა არ იცოდა, რომ ერეკლე II-ს უამრავი გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა, სანამ შეტევის მთავარ მიმართულებას აირჩევდა. ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღისა და სხვა სახანოები ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებას შიშით შეჰყურებდნენ, არც ერთ მათგანს ჭარელი ლეკების დასჯა და ჭარ-ბელაქანში ქართველთა და რუსთა ჯარის შეჭრა არ აძლევდა ხელს. ერეკლე II-ს სასიკვდილო საფრთხედ ესახებოდა, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს წი-

---

редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 195.

[245] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 196.

[246] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 48-49.

[247] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 196.

ნააღმდეგ სახანოები კოალიციას შექმნიდნენ. მეფეს მორჩილი ხანებისაც არ სჯეროდა, მათგან მუდამ ღალატს ელოდა. ერეკლეს 1750 წელს ჭარის შემოერთებისათვის ბრძოლაში განცდილი მარცხიც კარგად ახსოვდა. ამიტომ იყო, რომ იგი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას ერიდებოდა.

ერეკლე II-ის ფრთხილი მოქმედება რომ სწორი იყო, მალე დადასტურდა. 1784 წლის 12 ოქტომბერს მეფემ საგანგაშო ცნობა მიიღო. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის გამოჩენით შეშფოთებულ ჭარელებსა და ბელაქნელებს განჯაში მყოფი ლეკები უკან გამოეხმოთ. სწორედ ისინი შენიშნა 13 ოქტომბერს კაზაკთა მზვერავმა რაზმმა. ქართველთა და რუსთა ჯარი დაუყოვნებლივ მოემზადა ბრძოლისათვის[248].

1784 წლის 14 ოქტომბერს, გამთენიისას, მდინარე ალაზნის ნაპირზე გამოჩნდა ლეკთა ლაშქარი, რომელიც სოფელ **მუღანლოსაკენ** მიიჩქაროდა. სოფელ მუღანლოს გარშემო ხშირი ტყე იყო. ქართველთა ცხენოსანი ჯარი, რუსი დრაგუნები (ცხენოსნები) და კაზაკები ერეკლე II-ის სარდლობით სასწრაფოდ გაემართნენ მუღანლოსაკენ, რათა ტყის მასივის სანაპირო ზოლის დაკავება მოესწროთ. ლეკებმა ქართველებსა და რუსებს დაასწრეს და ტყის ნაპირი დაიკავეს. ტყეში თავშეფარებულ და ჩასაფრებაში მყოფ ლეკებზე ცხენოსანი ჯარით შეტევა სახიფათო იყო. მალე ქართველთა და რუსთა ცხენოსან ჯარს რუსი ქვეითები (ეგერები) შეუერთდნენ[249]. ეგერები ორ კოლონად (თითოეულში 200 მებრძოლი) იყვნენ მოწყობილი და მათ ჰესსენის პრინცი, პოდპოლკოვნიკი **რეიხსფელდი** მეთაურობდა. რეიხსფელდი ეგერთა ორი კოლონით (400 მებრძოლი) შეტევაზე გადავიდა, რათა ლეკები ტყის სანაპირო ზოლიდან გაერეკა. მაღლობზე განლაგებული არტილერიის მიზანი იყო ტყის სანაპირო ზოლის დაბომბვა. ქვეითი ჯარის ფლანგებზე განლაგდა ცხენოსანი ჯარი. ბრძოლის ველზე დაგვიანებით მისული ქართველი ქვეითები რეზერვში იდგნენ. რეზერვის განლაგებაში იმყოფებოდნენ ერეკლე II

---

[248] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 196.

[249] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 49.

და გენერალი ალექსანდრ სამოილოვიჩი. მათთან ერთად იმყოფებოდა მათი დაცვა – 40 რჩეული დრაგუნი და 10 კაზაკი პორუჩიკ **პიშჩევიჩის** მეთაურობით[250].

1784 წლის 14 ოქტომბერს, დილით, ბრძოლა დაიწყო სამი სასიგნალო რაკეტის გასროლის შემდეგ. არტილერიამ ინტენსიურად დაბომბა ტყის სანაპირო ზოლი. რუსთა ქვეითმა ჯარმა შეტევა წამოიწყო. ხეებზე მოკალათებულმა ლეკებმა ძლიერი ცეცხლი დაუშინეს რუსებს, მაგრამ თვითონვე ვერ გაუძლეს, რუსებმა ტყის სანაპირო ზოლი დაიკავეს, თუმცა წინ წაწევა ვეღარ შეძლეს. ტყე სავსე იყო ლეკთა ჯარით. გარდა ამისა, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე ლეკთა ახალი ლაშქარი იყრიდა თავს. ლეკები ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ. პორუჩიკი პიშჩევიჩი თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: **„ჩვენი შეტევა იყო სასტიკი, ლეკთა თავდაცვა – სასოწარკვეთილი“**[251]. გენერალმა სამოილოვიჩმა რუსული ბატალიონის მეთაურებს პოდპოლკოვნიკ **მერლინსა** და პოდპოლკოვნიკ **კვაშნინ-სამარინს** უბრძანა, პოდპოლკოვნიკ **რეიხსფელდის** ქვეითებს დახმარებოდნენ. თვითონ ალექსანდრ სამოილოვიჩმა, რომელსაც ერეკლე მეფის სიფიცხე არ მოსწონდა, თავი ვეღარ შეიკავა და პორუჩიკ პიშჩევიჩის რაზმის თანხლებით ტყისაკენ გაიჭრა. ტყის პირას ცხარე ბრძოლა გაჩაღებულიყო. გენერალმა შეიტყო, რომ პოდპოლკოვნიკ რეიხსფელდის ქვეითთა დასახმარებლად გაგზავნილ პოდპოლკოვნიკ მერლინისა და პოდპოლკოვნიკ კვაშინ-სამარინის ეგერთა ბატალიონებს ჯერაც ვერ მიეღწიათ ბრძოლის ველამდე. გენერალი პორუჩიკ პიშჩევიჩის დრაგუნთა და კაზაკთა მცირე რაზმით ქვეითებს შეუერთდა. ნახევარი საათის შემდეგ რუსთა და ქართველთა მთელი ქვეითი ჯარი ბრძოლაში იყო ჩაბმული. ლეკებს სულ უფრო უჭირდათ თავდაცვითი ზღუდის შენარჩუნება. გენერალი

---

[250] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 49-50; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 196-197.

[251] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 197.

ალექსანდრ სამოილოვიჩი და პოდპოლკოვნიკი რეიხსფელდი ცხენებზე ამხედრებულები ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას. არც ერთი არ დაეთანხმა თანამებრძოლების თხოვნას ჩამოქვეითებულიყვნენ, რათა ხეებზე მოკალათებულ ლეკთა სამიზნედ არ ქცეულიყვნენ. თანამებრძოლებს პოდპოლკოვნიკმა რეიხსფელდმა უპასუხა: „ჩვენ მეთაურები იმიტომ ვართ, რომ ყველამ დაგვინახოს, ჩვენებმაც და მტერმაც". ხეზე ჩასაფრებულმა ლეკის ნასროლმა ტყვიამ პოდპოლკოვნიკ რეიხსფელდი სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი რეიხსფელდის ცხენზე შეკავება ალექსანდრ სამოილოვიჩმა სცადა. გენერალს ტანსაცმელზე მომაკვდავის სისხლი რომ შენიშნეს, ჯარში პანიკა გავრცელდა – გენერალი და პოდპოლკოვნიკი დახოცესო. ალექსანდრ სამოილოვიჩი რამდენიმე ადგილას გამოჩნდა საბრძოლო პოზიციაზე და ჯარისკაცები დაამშვიდა. შეშფოთებული მეფე ერეკლე ცხენოსანთა მცირერიცხოვან რაზმთან ერთად სასწრაფოდ რეიხსფელდის დაჭრის ადგილისაკენ გაემართა და ლეკების მხრიდან ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, გენერალი იპოვა. მეფის გამოჩენამ მებრძოლები გაამხნევა[252].

ბრძოლა მდინარე ალაზნის ნაპირას ხუთი საათი გაგრძელდა. ლეკები დამარცხდნენ და ტყე მთლიანად დატოვეს. ლეკებს, რომლებიც ტყიდან გამოსლას და მიმალვას ცდილობდნენ, უმოწყალოდ ხოცავდა რუსული კავალერია. პიოტრ ბუტკოვის ცნობით, ბრძოლაში მოკლეს 200-ზე მეტი ლეკი, ტყვედ აიყვანეს – 2. რუსებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 17 კაცი დაკარგეს, ქართული ჯარიდან 20 მებრძოლი დაიღუპა[253]. სხვა წყაროს მიხედვით, ბრძოლაში 300-ზე მეტი ლეკი დაიღუპა. რუსებმა დაკარგეს 40 კაცი, მათ შორის ერთი ოფიცერი. ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა შორის იყვნენ თავადი **აფხაზი** და თავადი **ჩერქეზიშვილი**, დაიჭრნენ: თავადი **იოსებ ბებუთიშვილი**, თავადი **მელიქიშვილი** და თავადი **ბარათაშვილი**. ამ წყაროს დაღუპული რიგითი

---

[252] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 50; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 197-198.

[253] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр.158.

ქართველების შესახებ ცნობა არ შემოუნახავს[254].

მდინარე ალაზნის ნაპირზე, სოფელ მუღანლოს გადასასვლელთ-ან მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ერეკლე II-მ და გენერალმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა ალაზნის მარცხენა ნაპირზე გადასვლისაგან თავი შეიკავეს. ამის მიზეზი იყო მდინარის მარცხენა ნაპირზე ლეკთა ახალი ძალების თავმოყრა. გარდა ამისა, ადიდებულ ალაზანზე ჯარის გადასაყვანად საჭირო ნავები არც ქართველებს და არც რუსებს არ გააჩნდათ[255].

მძიმედ დაჭრილი ჰესსენის პრინცი რეიხსფელდი სოფელ მაჩხ-აანში მიიყვანეს, სადაც იგი 1784 წლის 19 ოქტომბერს გარდაიცვალა. პოდპოლკოვნიკი რეიხსფელდი 25 წლისა დაილუპა. პრინცის ცხედარი თბილისში გადმოასვენეს და კათოლიკური ეკლესიის ეზოში დაკრძა-ლეს[256].

1784 წლის 20 ოქტომბერს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი თბილისში ტრიუმფით შევიდა. გამარჯვებულებს წინ მიუძღოდნენ მეფე ერეკლე II და გენერალი ალექსანდრ სამოილოვიჩი. მეფე ერეკლე და გენერალი პირდაპირ სიონის ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც მათ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ელოდათ. გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. თბილისმა გამარჯვება ზარბაზნებიდან გასროლით აღნიშ-ნა[257].

---

[254] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 198.

[255] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 199.

[256] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 201.

[257] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 50-51; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 201.

ბრძოლიდან დაბრუნებული გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვიჩი მალე დრაგუნებისა და კაზაკთა რაზმთან ერთად ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა. ქართლ-კახეთის სამეფოში დარჩენილი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაურობა კვლავ პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა ჩაიბარა. ბატალიონიდან ერთი პოდპოლკოვნიკ **კვაშინ-სამარინის** მეთაურობით კახეთში, სოფელ **მაჩხაანში**, განლაგდა. ამ ბატალიონს ჭარიდან ლეკების შემოსვლა უნდა აღეკვეთა. მეორე ბატალიონი პოდპოლკოვნიკ **მერლინის** მეთაურობით ქართლში, **სურამში,** გადაიყვანეს. მას ახალციხიდან თბილისისაკენ მომავალი გზის დაცვა ევალებოდა[258].

1784 წლის 14 ოქტომბერს ალაზნის ბრძოლაში ლეკების დამარცხების შემდეგ ერეკლე მეფეს განჯის წარმომადგენლები ეახლნენ და მოახსენეს, რომ კვლავ სცნობენ ქართლ-კახეთის მეფის უზენაესობას. ერეკლე II ყარაბაღის ხან იბრაჰიმს დაუკავშირდა, რის შედეგადაც აღდგა განჯაზე ქართლ-კახეთის მეფისა და ყარაბაღის ხანის ერთობლივი მმართველობა. ორივე მხარემ განჯაში თავიანთი მოხელე (მმართველი) დანიშნა. განჯის სახანოსთან ურთიერთობა თითქმის მოგვარდა, მაგრამ ვითარებას ძაბავდა ნუხის ხანის მცდელობა ჩარეულიყო განჯის სახანოს შინაურ საქმეებში[259]. ნუხის ხანმა **აჰმედმა** იბრაჰიმ ხანის მიერ დატყვევებული განჯის ხანის შვილი **ალი ბეი** განჯაში გაგზავნა. ქალაქის მცხოვრებლები მას დიდი სიხარულით მიეგებნენ. ნუხის ხანმა ალი ბეგი განჯის ხანად ცნო. ამის შემდეგ ახმედ ხანმა ერეკლეს იბრაჰიმ ხანთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც განჯის სახანოს დამორჩილებაში დახმარებას დაჰპირდა. ერეკლე მეფემ ნუხის ხანის წინადადება არ მიიღო. გაგულისებულმა ახმედ ხანმა 1785 წლის ნოემბრის დამდეგს 3.000 მებრძოლით მდინარე ალაზანი გადმოლახა და განჯისაკენ დაიძრა. მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ნუხის ხანი განჯაში არ შეეშვა და დახმარებისათვის პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს მიმართა. 1784 წლის 8 ნოემბერს სტეპან ბურნაშევი რუსის ჯარით თბილისიდან განჯისაკენ დაიძრა. რუსის ჯარი სოფელ მარნეულთან იყო მისული,

---

[258] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 202.

[259] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 51.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ლეკებმა განჯაში შესვლა გადაიფიქრეს და ახალციხისაკენ გაემართნენ. ერეკლე მეფე ქართული ჯარით ახალციხისაკენ მიმავალ ლეკებს დაედევნა. რუსის ჯარი კვალდაკვალ მიჰყვა ქართველებს. რუსთა და ქართველთა ჯარი ლეკებს ვერ დაეწივნენ, ლეკებმა ახალციხეს მიაღწიეს. ახალციხეში მისულ ლეკებს სულეიმან ფაშამ იმერეთზე ლაშქრობა შესთავაზა.

2. ლეკების შემოსევები 1785 წლის გაზაფხულზე და რუსული ჯარი. ალაზნის ნაპირზე ჭარელი ლეკების დამარცხებამ ძალზე გააღიზიანა ოსმალეთის სულთანი, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ირანული სახანოების წაქეზება დაიწყო. ერეკლე II-ს პირველი ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** განუდგა, მას მიბაძა განჯის ხანმა **ჯავადმა**. ერევნის ხანი, მართალია, მეფე ერეკლეს არ განდგომია, მაგრამ ხარკის გადახდა შეწყვიტა და ბოლო ნაბიჯის გადადგმამდე ბევრი აღარაფერი აკლდა. ყაზახ-შამშადილუს შეძლებულმა ზედაფენამ რჩეულ ცხენოსან ჯართან ერთად ყარაბაღს მიაშურა და იბრაჰიმ ხანის სამსახურში ჩადგა. ამასთან ერთად, 1785 წლის გაზაფხულზე ახალციხის საფაშოდან გახშირდა შემოსევები.

ახალციხის ფაშა სულეიმანი მტრულ განზრახვაზე ხელს არ იღებდა და ქართლში შემოსაჭრელად ემზადებოდა. ახალციხეში თავს იყრიდნენ ლეკები. პაველ პოტიომკინმა სულეიმან ფაშა ოფიციალურად გააფრთხილა, რომ ლეკები ახალციხეში არ გაეჩერებინა. ფაშამ რუს გენერალს უპასუხა, რომ მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა ლეკების თავმოყრას ახალციხეში, იგი ლეკთა გააქტიურებას ერეკლე II-ს აბრალებდა. სულეიმან ფაშა პაველ პოტიომკინს სწერდა: „რატომ ატარებენ ქართველები ლეკებს თავიანთი სამშობლოს ტერიტორიაზე და რატომ არ აღკვეთენ ლეკების შესვლას კახეთსა და ქართლში, საიდანაც ლეკები ჩემთან მოდიან, მე როგორ უნდა ავუკრძალო მათ მოსვლა? მით უმეტეს, რომ ჩვენ ერთი აღმსარებლობისანი ვართ და ჩვენ შორის მტრობა და ომი იკრძალება. ცნობილია ისიც, რომ დაღესტანი თავისი მდებარეობით ახლოა საქართველოსთან და შორსაა ჩემგან... მიზეზი ჩემში არაა. მე უძლური ვარ ორ დიდ სახელმწიფოს[260] შორის მშვიდობა დავარღვიო" [261]. სულეიმან ფაშა პაველ პოტიომკინს ასევე აცნობებდა, რომ ზავს რუსეთსა და

[260] იგულისხმება რუსეთი და ოსმალეთი.

[261] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 80-81.

ოსმალეთს შორის ასევე არღვევდა ერეკლე II, რომელიც შეიჭრა ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე, აყარა და ქართლში გადაასახლა რამდენიმე ასეული გლეხი. სულეიმან ფაშა თვლიდა, რომ მას ჰქონდა უფლება მოქცეულიყო ისე, როგორც იქცეოდა ქართლ-კახეთის მეფე[262]. 1785 წლის აპრილში 4.000 ლეკი და ახალციხელი ოსმალო მტკვრის ხეობით ქართლში შემოიჭრა. მათ დაარბიეს სამი სოფელი და ტყვედ აიყვანეს 600 კაცზე მეტი. სურამში მდგარი რუსული ბატალიონის ნაწილი (200 ეგერი ერთი ზარბაზნით) მაიორ **ფიოდორ სიუნენბერგის** მეთაურობით ლეკ-ოსმალებს დაედევნა. 1785 წლის 17 აპრილს (ზოგიერთი ცნობით 16 აპრილს) რუსებმა სურამიდან 7 ვერსის მოშორებით, ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე, მოწინააღდეგე მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირთან მიიმწყვდიეს. ცხარე ბრძოლაში ლეკთა და ოსმალთა ლაშქრიდან 1377 მებრძოლი, მათ შორის 465 ლეკი დაიღუპა, ტყვედ ჩავარდა 200. რუსებს მოუკლეს 1 მებრძოლი, დაიჭრა – 5. ბრძოლას ქართულმა ჯარმა ვერ მოუსწრო. დახოცილ ოსმალთა და ლეკთა გვამები მტკვარმა თბილისში ჩამოიტანა.[263]

სულეიმან ფაშამ გადაწყვიტა შური ეძია განცდილი მარცხისათვის. შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ ლეკებსაც. ოსმალები და ლეკები განსაკუთრებული სიძულვილით განეწყვნენ მაიორ ფიოდორ სიუნენბერგის მიმართ. 1785 წლის 27 მაისს ლეკთა და ოსმალთა ლაშქარი (1.500 ლეკი, 1.500 ოსმალო, ზოგიერთი ცნობით, 1.200 ლეკი და 500 ოსმალო) მტკვრის ხეობით ისევ შემოიჭრა ქართლში და 28 მაისს სურამს შეუტია. მაიორი ფიოდორ სიუნენბერგი 300 რუსი და 125 ქართველი მებრძოლით, 4 ზარბაზნით ლეკთა და ოსმალთა ლაშქარს შეებრძოლა. ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ფიოდორ სიუნენბერგმა მტერი გაფანტა. ბრძოლის ველზე დარჩა ლეკთა და ოსმალთა 300 გვამი, 63 კაცი

---

[262] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 81.

[263] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 161-162; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург,1886, стр. 81-82; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 202-203.

რუსებმა ტყვედ აიყვანეს. რუსებს ერთი მებრძოლი დაუჭრეს.[264]

მართალია, ოსმალთა და ლეკთა ლაშქარი ორგზის დამარცხდა, მაგრამ სულეიმან ფაშა არ ცხრებოდა. გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს დაევალა ოსმალთა სერასკირ **ჰაჯი ალი** ფაშასათვის საპროტესტო წერილის გაგზავნა. რუსეთი ითხოვდა, რომ სულეიმან ფაშას არ დაერღვია მშვიდობა ორ ქვეყანას შორის[265]. 1785 წლის 23 აპრილს იმპერატორმა ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა რესკრიპტს რუსეთის ელჩისადმი სტამბოლში. ეკატერინა II იაკოვ ბულგაკოვს წერდა: „ოსმალეთის ქვეშევრდომების გაერთიანებას ლეკებთან ჩვენ მივიჩნევთ ახალციხის ფაშა სულეიმანის ქმედებად. სულეიმან ფაშამ არაერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური თანხმობისადმი თავისი ცუდი განწყობილება. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ოსმალეთს, რუსეთთან ზავის პირობებში, მშვიდობის დარღვევის რაიმე გეგმები ჰქონდა"[266]. ეკატერინა II იაკოვ ბულგაკოვს ავალებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ოსმალეთის სულთნისათვის სულეიმან ფაშასა და სხვა დამნაშავე პირების დასჯა მოეთხოვა. რუსეთის იმპერატორი ოსმალეთის სულთნისაგან ითხოვდა იმის გარანტიას, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომები და ლეკები რუსეთის ვასალის – ერეკლე II-ის– სამფლობელოში აღარ შეიჭრებოდნენ[267]. როცა ეკატერინა II წერდა, რომ ახალციხის ფაშას მოქმედებაში ოსმალეთის სულთნის ხელი არ ერია, კარგად უწყოდა, რომ სულთანი გაღიზიანებული იყო რუსეთის ჯარის შემოსვლით ქართლ-კახეთის სამეფოში და ახალციხის ფაშას სწორედ სტამბოლიდან აძლევდნენ მითითებებს. ეს უკანასკნელი ხან ფარულად, ხან აშკარად ცდილობდა სამხრეთ კავკასიის ირანული სახანოებისა და

---

[264] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 163; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 203.

[265] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82.

[266] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82.

[267] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82-83.

ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი მფლობელების ამხედრებას ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ. **გეორგიევსკის ტრაქტატით, რუსეთს ოსმალეთის ინტერესები ფორმალურად არ შეულახავს და ამდენად, ოსმალეთს პროტესტის გამოთქმის ფორმალური საბაბი არ ჰქონდა.** მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ ოსმალეთის სულთანი ძალზე გააღიზიანა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ. 1783 წლიდან ოსმალეთი ორი კონკრეტული მიზნის მიღწევას ცდილობდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) გაუქმებას; 2) ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანას[268]. სამხრეთ და ჩრდილო კავკასიას მოევლინენ ოსმალეთის ემისრები, რომლებიც მუსლიმ მმართველებს არწმუნებდნენ, რომ რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოჭრის შემდეგ ირანს დაიპყრობდა. 1785 წლის აგვისტოში ერეკლე II-ს უკვე ჰქონდა ცნობები სამეფოს საზღვრებთან მტრის სამხედრო ძალის დაჯგუფების შესახებ. ახალციხეში თავს იყრიდნენ ოსმალები და ლეკები, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ სულეიმან ფაშა აქეზებდა. ავარიის ხანი ომარი ლეკთა ჯარით ჭარ-ბელაქანში შევიდა, იქაურ ლეკთა ლაშქარი შეიერთა და ისიც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შესაჭრელად ემზადებოდა. მეფე ერეკლემ ისიც იცოდა, რომ ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობა მერყეობდა. ყაზახსა და შამშადილუში ლეკების ემისრები ჩადიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ერეკლე II-ის დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ. ყაზახის თათრებმა ლეკებს პირობა მისცეს, რომ ლაშქრობის დაწყებისთანავე შეიპყრობდნენ იქ მყოფ გიორგი ბატონიშვილს და ლეკებს გადასცემდნენ მათ. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ფარულად შემოსული ლეკები ქართველებს ურჩევდნენ უსაფრთხო ადგილში დროულად გადაემალათ თავიანთი ცოლ-შვილი და ქონება. ასეთმა ხმებმა მოსახლეობის პანიკა გამოიწვია[269].

ერეკლე II ლეკთა შემოსევის მოსაგერიებლად ემზადებოდა. გამოცდილმა სარდალმა კარგად იცოდა, რომ ქართული მხედრობა და რუსული ჯარის ორი ბატალიონი ახალციხისა და ჭარ-ბელაქანის მხრიდან

---

[268] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 83.

[269] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 83-84.

ოსმალთა და ლეკთა ერთდროულ შემოტევას ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფე რუსეთის იმპერატორს დამატებითი ჯარისა და 200 ფუთი თოფისნამლის გამოგზავნას სთხოვდა. პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის ეგერთა ორი რუსული ბატალიონი (8 ასეული) თბილისში იდგა და მზად იყო ბრძოლაში ჩაბმულიყო[270].

§ 4. ომარ-ხანის ლაშქრობა საქართველოში და რუსული ჯარი

ქართველთა და რუსთა ჯარის მიერ 1784 წლის შემოდგომასა და 1785 წლის გაზაფხულზე მოპოვებული გამარჯვებების მიუხედავად, აშკარა იყო, რომ ორი რუსული ბატალიონი ქართლ-კახეთის სამეფოს ორი მხრიდან (ჭარ-ბელაქანიდან ლეკების და ახალციხის საფაშოს მხრიდან) ლეკებისა და ოსმალთა შემოსევებისაგან ვერ დაიცავდა. სერიოზულად ართულებდა ვითარებას ის, რომ ყაბარდოსა და ჩეჩნეთში რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის შედეგად ხშირად რუსები დიდი ხნით კარგავდნენ კონტროლს კავკასიის ხაზიდან (გეორგიევსკიდან, მოზდოკიდან) საქართველოსაკენ მომავალ გზაზე. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს სერიოზულად აშფოთებდა ის, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ორი რუსული ბატალიონი საფრთხეში არ აღმოჩენილიყო. კავკასიის ხაზიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში რუსულმა ბატალიონებმა ვერ მიიღეს ხელფასი და ტანსაცმელი, ფერხდებოდა ბატალიონების სურსათით მომარაგებაც. შემაშფოთებელი იყო ისიც, რომ თბილისში ვერ ხერხდებოდა ბატალიონებისათვის პროვიანტის მარაგის შექმნა, რაც აუცილებელი იყო ომის შემთხვევაში[271]. რუსული ბატალიონების ბედით შეშფოთებული გენერალ-ანშეფი გრიგორი პოტიომკინი პაველ პოტიომკინს 1784 წლის 13 ოქტომბერს წერდა, რომ მან აკრძალა ბატალიონების დანაწილება და სხვადასხვა ადგილებში გაგზავნა, ბატალიონები უნდა ყოფილიყვნენ ერთად. გრიგორი პოტიომკინი გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ მტრის თავდასხმის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა,

---

[270] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 84-85.

[271] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 137.

რუსული ბატალიონები შეეყვანათ ციხე-სიმაგრეებში, სადაც ისინი დაელოდებოდნენ კავკასიის ხაზიდან დამხმარე ჯარის მოსვლას[272]. გრიგორი პოტიომკინი პაველ პოტიომკინს ავალებდა, რომ ზამთრის დადგომამდე (იგულისხმება 1784-1785 წლების ზამთარი), როგორმე თავიდან აეცილებინა ლეკთა თავდასხმები ქართლ-კახეთის სამეფოზე. იგი ვარაუდობდა, რომ ყაბარდოელებსა და ჩეჩნებს დაამარცხებდა და საქართველოსაკენ მიმავალი გზაც გაიხსნებოდა[273]. გრიგორი პოტიომკინს ძალზე აშფოთებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე ომარ ხანის მოსალოდნელი თავდასხმა. ამიტომ იყო, რომ პაველ პოტიომკინს ომარ ხანთან მოლაპარაკებას ავალებდა.[274]

პაველ პოტიომკინმა ქართლ-კახეთის სამეფოზე დაღესტნელთა თავდასხმის აღსაკვეთად ასეთ ხერხს მიმართა: გენერალმა ხმა გაავრცელა, რომ კავკასიის ხაზიდან საქართველოში იგზავნებოდა რუსეთის ჯარის დიდი რაზმი, ამ მიზნით მოზდოკთან თავს იყრიდა ყაბარდოსა და ბუტირსკის პოლკები, ასევე დონის კაზაკთა ჯარის პოლკი. გავრცელებული ხმების, დამაჯერებლობის მიზნით პაველ პოტიომკინმა ბრძანება გასცა, რომ პოლკებში დაწყებულიყო შორ მანძილზე გადაადგილებისათვის აუცილებელი მოჩვენებითი სამზადისი. ვერც გავრცელებულმა ხმებმა და ვერც პოლკებში დაწყებულმა მოჩვენებითმა სამზადისმა დაღესტნელები შეცდომაში ვერ შეიყვანა. ამ უკანასკნელებმა კარგად იცოდნენ, რომ კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები ყაბარდოელებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ ომით იყვნენ დაკავებული, ხოლო კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ ერთადერთი გზა მიდიოდა, რომლის კონტროლი მოწინააღმდეგისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დაღესტნელებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით სამხედრო ძალას ვერ გადაისროდა, ხოლო თუ ჯარების გადასროლას მაინც შეეცდებოდა ეს დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ იყო, რომ **ომარ ხანი** ჭარ-ბელაქნის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოში შეჭრი-

---

[272] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

[273] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

[274] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

სათვის მშვიდად ემზადებოდა[275]. ომარ ხანმა დაღესტანში 11.000 მებრძოლი შეკრიბა და ჭარში ჩავიდა, სადაც მას ჭარელი და ბელაქნელი ლეკები შეუერთდნენ. კახეთში შეჭრის წინ, 1785 წლის აგვისტოში, ომარ ხანს დაახლოებით 20.000 მებრძოლი ჰყავდა[276].

1785 წლის აგვისტოში ომარ ხანმა კახეთში ლეკთა მცირე რაზმების შეგზავნა დაიწყო, თავად ძირითადი ძალებით მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე იდგა. ომარ ხანისა და სულეიმან ფაშას მოლაპარაკების თანახმად ომარ ხანის კახეთში შეჭრისთანავე სულეიმან ფაშა მდინარე მტკვრის ხეობით ქართლში უნდა შეჭრილიყო. მეფე ერეკლე გრძნობდა, რომ ომარ ხანი და სულეიმან ფაშა ერთი გეგმით იმოქმედებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეფეს ორ ფრონტზე მოუხდებოდა ბრძოლა. ერეკლე II-მ სულ 8.000 მებრძოლის შეკრება შეძლო. ჯარი მეფემ **თბილისის, გორის, თელავისა** და **სიღნაღის** ციხეებში ჩააყენა. ორივე რუსული ბატალიონი **მაჩხაანიდან** და **სურამიდან** თბილისში გადაიყვანეს. მეფე ერეკლემ კავკასიის ხაზის უფროსს საქართველოში დამატებითი სამხედრო ძალის – ორი პოლკის გამოგზავნა თხოვა. მეფე თოფის წამალსაც ითხოვდა[277]. კავკასიის პაველ პოტიომკინმა ქართლ-კახეთის მეფის თხოვნის შესრულება შეუძლებლად მიიჩნია. მოგვიანებით რუსული ისტორიგრაფია უარს შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: 1) ჩრდილო კავკასიაში, კავკასიის ხაზზე სიმშვიდე არ სუფევდა, პრაქტიკულად ომის მდგომარეობა იყო; 2) ჩრდილო კავკასიიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა რუსეთის ჯარის მიერ მთლიანად არ კონტროლდებოდა; 3) ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი ორი რუსული ბატალიონი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა; ერეკლე II არ ასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობას რუსეთის ჯარის შენახვის ხარჯების გაღების თაობაზე; რუსი ჯარისკაცები საკვები პროდუქტითაც კი არ იყვნენ უზუნველყოფილი; 4) შექმნილ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებითი ჯარის გამოგზავნა სახიფათო იყო[278].

---

[275] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 138-139.

[276] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 178.

[277] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

[278] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

ერეკლე II კახეთის ლაშქრითა და ორი რუსული ბატალიონით სიღნაღის ციხეში დადგა. მეფემ ქართლის ლაშქარი ახალციხის საფაშოს მხრიდან მტრის შემოსევის საშიშროების გამო ქართლშივე დატოვა,ხოლო ყაზახ-შამშადილუს თათრების ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა სახიფათოდ მიიჩნია – თათრების მხრიდან ღალატს ელოდა[279].

პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი ერეკლე II-ს ურჩევდა ომარ ხანისათვის მაშინვე შეეტია, როგორც კი ლეკთა ლაშქარი მდინარე ალაზანზე გადმოსვლას შეეცდებოდა. ამ დროისათვის მეფეს სულ 3000 მებრძოლი თუ ეყოლებოდა. ამას ემატებოდა რუსული ბატალიონები (1500 მებრძოლი). ირანულ სახანოებში შექმნილი არასასურველი ვითარების პირობებში ასეთი ძალებით (4.500 მებრძოლი) ომარ-ხანის 20 ათასიან ლაშქართან შებრძოლება სახიფათო იყო. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II სიღნაღის ციხის დატოვებას არ აპირებდა.

1785 წლის სექტემბერში ომარ ხანმა 11.000 მებრძოლით სოფელ **ყარალაჯთან** მდინარე ალაზანი გადმოლახა. ლეკებმა სიღნაღის ციხეში გამაგრებულ ქართველთა და რუსთა ჯარის წინააღმდეგ შეტევის დაწყება ვერ გაბედეს და **ქიზიყის** სოფლებს შეესივნენ[280]. ომარ ხანის ლაშქრობის ისტორია დაწვრილებით აქვს აღწერილი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს, პოლკოვნიკ ბურნაშევის მოხსენებების მიხედვით – პეტრე ბუტკოვსა და ნიკოლაი დუბროვინს.

17 სექტემბერი. ომარ ხანმა მდინარე იორი გადალახა და შეჰქმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს თბილისს შეუტევდა. მეფე ერეკლე 1000 მებრძოლით და სტეპან ბურნაშევი ორი რუსული ბატალიონით სასწრაფოდ გამოემართნენ თბილისის დასაცავად.

18 სექტემბერი. ომარ ხანი მტკვრის ნაპირას, თბილისიდან 25 ვერსზე, შეჩერდა. ამ დროისათვის ერეკლე II-მ უკვე 3.000 მებრძოლის შეკრება შეძლო.

19 სექტემბერი. ქართველთა და რუსთა ჯარი თბილისისაკენ მოისწრაფოდა. ომარ ხან მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, შემდეგ კი სოფელ **მარნეულთან** მდინარე **ალგეთი** გადალახა. ამ დროისათვის ერეკლე II-ის განკარგულებაში უკვე 4.000

---

[279] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

[280] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138-139.

მებრძოლი იყო. ქართველთა და რუსთა ჯარი თბილისიდან 18 ვერსზე იმყოფებოდა. ომარ ხანის ლაშქრის მოძრაობის მიმართულებიდან ჩანდა, რომ ლეკები **ბორჩალოში** აპირებდნენ შეჭრას. მეფემ გადაწყვიტა მტერს დადევნებოდა. რუსული ბატალიონების არტილერია და აღალი თბილისში გაგზავნეს.

20 სექტემბერი. ქართული ჯარი არტილერიითურთ თბილისიდან 12 ვერსის მოშორებით მდინრე მტკვარზე გადავიდა, 40 ვერსი გაიარა და სოფელ **მარნეულში** მივიდა. ამ დროისათვის მეფე ერეკლეს უკვე 5.000 მებრძოლი ჰყავდა.

21 სექტემბერი. ერეკლე II ქართულ ჯართან და ორ რუსულ ბატალიონთან ერთად ბორჩალოში შევიდა. ბორჩალოში ერეკლემ შეიტყო, რომ ომარ ხანს დენთის გამოყენებით აუფეთქებია **ახტალის** ციხე, გაუძარცვია და გაუნადგურებია ახტალის ვერცხლის მომპოვებელი საწარმოები, გაუძარცვავს ახტალის ტაძარი, დაუხოცავს 640 და ტყვედ აუყვანია 860 კაცი (ძირითადად ახტალაში ვერცხლის მოპოვებაზე მომუშავე ბერძნები).

22-29 სექტემბერი. ქართველთა და რუსთა ჯარი ბორჩალოში იდგა და ელოდა, ახტალაში მყოფი ომალრ ხანი როდის გააგრძელებდა ლაშქრობას. ახტალაზე შეტევა ტყის მასივებში გამავალი და არტილერიის გადაადგილებისათვის გამოუსადეგარი გზების გამო სახიფათოდ მიიჩნიეს.

26 სექტემბერი. ომარ ხანმა თავი აარიდა ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ჯართან ბრძოლას და ახტალიდან **ლორეს** ციხის მიმართულებით გაემართა. ლეკები ქართველთა და რუსთა ბანაკიდან 45 ვერსზე, სოფელ **უზუნლართან,** შეჩერდნენ. ლეკთა რაზმებმა ლორეს გარშემო სოფლები გადაწვეს. ერეკლე II-მ ლორეს ციხის გარნიზონის დასახმარებლად 70 მებრძოლი გაგზავნა. 5.000 ქართველი მებრძოლითა და ორი რუსული ბატალიონით ომარ ხანის მთავარი ძალების წინააღმდეგ შეტევის დაწყება მეფეს გაუმართლებლად მიაჩნდა. მეფე ერეკლე კავკასიის ხაზიდან რუსეთის ჯარის შემოსვლას ელოდა. მისი ბრძანების მიუხედავად, თავადებმა თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის ციხეების გარნიზონების გასაძლიერებლად მებრძოლები არ გაგზავნეს და თავიანთ ციხეებში გამაგრძნენ. თუმცა მკაცრ ზომებს მიმართავდა, მეფემ ბორჩალოში მდგარ ქართულ ჯარში დეზერტირობა ვერ აღკვეთა.

28 სექტემბერი. ქართულ ჯარში მხოლოდ 3.000 მებრძოლი დარჩა.

ომარ ხანმა სოფელი უზუნლარი დატოვა და ლორეს ციხეს შეუტია, მაგრამ ციხის გარნიზონმა ლეკების შეტევა მოიგერია.

29 სექტემბერი. ლეკებს ლორეს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. ომარ ხანმა ერეკლე II-ს შემდეგი პირობა წაუყენა: თითოეულ ტყვეში მეფეს უნდა გადაეხადა გამოსასყიდი 50 მანეთის ოდენობით, ხოლო ომარ ხანისათვის ყოველწლიურად მიეცა 10.000 მანეთი.

30 სექტემბერი. ერეკლე II-მ ომარ ხანს ასეთი პასუხი შეუთვალა: თითოეულ ტყვეში გადაიხდიდა 45 მანეთს, ნახევარ თანხას ნაღდი ფულით, ნახევარს – ფარჩის ქსოვილით. ომარ ხანს ლაშქარი მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე უნდა გადაეყვანა და მოლაპარაკება სხვა პირობებზე ამის შემდეგ დაიწყებოდა. ომარ ხანმა მეფის პირობები არ მიიღო.

2 ოქტომბერი. ერეკლე II ვარაუდობდა, რომ ომარ ხანი ახალციხეში გადავიდოდა, სულეიმან ფაშასაგან მებრძოლებსა და ზარბაზნებს მიიღებდა და თბილისზე დაიძვრებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფემ ბანაკი მდინარე ქციის ნაპირას, სოფელ მარნეულთან, თბილისიდან 40 ვერსზე გადაიტანა.

3 ოქტომბერი. ომარ ხანი ფარავნის ტბასთან იმყოფებოდა, საიდანაც ახალქალაქისაკენ გაემართა და შემდეგ ახალციხეში ჩავიდა. ერეკლე II-მ ქართული ჯარის ძირითადი ნაწილის თბილისთან თავმოყრა გადაწყვიტა[281].

ქართლ-კახეთში ომარ ხანის ლაშქრობის პარალელურად ქართლში ახალციხიდან ხშირად შემოდიოდნენ მარბიელი რაზმები და ქვეყანას აწიოკებდნენ. ახალციხის ფაშა სულეიმანს ოსმალეთის სულთნისაგან აკრძალული ჰქონდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის ღიად დაწყება. სულთნის ფირმანში ეწერა: „ნუ შეეხები მწოლიარე ხარსა და ნუ აიძულებ წამოდგეს“[282]. მიუხედავად ამისა, სულეიმან ფაშა ლეკებს ქართლის დარბევაში ფარულად უწყობდა ხელს.

ოსმალეთის ემისრები მთელ კავკასიას მოედვნენ, დაღესტნელების

---

[281] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 180-182; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 139-144

[282] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 182-183; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 144.

გარდა, კავშირი დაამყარეს ოსებთან. ოსმალო ემისრები ოსებს სთხოვდნენ ჩაეკეტათ კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ მიმავალი ერთადერთი გზა, რათა რუსებისათვის ჯარების გადასროლის საშუალება არ მიეცათ. მართალია, ოსებმა თავი შეიკავეს რუსეთის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისაგან, მაგრამ ოსმალეთის ემისრებმა წარმატებას მიაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში და ისინი რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე დაითანხმეს[283].

თბილისში მყოფმა ერეკლე II-მ შემაშფოთებელი ამბავი შეიტყო: ბამბაკის მოსახლეობა ლეკების თავდასხმის შიშით აყრილა და ერევნის სახანოში გადასულა, ხოლო ნაწილს ყარსამდე ჩაუღწევია. მეფეს ისიც შეუტყვია, რომ ახალციხის ფაშა **სულეიმანს**, ერევნის ხანისათვის ბამბაკიდან შეხიზნული მოსახლეობის მისთვის გადაცემა მოუთხოვია[284]. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით. ამ დროისათვის **იბრაჰიმ ხანი** ჯერ კიდევ განჯასთან იდგა. ხანმა განჯის ციხის აღება სცადა, მაგრამ მალე დიდი ზარალით უკან დაიხია. განჯასთან დამარცხებულმა იბრაჰიმ ხანმა ტაქტიკა შეცვალა და ერეკლე მეფესთან ურთიერთობის მოგვარება მოინდომა. ხანმა მეფეს წერილი მისწერა და მომხდარი ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს განჯის ციხის იერიშისას კი არ დამარცხებულა, არამედ უკან ერეკლე II-ის რჩევის გამო დაიხია. იბრაჰიმ ხანი მეფეს არწმუნებდა, რომ მასთან მეგობრობა და კავშირი სურდა. ყარაბაღის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს ასევე აცნობა, რომ მან ომარ ხანთან თავის წარმომადგენელი გაგზავნა და ერეკლე მეფესთან დაზავება ურჩია. ომარ ხანს იბრაჰიმ ხანის რჩევა არ მიუღია, რის გამოც იბრაჰიმ ხანს გადაუწყვეტია ომარ ხანის წინააღმდეგ ჯარით დახმარებოდა ერეკლე მეფეს[285]. ერეკლე II იბრაჰიმ ხანს არ ენდობოდა. ამიტომ იყო, რომ ჯარით დახმარებაზე უარი უთხრა, სამაგიეროდ, დასთანხმდა ფულითა და შეიარაღებით დახმარების მიღებაზე. იბრაჰიმ ხანს არც ფული და არც იარაღი მეფისათვის არ გამოუგზავნია[286].

---

[283] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 144-145.

[284] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 145.

[285] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 145.

[286] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 145; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с

ომარ ხანი ლაშქრითურთ ახალქალაქში იდგა. სულეიმან ფაშამ მას 100 ქისა ოქრო გაუგზავნა, რათა ლაშქრისათვის ხელფასი დროულად დაერიგებინა. ამჯერად სულეიმან ფაშა ომარ ხანს საქართველოზე ახალი ლაშქრობისაკენ აქეზებდა. სულეიმან ფაშამ იმერეთის მეფე დავით გიორგის ძეს შეუთვალა: სულთანი იმერეთის მეფეს ხმლითა და ქურქით დააჯილდოვებს, ასევე ფირმანს უბოძებდა, სამაგიეროდ, იმერეთის მეფე სულეიმან ფაშასა და ომარ ხანს უნდა მიმხრობოდა. იმერეთის მეფემ ახალციხის ფაშას უარი შეუთვალა. გაგულისებული ომარ ხანი 1785 წლის 25 ოქტომბერს იმერეთში გადავიდა[287].

1785 წლის 27 ოქტომბერს ომარ ხანმა 6.000 ლეკითა და ახალციხიდან მასთან იმერეთში სალაშქროდ წასული 1.000 მებრძოლით იმერეთის საზღვარზე მდებარე **ვახანის** ციხეს შეუტია, რომელიც თავად **ქაიხოსრო აბაშიძეს** ეკუთვნოდა. შეიტყო თუ არა ვახანის ციხის ალყის ამბავი, ერეკლე მეფე ცხენოსანი ჯარით თბილისიდან გორისაკენ გაემართა, ხოლო თბილისიდან გასული ორი რუსული ბატალიონი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის მეთაურობით მუხრანის ველზე დაბანაკდა[288]. ერეკლე მეფეს სურდა რუსის ჯარისათვის გორში პროვიანტი მოემზადებინა. მეფე სტეპან ბურნაშევს სთხოვდა საგანგებო შეტყობინებამდე მუხრანის ველზე დარჩენილიყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ ერეკლე II-ს დამაჯერებლად არ მიაჩნდა ცნობა ლეკთა და ოსმალთა ჯარის მიერ ვახანის ციხის ალყის შესახებ. საქმე ის იყო, რომ სულეიმან ფაშას და ქაიხოსრო აბაშიძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ვახანის ციხის ალყის შესახებ დადასტურებული ცნობა მეფემ 28 ოქტომბერს მიიღო და, თავის მხრივ, ბურნაშევს სასწრაფოდ აცნობა, რომ რუსული ბატალიონები ქართულ ჯარს დასწეოდნენ. მეფემ რუს პოლკოვნიკს ისიც შეუთვალა, რომ იმერეთის მეფე დავითი იმერეთისა და სამეგრელოს ჯარით მზად იყო საბრძოლველად[289]. გორში ჩასულ სტეპან ბურნაშევს მხოლოდ დღე-ნახევრის პროვიანტი დახვდა. პოლკოვნიკმა გორში დატოვა მთელი აღალი,

---

1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 182-183.

[287] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 183-184; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 146.

[288] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 146.

[289] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 146.

ასევე ავადმყოფი ჯარისკაცები და თვითონ დასავლეთის მიმართულებით გააგრძელა სვლა. 1785 წლის 30 ოქტომბერს რუსის ჯარმა სურამს მიაღწია. იმავე დღეს სურამში ერეკლე II-ის სარდლობით ქართული ჯარიც შევიდა. მეფეს მხოლოდ 1.500 მებრძოლი (ზოგიერთი ცნობით, 1.200 მებრძოლი) ახლდა. ქართველთა და რუსთა ჯარი სურამში ორი დღე შეჩერდა. ამ დროისათვის (30-31 ოქტომბრისათვის) ომარ ხანი კვლავ ვახანის ციხის ალყას აგრძელებდა[290].

ომარ ხანს ლაშქრობაში თან ახლდა ქართველი თავადი **გედევანი** (რუსულ წყაროში გვარი არ იხსენიება – ვ. გ.). თავადმა გედევანმა ქაიხოსრო აბაშიძე (იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ქალიშვილის, დარეჯანის, მეუღლე) და კიდევ ორი თავადი აბაშიძეთა საგვარეულოდან ომარ ხანთან მოლაპარაკების მიზნით ციხიდან გამოიტყუა. ქაიხოსრო აბაშიძეს იმედი ჰქონდა, რომ ომარ ხანთან მოლაპარაკებაში მას დაეხმარებოდნენ თავადი **პაპუნა წერეთელი** და თავადი **აბაშიძე** (ქაიხოსრო აბაშიძის ნათესავი), რომლებმაც ომარ ხანი ახალციხიდან იმერეთში გადაიყვანეს და ვახანის ციხის ალყისას ისევ ომარ ხანის ბანაკში იმყოფებოდნენ. ლეკებმა ქაიხოსრო აბაშიძე და მისი თანმხლები ორივე თავადი შეიპყრეს. ვახანის ციხის გარნიზონს ბრძოლის გაგრძელება ჯერ კიდევ შეეძლო. ლეკებმა ხერხს მიმართეს და ციხის დამცველთა თვალწინ ტყვედ აყვანილი თავადების წამება დაიწყეს. ვახანის ციხე დანებდა. ამ დროისათვის ციხეში ორივე სქესის დაახლოებით 700 ადამიანი იყო თავშეფარებული. ომარ ხანმა თავადების გარდა ყველა მამაკაცი დახოცა, ციხე კი დაანგრია. ტყვედ იქნა აყვანილი ორი ქალი აბაშიძეთა საგვარეულოდან. ერთი მათგანი ომარ ხანმა ცოლად შეირთო და სახელად **ჯავარ ხანუმი** უწოდა. ჯავარ ხანუმად წოდებულმა წერეთლის ქალმა ომარ ხანის სიკვდილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. მეორე ქალი, **ელენე წერეთელი**, ომარ ხანმა ყარაბაღის ხანს იბრაჰიმს გაუგზავნა ცოლად[291].

---

[290] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 146-147.

[291] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 183-184; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 146-147, Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго

მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარითა და რუსეთის ჯარის ორი ბატალიონით იმერეთის ჯართან შეერთებას 1785 წლის 1 ნოემბერს გეგმავდა. მოულოდნელად, 1 ნოემბერს, მეფემ ცნობა მიიღო, რომ ვახანის ციხის გარნიზონი დანებდა. ომარ ხანის მიერ ვახანის ციხის აღებამ ერეკლე II აიძულა ლაშქრობა შეეწყვიტა. ერეკლემ იმერეთის მეფეს შეუთვალა, რომ ომარ ხანის ლაშქრისათვის შეეტია, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსის ჯარი ომარ ხანის ლაშქარს ქართლში გადასასვლელ გზას მოუჭრიდა. ერეკლე მეფის ვარაუდი არ გამართლდა, ომარ ხანს უკან ქვიშხეთის გავლით არ დაუხევია. იგი იმერეთიდან მთებზე გადავლით პირდაპირ ახალციხეში გადავიდა[292]. სტეპან ბურნაშევი ორი რუსული ბატალიონით მტკვრის ნაპირს გაჰყვა და სოფელ ჭალასთან შეჩერდა. ჭალაში მივიდა ერეკლეც ქართული ჯარით. ჭალაში მყოფ ერეკლე მეფეს იმერეთის მეფე დავითმა შეატყობინა, რომ, გავრცელებული ხმების მიხედვით, ომარ ხანი ქუთაისზე თავდასხმას აპირებდა[293]. შექმნილ ვითარებაში მცირერიცხოვანი ქართული ჯარით და ორი რუსული ბატალიონით ერეკლე II იმერეთის მეფეს დახმარებას ვერ აღმოუჩენდა.

ომარ ხანის ლაშქრის დამარცხება შეუძლებელი გახდა. ქართველთა და რუსთა ჯარს ამისათვის ძალები არ ყოფნიდათ. პაველ პოტიომკინმა ომარ ხანს 1785 წლის 29 ნოემბერს 1.000 ჩერვონეცი გაუგზავნა საჩუქრად, რაც საკმარისი სულაც არ იყო ლაშქრობის შესაწყვეტად.[294] მტერი უმოწყალოდ ულეტდა და იტაცებდა ადამიანებს, აჩანაგებდა სოფლებს. მეფე ერეკლე იძულებული გახდა ომარ ხანთან მოლაპარაკება დაეწყო[295]. 1785 წლის 22 დეკემბერს მეფესთან ომარ ხანის წარმომადგენლები გამოცხადნენ და ხანის პირობები გააცნეს. ხანი ითხოვდა: 1) 10.000 მანეთს წლიურად დაღესტნელთა ბელადებისათვის; 2) 10.000 მანეთს წლიურად პირადად მისი ჯამაგირის სახით. მეფის პირობა ასეთი

военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 206-207.

[292] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 148.

[293] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 148.

[294] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 187.

[295] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 149.

იყო: ომარ ხანი დაუყოვნებლივ მიიღებდა 10.000 მანეთს, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად – 4.000 მანეთს.[296] ზავზე მოლაპარაკების პერიოდს ეკუთვნის ომარ ხანის წერილი ერეკლე მეფისადმი. აი ისიც:

„თქვენი წერილი მივიღე. მწერთ, რომ ან უკვე გარდაცვლილ მამაჩემთან 33 წელი მეგობრობდით და მრავალგზის გამოავლინეთ მისდამი კეთილგანწყობილება, ხოლო მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მე მომაგებდით პატივს. ეს სრული სიმართლეა.

თქვენ გვწერთ, რომ დაგიბრუნოთ ახტალაში აყვანილი ტყვეები. ხელმწიფევ და მამავ ჩვენო! ჩვენ ყოველთვის ვესწრაფოდით თქვენთან მეგობრობას, სურვილი გვქონდა შვილივით დამჯერე ვყოფილიყავით... თქვენ კი შვილებად ჩვენ კი არა, დაღესტნელი ბელადები აღიარეთ... ჩვენ საქართველოში ჯარით საომრად მოვედით, გვინდა ნადავლის აღება და არა თქვენი საბრძოლო დიდების გამრავლება. თუ თქვენ გსურთ სიმართლით განგვსაჯოთ, მაშინ უნდა აღიაროთ: საქართველოში მომხდარის მიზეზი თქვენშია, მაგრამ ჩვენ არ გვახასიათებს თქვენისთანა დიდ ადამიანისათვის პასუხის მოთხოვნა. ტყვედ აყვანილები დაღესტანში არსებული წესის მიხედვით უკვე ჯარს გაუნაწილდა და ამიტომ შეუძლებელია მათი ერთად თავმოყრა."[297]

მოლაპარაკების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება: ომარ ხანი საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, ყოველ ტყვე ქართველში მეფე ერეკლეს უნდა გადაეხადა 50 მანეთი, ხოლო ომარ ხანისათვის ყოველწლიურად უნდა ეძლია 10.000 მანეთი. ომარ ხანმა საქართველოს ტერიტორია დატოვა[298].

ომარ ხანმა უდიდესი ზარალი მოუტანა საქართველოს. ერეკლე II წერდა, რომ შაჰ-აბას II-ის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს ასეთი

---

[296] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр, 185-186, **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 149.

[297] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 186, **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 150.

[298] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 207; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 185.

უბედურება თავს არ დასტეხოდა[299].

მეფე ერეკლე დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი. სამეფო სახლშიც არ იყო თანხმობა. დედოფალი **დარეჯანი** ქართლ-კახეთის სამეფოს უბედურების მიზეზად რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას და გეორგიევსკის ტრაქტატს მიიჩნევდა. დედოფალს მხარს უჭერდა რამდენიმე თავადი.[300] ქართული წყაროების მიხედვით, ანტირუსული მამართულების სულისჩამდგმელები იყვნენ **სოლომონ ლიონიძე** და **დავით ორბელიანი**[301]. ერეკლე II კვლავ რუსეთზე ამყარებდა იმედს. ომარ ხანთან ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ, 1785 წლის დეკემბერში ერეკლე II გრიგორი პოტიომკინს საქართველოში დამატებითი ჯარის გამოგზავნას სთხოვდა. იმავდროულად, მეფე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს რუსეთის საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა ყოველი ღონე ეხმარა ჯარის გამოგზავნის დასაჩქარებლად[302]. უაღრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეფეს გარსევან ჭავჭავაძე არწმუნებდა, რომ გრიგორი პოტიომკინს ერეკლე მეფის ქალიშვილზე სურდა დაქორწინება. გარსევან ჭავჭავაძე მეფეს სთავაზობდა ქალიშვილი გრიგორი პოტიომკინისათვის მიეთხოვებინა, შემდეგ სიძე თავის ვასალად გამოეცხადებინა და ებოძებინა მისთვის სამფლობელო დარიალიდან ანანურამდე[303]. გარსევან ჭავჭავაძის აზრით, გრიგორი პოტიომკინი დარიალში ციხე-სიმაგრეს ააშენებდა, ალაგმავდა ოსებს და უზრუნველყოფდა კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის უსაფრთხოებას. გარსევან ჭავჭავაძე ასევე არწმუნებდა მეფეს, რომ ანანური გადაიქცეოდა მშვენიერ ევროპულ ქალაქად თავისი ფაბრიკებით, ვაჭრებით, მხატვრებით და ევროპული წესრიგით[304]. გარსევან

---

[299] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 188, **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 150-151.

[300] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151.

[301] **სარგის კაკაბაძე.** საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. ტფილისი, 1922, გვ.233.

[302] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 151.

[303] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 151.

[304] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-

ჭავჭავაძის გეგმა არ განხორციელდა. ირანმა ქართლ-კახეთის სამეფო იმდენად დაასუსტა, რომ გრიგორი პოტიომკინმა ხელი აიღო სამხრეთ კავკასიაში ძლიერი ქართული სახელმწიფოს იდეის განხორციელებაზე, მან მიზნად დაისახა საერთო კავკასიური ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა[305].

§ 5. რუსეთის ჯარი და ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობა (1785-1787 წწ.)

ომარ ხანის ლაშქრობის შემდეგ 1785 წლის მიწურულიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ჭარ-ბელაქნისა და ახალციხის მხრიდან ლეკთა ახალი თავდასხმის საშიშროება დაემუქრა. ერეკლე II-მ კვლავ რუსეთს მიმართა და სამეფოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად 30.000 მანეთი ითხოვა. პაველ პოტიომკინი 1786 წლის 28 იანვარს გრიგორი პოტიომკინს სწერდა, რომ მან მეფე ერეკლეს 4.000 ჩერვონეცი გაუგზავნა და იმ არტილერიის გაგზავნასაც დაპპირდა, რომლიც იმპერატორმა ეკატერინა II-მ მეფეს 1784 წელს მეფეს აჩუქა[306].

რუსეთისაგან მიღებული ფული ერეკლე II-მ სტეპან ბურნაშევს გადასცა და თანაც გააფრთხილა: რუსეთიდან ფულის მიღება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და მეფის ნათესავებს არ უნდა შეეტყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფული დაიხარჯებოდა. სტეპან ბურნაშევმა მეფის გაფრთხილება მიიღო. ერეკლე II სტეპან ბურნაშევს სთხოვდა ეშუამდგომლა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის კონტინგენტის გაზრდის თაობაზე. მეფე პოლკოვნიკს არწმუნებდა, რომ ორი რუსული ბატალიონი საკმარისი არ იყო ლეკთა თარეშის აღსაკვეთად[307]. ერეკლე მეფის ნათქვამი მალე დადასტურდა. 1786 წლის მარტში ჭარ-ბელაქანში მოკალათებულმა ლეკებმა მდინარე ალაზანი გადმოლახეს და საქონელი გარეკეს. ახალციხიდან, მდინარე მტკვრის ხეობით შემოჭრილმა ლეკებმა სურამის მიდამოები გაძარცვეს და ტყვედ 20 ადამიანი აიყვანეს.

Петербург,1886, стр. 151-152.

[305] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 151-152.

[306] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 205-206.

[307] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 206.

მეფე ერეკლემ შეიტყო თუ არა ლეკთა თავდასხმის ამბავი, 2.000 ქართველი და 150 რუსი მებრძოლით თბილისიდან გავიდა, მაგრამ 17 ვერსის გავლის შემდეგ ლაშქრობა შეწყვიტა, სამი დღე ბანაკად იდგა და შემდეგ ქალაქში დაბრუნდა. სტეპან ბურნაშევის 1786 წლის 13 მარტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ლაშქრობის შეწყვეტის მიზეზი სურსათის უქონლობა იყო[308]. სტეპან ბურნაშევი აღნიშნავს, რომ რუსული ბატალიონების დანაწილება და ქართულ ჯართან გაერთიანება მიზანშეწონილი არ იყო, ხოლო რუსეთის ორი ბატალიონის ერთად გადაადგილებისათვის საჭირო სურსათის რაოდენობა მეფეს არ გააჩნდა. სტეპან ბურნაშევი წერს, რომ რუსული ბატალიონები სურსათის უქონლობას არამარტო ლაშქრობის დროს განიცდიდნენ, არამედ თბილისში ყოფნისასაც[309]. მეფე ერეკლე სტეპან ბურნაშევს არწმუნებდა, რომ სამეფოში პურის სერიოზული მარაგი არსებობდა, რაც საკმარისი იყო არა მარტო ორი რუსული ბატალიონის გამოსაკვებად, არამედ რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის გამოსაკვებადაც[310]. მეფე კიდევ ერთხელ სთხოვდა რუს პოლკოვნიკს ეშუამდგომლა რუსეთის ჯარის დამატებითი ნაწილების გამოგზავნის თაობაზე, რადგან უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ ლეკები კვლავ შემოიჭრებოდნენ სამეფოს ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, სტეპან ბურნაშევსაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ლეკები კვლავ გააგრძელებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ძარცვას. 1786 წლის 18 აპრილს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინს მოახსენებდა, რომ ახალციხის ფაშა სულეიმანი ომარ ხანს ფულს უგზავნიდა და ახალი ლაშქრობის დაწყებისაკენ მოუწოდებდა[311]. ომარ ხანს წესად ჰქონდა ორ ან სამ მხარესთან ერთად ეწარმოებინა მოლაპარაკება და შემდეგ ყველაზე უფრო სარფიანი გადაწყვეტილება მიეღო. ომარ ხანმა სულეიმან ფაშას შემოთავაზება მიიღო და 7.000 მებრძოლით ახალციხეში ჩავიდა. 7.000 ლეკი მებრძოლისაგან იქმნებოდა ცალკეული რაზმები, რომლებიც თითქმის ყოველდღე შეიჭრებოდნენ ხოლმე ქართლში. ერთმა

---

[308] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 206.

[309] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 206.

[310] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 207.

[311] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 207.

ასეთმა რაზმმა თითქმის თბილისამდე მიაღწია და 300 ცხენი გაიტაცა. ლეკებს უფლისწული გიორგი დაედევნა, მაგრამ უშედეგოდ[312].

ოსმალეთთან ომის დაწყებამდე რუსეთის იმპერიის დიპლომატია ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში ვითარების განმუხტვის მიზნით ერეკლე II და სულეიმან ფაშა შეერიგებინა. გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის მეფისა და ახალციხის ფაშას შერიგება დროებითი მოვლენა იყო და მას სავსებით კონკრეტული მიზანი ჰქონდა – რუსეთს დროის მოგება სჭირდებოდა. კონკრეტული მიზანი ჰქონდა ერეკლე მეფესაც: ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტის შემოსვლამდე ომარ ხანთან ბრძოლით დასუსტებული ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარი ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებდა. ერეკლე II-ისა და გრიგორი პოტიომკინის მიმოწერიდან ირკვევა, რომ ზავი ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მაშინვე დაირღვეოდა, როცა რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტი შემოვიდოდა.[313] სულთანიც სავსებით გარკვეული მიზნით დასთანხმდა ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას შერიგებას. მას ეშინოდა, რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ ერეკლე II ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე არ შეჭრილიყო.[314] ოსმალეთის სულთნის თანხმობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის ფაშას დაზავებაზე სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლასა და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლას შეურიგდებოდა.

ერეკლე II-სა და სულეიმან ფაშას შორის მოლაპარაკების უმთავრესი საკითხი საფაშოს ტერიტორიაზე ლეკთა რაზმების ყოფნას ეხებოდა. მეფემ სულეიმან ფაშას სთხოვა საფაშოს ტერიტორიაზე ლეკები არ გაეჩერებინა და არ მიეცა მათთვის ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიის დარბევის საშუალება. ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას შორის გამართული მოლაპარაკებას თვალყურს ადევნებდა პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი. 1786 წლის 31 მაისს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინს

---

[312] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 207.

[313] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.228.

[314] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.228.

მოახსენებდა: სულეიმან ფაშა ერეკლე მეფეს დაჰპირდა, რომ მის თხოვნას შეასრულებდა მხოლოდ ერთი პირობით: მეფეს ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ რუსეთის ჯარი და იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ ნაბოძები არტილერია არ უნდა გამოეყენებინა, ასევე, ოსმალეთთან ომში რუსეთის ჯარისათვის დახმარება არ უნდა აღმოეჩინა. სტეპან ბურნაშევი იმასაც სწერდა, რომ ახალციხის ფაშას მიერ წამოყენებული პირობის შესრულების შემთხვევაში ოსმალეთის სულთანი ქართლ-კახეთის მეფეს განჯის, ერევნისა და სხვა სახანოებს დაუქვემდებარებდა[315]. ერეკლე II-ს პირობები არ მიუღია და სულეიმან ფაშასათვის უცნობებია: ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში იმყოფება და იმპერატორის გვერდის ავლით უფლება არ მაქვს ვინმესთან მოლაპარაკება ვაწარმოოო[316]. გაგულისებულ სულეიმან ფაშას მხრიდან პასუხმაც არ დააყოვნა. ლეკთა რაზმები მოედვნენ ქართლს: ერთი რაზმი მდინარე ალგეთზე, თბილისიდან 30 ვერსის მოშორებით გამოჩნდა, მეორე – მცხეთასთან, მესამე – ქარელთან, მეოთხე – დიღომთან, მეხუთე – სურამთან[317].

1786 წელს ახალციხის მხრიდან შემოსული ლეკების მიერ ქართლის დარბევა და ადამიანების გატაცება ოსმალეთის მხრიდან რუსეთის იმპერიის ინტერესების შელახვას ნიშნავდა. რუსეთმა ოსმალეთის სულთანს მოსთხოვა სულეიმან ფაშასათვის ახალციხეში ლეკების თავმოყრა და მათი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შეგზავნა აეკრძალა. 1786 წლის 17 აპრილს იმპერატორმა ეკატერინა II-მ რუსეთის ელჩს სტამბოლში **იაკოვ ბულგაკოვს** სპეციალური ბრძანება გაუგზავნა. იმპერატორი წერდა, რომ ელჩს ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის პროტესტი წერილობით უნდა გადაეცა. რუსეთის მოთხოვნა ასეთი იყო: სულთანს ახალციხის ფაშა უნდა აეძულებინა შეეწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევა, სამაგიეროდ, რუსეთი არ დაერღვევდა ოსმალეთთან დადებულ ზავს[318] (იგულისხმება 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი – ვ. გ.).

---

[315] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 207.

[316] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

[317] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

[318] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

სანამ ეკატერინა II-ის ბრძანება სტამბოლში ჩააღნევდა და რუსეთის ელჩი იაკოვ ბულგაკოვი ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტას გადასცემდა, სულეიმან ფაშა მტრულ მოქმედებას აგრძელებდა. ფაშამ ხმები გაავრცელა, რომ სულთანმა მას საჩუქრები და 44.000 ჩერვონეცი გამოუგზავნა. საჩუქრები და ფული განკუთვნილი იყო აზერბაიჯანელი ხანებისა და დაღესტნელი მფლობელებისათვის, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოზე ერთობლივი ლაშქრობა უნდა მოეწყოთ. იმავე ხმების მიხედვით ომარ ხანი კახეთში უნდა შეჭრილიყო, სულეიმან ფაშა – ქართლში, აზერბაიჯანელი ხანები – ყაზახსა და შამშადილუში[319]. ერეკლე II ამ ხმებმა სერიოზულად შეაშფოთა. 1786 წლის 6 აგვისტოს მეფემ პაველ პოტიომკინს დახმარებისთვის მიმართა. მეფემ იცოდა, რომ სანამ პაველ პოტიომკინი სანკტ-პეტერბურგიდან ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის უფლებას მიიღებდა, ლეკები სამეფოს გააჩანაგებდნენ. ამიტომ იყო, რომ იგი გენერალს სთხოვდა ჯარის დამატებითი კონტიგენტი მანამ გამოეგზავნა, სანამ სანკტ-პეტერბურგიდან ნებართვას მიიღებდა[320].

ერეკლე II-ის დაჟინებულმა თხოვნამ ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული ჯარის კონტინგენტის გაზრდის თაობაზე გარკვეული შედეგი გამოიღო. იმპერატორმა ეკატერინა II-მ უკვე მეორედ დაავალა რუსეთის ელჩს, სტამბოლში იაკოვ ბულგაკოვს პროტესტი განეცხადებინა ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის. მოთხოვნის შინაარსი იგივე იყო: სულთანს ახალციხის ფაშასათვის ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში შეჭრა უნდა აეკრძალა[321].

რუსეთის იმპერატორის მეორე პროტესტის შემდეგ ოსმალეთის სულთანმა არზრუმის, ვანის, ყარსისა და ახალციხის ფაშებს ფირმანი გაუგზავნა და ქართლ-კახეთის მეფესთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება უბრძანა. თავის მხრივ, ფაშებმა ერეკლე II-ს მეგობრობის დამადასტურებელი წერილები გამოუგზავნეს. განსაკუთრებით გამოიდო თავი არზრუმის ფაშა **ბათალიმ**, რომელიც მალე სულთანმა სერასკირად

---

[319] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 209.

[320] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 209.

[321] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 210.

დანიშნა. ბათალი ფაშა მეფეს სწერდა, რომ მისი კეთილდღეობა ოსმალეთის სულთნის მფარველობაზე იყო დამოკიდებული. ფაშას არც ის დაუმალავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა უბედურება რუსეთის მფარველობაში შესვლით იყო გამოწვეული.[322] 1786 წლის 31 ივლისს ბათალი ფაშას წერილი მეფე ერეკლემ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს, გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს გადაუგზავნა. მეფე გენერალს ჯარის დამატებითი ნაწილების გამოგზავნას სთხოვდა. [323]

ერეკლე II-ის შეშფოთებას სავსებით რეალური საფუძველი ჰქონდა. სულთანმა ახალციხის ფაშას აუკრძალა ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შეჭრა, რათა ამ გზით თავი აერიდებინა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამავე დროს, ოსმალეთის სულთანი რუსეთთან ომის დაწყებისათვის ემზადებოდა[324]. 1786 წელს ფოთში შემოვიდა საბრძოლო მასალითა და სურსათით დატვირთული 2 სამხედრო და 15 სატრანსპორტო გემი. ბათუმსა და ფოთში ოსმალებმა გემებიდან გადმოზიდეს ზარბაზნები, მდინარე რიონსა და პალიასტომის ტბას შორის დაიწყეს მცირე სიმაგრეების მშენებლობა, სადაც შეჰქონდათ ზარბაზნები. მშენებლობას ხელმძღვანელობდა სტამბოლიდან ჩამოსული ოთხი უცხოელი სპეციალისტი. სიმაგრეებში დადგმული ზარბაზნების ამოქმედებისათვის უცხოელმა სპეციალისტებმა მოამზადეს 60 ოსმალო ჯარისკაცი. გავრცელდა ხმები, რომ ანატოლიაში თავმოყრილი იყო ოსმალეთის არმია (35.000 მებრძოლი), ხოლო ახალციხეში ჩასულ ოსმალო ფაშას დავალებული ჰქონდა შეეკრიბა დაახლოებით 12.000 ლეკი[325].

1786 წელს საქართველოს საზღვრებთან ოსმალეთის ჯარის თავმოყრა ეწინააღმდეგებოდა სულთნის ბრძანებას, რომელიც სულეიმან ფაშას ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში შეჭრას უკრძალავდა. თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში შეჭრისათვის არ ემზადებოდა. სულთანი ცდილობდა საქართველო-ოსმალეთის საზღვარი იმდენად გაემაგრებინა, რომ ოსმალეთის ტერიტორიაზე რუ-

---

[322] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.228-229.

[323] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.229.

[324] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 210.

[325] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург, 1886, стр. 210-211.

სეთის ჯარის შეჭრა აეცილებინა თავიდან[326]. ოსმალეთის მზადებასთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II სავსებით გარკვევით ამბობდა: არანაირი აუცილებლობა რუსეთს არ გააჩნია, რომ ოსმალეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით სცადონ შეჭრა, ოსმალებს ალბათ ახსოვთ, გემების გარეშე რუსებმა როგორ გადალახეს მდინარე დუნაი, ისიც არ დავიწყებიათ, როგორ დაეცა ოსმალეთის ციხე-სიმაგრეები, ჩვენი მხედართმთავრები იქ არ შეუტევენ, სადაც მათ ელოდებიან[327].

ანატოლიასა და ახალციხეში ოსმალეთის ჯარის თავმოყრის შესახებ ცნობამ ძალზე შეაშფოთა ერეკლე II, შეშფოთებული იყო სტეპან ბურნაშევიც. ამ დროისათვის სტეპან ბურნაშევს ორი ბატალიონიდან (დაახლოებით 1.500 მებრძოლი) მწყობრში მხოლოდ 1000 მებრძოლი ჰყავდა. დანარჩენი ჯარისკაცები ან ავადმყოფობდნენ ან ავადმყოფობის შემდეგ იმდენად სუსტად იყვნენ, რომ ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. რუს პოლკოვნიკს აფიქრებდა ისიც, რომ მის განკარგულებაში არ იყო ძლიერი საკავალერიო რაზმი. სტეპან ბურნაშევს აფიქრებდა ისიც, რომ ლაშქრობის დაწყება რუსულ ბატალიონებს პროვიანტის მარაგის გარეშე მოუწევდათ[328].

გენერალმა პაველ პოტიომკინმა ომის შემთხვევისათვის გარკვეული ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1786 წელს რუსეთის ჯარისა და ოსების დახმარებით დაიწყო კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის შეკეთება, ვლადიკავკაზის სიმაგრესთან თავი მოიყარა რუსეთის ჯარის სამმა ქვეითმა ბატალიონმა, დრაგუნთა ოთხმა ესკადრონმა და კაზაკთა პოლკმა. საჭიროების შემთხვევაში ეს სამხედრო ძალა ქართლ-კახეთის მეფის დასახმარებლად უნდა დაძრულიყო[329]. ახალციხის ფაშას ოსთა შორის ბევრი მოენე ჰყავდა, ამიტომ კარგად იყო ინფორმირებული კავკასიის ხაზზე რუსეთის ჯარების განლაგებასა და ვლადიკავკაზის სიმაგრესთან რუსეთის ჯარის თავმოყრის შესახებ. ოსეთიდან მოსულ ცნობებთან ერთად სულეიმან ფაშამ მიიღო ცნობა სამხრეთ კავკასიის

---

[326] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 211.

[327] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 211.

[328] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 211-212.

[329] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 212.

საზღვრებთან დაჯგუფებული ოსმალეთის ჯარების სარდლად **ბათალი ფაშას** დანიშვნის შესახებ. სულეიმან ფაშას ბათალი ფაშას ჯარისა და რუსეთის ნაწილების ახალციხესთან მიახლოებისა ერთნაირად ეშინოდა. სულეიმან ფაშა ბათალი ფაშას პირად მტრად მიიჩნევდა, ამიტომ სულაც არ სურდა, რომ საფაშო მისი კონტროლის ქვეშ გადასულიყო. ახალციხის ფაშა მანევრირების გზას დაადგა. 1786 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვიდა სულეიმან ფაშას ელჩი და ერეკლე II-ს საზავო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ ხელშეკრულების დადების საკითხს ოსმალეთის დიდ ვეზირთან იგი პირადად შეათანხმებდა. ერეკლე II-ს ახალციხის ფაშას წინადადება ცოტა უცნაურად ეჩვენა. მეფემ არ იცოდა, რომ სულეიმან ფაშას სავსებით კონკრეტული მიზანი ჰქონდა დასახული. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ სულეიმან ფაშა ოსმალეთის დიდ ვეზირს დაარწმუნებდა, რომ ქართლ-კახეთის მხრიდან ოსმალეთის საზღვრებს საფრთხე არ დაემუქრებოდა. ამ შემთხვევაში ოსმალეთის ჯარების თავმოყრა სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან აუცილებელი აღარ იქნებოდა, რაც, ცხადია, ხელს აძლევდა ერეკლე II-საც[330]. ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას ელჩის მოლაპარაკება ისე დასრულდა, რომ მეფეს საქმის კურსში არ ჩაუყენებია ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) და ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის მეთაური პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი[331].

მოლაპარაკება ერეკლე მეფესა და სულეიმან ფაშას შორის ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა. ფაშა მეფეს შემდეგ პირობებს უყენებდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანა; თუ ეს არ მოხერხდებოდა, არ უნდა გაზრდილიყო სამეფოში რუსეთის ჯარის რაოდენობა; 2. ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისათვის 1784 წელს ნაბოძები არტილერია სამეფოს ტერიტორიაზე არ უნდა შემოეტანათ. 3. რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი ახალციხის საფაშოს საზღვრებთან არ უნდა განლაგებულიყო. თუ ერეკლე მეფე ამ პირობებს შეასრულებდა, სუ-

---

[330] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 212-213.

[331] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 213.

ლეიმან ფაშა ვალდებულებას იღებდა: 1.ახალციხეში ლეკებს არ გაა-ჩერებდა; 2. ახალციხის ფაშას განჯისა და ერევნის სახანოებზე პრეტენზია არ ექნებოდა; 3. ახალციხის ფაშა ჩრდილო კავკასიის მუსლიმ მფლობელებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმების შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა. წერილში, რომელშიც პირობები იყო ჩამოყალიბებული, სულეიმან ფაშა ერეკლე მეფეს სწერდა: თუ მეფე საერთოდ ჩამოშორდებოდა რუსეთს, იგი სულთნისაგან დიდ ჯილდოს მიიღებდა და საგანგებლოდ გადაეცემოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე ბევრი ტერიტორია.[332]ცხადია, ამ ტერიტორიებში იგულისხმებოდა განჯისა და ერევნის სახანოები და კიდევ რამდენიმე აზერბაიჯანული სახანო. ყველა ეს სახანო ირანის ნაწილი იყო, ასე რომ, ოსმალეთის სულთანი ქართლ-კახეთის მეფეს ირანის ტერიტორიებს უმტკიცებდა.

სულეიმან ფაშას წინადადებები ერეკლე II-მ არ მიიღო. ამის შემდეგ ახალციხის ფაშამ ერეკლე მეფეს შესთავაზა დადებულიყო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება არა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთს შორის, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის. სულეიმან ფაშას სეპარატისტული განწყობილება მოეწონა ეკატერინა II-ს. 1786 წლის 26 ივლისს იმპერატორი გრიგორი პოტიომკინს სწერდა: „კარგი იქნებოდა, რომ სულეიმან ფაშა დამოუკიდებლობის გზას შესდგომოდა."[333] ცოტა უფრო ადრე რუსმა დიპლომატებმა სულეიმან ფაშას აგრძნობინეს, რომ, თუ იგი ოსმალეთიდან ახალციხის საფაშოს გამოყოფას შეეცდებოდა, რუსეთი მხარს დაუჭერდა. ბოლოს სულეიმან ფაშა შედრკა და საფაშოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელი იაღო ხელსაყრელი ვითარების შექმნამდე. 1786 წლეს 8 სექტემბერს გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა: თუ რუსეთმა ოსმალეთის ომში გაიმარჯვა, სულეიმან ფაშა ჩვენ დაგვემორჩილება, მანამდე კი ფაშას რუსეთთან არანაირი მოლაპარაკების წარმოება არ შეუძლია.[334]

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშ-

---

[332] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.229.

[333] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.229.

[334] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.230.

ვიდობო ხელშეკრულება 1786 წლის 12 სექტემბერს დაიდო. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულებას იღებდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 3.000 მებრძოლზე მეტი; 2) ოსმალეთსა და რუსეთს შორის ზავის მოქმედების პერიოდში ერეკლე II-ს ომი არ უნდა დაეწყო ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ; 3) თუ ახალციხის საფაშოს საზღვრისპირა ტერიტორიის მფლობელები ერეკლე II-ის უფლებებს შელახავდნენ, მეფე თავს დაიცავდა, როგორც ქართული, ისე რუსული ჯარით (3.000 მებრძოლით). ახალციხის ფაშა სულეიმანი ვალდებულებას იღებდა: 1) ახალციხის ფაშას საფაშოს ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ლეკებისა და დაღესტნელების ლაშქარი, ამ უკანასკნელთათვის არ მიეცა ახალციხის საფაშოს მხრიდან ქართლ-კახეთის დარბევის უფლება; ახალციხის ფაშას ლეკებისა და დაღესტნელებისათვის უნდა აეკრძალა ახალციხეში ქართველი ტყვეებით ვაჭრობა; 2) ახალციხის ფაშას საფაშოს საზღვრისპირა ტერიტორიის მფლობელები არ უნდა წაექეზებინა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ; 3) ახალციხის ფაშას ოსმალეთის ჯარი ქართლ-კახეთის საზღვარზე არ უნდა განელაგებინა.[335] ერეკლე II-მ კარგად იცოდა, რომ სულეიმან ფაშას მიერ დადებულ პირობას, არანაირი კავშირი არ დაემყარებინა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებთან და ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებთან ოსმალეთის ჯარების თავმოყრა არ დაეშვა, მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუ ოსმალეთის სულთნის ბრძანება იქნებოდ, ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებთანაც დაამყარებდა ურთიერთობას და ვერც სამეფოს საზღვრებთან ოსმალეთის ჯარების თავმოყრას აღუდგებოდა წინ. მიუხედავად ამისა, ერეკლე II-მ ხელშეკრულება მაინც დადო, დადო იმიტომ, რომ სულეიმან ფაშასა და ლეკებს დროებით მაინც შეეწყვიტათ სამეფო საზღვრებში

---

[335] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 60; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 212-213; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960, გვ. 174; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1977, გვ. 709. **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.207-209.

შემოჭრა[336].

ახალციხის საფაშოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ 1786 წლის 15 სექტემბერს ერეკლე II-მ ოსმალეთის დიდ ვეზირს აცნობა. დიდი ვეზირისათვის გადასაცემი წერილი ერეკლე მეფემ სულეიმან ფაშას ელჩს გაატანა. ასე რომ, სტამბოლში წერილის გაგზავნა საიდუმლოდ არ დარჩენილა. ერეკლე მეფე ოსმალეთის დიდ ვეზირს სწერდა: „მტრის თავდასხმების დროს ჩვენ იძულებულნი ვიყავით დახმარება მეზობლებისათვის გვეთხოვა, თუმცა ამ თხოვნას ხშირად სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. მხოლოდ რუსეთმა ჩვენ და ჩვენს წინაპრებს აღმოგვიჩინა ძლიერი დახმარება. ამიტომ იყო, რომ ჩვენ მივმართეთ რუსეთის უმაღლეს კარს. მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ჩვენ მფარველობა გვიწყალობა და ქვეყნის დაცვისათვის გვიბოძა ჯარი, 3.000 მებრძოლი. უკვე სამი წელი გავიდა რაც რუსის ჯარი ჩემს სამფლობელოშია, მაგრამ სულთნის ქვეშევრდომებისათვის ჩვენ არც ფარულად და არც აშკარად წყენა არ მიგვიყენებია, ხოლო ჩვენს საზღვრებში შემოჭრილ მტერს შეძლებისდაგვარად ვუწევდით წინააღმდეგობას. ამის სანაცვლოდ სულეიმან ფაშამ, როგორც კი გაიგო ჩვენთან რუსეთის ჯარის მოსვლის შესახებ, ახალციხეში დაღესტნელები მოიხმო, რომელთაც ბევრი სოფელი გაგვიძარცვეს, დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს ჩვენი უამრავი ქვეშევრდომი, რადგან ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობაა და ვცდილობთ წყენა არ მივაყენოთ სულთანს, ახალციხიდან განხორციელებული შემოსევები დაუსჯელად დავტოვეთ, რასაც დაადასტურებენ თქვენს ქვეშევრდომობაში მყოფი ჩვენი მეზობლები”[337]. ამ შესავლის შემდეგ ერეკლე II უკვე სულეიმან ფაშასთან ურთიერთობას ეხება და განაგრძობს: „ახლა სულეიმან ფაშას სურს, რომ ჩვენთან მეგობრობა ჰქონდეს. ფაშამ ელჩი გამოგვიგზავნა, რომელთანაც ჩვენ შევთანხმდით: ჩვენთან მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნილი რუსეთის სამიათასიანი ჯარი არ გაიზრდება, სანამ რუსეთი და ოსმალეთი მშვიდობიან ურთიერთობაში იქნებიან. სულეიმან ფაშა გვპირდება, რომ დაღესტნელებს ახალციხეში აღარ მოიწვევს, ხოლო ახალციხეში მყოფ დაღესტნელებს გააძევებს; თავისი ჯარით ზიანს არასდროს მოგვაყ-

---

[336] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 213.

[337] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 213-214.

ენებს; ჩვენი ქვეშევრდომების ახალციხეში ყიდვა-გაყიდვას არ დაუშვებს; ჩვენ მტრებთან არც ფარულად და არც აშკარად ურთიერთობას არ იქონიებს და სულთნის ჯარს ჩვენ საზღვრებთან არ დააყენებს"[338]. დიდი ვეზირისადმი წერილის დაწერის დროს ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ასეთი კონტინგენტი (3.000 მებრძოლი) არ ყოფილა. ერეკლე მეფე წინასწარი განზრახვით ჯარის გაზრდილ რიცხოვნობას უჩვენებდა. ცხადია, ელჩმა ერეკლეს წერილი სულეიმან ფაშას აჩვენა. ფაშა, ცხადია, კმაყოფილი არ დარჩებოდა. სულეიმანს სურდა ერეკლე მეფეს სულთნისათვის მფარველობა ეთხოვა, ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშამ სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა და ახალციხეში ჩასული ერეკლე მეფის ელჩებიც უკან გამოისტუმრა. ფაშა ერეკლეს სწერდა, რომ თუ მეფეს თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობა და ქვეყანაში წესრიგის დაცვა სურდა და თუ არ უნდოდა, რამდენიმე ლეკ მხედარს საქართველო გაენადგურებინა, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. ფაშა მეფეს აცნობებდა, რომ ახალციხეში მყოფი ლეკების შეჩერება მას არ შეეძლო. მიუხედავად აშკარა უკმაყოფილებისა, სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს ჰპირდებოდა, რომ ის მშვიდობის შენარჩუნებაზე თანახმა იყო[339]. ახალციხის ფაშა არც იმას მალავდა, რომ არ მოეწონა ერეკლე II-ის მიერ ოსმალეთის დიდი ვეზირისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი. ფაშა ერეკლეს რჩევას აძლევდა: თუ სულთნის ერთგულება გინდა დაამტკიცო სულთნის კარზე მძევლებად ორი მოხელე უნდა გაგზავნოო. სულეიმან ფაშა მეფეს ასევე ურჩევდა, რომ რუსეთში გაგზავნილი შვილები სასწრაფოდ უკან გამოეწვია. წერილის დასასრულს სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „თუ მე შენ ძმად მთვლი, ნუ უგულებელყოფ ამ სასარგებლო რჩევებს"[340].

1786 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სულეიმან ფაშამ თბილისში კვლავ გამოგზავნა თავისი ელჩები. ელჩებმა მეფე ერეკლეს ფაშას დანაბარები ზეპირად გადასცეს. ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის მეფეს ურჩევდა რუსეთის ჯარი სამეფოდან გაეყვანა (რუსეთში დაებრუნები-

---

[338] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 214.

[339] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 214-215.

[340] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 215.

ნა), ხოლო შვილები, **მირიანი** და **თეიმურაზი** (ბერად აღკვეცის შემდეგ ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II – **ვ. გ.**), რუსეთიდან გამოეწვია. სულეიმან ფაშას აზრით, ამ პირობების შესრულების შემდეგ ოსმალეთის სულთანი ერეკლე II-ს ყველა თხოვნას დააკმაყოფილებდა. გარდა ამისა, ახალციხის ფაშამ ერეკლე II-ს აცნობა: 1. თუ რუსის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში დარჩებოდა, მას არავითარი ზიანი არ უნდა მიეყენებინა ოსმალეთის სამფლობელოებისათვის; 2. ერეკლე II-ს არ უნდა მოეთხოვა რუსეთის ჯარის რაოდენობის გაზრდა; 3. ერეკლე მეფეს ახალციხეში მძევლად უნდა გაეგზავნა ორი თავადი ცნობილი საგვარეულოებიდან. მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ სულთანი ქართლ-კახეთის სამეფოს არანაირ ზიანს არ მიაყენებდა, ოსმალეთის საზღვრებიდან გააძევებდა ლეკებს, ახალციხეში მყოფ ქართველ ტყვეებს დაუბრუნებდა ერეკლე მეფეს და კვლავ დაუმორჩილებდა აზერბაიჯანის ურჩ სახანოებს[341].

ახალციხიდან ლეკების გაძევების შესახებ დაპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ლეკთა შემოსევებისაგან რომ თავი დაეცვა, ერეკლე II ომარ ხანის მამას წლიურად 1.000 მანეთს უხდიდა, ხოლო ომარ ხანს – 6.500 მანეთს. ერეკლე მეფე ომარ ხანთან დანათესავებასაც კი ცდილობდა და სურდა ბატონიშვილ გიორგისათვის ომარ ხანის ქალიშვილი შეერთო ცოლად. ქორწინება არ შედგა და ავარიის ხანმა ომარმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევა კვლავინდებურად გააგრძელა. მოგვიანებით ომარ ხანმა თვითონ მოინდომა ერეკლე II-სთან დანათესავება. ხანს სურდა ბატონიშვილ ვახტანგს მის დაზე ექორწინა. ეს ქორწინებაც ჩაიშალა და ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევაც ძველებურად გაგრძელდა[342].

ასეთ ვითარებაში სულეიმან ფაშას დაპირებას, რომ ახალციხიდან ლეკებს გააძევებდა, ერეკლე მეფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშას ელჩის თბილისში ჩასვლისთანავე ერეკლე II-მ სამეფო დარბაზის ნევრებს საგარეჯოში შეკრება უბრძანა. ცალკე მიიღეს მიწვევა ტახტის მემკვიდრემ გიორგი ბატონიშვილმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ. საგარეჯოში დარბაზის სხდომა

---

[341] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 215.

[342] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 215-216.

1786 წლის 18 დეკემბერს შედგა. დარბაზის სხდომის შემდეგ ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიან წარმომადგენელს (მინისტრს) პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს განუცხადა: 1. დარბაზის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალციხეში ორი თავადის მძევლად გაგზავნის შესახებ; 2. მძევლების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გაპირობებული იყო იმით, რომ თავიდან აეცილებინათ ოსმალეთის თავდასხმა[343]. სტეპან ბურნაშევი, ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა და ერეკლე მეფეს განუცხადა: გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე მუხლის ძალით, მსგავსი გადაწყვეტილება კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან უნდა შეგეთანხმებინაო. ერეკლე მეფე პოლკოვნიკს დაჰპირდა, რომ მომხდარის თაობაზე წერილს გაუგზავნიდა პაველ პოტიომკინს. თუმცა, მეფე პაველ პოტიომკინისგან პასუხის მოსვლას არ დაელოდა და ახალციხეში მძევლებად გაგზავნა თავადი **ნიკოლოზ ორბელიანი** და თავადი **თეიმურაზ ციციშვილი**[344].

ერეკლე II-ის მოქმედებით უკმაყოფილო დარჩა პაველ პოტიომკინი, რომელიც მეფეს წერდა: „თქვენ, რუსეთის იმპერიასთან დადებული ტრაქტატის მეოთხე მუხლით ვალდებულება აიღეთ მეზობელ ქვეყნებთან ყოველგვარ ურთიერთობამდე და მეზობელი ქვეყნებიდან ელჩების მოსვლამდე რჩევა გეკითხათ საზღვრის უფროსისათვის (იგულისხმება კავკასიის ხაზის მთავარსარდალი – **ვ. გ.**), ტრაქტატის ძალით ჩემი ვალია თქვენ უმაღლესობას ურჩიო არ მისცეს ახალციხის ფაშას მძევლები"[345]. რუსი გენერალი მეფეს სწერდა, თუ რა გეგმები ჰქონდა ოსმალეთს ქართლ-კახეთის მიმართ: 1. რუსეთის იმპერატორისადმი ქართლ-კახეთის მეფის ერთგულების შერყევა, ერეკლე მეფის ვერაგად წარმოჩენა; 2. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანა, სამეფოს მრისხანე დამცველის გარეშე დატოვება; 3. ქართლ-კახეთის მეფისაგან პირობის მიღებას, რომ ლეკებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ოსმალეთს არ მოეთხოვოს; 4. ქართლ-კახეთის მეფისათვის თავადების

---

[343] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 216.

[344] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 216.

[345] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том II. С.-Петербург,1886, стр. 217.

მძევლად მოთხოვნა. პაველ პოტიომკინი ერეკლე მეფეს აფრთხილებდა, რომ დაპირების მიუხედავად ახალციხის ფაშას არ შეეძლო აზერბაიჯანელი ხანები ერეკლე II-სათვის დაემორჩილებინა[346].

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის გამო პაველ პოტიომკინი ერეკლე II-ს ურჩევდა ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტა ახალციხის ფაშასთან და არ მიეცა მისთვის მძევლები[347]. ამის საპასუხოდ მეფემ პაველ პოტიომკინს მისწერა, რომ მან უკვე გააგზავნა ელჩები ახალციხეში, ყოველნაირად ეცდებოდა მძევლები აღარ მიეცა სულეიმან ფაშასათვის, მაგრამ ასეთი მოქმედებიდან გამონვეული შედეგებისა ეშინოდა[348]. ერეკლე II-ს ფრთხილი პოლიტიკა გაპირობებული იყო იმით, რომ არ იცოდა რუსეთ-ოსმალეთის დაძაბული ურთიერთობა ომის გარეშე დამთავრდებოდა, თუ ომი აუცილებლად დაიწყებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფე პაველ პოტიომკინს წერდა: „თუ ორ სახელმწიფოს შორის (რუსეთსა და ოსმალეთს შორის – **ვ. გ.**) მშვიდობა მალე დაირღვევა ჩვენ ახალციხიდან მძევლების გამოყვანას შევძლებთ"[349].

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დადებული ხელშეკრულებით უკმაყოფილო დარჩა გრიგორი პოტიომკინიც. 1786 წლის 10 დეკემბერს გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ ერეკლე მეფემ დათმო, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს დასახმარებლად გამიზნული რუსეთის ჯარის რაოდენობა სამი ათასით განსაზღვრა.[350]

ოსმალეთის სულთანმა, ცხადია, იცოდა ახალციხის ფაშას სეპარატისტული მისწრაფებანი და შეიძლება არც ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებას ინონებდა, მაგრამ ქართლ-კახეთის მეფესთან ურთიერთობის დაძაბვა მას ხელს არ აძლევდა. სულთანს ეშინოდა, ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების

---

[346] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 216-217.

[347] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

[348] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

[349] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

[350] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.230.

რაოდენობის გაზრდა არ ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის[351]. სულეიმან ფაშამაც არ იცოდა როგორ განვითარდებოდა ოსმალეთ-რუსეთის დაძაბული ურთიერთობა, დაიწყებოდა თუ არა ომი. ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშა მთელი ძალით ცდილობდა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ქართლ-კახეთის მეფესთან და მიეღწია ახალციხეში მძევლების გაგზავნისათვის. რუსეთი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართლ-კახეთის მეფისა და ახალციხის ფაშას ურთიერთობას. 1787 წლის 3 იანვარს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ახალციხის ფაშამ ერეკლე II-ის ელჩებს გზაში ცხენოსანი რაზმი შეახვედრა და დიდი პატივით მიიღო ისინი[352]. ერეკლე მეფემ ახალციხეში მძევლად გაგზავნილ ნიკოლოზ ორბელიანს და თეიმურაზ ციციშვილს დაავალა სულეიმან ფაშას ზრახვებში გარკვევა და მასზე ზეგავლენის მოხდენა. მცდელობის მიუხედავად მძევლებმა ფაშა ვერ დაარწმუნეს, რომ ხელი აეღო ქართლ-კახეთის მეფისათვის მძევლების მოთხოვნაზე. პირიქით, იგი ოსმალეთის სულთანს არწმუნებდა, რომ რუსეთის მფარველობიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გამოსვლა შესაძლებელი იყო. სტამბოლიდან ახალციხეში გამოიგზავნა დიდი რაოდენობით საჩუქრები და საფაშოს ტერიტორიაზე მდგარ ოსმალეთის ჯარის სარდალს და სულეიმან ფაშას დაევალა ქართლ-კახეთის მეფესთან ხელშეკრულების დადება. ასეთი ხელშეკრულების დადება ადვილი არ იყო, რადგან ერეკლე II-მ კარგად იცოდა რა ვერაგულ პოლიტიკას ატარებდა ოსმალეთის სულთანი და როგორ სასტიკად ეპყრობოდა იგი ქრისტიან ხალხებს. მეფე იმასაც ცხადად გრძნობდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობიდან გამოსვლას და ოსმალეთის მფარველობაში შესვლას[353].

ერეკლე მეფემ იცოდა, რომ სულეიმან ფაშა მისი დაუძინებელი მტერი იყო, ამიტომ მის მიერ შემოთავაზებული მეგობრობა და მშვიდობა მოჩვენებითი იყო. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე პრორუსული ორიენტაციის უარყოფას და პროოსმალური ორიენტაციის აღიარებას

---

[351] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვატომეული. ტომი IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, გვ. 709.

[352] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург,1886, стр. 218.

[353] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

მომხრეები ჰყავდა. პრორუსული ორიენტაციის უარყოფას მოითხოვდა დედოფალი **დარეჯანი** და მისი თანამოაზრე თავადები. აღსანიშნავია, რომ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი **გიორგი** პრორუსულ ორიენტაციაზე რჩებოდა. დედოფალ დარეჯანის ანტირუსული ორიენტაცია დიდი განსჯისა და ფიქრის შედეგი არ ყოფილა. დედოფალმა იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ისაგან მოითხოვდა ბატონიშვილებს შორის სამეფოს დანაწილების შეწყვეტას და მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. დარეჯან დედოფალი ძირითადად სწორედ ამ მოთხოვნების გამო დაუპირისპირდა რუსებს. მიუხედავად იმისა, რომ **დარეჯან დედოფალს მებრძოლი ხასიათი ჰქონდა და სასახლის კარზე რამდენიმე გავლენიანი თავადიც უჭერდა მხარს, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია – ერეკლე მეფემ პრორუსული ორიენტაცია არ უარყო.** დედოფალ დარეჯანისა და მისი მომხრეების ბრძოლას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია: ერეკლე II-ის დაახლოება სულეიმან ფაშასთან სწორედ დარეჯან დედოფლის გავლენით მოხდა[354].

1787 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ახალციხეში მიიღეს ოსმალეთის სულთნის ფირმანი, რომელიც ფაშას აუწყებდა, რომ მალე ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი დაიწყებოდა. ფირმანიდან სულეიმან ფაშამ შეიტყო, რომ ოსმალეთის არმია (52.000 მებრძოლი) მალე დაიძვრებოდა მდინარე არპაჩაის (მდინარე არაქსის მარცხენა შენაკადი, სომხეთი – **ვ. გ.**) მიმართულებით. სულთანმა სულეიმან ფაშა სერასკირად დანიშნა და დაავალა არმიისათვის აუცილებელი პროვიანტის მომზადება[355]. მდინარე არპაჩაის მიმართულებით ოსმალეთის ჯარის გამოგზავნის ამბავი სულეიმან ფაშამ ერეკლე მეფის მძევლებს აცნობა. ფაშა ირწმუნებოდა, რომ მას ქართლ-კახეთის მეფესთან მშვიდობის შენარჩუნება სურდა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნის მიზნით ან პირადად ერეკლე II-სთან, ან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ გიორგისთან ითხოვდა შეხვედრას. 1787 წლის 28 თებერვალს სულეიმან ფაშა დედოფალ დარეჯანს სწერდა: „ხელმწიფეებმა (ოსმალეთის სულთანმა და რუსეთის იმპერატორმა – **ვ. გ.**) მოიმოქმედონ ის, რაც განზრახული აქვთ, ჩვენ კი ჩვენი სამფლობელოების სასარგებლოდ უნდა ვეცადოთ.

---

[354] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

[355] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

შვიდი თუ რვა მეფე მიესწრაფოდა რუსეთისაკენ (იგულისხმება რუსული ორიენტაციის ქართველი მეფეები – **ვ. გ.**), მაგრამ წარუმატებლად. ამჯერად დავინახავთ შემიძლია თუ არა მე ჩემი ძმისა და მეფისათვის (იგულისხმება ერეკლე II – **ვ. გ.**) რაიმე სასარგებლო გავაკეთო"[356].

დარეჯან დედოფალი მართალი იყო იმაში, რომ თუ ოსმალეთის ჯარი (52.000 მებრძოლი) რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიჭრებოდა, ქართული ჯარი, ორი რუსული ბატალიონი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. საქმის ვითარებას ვერც ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობის გაზრდა (გაორმაგება, გასამმაგება) იხსნიდა, თუმცა რუსეთის იმპერატორი ჯარის გაზრდას საერთოდ არ ფიქრობდა. ყოველივე ეს კარგად იცოდა ერეკლე II-მაც. მეფე იძულებული გახდა ახალციხის ფაშასთან და საფაშოს ტერიტორიაზე მდგარ ოსმალეთის ჯარის სარდალთან მოლაპარაკება გაემართა. მოლაპარაკების შედეგი ასეთი იყო: 1) ქართლ-კახეთის მეფეს ახალციხეში მძევლები უნდა გაეგზავნა; 2) ოსმალეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში არ შემოიჭრებოდა; 3) ახალციხის ფაშა ლეკებს საფაშოს ტერიტორიაზე არ გააჩერებდა. ახალციხეში მყოფმა ერეკლეს ელჩებმა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ მეფეს აცნობეს: ზავი დამტკიცებულია, ლეკები გააძევეს[357].

მოლაპარაკების წარმატებით დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ახალციხეში ჩავიდნენ ყარაბაღის, ხოის და ავარიის ხანების წარმომადგენლები. მათ სულეიმან ფაშას სთხოვეს არავითარი ხელშეკრულება არ დაედო იმ მეფესთან, რომელსაც „აქვს ოთხი ფეხი, აქედან სამი უკვე მოჭრილი აქვს და მხოლოდ მეოთხეზე დგას"[358]. სულეიმან ფაშა არ დაეთანხმა ხანების წინადადებას და ერეკლე მეფეს აცნობა, რომ მათ შორის არსებულ „ძმობასა და მეგობრობას" შეინარჩუნებდა[359]. ამ დანაპირების შემდეგ სულეიმან ფაშა ერეკლე მეფეს მთავარ სათქმელს მოახსენებდა: „სულთნისაგან წყალობის სიგელის მიღებისათვის უნდა ეცადოთ მოიშო-

---

[356] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

[357] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

[358] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

[359] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

როთ უცხო ქვეყნის ჯარი(იგულისხმება რუსეთის ჯარი – ვ. გ.), დაანგრიოთ აშენებული გზა (იგულისხმება კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა – ვ. გ.), აღარ მიემხროთ რომელიმე სახელმწიფოს, სულთანს მიართვათ თხოვნა, რომელშიც გამოხატავთ თქვენ გულწრფელობას. მე ვასკვნი, რომ თქვენის მხრიდან ასეთი ქმედება არა თუ ვნებას არ მოგიტანთ, არამედ სულთნისაგან მიიღებთ წყალობის ფირმანს და კიდევ სხვა წყალობას"[360]. სულეიმან ფაშას მიერ წამოყენებული პირობა ქართლ-კახეთის მეფისათვის სრულიად მიუღებელი იყო. მეფემ საქმის კურსში ჩააყენა სტეპან ბურნაშევი. რუსმა პოლკოვნიკმა ერეკლეს ურჩია სულეიმან ფაშასათვის უარი შეეთვალა. როგორც ჩანს, ერეკლე II-მ და სტეპან ბურნაშევმა სულეიმან ფაშასათვის გასაგზავნი წერილი ერთად შეადგინეს. მეფე ფაშას წერდა: „ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა სულთნის განაწყენება. ჩვენი სამეფოს დაცვის მიზნით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის (რუსეთის იმპერატორის – ვ. გ.) ჯარი შემოვიყვანეთ, მაგრამ მიზნად არ გვქონია მეზობლების შეწუხება. თქვენ აგვიჯანყეთ აზერბაიჯანელები და დაღესტნელები და სამი წელი თავშესაფარს აძლევდით ლეკებს, რომლებიც ძარცვავდნენ და ავერანებდნენ ჩვენს მიწებს, ხოლო ნადავლს თქვენ სამფლობელოში ჰყიდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი ჯარით უმცირესი ზიანიც კი არ მიგვიყენებია სულთნის ქვეშევრდომებისათვის და ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ბოლოს გაჩნდა სურვილი დაგვედო მეგობრობის შესახებ კავშირი და შეგვეწყვიტა მტრობა და ძარცვა-გლეჯა"[361]. წერილის ბოლოს ერეკლე მეფე მიღწეული მშვიდობის შენარჩუნებისათვის მზადყოფნას გამოთქვამდა და ახალციხიდან ქართველი მძევლების გამოშვებას ითხოვდა[362].

ერეკლე II-ის ასეთი წერილი შეიძლებოდა ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შეწყვეტის საბაბი გამხდარიყო. სრულიად მოულოდნელად 1787 წლის 13 ივლისს ახალციხიდან თბილისში სულეიმან ფაშას ელჩები ჩამოვ-

---

[360] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

[361] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220-221.

[362] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

იდნენ.[363] ელჩებმა ერეკლე მეფეს განუცხადეს: თუ რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსები გაიმარჯვებდნენ, სულეიმან ფაშა მაშინვე მორჩილებას გამოუცხადებდა რუსეთს, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ რუსებს აჩვენებდა სტამბოლიდან მიღებულ ყველა ფირმანს"[364]. სულეიმან ფაშას ასეთი გაბედული მოქმედება იმით იყო განპირობებული, რომ გავრცელდა ხმები საქართველოში რუსეთის დიდი ჯარის (30.000 მებრძოლის) შემოსვლის თაობაზე. სწორედ ამ ხმებმა აიძულა სულთანი საპასუხო ნაბიჯები გადაედგა. ვანის, ბაიაზეთის, ყარსის, ერზრუმისა და ახალციხის ფაშებმა მიიღეს ბრძანება 60.000 მებრძოლის შეკრების შესახებ. ამავე დროს ახალციხის ფაშამ მიიღო ცალკე ფირმანი, რომელიც მას ავალებდა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ახალციხეში მძევლად მყოფმა თავადმა **თეიმურაზ ციციშვილმა** მოახერხა ხსენებული ფირმანის წაკითხვა და ამდენად, აღარ უკვირდა, ერეკლე მეფის დაუძინებელი მტერი სულეიმან ფაშა რატომ ცდილობდა მასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ახალციხის ფაშამ სტამბოლიდან ფირმანი ქართლ-კახეთის მეფისათვის ძალზე ხელსაყრელ დროს მიიღო – მშვიდობის თუნდაც დროებით შენარჩუნება ერეკლე მეფისათვის მნიშვნელოვანი იყო[365].

ახალციხის ფაშა სულეიმანი რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგაც ცდილობდა ერეკლე II-სთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. მართალია, ქართველი ტყვეებით ვაჭრობა ახალციხეში 1786 წლის ხელშეკრულების შემდეგაც გრძელდებოდა, მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულების სხვა მუხლები ასე თუ ისე სრულდებოდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ერეკლე II სულეიმან ფაშასგან იღებდა სტრატეგიულ ნედლეულს. 1789 წელს სულეიმან ფაშამ ნება დართო ოთხი წლის განმავლობაში საბაჟო გადასახადის გარეშე მიეყიდათ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის კალა, ფოლადი და რკინა. დადგინდა შესყიდვის ყოველწლიური ნორმა: კალა – 1.000 ფუთი, ფოლადი – 500 ფუთი, რკინა – 20 ფუთი. კალის, ფოლადისა და რკინის ნაწილს ერეკლე II დაღესტანში

---

[363] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.231-232.

[364] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

[365] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

ყიდდა, რათა ლეკებთან, ასევე ირანში მყოფი ქართველი ტყვეები გამოესყიდა[366].

ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საგარეო მდგომარეობის გართულების პარალელურად დაიძაბა ვითარება ქვეყნის შიგნით, თავი იჩინა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისუსტემ. დაიძაბა ვითარება მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში. ყაზახიდან **აჰმედ აღას** მეთაურობით მუსლიმთა 1.500 ოჯახი აიყარა და ყარაბაღის სახანოში განიზრახა გადასვლა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ერეკლე II-მ, 5.000 ქართველი მებრძოლითა და ორი რუსული ბატალიონით განჯისაკენ გაემართა. ყარაბაღის ხანმა **იბრაჰიმმა**, შეიტყო თუ არა თბილისიდან ქართველთა და რუსთა ლაშქრის განჯის მიმართულებით გადაადგილება, თავისთან დაიბარა ყარაბაღის სახანოს სომეხი მელიქები, რომლებიც ხანს რუსული ორიენტაციის გამო ათვალწუნებული ჰყავდა. მელიქები ხანს არ ეახლნენ და განჯასთან მდგარ რუსეთის ჯარს შეაფარეს თავი. განჯიდან ერეკლე II-მ 4.000 მებრძოლი იულონ ბატონიშვილისა და წარმატებით დაწყებული **დავით ორბელიანის** სარდლობით ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ გაგზავნა. ქართულმა ჯარმა ყარაბაღის ხანი პირველსავე ბრძოლაში დაამარცხა. ლაშქრობა მოულოდნელად შეწყდა ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის გამო.

§ 6. რუსეთის ჯარის გაყვანა ქართლ-კახეთის სამეფოდან (1787 წლის სექტემბერ-ოქტომბერი)

ომარ ხანის ლაშქრობამ და მომდევნო ხანებში ლეკთა გამუდმებულმა შემოსევებმა, ქართლ-კახეთის სამეფო ისე გაავერანა, რომ ერეკლე II-ს ორი რუსული ბატალიონის შესანახი თანხის გაღებაც კი უჭირდა. იყო შემთხვევები, როდესაც რუსები შიმშილობდნენ. ერეკლე II-სა და პაველ პოტიომკინს შორის რუსული ბატალიონების თაობაზე მიმოწერა დაიწყო, თუმცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის ბედი უკვე სხვა ვითარებაში გადაწყდა. 1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ომის დაწყების შემდეგ, როგორც

[366] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197-198.

უკვე აღვნიშნეთ, ყაზახის მუსლიმი მოსახლეობა, სულ 1.500 ოჯახი, აიყარა და ყარაბაღის სახანოში გადავიდა, რითაც ყარაბაღის ხანის სამხედრო ძალა გაძლიერდა. მეფე ერეკლე ყაზახის მუსლიმი მოსახლეობის დაბრუნებას ძალით აპირებდა. მეფემ 5.000 მებრძოლი შეკრიბა და ორ რუსულ ბატალიონთან ერთად 1787 წლის სექტემბერში ყარაბაღის სახანოს წინააღმდეგ დაიძრა. ქართველთა და რუსთა ჯარი განჯას მიუახლოვდა. ერეკლე II-მ **დავით ორბელიანისა** და **იულონ ბატონიშვილის** სარდლობით 4.000 ქართველი მებრძოლი სომეხ მელიქებთან ერთად ყარაბაღის სახანოში გაგზავნა. ქართულ ჯარს გზად ყარაბაღის ხანის ლაშქარი შემოეყარა. ქართველებმა მტერს სძლიეს და 500 მებრძოლი მოუკლეს.[367] ქართული ჯარითა და ორი რუსული ბატალიონით **ერეკლე II** და პოლკოვნიკი **სტეპან ბურნაშევი** ყარაბაღისაკენ დაიძრნენ. სტეპან ბურნაშევი და რუსული ბატალიონები მეფემ განჯასთან დატოვა, თვითონ კი ყარაბაღისაკენ გაემართა. ქართულმა ჯარმა ერეკლე II-ის სარდლობით ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** სასტიკად დაამარცხა და სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა[368].

1787 წლის 13 აგვისტოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთის იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ კავკასიიდან, ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს ტერიტორიიდან, რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს არ დაიწყებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის გამოგზავნა არ იგეგმებოდა. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ოსმალეთი ერეკლე II-ის დასასჯელად სერიოზულ სამხედრო ძალას გადმოისროდა, ირანის სახანოებსა და ჩრდილო კავკასიის მუსლიმ მფლობელებსაც მიიმხრობდა, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარი და ორი რუსული ბატალიონი უძლური იქნებოდა ამ კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში – ქართულ და რუსულ ჯარს განადგურება ელოდა. ასეთ ვითარებაში გრიგორი პო-

---

[367] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 194-195.

[368] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 207-208.

ტიომკინმა მიიღო გადაწყვეტილება: საფრთხეში არ ჩაეგდო ორი რუსული ბატალიონი და ისინი მოსალოდნელი კატასტროფისაგან განერიდებინა. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი როოგორც გრიგორი პოტიომკინმა, ისე ეკატერინა II-მ, შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტა. სამხრეთ კავკასიიდან ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები არ იგეგმებოდა, რის გამოც მიმდინარე ომში ქართლ-კახეთის სამეფომ ფუნქცია დაკარგა.

ცხადია, მფარველობაში მიღებული ქართლ-კახეთის სამეფოს განირვა გრიგორი პოტიომკინისათვის გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. რუსეთის იმპერიის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, რომელიც ოსმალეთის იმპერიის დანგრევასა და მის დანაწილებაზე ოცნებობდა, არად დაგიდევდა ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალს. ყოველივე ამას იმპერატორის ფავორიტი საჯაროდ არ აღიარებდა და ჯარის გაყვანის გადაწყვეტილების გამართლებას ცდილობდა. 1787 წლის 22 აგვისტოს ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსული ბატალიონების გაყვანასთან დაკავშირებით გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა: „ერეკლესათვის უფრო მოხერხებული იქნება ახალციხის ფაშასთან ურთიერთობით უსაფრთხოების მიღწევა" (რუსულ დედანში: „Ираклию удобнее будет себя обезопасить через сношение с пашой ахалцихским")[369] .

განჯასთან საველე ბანაკში მყოფმა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა (მინისტრმა) და რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაურმა პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა 1787 წლის 13 სექტემბერს მიიღო გენერალ-პორუჩიკ **პაველ პოტიომკინის** 1787 წლის 29 აგვისტოთი დათარიღებული საიდუმლო ორდერი (მიწერილობა). დოკუმენტიდან დგინდება, რომ 1787 წლის 19 აგვისტოს გენერალ-ფელდმარშალ **გრიგორი პოტიომკინს** გენერალ-პორუჩიკ **პაველ პოტიომკინისათვის** უცნობებია შემდეგი: საქართველოში მყოფი ეგერთა ორი ბატალიონის გამოკვებაში შექმნილი უკიდურესი სირთულეების გამო ბატალიონები გამოყვანილი იქნან საქართველოს საზღვრებიდან და გაიგზავნონ კავკასიის ხაზზე. პაველ პოტიომკინი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს უბრძანებდა ბატალიონებთ-

[369] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.234.

ან ერთად მასაც დაეტოვებინა საქართველო და გამოცხადებულიყო გენერალ-ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინთან. პაველ პოტიომკინი სტეპან ბურნაშევისაგან ითხოვდა ეცნობებინა მისთვის როდის, კონკრეტულად რომელ რიცხვში, დაიწყებდა ქართლ-კახეთის სამეფოდან ბატალიონების გაყვანას. პაველ პოტიომკინი წერდა, რომ საქართველოში რუსული ბატალიონების შესვლის შემდეგ ერეკლე II-ს ბრძოლები ჰქონდა მტრებთან, რუსული ბატალიონების გამოყვანის შემდეგ, იგი ვარაუდობდა, რომ ვითარება განიმუხტებოდა. ორდერზე ხელმოწერის შემდეგ პაველ პოტიომკინს ასეთი მინაწერი გაუკეთებია: "Под рукою же обявите Его Высочеству (ერეკლე II-ს – **ვ.გ.**) что он поладит Ахалцихским пашею ."[370] როგორც ვხედავთ, პაველ პოტიომკინი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ბატალიონების გაყვანის თაობაზე გრიგორი პოტიომკინის მისაზრებას. ორივე პოტიომკინის მოსაზრება შემდეგში მთლიანად გაიზიარა როგორც რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ (პიოტრ ბუტკოვმა, ნიკოლაი დუბროვინმა, ვასილი პოტტომ და სხვ.), ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიამ (ოლგა მარკოვამ და სხვ.)

პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა პაველ პოტიომკინის ბრძანების შესახებ დაუყოვნებლად აცნობა ერეკლე II-ს. სტეპან ბურნაშევმა მეფის თხოვნა არ გაითვალისწინა და განჯიდან სასწრაფოდ გაემართა კავკასიის ხაზისაკენ. 1787 წლის 9 ოქტომბერს რუსეთი ჯარის ორივე ბატალიონმა პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის მეთაურობით ვლადიკავკაზის სიმაგრეს მიაღწია. ბატალიონების კავკასიის ხაზზე დაბრუნების შემდეგ რუსებმა ვლადიკავკაზის სიმაგრე დაანგრიეს, რომელიც მხოლოდ 1793-1795 წლებში იქნა აღდგენილი. [371]

ერეკლე II-მ ყარაბაღში დაწყებული ლაშქრობა შეწყვიტა და თბილისში დაბრუნდა[372]. განჯის ხანსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ურთიერთობა დროებით მოგვარდა. მეფემ უარი თქვა განჯის ხან

---

[370] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев.** Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1901, стр. 29.

[371] **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.234-235.

[372] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 208.

ჯავადის გადაყენების მოთხოვნაზე, სამაგიეროდ, ყარაბაღში გახიზნული ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობა უკან დაბრუნდა.[373]

§ 7. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის მიზეზები

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის (გეორგიევსკის ტრაქტატის) სეპარატული (საიდუმლო) ოთხი მუხლიდან მეორე ეხებოდა ქართლ კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოყვანასა და მის შენახვას. ამ მუხლის ძალით, რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა და თავისი ხარჯით შეენახა ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით: "Для охранения владений Карталинских и Кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск его светлости царя на оборону Ея Императорское Величество обещает содержать в областях его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками, которым провиант и фураж по их штатам производиться будет в натуре от земли по соглашению его светлости с главным пограничным начальником за положенную в штатах цену."[374]

რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი საქართველოს საზღვრებში (სტეფანწმინდაში) 1783 წლის ოქტომბერში, ხოლო თბილისში 1783 წლის 3 ნოემბერს შემოვიდა. მოულოდნელად, 1787 წლის 19 აგვისტოს გრიგორი პოტიომკინმა მიიღო გადაწყვეტილება ქართლ-კახთის სამეფოდან რუსული ბატალიონების გაყვანის შესახებ. გადაწყვეტილება გენერალ-პორუჩიკმა პაველ პოტიომკინმა პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს 1787 წლის 29 აგვისტოს გამოგზავნილი ორდერით აცნობა. სტეპან ბურნაშევმა პაველ პოტიომკინის ორდერი 1787 წლის 13 სექტემბერს მიიღო და დაუყოვნებლივ დაიწყო ბატალიონების გაყვანისათვის მზადება. რუსეთის ჯარმა საქართველოს საზღვრები 1787 წლის ოქტომბერში დატოვა. ამრიგად, რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი ქართლ-კახეთის სამეფოში

---

[373] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966. стр.234-235.

[374] **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1983, გვ. 117-118, 129-130.

ოთხი წელი (1783 წლის ოქტომბერი – 1787 წლის ოქტომბერი) იმყოფებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის გაყვანით დაირღვა გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე სეპარატული (საიდუმლო) მუხლი. ჯარის გაყვანა მოხდა რუსეთ-ოსმელთის ომის გამოცხადებიდან, 1787 წლის 13 აგვისტოდან, მალევე. მოვლენის თანამედროვე რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები, მათ კვალობაზე რუსული ისტორიოგრაფია, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსები ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის მიზეზების განსაზღვრისას სრულიად ეთანხმებიანერთმანეთს. ცნობილი რუსი ისტორიკოსი, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობისა და კავკასიაში რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შესანიშნავი მცოდნე **პიოტრ ბუტკოვი** ჯარის გაყვანის სამ მთავარ მიზეზს გამოყოფს:

პირველი. 1787 წელს ოსმალეთთან დაწყებული ომის გეგმა არ ითვალისწინებდა საქართველოდან ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლების წარმოებას;

მეორე. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ ერეკლე II-ს საშუალება ექნებოდა აღედგინა ძველი კავშირები (იგულისხმება ირანთან, ოსმალეთთან და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა – **ვ. გ.**), რომლებიც მოიშალა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ყოფნის პერიოდში („..возобновление прежних своих союзов, разрушившихся единственно пребыванием его российских войск“).

მესამე. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი საქართველოში თითქმის სულ შიმშილობდა („...главнейная, что сии два баталиона почти всегда в Грузии терпели голод“)[375].

სამივე მიზეზი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

პირველი მიზეზი ფაქტობრივი ვითარების თვალსაზრისით სინამდვილე იყო. 1787-1791 წლების ომის დროს რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს ისტორიული ტერიტორიაზე, ფრონტი არ გაუხსნია და საბრძოლო მოქმედებები არ უწარმოებია. რუსეთის იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში მიღებული ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით

[375] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

სწორი აღმოჩნდა. რუსეთმა ოსმალეთი სამხრეთ კავკასიის ფრონტის გარეშეც დაამარცხა. ამასთან ერთად, სავსებით ცხადია, რომ რუსეთის იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში მიღებული გადაწყვეტილება საშიში იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ისევე, როგორც იმერეთის სამეფოს, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებისათვის.

რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში ფრონტს არ ხსნიდა. უფრო მეტიც, 1787 წლის ოქტომბერში ქართლ-კახეთის სამეფოდან ის მცირერიცხოვანი ჯარიც გაიყვანა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით 1783 წლის ოქტომბრიდან ქართლ-კახეთის სამეფოში იმყოფებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის კარგად იყო ცნობილი ოსმალეთის მწვავე რეაქცია, რომელიც 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლასა და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლას მოჰყვა. ეს უკანასკნელი (რუსეთის ჯარის შემოსვლა) დიდ საფრთხედ მიიჩნიეს განჯის, ერევნის, ყარაბაღის (დერბენტის), ნახჭევნისა და სხვა ირანულმა სახანოებმა, ასევე კავკასიის მუსლიმმა ხალხებმა, განსაკუთრებით ლეკებმა. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანა რუსეთისაგან მფარველობაში მიღებული ქვეყნის მიტოვებას ნიშნავდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ომარ ხანს ერეკლე II რუსული ჯარის დახმარებითაც ვერ გაუმკლავდა. თუ ომარ ხანი ქართლ-კახეთს კიდევ ერთხელ შემოესეოდა რა უნდა ეღონა ერეკლე II-ს 15.000 ან 20.000 ლეკის წინააღმდეგ? 1787 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. მართალია, ოსმალეთი ქართლ-კახეთის სამეფოს დასჯის მიზნით სერიოზული სამხედრო ძალის გამოგზავნას არ აპირებდა, მაგრამ ქართლ-კახეთის ურჩი მეფის დასჯას სხვა გზით ცდილობდა – ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ავარიის ხან **ომარის**, დაღესტნის შამხალისა და ირანის სახანოების ამხედრებას ცდილობდა. ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, 1787 წლის დასაწყისში, ოსმალეთის სულთანმა დაღესტანში 80.000 ჩერვონეცი და 30 ხალათი გაგზავნა. პირადად ომარ ხანი სულთანმა 8.000 ჩერვონეცით, ძვირფასი ხმლითა და შუბით დააჯილდოვა. სულთნის სახელით ძვირფასი საჩუქრები მი-

ართვეს დაღესტნის შამხალსა და ყარაბაღის ხანს **იბრაჰიმს**[376]. ასე რომ, თუ ოსმალეთი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს დასჯას განიზრახავდა, ამისათვის ახალციხის ფაშა **სულეიმანის**, ავარიის ხან **ომარისა** და ყარაბაღის ხან **იბრაჰიმის** ძალებიც იკმარებდა.

ამრიგად, რუსეთის საიმპერატორო კარის გადაწყვეტილება– ჯარი გაეყვანა ქართლ-კახეთის სამეფოდან და ომის დაწყების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთთან ფრონტი არ გაეხსნა – პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით კი იყო მისაღები რუსეთისათვის, მაგრამ შეიძლებოდა დამლუპველი აღმოჩენილიყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის.

მეორე მიზეზიც ფაქტობრივი თვალსაზრისით სწორი იყო: ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ ერეკლე II-ს მართლაც უკიდურესად გაურთულდა ურთიერთობა მეზობელ ირანულ სახანოებთან, ოსმალეთთან (ახალციხის ფაშასთან) და კავკასიის მუსლიმ მოსახლეობასთან (ლეკებთან და სხვებთან). მაგრამ რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ როგორ უნდა აღედგინა მეფე ერეკლეს მეზობლებთან ძველი ურთიერთობები? მართალია, ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარი კი გავიდა, მაგრამ ძალაში რჩებოდა გეორგიევსკის ტრაქტატი, ანუ რუსეთს ქართლ-კახეთში ჯარის შემოყვანა ნებისმიერ დროს შეეძლო. გეორგიევსკის ტრაქტატმა და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოყვანამ ერეკლე II საბოლოოდ დააპირისპირა ირანთან, ოსმალეთსა და კავკასიის მუსლიმ მოსახლეობასთან. მუსლიმი მმართველები ერეკლე II-ს აღარ ენდობოდნენნ. ყოველივე ეს კარგად უწყოდნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე და, ცხადია, გრიგორი და პაველ პოტიომკინებმა.

მესამე მიზეზი, რომელსაც პიოტრ ბუტკოვი უმთავრესს უწოდებს, უფრო დეტალურ განხილვას მოითხოვს. გეორგიევსკის ტრაქტატი მეორე სეპარატული მუხლი სავსებით ცხადად გვაუწყებს: ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ორი ბატალიონის შესანახავად ყოველგვარი ხარჯი რუსეთის იმპერიის ხაზინას უნდა გაეღო. სადღეისოდ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან არ დგინდება, 1783-1787 წლებში რუსეთის ხაზინამ რა რაოდენობით თანხა გამოყო ქართლ-კახეთში გამოგზავნილი ორი ბატალიონის შესანახად. არც ის დგინდება, ვინ განკარგავდა

[376] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

თბილისში გამოგზავნილ ფულს: ერეკლე II თუ პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი. გაურკვეველია ისიც, თუ ვინ აწარმოებდა სურსათის და ფურაჟის შესყიდვებს: რუსები თუ ქართველები. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან მხოლოდ ზოგიერთი დეტალის დაზუსტება შეიძლება. აი, ისინიც:

1. 1783 წლის 12 ნოემბერს ერეკლე II პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს სწერს, რომ რუსეთის ბატალიონებისათვის სურსათისა და ფურაჟის შესაძენად საჭირო ფული პოლკოვნიკს მეფის მოხელე მირიმანოშვილისათვის (Мириманошвили) უნდა გადაეცა[377]. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის ხაზინის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ბატალიონების შესანახი ფული პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევთან ინახებოდა.

2. 1784 წლის 23 აპრილს გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი თბილისში მყოფ სტეპან ბურნაშევს წერდა, რომ ხაზინა ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი ბატალიონების შესანახავად ერეკლე II-ს უგზავნიდა 20.000 მანეთს. ფული 1784 წლის აპრილის ბოლოსათვის საქართველოს საზღვრებს მოაღწევდა. პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს გამოგზავნილი ფული ყაზბეგში უნდა ჩაებარებინა[378]. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქართლ-კახეთში გამოგზავნილი ბატალიონების შესანახ ფულს რუსეთის ხაზინა სტეპან ბურნაშევს უგზავნიდა და არა – ქართლ-კახეთის მეფეს.

3. 1786 წლის 8 ივნისს ერეკლე II სტეპან ბურნაშევს აცნობებდა ექიმ იზმაილოვის ულირსი საქციელის შესახებ. წერილში ნათქვამია: იზმაილოვი ხმებს ავრცელებდა, რომ თითქოს ერეკლე II-ის თოფჩიბაშ პაატა ანდრონიკაშვილს იზმაილოვისათვის გადაეცეს მეფის ბრძანება, რომლის მიხედვით, ექიმს დღიურ სარჩოდ ერთი მანეთი დაუწესეს. მეფე პოლკოვნიკს არწმუნებდა, რომ თოფჩიბაშისათვის ასეთი ბრძანება არ მიუცია. ერეკლე II სტეპან ბურნაშევს აცნობებდა, რომ პირადად მას დღიურ სარჩოდ 10 მანეთი ეძლეოდა[379]. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ

---

[377] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 35.

[378] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 22.

[379] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А.

რუსეთის ხაზინიდან ბატალიონების შესანახად თბილისში გამოგზავნილ ფულს, რომელიც სტეპან ბურნაშოვს ებარა, ერეკლე II განკარგავდა.

ერეკლე II პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს ქართლ-კახეთის სამეფოს ხაზინიდან გამოყოფილ ფულსაც უგზავნიდა. ეს იყო ჯილდო სამსახურისათვის. 1787 წლის სექტემბერში ერეკლე II-მ სტეპან ბურნაშევს ორჯერ გაუგზავნა ფული – 50 და 100 მანეთი. ორივეჯერ მეფე ბოდიშს უხდიდა პოლკოვნიკს თანხის სიმცირის გამო[380].

1787 წლის 29 აგვისტოს გენერალ-პორუჩიკმა პაველ პოტიომკინმა პოლკოვნიკ ბურნაშევს ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ბატალიონების გაყვანა უბრძანა. ბრძანება პოლკოვნიკმა 13 სექტემბერს მიიღო და მაშინვე შეუდგა ბატალიონების გაყვანისათვის მზადებას. 1787 წლის 4 ოქტომბერს ერეკლე II სტეპან ბურნაშევს საპასუხო წერილს უგზავნის. წერილიდან დგინდება:

1. სტეპან ბურნაშევს ერეკლე II-თვის ქართლ-კახეთის სამეფოდან ბატალიონების გაყვანისათვის ურმები უთხოვია;

2. სტეპან ბურნაშევს ჯერაც არ დაებრუნებინა ის ურმები, რომლებიც ერეკლე II-მ განჯის სახანოზე ლაშქრობის დროს გამოუყო;

3. ერეკლე II-ს გრიგორი პოტიომკინისაგან არ მიუღია ბრძანება ქართლ-კახეთის სამეფოდან ბატალიონების გაყვანისა და გაყვანის პროცესში დახმარების აღმოჩენის შესახებ;

4. სტეპან ბურნაშევი ითხოვდა 60 ურემს. მეფე პოლკოვნიკს შეახსენებდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო სამეფო და რა ძნელი იყო მისი თხოვნის შესრულება. ერეკლე II სტეპან ბურნაშევს იმასაც შეახსენებდა, რომ წინათ რამდენჯერმე უსასყიდლოდ დაეხმარა მას;

5. სტეპან ბურნაშევთან იმყოფებოდა მეფის მოხელე, რომელიც მთიულეთსა და ხევში ბატალიონების საკვებითა და ფურაჟით მომარაგებას უზრუნველყოფდა;

6. სტეპან ბურნაშევს უკან უნდა დაებრუნებინა ურმები, როცა ისინი საჭირო აღარ იქნებოდა;

7. ერეკლე II სტეპან ბურნაშევს აცნობებდა, თუ რა თანხა დაიხარჯა რუსეთის ბატალიონების შესანახავად. ბატალიონებისათვის

Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 36.

[380] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев**. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 36-37.

აუცილებელი სურსათისა და ფურაჟისათვის ყოველწლიურად იხარჯებოდა 30.000 მანეთი. რუსები საკვები პროდუქტის ფასებს თვითონ ადგენდნენ. ისინი ფასებს შემდეგნაირად ანგარიშობდნენ: 1 ლიტრა (327,45 გრამი) ფქვილი – 3,5 კაპიკი, ქერი – 3 კაპიკი, ბურღული – 4 კაპიკი. რეალურად ეს პროდუქტი ბაზარზე გაცილებით ძვირად ფასობდა. 1 ლიტრა ფქვილის, ქერისა და ბურღულის ფასი დაახლოებით 15 კაპიკი იყო. წერილიდან ასევე ირკვევა, რომ 1783-1787 წლებში ერეკლე II-ს რუსული ბატალიონებისთვის საჭირო ტყვია და რკინა უფასოდ გადაუცია[381].

ზემოთ დამოწმებული მასალიდან ასე თუ ისე დგინდება, რომ **რუსული ბატალიონების შესანახი ხარჯების გამოყოფასა და განკარგვაში წესრიგი არ იყო.** უნდა ვივარაუდოთ, რომ სცოდავდა როგორც რუსული, ისე ქართული მხარე. იმხანად რუსეთის ჯარში გავრცელებული ხაზინის ქურდობა, ცხადია, კავკასიის ხაზზე განლაგებულ რუსეთის ჯარებსაც ეხებოდა. გამონაკლისი არც ქართლ-კახეთში გამოგზავნილი ორი რუსული ბატალიონი იქნებოდა. **ხაზინიდან რუსული ბატალიონების შესანახავად გამოყოფილი ფული თუ ბატალიონების შენახვას სრულად არ ხმარდებოდა ეს, პირველ რიგში, რუსული მხარის ბრალი იყო და არა ქართლ-კახეთის სამეფოს ხაზინისა და პირადად მეფე ერეკლე II-ისა.** არ არის გამორიცხული, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ბატალიონები დროდადრო მართლაც შიმშილობდნენ, მაგრამ რუსი ჯარისკაცები ხშირად შიმშილობდნენ რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში განლაგებულ ჯარებშიც. **ჯარისკაცების ცუდი კვება რუსეთის ჯარის უკურნებელი სენი იყო, ამ სენის შესახებ კარგად უწყოდნენ საიმპერატორო კარზეც კი.** გრიგორი პოტიომკინს, პაველ პოტიომკინს და კავკასიის ხაზის იმ მოხელეებს, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ბატალიონების შესანახი ხარჯების გამოყოფა, განკარგვა და გამოყენებაზე კონტროლი ევალებოდათ, ცხადია, შეეძლოთ ისეთი სქემის მოფიქრება, რომელიც თუნდაც მინიმუმამდე შეამცირებდა ბატალიონებისათვის განკუთვნილი თანხის არადანიშნულებისამებრ ხარჯვას.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი რუსული ბატალიონების ჯარისკაცების ცუდი კვება, შიმშილობა, იმ სისტემის ბრა-

---

[381] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал С. Н. Бурнашев. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 37-39.

ლი იყო, რომელიც რუსეთის ჯარში იყო დამკვიდრებული და არა ქართლ-კახეთის სამეფო კარისა.

§ 8. ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღება და გეორგიევსკის ტრაქტატი ძალით 1783 წლის 3 ნოემბერს რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის თბილისში შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა. ჩრდილოეთიდან რუსეთის მიერ უკიდურესად შევიწროებულმა კავკასიის ხალხებმა, მმართველმა ზედაფენამ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა დიდ საფრთხედ აღიქვეს. კარდინალურად შეიცვალა ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების, მათი მმართველი ზედაფენის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად საქართველოს მიმართ. **გეორგიევსკის ტრაქტატმა შეცვალა კავკასიის გეოპოლიტიკა**. მოულოდნელად ვითარება ისევ კარდინალურად შეიცვალა – რუსეთის ჯარმა ქართლ-კახეთის სამეფო დატოვა, რამაც ისედაც დასუსტებული ქვეყანა ახალი განსაცდელების წინაშე დააყენა.

* * *

ნადირ შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგ ირანი განუხრელად სუსტდებოდა. **ქერიმ ხანმა** ირანის გაერთიანება ვერ შეძლო, შაჰის ტიტული ვერ მიიღო. ირანის შაჰის ტახტისათვის ზენდების და ყაჯრების ბრძოლამ ქვეყანა უკიდურესად დაასუსტა. ქერიმ ხანის გარდაცვალების (1779 წ.) შემდეგ ირანში შინააშლილობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის, პრაქტიკულად, მისი არარსებობის, პირობებში ირანის სახანოებს შორის შინაომები დაიწყო. ერეკლე II-ს სახანოებს შორის ურთიერთობასა და მათ შინაურ საქმეებში ჩარევის საშუალება მიეცა.

1783 წლამდე (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე) ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს ერევნისა და განჯის ხანები უმაღლეს ხელისუფლად აღიარებდნენ. ერევნის ხანმა **ჰუსეინმა** მეფე ერეკლე II-ს

საზეიმოდ შეჰფიცა ერთგულება და შესაბამის დოკუმენტსაც მოაწერა ხელი. ერევნისა და განჯის სახანოებიდან სამეფოს ხაზინაში ხარკის სახით სერიოზული ოდენობის თანხა შემოდიოდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-თან ყარაბაღის ხანს. ყარაბაღის ხანმა **იბრაჰიმმა** განჯის სახანო დაიმორჩილა, თუმცა ერეკლე II და იბრაჰიმ ხანი მორიგდნენ და განჯის სახანოსათვის შეწერილ ხარკს შუაზე იყოფდნენ. ნუხის ხანი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხან ერელე II-თან კარგ ურთიერთობას არჩევდა, ხანაც ქართლ-კახეთში მოთარეშე ლეკებს ემხრობოდა. ნახჭევნის ხანი ერეკლე II-თან მშვიდობიანი მეზობლობის შენარჩუნებას ესწრაფოდა[382].

ახალციხის ფაშას, სულეიმანს, გამუსლიმებული ქართველი ჯაყელების საგვარეულოდან, აღიზიანებდა ქართველი მეფეების, მათ შორის ერეკლე II-ის, სწრაფვა სამცხე-საათაბაგოს შეერთებისაკენ. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, 1774 წელს, სულაიმან ფაშამ ერეკლე II-ს ოსმალეთის სულთნის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები მიართვა. სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს არწმუნებდა ქართლ-კახეთის სამეფოსადმი კეთილგანწყობილებაში[383].

* * *

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ ირანის სახანოები ერეკლე II-ის წინააღმდეგ აამხედრა. ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** ქართლ-კახეთის მეფეს განუდგა და განჯის ხანიც გადაიბირა. ერევნის ხანი **ჰუსეინი**, დედით ქართველი, ტახტზე ერეკლე მეფის მიერ იყო დასმული. ახალციხის ფაშა **სულეიმანი** ყველა საშუალებით ცდილობდა ერევნის ხანის გადაბირებას, თუმცა ჰუსეინ ხანი აშკარა ღალატისაგან ჯერჯერობით

---

[382] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 11-14.

[383] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 14-15.

თავს იკავებდა[384].

ოსმალეთის სულთანი გრძნობდა, რომ ირანის სახანოების ძალებით რუსეთს ვერ აიძულებდა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაზე ხელი აეღო და საქართველოდან ჯარი გაეყვანა. ოსმალეთმა თავისი გეგმების რეალიზება დაღესტნელთა დახმარებით გადაწყვიტა. ახალ-ციხის ფაშა სულეიმანმა ავარიის ხანი ომარი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ დაიყოლია. ომარ ხანმა სულეიმან ფაშასაგან თანხმობის სანაცვლოდ დიდი ოდენობით ქრთამი მიიღო.[385] ზემოთ ჩვენ აღვნიშ-ნეთ, თუ რა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა 1785 წელს ომარ ხანის ლაშქრობამ ქართლ-კახეთის სამეფოს[386].

* * *

1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. 21 აგვისტოს ოსმალეთის ფლოტი შავ ზღვაზე, ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის მისაგომებთან, თავს დაესხა რუსეთის სამხედრო ფლოტს. 1787 წლის 7 სექტემბერს იმპერატორმა ეკატერინა II-მ სპეციალური მანიფესტით ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო მდგომარეობაში იქნა მოყვანილი კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები[387]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1787 წლის 19 აგვისტოს, გრიგორი პოტიომკინმა ქართლ-კახეთის სამეფოდან რუ-სეთის ჯარის გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რაც დაუყოვნებლივ აცნობა პაველ პოტიომკინს. 1787 წლის 29 აგვისტოს პაველ პოტიომკინ-მა ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ბატალიონების მეთაურს პოლკოვნის სტეპან ბურნაშევს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღე-ბული ქვეყნიდან ჯარის გამოყვანა და კავკასიის ხაზზე დაბრუნება უბრ-

---

[384] Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 15-16.

[385] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 176-177.

[386] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179-185.

[387] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 198.

ძანა. ბრძანება განჯასთან მდგარმა სტეპან ბურნაშევმა 1787 წლის 13 სექტემბერს მიიღო და დაუყოვნებლივ შეუდგა მის შესრულებას. 1787 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორივე ბატალიონმა საქართველო დატოვა[388].

რა ვითარება იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებთან რუსეთის ჯარის გაყვანის წინა ხანებში და გაყვანის შემდეგ? ვითარება უაღრესად დაძაბული იყო. მოვიხმობ ამის დამადასტურებელ ფაქტობრივ მასალას.

1. იმერეთში ვახანის ციხის აღების შემდეგ ომარ ხანს 1785 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთის სამეფოზე ახალი ლაშქრობის მოწყობა სურდა. ქართლ-კახეთსა და იმერეთში ლაშქრობის დროს ლეკებმა 2.600 მებრძოლი დაკარგეს. ომარ ხანი ახალციხის ფაშა სულეიმანისაგან დახმარებას ელოდა, კერძოდ, 3.000 მებრძოლსა და 10 ზარბაზანს. ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა დაიწყებოდა, რომ არა ოსმალეთის სულთნის ფირმანი. სულთანმა სულეიმან ფაშას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ღიად ომში ჩაბმა აუკრძალა[389].

2. იმერეთიდან ომარ ხანი ახალციხეში დაბრუნდა. 1786 წლის აპრილის ბოლოს იგი 7.000 მებრძოლით ახალციხიდან დაღესტნისაკენ გაემართა. გზად ლეკებმა განჯის სახანოზე გაიარეს, გაძარცვეს ერთი სოფელი და ძარცვას თავი მხოლოდ მაშინ დაანებეს, როდესაც განჯის ხანმა 5.000 მანეთი გადაიხადა[390].

3. 1787 წლის დამდეგს ოსმალეთის სულთანმა ავარიის ხან ომარს, დაღესტნის შამხალს, ყარაბაღის ხანს და სხვა ხანებს დიდძალი თანხა და საჩუქრები გაუგზავნა, რათა ისინი რუსეთის წინააღმდეგ მიემხრო[391].

---

[388] იხ.: Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал **С. Н. Бурнашев.** Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 29; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899,стр. 208.

[389] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 185.

[390] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 189.

[391] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

ამ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში ჯერ კიდევ იმყოფებოდა ორი რუსული ბატალიონი.

4. 1787 წლის ოქტომბერში ავარიის ხანი ომარი ლაშქრით ბელაქანში მივიდა და ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის მზადებას შეუდგა[392].

5. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების (1787 წლის 13 აგვისტო) შემდეგ გრიგორი პოტიომკინმა დაღესტნის მფლობელს შეუთვალა, თავი შეეკავებინა საქართველოს მიმართ მტრული მოქმედებისაგან. ომარ ხანს გრიგორი პოტიომკინმა აცნობა, რომ რუსეთისადმი კეთილგანწყობის დამტკიცება თუ სურდა, ხელი აეღო ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევაზე.[393] დაღესტნის მფლობელებისა და ომარ ხანის პოზიცია დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. თუ სასწორი რუსეთის სასარგებლოდ გადაიხრებოდა, მაშინ ქართლ-კახეთის სამეფო შედარებით დაცული იქნებოდა. თუ ომი ოსმალეთის გამარჯვებებით დაინყებოდა, გრიგოლ პოტიომკინის სიტყვას არანაირი ფასი აღარ ექნებოდა და ქართლ-კახეთის სამეფო სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ჯერჯერობით კი ერეკლე II მშვიდობას ომარ ხანისათვის წლიურად 5.000 მანეთისა და ლეკებისათვის 3.000 მანეთის გადახდის გზით ინარჩუნებდა[394].

6. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ, 1788 წელს, გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-გან ითხოვდა იმერეთის მეფესთან ერთად გაენადგურებინა ოსმალეთის მცირერიცხოვანი რაზმები[395]. ეს, ცხადია, გაამწვავებდა ურთიერთობას ოსმალეთთან, რომელიც რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ არც ქართლ-კახეთისა და არც იმერეთის სამეფოებს თავდასხმებით არ აწუხებდა, ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა[396].

---

[392] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 37.

[393] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196-197.

[394] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

[395] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197.

[396] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197.

* * *

ქართლ-კახეთის სამეფო მარტოდმარტო აღმოჩნდა ირანის, ოსმალეთისა და კავკასიის მუსლიმი ხალხების წინააღმდეგ. სამივე ძალა, გაღიზიანებული გეორგიევსკის ტრაქტატითა და საქართველოში რუსეთის ჯარით შემოსვლით, რევანშის აღებას შეეცდებოდა. **ერეკლე II-მ მუსლიმ ხელისუფალთა ნდობა დაკარგა**. ამასთანავე, იმხანად ვერ განხორციელდა სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის ფორპორტად გადაქცევის გეგმა. მიუხედავად ამისა, ყველამ კარგად უწყოდა, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე რუსეთი ისევ შეეცდებოდა მიზნის მიღწევას – სამხრეთ კავკასიაში შემოღწევას. **რუსეთისაგან მიტოვებულ ერეკლე II-ს ირანსა და ოსმალეთთან მორიგების შანსი არ ჰქონდა. უფრო ზუსტად შანსი ჰქონდა, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის სახანოდ ან ოსმალეთის საფაშოდ გადაქცევას დასთანხმდებოდა. ამ გზით, ცხადია, ერეკლე II არ წავიდოდა. დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარებისა და სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეცვლა კი ქართლ-კახეთის სამეფოს არ შეეძლო. სამხრეთ კავკასია სამი დიდი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის – ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა და სამეფოს ბედიც ამ ბრძოლის შედეგებზე იქნებოდა დამოკიდებული.**

თავი V. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1787-1797 წლებში

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომი და ქართლ-კახეთის სამეფო

რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის წინ კავკასიაში ძალთა თანაფარდობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. შეიცვალა ირანის სახანოების და ჩრდილო კავკასიის მფლობელების დამოკიდებულება რუსეთისადმი. რუსეთ-ოსმალეთის ომის მოახლოებასთან დაკავშირებით რუსეთის საიმპერატორო კარი, სრულიდ ბუნებრივია, უნდა დაფიქრებულიყო საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: როგორ გამოეყენებინა კავკასიის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის, ქრისტიანული აღმსარებლობის ხალხები და სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გადაწყდა, რომ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში, რუსეთის ჯარი არ გაიგზავნებოდა. ვერც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გამოჩნდებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან(გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროებთან). რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევას ანაპიდან დასავლეთით, ბალკანეთის მიმართულებით, აპირებდა. ასე რომ, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთს, ისევე, როგორც რუსული ორიენტაციის მქონე იმერეთის სამეფოს ომში რუსეთის გამარჯვების შემთხვევაშიც დიდი მოლოდინის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ომში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში ქართულ სამეფო-სამთავროებს ოსმალეთი სასტიკად დასჯიდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი სამხრეთ კავკასიის ან ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევას არ გეგმავდა, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ჩრდილო კავკასიას, განსაკუთრებით ყუბანისპირეთს, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ანაპის სიმაგრეს, სადაც ოსმალთა ძლიერი გარნიზონი იდგა. 1786 წლის 26 აგვისტოს დამტკიცდა გენერალ-ანშეფ გრიგორი პოტიომკინის მიერ შედგენილი ორი დოკუმენტი, რომელთაგან ერთი ჩრდილო კავკასიის ხალხებში შექმნილ ვითარებას ეხებოდა, ხოლო მეორე – ჩრდილო კავკასიის მოსახლეობისაგან სახალხო ლაშქრის შექმნას. გრიგორი პოტიომკინი თვლიდა,

რომ სახალხო ლაშქრის შექმნით შესაძლებელი გახდებოდა რუსეთთან „კავკასიის ხალხების შერიგება და მათში რუსეთისადმი ერთგულების განმტკიცება“.[397] 1786 წლის 15 ოქტომბრის რესკრიპტით ეკატერინამ II გრიგორი პოტიომკინს განუსაზღვრელი უფლება მიანიჭა კავკასიის ხალხებსა და სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და თან დაავალა, რომ გამოეჩინა მისთვის ჩვეული „კაცთმოყვარეობა“. ისევე, როგორც ხშირად, იმპერატორის რესკრიპტში მოხსენებული კაცთმოყვარეობა, ამჯერადაც სავსებით შეუთავსებელი იყო რუსეთის დამპყრობლურ გეგმებთან.[398]

1786 წლის 13 დეკემბერს გრიგორი პოტიომკინი რუსეთის ელჩს სტამბოლში იაკოვ ბულგაკოვს სწერდა, რომ ესწრაფოდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას ლეკთა თავდასხმებისაგან. წერილში აღნიშნულია, რომ ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის სახალხო ლაშქარი (მილიცია) მხოლოდ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ იქმნებოდა. გრიგორი პოტიომკინი ვარაუდობდა, რომ მუსლიმთა სახალხო ლაშქარში გაწვევა გამორიცხავდა მათ თავდასხმებს ქართლ-კახეთის სამეფოზე.[399]

1786 წლის 19 ოქტომბერს გრიგორი პოტიომკინი კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს აცნობებდა, რომ სახალხო ლაშქრის (მილიციის) შესანახად ყოველწლიურად 50.000 მანეთი იყო გათვალისწინებული. ამ თანხის ნაწილი ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელების, პირველ რიგში, ავარიის ხან **უმმას**, მოსასყიდად იყო განკუთვნილი. იმავე წერილში გრიგორი პოტიომკინი აღნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის ორგანიზებისათვის 60.000 მანეთი იყო გამოყოფილი. ეკატერინა II-ის ფავორიტი ხაზს უსვამდა, რომ როგორც მუსლიმთა სახალხო ლაშქარი, ისე ქართული ჯარიც, როგორც რუსეთისაგან დაქირავებულები, უნდა დამორჩილებოდნენ პირადად მას და არა – მეფეს (ერეკლე II-ს – **ვ. გ.**). გრიგორი პოტიომკინი წერდა, რომ ქართული ჯარის ორგანიზება ქართლ-კახეთის სამეფოს სასარგებლოდ მოხდე-

---

[397] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука”, Москва, 1966, стр.218.

[398] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука”, Москва, 1966, стр.218-219.

[399] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.219.

ბოდა, მაგრამ ჯარი პირადად მას უნდა დამორჩილებოდა.[400] ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის გაძლიერებაზე ზრუნვა იმის დამადასტურებელი იყო, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი მივიდა სწორ დასკვნამდე: თუ ერეკლე II-ს ძლიერი ჯარი არ ეყოლებოდა, ქართლ-კახეთის სამეფო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფორპოსტის როლს ვერ შეასრულებდა. ორი რუსული ბატალიონის ყოფნა საქართველოში ვითარებას ვერ ცვლიდა, პირიქით, ჩრდილო კავკასიის მფლობელებს მადას უღვიძებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის. უნდა აღნიშნოს, რომ ქართული ჯარის გაძლიერების იდეა გრიგორი პოტიომკინისაგან არ მომდინარეობდა. 1784 წლის შემოდგომაზე თბილისში ვიზიტის შემდეგ კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა პაველ პოტიომკინმა თავის ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნა ქართლ-კახეთის ჯარის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.[401]

რუსეთთან მოახლოებული ომის წინ ოსმალეთი ცდილობდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის აჯანყებას რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ. ჩრდილო კავკასიაში მუსლიმებს საღვთო ომისაკენ მოუწოდებდა იმამი **უშურმა (შეიხი მანსური)**. ასეთ ვითარებაში დერბენტის ხანი **ფათალი** ქართლ-კახეთის მეფესთან დაზავებას ესწრაფოდა. იგივე სურდა რუსულ დიპლომატიასაც. 1786 წლის შემოდგომაზე კავკასიის ხაზზე პაველ პოტიომკინთან ჩავიდა ფათალი ხანის ელჩობა **მირზა სადიკის** წინამძღოლობით. დერბენტის ხანი პაველ პოტიომკინს სწერდა, რომ იგი რუსეთის ერთგული იყო და მზად იყო ოსმალეთთან, დაღესტნისა და სხვა ხანებთან ურთიერთობაში რუსეთის სასარგებლოდ ეღვაწა. ფათალი ხანი პაველ პოტიომკინს ირანის დაპყრობის გეგმას სთავაზობდა. პაველ პოტიომკინმა მირზა სადიკს გადასცა დოკუმენტი, რომელზე ხელის მოწერის შემდეგაც ფათალი ხანი რუსეთის ქვეშევრდომი გახდებოდა.[402] ერეკლე II საჭიროდ მიიჩნევდა ფათალი ხანთან ზავის ჩამოგდებას. თავის მხრივ, პაველ პოტიომკინი ფათალი ხანს ერეკლე II-თან დაზავებას ურჩევდა. 1786 წლის 6 დეკემბერს რუსი

---

[400] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.219.

[401] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.219.

[402] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.221.

დიპლომატი ფათალი ხანს მიანიშნებდა, რომ ერეკლე მეფესთან კავშირი მას აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა.[403] 1787 წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა ფათალი ხანის ელჩი მირზა რაჰიმი და ერეკლე მეფეს მოკავშირეობა შესთავაზა. მეფემ წინადადება მიიღო და ფათალი ხანთან თავისი ელჩი გაგზავნა. 1787 წლის მარტში ქართლ-კახეთის მეფესა და დერბენტის ხანს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა.[404] ასე დამთავრდა ერეკლე მეფისა და ფათალი ხანის თითქმის ოცდაათწლიანი დაპირისპირება. ფათალი ხანთან კავშირს ერეკლე II კარგად იყენებდა დაღესტნელი ხანების შემოსევების თავიდან ასაცილებლად. მოგებული დარჩა ფათალი ხანიც: დერბენტის ხანს საშუალება მიეცა მთელი ძალები სამხრეთ აზერბაიჯანიდან აღა მაჰმად ხანის განსადევნად გადაესროლა.

რუსეთთან ომის დაწყებამდე ოსმალეთმა კიდევ ერთხელ სცადა ერევნის ციხის ხელში ჩაგდება და ერევნის სახანოდან ქართლ-კახეთის მეფის გაძევება. 1787 წლის ივნისში ხოის ხანმა **ჰუსეინ ყულიმ** სულთნის ფირმანი მიიღო. სულთანი წერდა: "თბილისის ვალმა (ერეკლე II-მ –ვ.გ.) რუსები მოიწვია აზერბაიჯანისა და ჩვენი მიწების დასაქცევად. მაგრამ დაავიწყდა, რომ ჩვენ უფლება გვაქვს დავიცვათ ჩვენი სახელმწიფო... ერევნის გაძარცვას ჩვენ არასდროს არ დავთანხმდებით, ამიტომაც ვუბრძანეთ ბაიაზეთის, ვანის ფაშებს და სხვა უფროსებს, როცა თქვენ დაგჭირდებათ, მოგცენ ჯარი. თუ თბილისის ვალი თავის საზღვრებს გადმოლახავს, არზრუმის ფაშა მუსტაფას ნაბრძანები აქვს თქვენ დაგეხმაროთ.[405] 1787 წლის 19 ივლისს პაველ პოტიომკინმა მოითხოვა განმარტება, რა მოემოქმედა, თუ ოსმალები მართლაც დააპირებდნენ ერევნის ციხის ხელში ჩაგდებას.[406]

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ დაძაბული იყო ერეკლე მეფისა და ყარაბაღის ხან **იბრაჰიმის** ურთიერთობა. 1787 წლის დამდეგს ერეკლე II-მ 6.000 მებრძოლი შეკრიბა და პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს

---

[403] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.221.

[404] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.222.

[405] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.223.

[406] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.223.

ყარაბაღის სახანოზე გალაშქრება შესთავაზა. სტეპან ბურნაშევმა, იმ მიზეზით, რომ ყარაბაღის სახანო ირანის ტერიტორიას წარმოადგენდა, იბრაჰიმ ხანთან ომისაგან თავი შეიკავა.[407]

* * *

1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო 21 აგვისტოს შავ ზღვაზე (ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის მახლობლად) ოსმალეთის ფლოტმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. 1787 წლის 7 სექტემბერს იმპერატორმა ეკატერინა II-მ ომი გამოუცხადა ოსმალეთს.

რუსეთ-ოსმალეთის ომი უზარმაზარ სივრცეზე – ჩრდილო კავკასიიდან (ყუბანისპირეთიდან) ჩრდილო ბალკანეთამდე (დუნაისპირეთამდე)- გადაიჭიმა. ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და საერთოდ, მთელი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ომის მსვლელობას ჩრდილო კავკასიასა (ყუბანისპირეთსა) და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.

რუსეთის სარდლობას ჩრდილო კავკასიაში დაჯგუფებული ჰყავდა **ყუბანის კორპუსი, კავკასიის კორპუსი** და **დონის კაზაკთა ჯარი.** კავკასიის კორპუსში შედიოდა: ქვეითი ბატალიონები – 24, კარაბინერთა ესკადრონები – 30, დრაგუნთა ესკადრონები – 20, ყოფილი მოსკოვის ლეგიონის ესკადრონები – 3, კაზაკთა და ყალმუხთა ჯარის პოლკები – 10, საველე ზარბაზანი – 10. ყუბანის კორპუსში შედიოდა: ქვეითი ბატალიონები – 8, დრაგუნთა ესკადრონები – 20, კაზაკთა ჯარის პოლკები – 2[408].

1787 წლის 15 აგვისტოს, ე. ი. ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ, კავკასიის ხაზის მთავარსარდლად და ამავე დროს ყუბანისა და კავკასიის კორპუსების სარდლად **პაველ პოტიომკინის** ნაცვლად გენერალ-ანშეფი **პიოტრ ტეკელი** დაინიშნა. 1787 წლის აგვისტო-სექტემბერში გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი აგრძელებდა თავისი მოვალეობის შესრულებას. პიოტრ ტეკელი მოქმედ არმიაში გამოცხადდა და მოვალეობის შესრულებას 1787 წლის

---

[407] **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука", Москва, 1966, стр.227.

[408] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 198-199.

4 ოქტომბერს შეუდგა[409].

1787 წლის სექტემბრიდან ჩრდილო კავკასიაში, ყუბანში, მდინარე ყუბანის ორივე ნაპირზე, განსაკუთრებით ყუბანის შუა და ზემო წელზე რუსეთი ჯარი გამუდმებულ, მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დასამორჩილებლად. 1788 წლის ბოლოს ოსმალეთის სულთანმა მდინარე ყუბანის შავ ზღვაში ჩადინების ადგილას ჯარების გადასხმის გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთის წინააღმდეგ **შეიხ მანსურის** წინამძღოლობით ყუბანის მუსლიმი მოსახლეობის ბრძოლამ რელიგიური ომის ხასიათი შეიძინა, თუმცა რუსეთის მრავალრიცხოვან ჯარს ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. რუსებმა ომის ყველა ფრონტზე წარმატებები მოიპოვეს, განსაკუთრებით დიდი იყო წარმატებები დუნაისპირეთში. ოსმალეთმა მარცხი განიცადა შავ ზღვაზეც.

* * *

1788 წლის 22 მაისს ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა რუსეთის საიმპერატორო კარზე **სულხან თუმანიშვილმა**, რომელმაც გარსევან ჭავჭავაძე შეცვალა, გრაფ **ალექსანდრ ბეზბოროდკოს** გადასცა ერეკლე II-ის წერილი. ქართლ-კახეთის სამეფო კარი რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვდა ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ დასადებ საზავო ხელშეკრულებაში რუსეთს ოსმალეთისათვის მოეთხოვა, რომ ახალციხის საფაშო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ხოლო აჭარა იმერეთის სამეფოსათვის გადაეცა: „При продолжении союзных договоров Российскаго имп. двора с Отаманскою Портою не оставить внесть о пользе Грузии, и по сим заключеннаго с Карталиниею трактата настоять Атабегское владение, состоящее ныне под Отоманскою Портою, предоставя всем-ше Ахалцихскую провинцию Грузии и Кахетии, а Адчару с ея округою — Имеретии, как издревле оным принадлежащие".[410].ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელი ასევე

[409] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 201.

[410] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-

ითხოვდა რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ოსმალეთის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვას: „ На случай буде сего учинить невозможно, то взамену предоставить возвращение убытков, нанесенных поводом Отаманские Порты Карталинии."[411] ერეკლე მეფე ალექსანდრ ბეზ-ბოროდკოს სთხოვდა, რომ აღა მაჰმად ხანის თავდასხმის შემთხვევაში რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების რაოდენობა გაეზარდა: Ага-Мамет-Хан (коего посланник находится в России) приближился с многочисленными персидскими силами своими к Карталинаским границам и покушается учинить нападение на Карталинию, для чего е. в-во просит е. и. в. помощи войсками, или казною.[412]მეფე ალექსანდრ ბეზბოროდკოს ასევე სთხოვდა 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ნაბო-ძები ზარბაზნების იმ ნაწილის გამოგზავნას, რომელიც რუსეთში იყო ჩარჩენილი.[413]

1788 წლის 22 მაისსავე სულხან თუმანიშვილმა რუსეთის იმპერიის ვიცე-კანცლერს ერეკლე II-ის სახელით მეორე წერილი გადასცა. წერი-ლი შემდეგ სათხოვარს შეიცავდა:

1. რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების დადების დროს რუ-სეთს ოსმალეთისათვის უნდა მოეთხოვა, რომ ოსმალეთს არც აშკარად და არც ფარულად ქართლი არ დაერბია: „При заключении Российскаго и. двора с Отоманскою Портою союзных договоров — просит е. в-во о твердом постановлении, дабы Отоманской двор ни собою, ниже поводом его, как явными, так и тайными происками вредит Карталинии не мог";[414]

Петербург, 1902, стр. 66.

[411] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66.

[412] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66.

[413] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66.

[414] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66.

2. რუსეთის საქართველოში უნდა შემოეყვანა ორჯერ მეტი ჯარი, ვიდრე ადრე ჰყავდა, ანუ ოთხი ბატალიონი, ხოლო, თუ ეს შესაძლებელი არ იქნებოდა, მაშინ ორი ბატალიონი მაინც შემოეყვანა. ერეკლე მეფე წერდა, რომ რუსული ჯარი პროვიანტს შეისყიდდა არსებული ფასით, ხოლო მას შემდეგ, რაც მტრების შემოსევებით გაჩანაგებული ქვეყანა ფეხზე დადგებოდა, პროვიანტის ფასი შემცირდებოდა „...удвоить количество баталионов, состоявших до сего в Грузии, а буде сего учинить невозможно, то хотя тож количество ввесть немедленно в Карталинию, с тем, что провиант им доставляем быть имеет по справочной цене до того времени, пока народ разоренный неприятельскими нападениями, получит первобытное свое состояние, и тогда уменшится цена провианту."[415]

3. ერეკლე მეფე ითხოვდა, რომ ზავის დადების დროს რუსეთს ოსმალეთისათვის მოეთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ოსმალეთის მიერ მიყენებული ზარალის, ასევე, ახალციხის ფაშას მტრული მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება: „Е. Выс-о полагает твердое упование, что при заключении мирных договоров с Отоманскою Портою Российским и. двором возвращены будут все убытки, нанесенныя поводом Отоманские Порты и происками Сулеимана-паши Карталинии."[416]

4. ერეკლე II რუსეთის ვიცე-კანცლერს აცნობებდა, რომ ოსმალეთი ფულითა და სხვა საშუალებებით ცდილობდა ქართლის დაპყრობას ან მის გავერანებას (იგულისხმება ლეკთა და ოსმალთა რაზმების შემოგზავნა ახალციხის საფაშოდან ქართლში – ვ. გ.). მეფე წერდა, რომ ამ საშიშროებიდან თავის დაღწევა მას მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეეძლო: „Отоманская Порта прилагает свои старания чрез денежныя издержки и другия средства о завладении или непременном раззорении Карталинии, и буде е. и. в чрез предстательство вашей светлости не явит заступления, то не избегнет отечество наше завладения или раззорения,

---

[415] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 66-67.

[416] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр.67.

могущаго произойти от неспавненных сил; итак, естьли благоволите о отвращении другими способами, то не отлагайте нужнаго времени, дабы, видя отечество наше определенную ему судьбу, предприняло заблаговременно способы к своему спасению. Я ведаю, что ваша св-ть обременяетесь важнейшими делами, но и о том осмеливаюсь изъявить, что для отечества нашего сие обстоятельство то же самоважнейшее. Впротчем, предая воле в. св., заключу последним тем, что е. выс-о и подвластные ему народы, возлагая на вас всю надежду, ожидают помощи."[417]

ერეკლე II-ის 1787 წლის 26 მაისის ორ წერილში დაყენებული საკითხებიდან ნაწილობრივ გადაწყდა ერთი. 1791 წლის 29 დეკემბერს ქალაქ **იასში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. იასის ზავის მეხუთე მუხლის თანახმად, სულთანი გამოსცემდა ფირმანს, რომელიც ახალციხის ფაშას აუკრძალავდა ნებისმიერი ფორმით, ფარულად თუ აშკარად, ქართლის საზღვრებში შეჭრას და მოსახლეობის დაწიოკებას[418]. იასის ზავით ოსმალეთმა დაადასტურა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ.) პირობები. რუსეთის საზავო მოლაპარაკებაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ახალციხის ფაშას მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი არც კი დასმულა. უარყოფითად გადაწყდა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ოთხი ან ორი ბატალიონის გამოგზავნის საკითხიც.

1791 წლის 21 ივნისს გენერალ-ანშეფმა **ივან გუდოვიჩმა** ყუბანისა და კავკასიის კორპუსების ძალებით **ანაპა** აიღო. ამის შემდეგ **სუდაკის** ციხე-სიმაგრე ოსმალებმა უბრძოლველად დატოვეს. ომი ჩრდილო კავკასიაში დამთავრდა[419].

ანაპის აღების შემდეგ ივან გუდოვიჩი გეორგიევსკში დაბრუნდა.

---

[417] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр.67.

[418] **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Политические и торговые. Государственная публичная поторическая библиотека России. Москва, 2005, стр. 65; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66-67.

[419] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 232-244.

1791 წლის 7 ნოემბერს მან იმპერატორ ეკატერინა II-ს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში განხილული იყო რუსეთის ურთიერთობა კავკასიის ხალხებსა და ირანთან. 1792 წლის 16 იანვარს ივან გუდოვიჩმა ეკატერინა II-ს კავკასიის ხაზის მოწყობის გეგმა წარუდგინა[420]. 1792 წლის 28 თებერვალს იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებას **კავკასიის ხაზის** მოწყობის შესახებ. კავკასიის ხაზი იწყებოდა მდინარე თერგის შესართავიდან და გრძელდებოდა **ეკატერინოგრადამდე** (ყუბანი). 1794 წლისათვის კავკასიის ხაზზე მდინარე **თერგის** შესართავიდან **მალკამდე** უკვე არსებული სიმაგრეების (ყიზილარის, ნაურის, მოზდოკისა და ეკატერინოგრადის) გარდა, აიგო რამდენიმე რედუტი, ხოლო მდინარე **სუნჯის** მდინარე **თერგთან** შეერთების ადგილას – **შელკოზავოდსკის** ციხე-სიმაგრე[421]. კავკასიის ხაზზე ახალი სიმაგრეების მშენებლობას და ჯარების გაზრდას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. რუსეთისადმი მტრულად განწყობილი კავკასიის მთიელებისაგან მოზდოკიდან საქართველოში მომავალი გზის დაცვა, ჯარისა და კურიერების შეუფერხებელი მოძრაობისათვის პირობების შექმნა გარკვეულ გავლენას ახდენდა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებზე, ხოლო ერეკლე II-ს რუსეთიდან ჯარების შეუფერხებლად მიღების იმედს აძლევდა.

* * *

რუსეთიდან ჯარის გამოგზავნის მოლოდინში 1791 წელს დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ოსმალეთმა ომში მარცხი იწვნია. ახალციხის ფაშა **სულეიმანი** შედარებით ლოიალური გახდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ძალზე საშიში ამბები ხდებოდა ირანში. 1779 წელს გარდაიცვალა ირანის ვექილი (მმართველი) **ქერიმ ხანი**. ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში სერიოზული უპირატესობა მოიპოვა ასტრაბადის მფლობელმა

---

[420] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 244.

[421] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 245-247.

აღა მაჰმად ხანმა. მას 1779 წლიდან დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ ირანის შაჰის ტახტის მაძიებლები გზიდან ჩამოეშორებინა. სანამ აღა მაჰმად ხანი თავის მოწინააღმდეგეებს ებრძოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ დიდი ძალების თავმოყრა არ შეეძლო. 1779-1783 წლებში, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლამდე, აღა მაჰმად ხანსა და ერეკლე II შორის ურთიერთობა არ გამწვავებულა. ამ პერიოდში აღა მაჰმად ხანს **ერევნის, განჯის, ნახჭევანის, ყარაბაღის** სახანოებში პოზიციების განმტკიცება არ უცდია, ანუ ქართლ-კახეთის საზღვრებს არ მოახლოებია. მიუხედავად ამისა, ერეკლე მეფე მშვიდად ვერ იქნებოდა. განსაკუთრებით გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ დაერღვეოდა მეფეს მოსვენება. ერეკლე II-მ კარგად იცოდა, რომ აღა მაჰმად ხანი გეორგიევსკის ტრაქტატს თავისი უფლებების შელახვად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ მეფე ქართლ-კახეთის მოსაზღვრე ირანულ სახანოებში პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა და ამავე დროს გულმოდგინედ აკვირდებოდა თვით ირანში მიმდინარე მოვლენებს. თუ როგორ დამთავრდებოდა ირანის შაჰის ტახტისათვის ბრძოლა, ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი. ირანიდან მიღებულ ცნობებს ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარს აწვდიდა. 1786 წლის 23 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას ასეთი შინაარსის ინფორმაცია მიაწოდა:

1. აღა მაჰმად ხანმა, რომელსაც 40.000 მებრძოლი ჰყავდა, ქალაქი ისპაჰანი აიღო და მთელი ირანი გააერთიანა.

2. აღა მაჰმად ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს გამოუგზავნა ირანში მყოფი თავადი ციციშვილი შემდეგი დანაბარებით: აღა მაჰმად ხანს სურდა, რომ ერეკლე II-თან თანხმობა, მეგობრობა და სიყვარული ჰქონოდა. ამის დასადასტურებლად იგი მეფე ერეკლეს სთავაზობდა აზერბაიჯანული სახანოები ისევე შეეერთებინა, როგორც ერევნის სახანო.

3. აღა მაჰმად ხანი ერეკლეს არწმუნებდა, რომ მას სურდა ყველასათვის დაედასტურებინა თავისი ერთგულება.

ამგვარი კეთილგანწყობის გამოვლენა აღა მაჰმად ხანს სჭირდებოდა იმისათვის, რომ ერეკლე II-ს რუსეთისა და ირანის ურთიერთობაში

შუამავლის როლი შეესრულებინა[422].

1788 წლის 22 მაისს ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა რუსეთის საიმპერატორო კარზე სულხან თუმანიშვილმა ალექსანდრ ბეზბოროდკოს ერეკლე II-ის წერილი გადასცა. მეფე რუსეთის საიმპერატორო კარს აცნობებდა: აღა მაჰმად ხანი (რომლის წარმომადგენელი იმხანად რუსეთში იმყოფებოდა), მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლის საზღვრებს უახლოვდებოდა, რათა თავს დასხმოდა მას. ერეკლე II რუსეთის იმპერატორს ჯარით დახმარებას თხოვდა. თუ რუსეთი ჯარით დახმარებას ვერ შეძლებდა, მაშინ ერეკლე II აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად იმპერატორისაგან ჯარის დასაქირავებელ თანხას ითხოვდა[423].

აღა მაჰმად ხანი სულ უფრო უახლოვდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს. რუსეთის საიმპერატორო კარისაგან არც ჯარი და არც ჯარის დასაქირავებელი ფული ჩანდა სადმე. ქართლ-კახეთის მეფეს ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა უნდა ეპოვა. ასე დაიბადა **ივერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატის** დადების იდეა.

* * *

ქართულ ისტორიოგრაფიაში ივერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატის დადების დრო, ტრაქტატის დადების მიზეზები, ტრაქტატის დადების წინა პერიოდის პოლიტიკური ვითარების შეფასება და თვით ტრაქტატის შედგენილობა დიდხანს პოლემიკის საგანი იყო. საკითხს ნათელი მოეფინა პროფესორ ვალერიან მაჭარაძის ნაშრომის: **„ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება“**– გამოსვლის შემდეგ[424]. სანდო საარქივო და სხვა მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორმა დაადგინა, რომ ივერიელ მეფეთა და მთავართა „ტრაქტატი“ ერეკლე II-ს

---

[422] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 61.

[423] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 66.

[424] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ.235-255.

სჭირდებოდა, რათა თავი დაეცვა აღა მაჰმად ხანისაგან[425]. ვალერიან მაჭარაძემ ისიც ცხადად დაადასტურა, რომ **ტრაქტატი არ წარმოადგენდა ერთ დოკუმენტს, რომელზეც ხელს აწერდნენ ქართლ-კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიის მთავარი. ქართველი მეფეები და მთავრები ერთად არ შეკრებილან და ერთ დოკუმენტზე არ მოუწერიათ ხელი.** ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება და მას ცალ-ცალკე, ურთიერთშეჯერების გარეშე, მოაწერეს ხელი: ქართლ-კახეთის მეფემ **ერეკლე II**-მ, დედოფალმა **დარეჯანმა**, კათოლიკოს-პატრიარქმა **ანტონ II**-მა; იმერეთის მეფემ **სოლომონ II**-მ და დედოფალმა **მარიამმა**; სამეგრელოს მთავარმა **გრიგოლ დადიანმა** და გურიის მთავარმა **სვიმონ გურიელმა**. დოკუმენტი 1790 წელს შედგა. ოთხიდან არც ერთ დოკუმენტს შედგენის ზუსტი თარიღი (თვე, რიცხვი) არ უზის[426].

ხსენებული ოთხი დოკუმენტის, ანუ, როგორც მისი შემდგენლები ხმარობდნენ, **„ტრახტატის“**, ტექსტების შინაარსის გაცნობით ცხადი ხდება, რომ პირველი დოკუმენტით, რომელსაც ერეკლე II აწერს ხელს, ქართლ-კახეთის მეფე ჰპირდება იმერეთის მეფე **სოლომონ II-ს**, სამეგრელოს მთავარ **გრიგოლ დადიანს** და გურიის მთავარ **სვიმონ გურიელს**: ა) თქვენს მტერს ჩემს მტრად შევრაცხ და თუ ვინმე აღდგება თქვენ წინააღმდეგ, ვეცდები ჩემი შეძლებისამებრ, „მზა ვიყო შემწედ თქვენდაო“ (არტიკული 1, 2, 3, 4); ბ) რაკი მე ვარ რუსეთის სამეფო კართან ხელშეკრულებით დაკავშირებული, ვეცდები თქვენც რუსეთის მფარველობაში შეგიყვანოთო (არტიკული 5); გ) **ვით ძეთა ჩემთა, თავადთა, საქართველოსათა ერთა რჯულ უდებ, საუკუნოდ ერთგამად შეერთებასა ამასა ქვემოისა ივერიისათანა და ვამცნებ ყოველთავე, რ-ა მტკიცედ ედგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შ-ა ვ-ა რჯულთა ზ-ა ეკლესიურთა, – იყვან ესრეთ“** (არტიკული 6). დოკუმენტზე ხელი მოუწერიათ და ბეჭდები დაუსვამთ **ერეკლე** მეფეს, დედოფალ **დარეჯანს** (დარიას) და **ანტონ** კათალიკოსს[427].

---

[425] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ. 246.

[426] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ. 235-236.

[427] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება.

რაც შეეხება დანარჩენ სამ დოკუმენტს, ისინი შეიცავენ სოლომონ II-ის, გრიგოლ დადიანისა და სვიმონ გურიელის პირობას მხოლოდ ერეკლე მეფისადმი, ურთიერთისადმი კი არავითარ ვალდებულებას არ იღებდნენ. დოკუმენტები დასათაურებულიც ასეა: „ტრახტატი", მეორე, ნაცვლად პირველისა", რომელზეც ხელი მოუწერიათ და ბეჭედი დაუსვამთ სოლომონ II-სა და მარიამ დედოფალს; „ტრახტატი" მესამე ნაცვლად პირველისა" – ასე ეწოდება გრიგოლ დადიანის მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ ტექსტს; „ტრახტატი" მეოთხე ნაცვლად პირველისა" – ასე ეწოდება სვიმონ გურიელის მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ ტექსტს. ე. ი. ხსენებული სამი დოკუმენტი პირველი დოკუმენტის პასუხებია და შინაარსიც იდენტურია[428]. დოკუმენტების შინაარსის გაცნობა ცხადყოფს, რომ იმერეთის მეფე და სამეგრელოსა და გურიის მთავრები ერთმანეთთან კი არ დებენ პირობას, არამედ ცალ-ცალკე დებენ პირობას ქართლ-კახეთის მეფის წინაშე[429].

ამრიგად, „ტრახტატი" საქართველოს საშინაო ვითარების ერთგვარ მოწესრიგებას ისახავდა მიზნად და აღა მაჰმად ხანის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში ერეკლესათვის დახმარებას გულისხმობდა. ამ ფორმის დოკუმენტი ზავს ვერ ჩამოაგდებდა და არც ჩამოუგდია იმერეთის მეფეს, სამეგრელოსა და გურიის მთავრებს შორის[430].

§ 2. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების მცდელობა – მითი და სინამდვილე

ივერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატს უკავშირდება ერთი საკითხი, კერძოდ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების მცდელობა. ქრონოლოგიურად ეს მოვლენა წინ უსწრებდა ივ-

– ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ. 239.

[428] ვალერიან მაჭარაძე. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა . თბილისი, 1995, გვ. 239-240.

[429] ვალერიან მაჭარაძე. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა . თბილისი, 1995, გვ. 240.

[430] ვალერიან მაჭარაძე. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა . თბილისი, 1995, გვ. 240.

ერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატს. **ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების მცდელობის შესახებ პირველხარისხოვანი, მეტნაკლებად სრული და სანდო წყარო არ მოგვეპოვება.** ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად აქვს გაშუქებული პლატონ იოსელიანს თავის წიგნში **„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"**[431]. რადგან პლატონ იოსელიანის ნაშრომი ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს მისი წიგნიდან. პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს:

„შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა სოლომონ პირველისა, ოდეს გამეფდა იმერეთს დავით, მოვიდნენ იმერეთით ევთიმი გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცისკაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ესენი ითხოვდნენ, რადგანაც არა სურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერთა არწმუნებდენ მეფესა, რომელ ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა. მეფემან უგდო ყური და ნაცვლად პასუხისა პირად ბრძანა იქმნას რჩევა საქმისა. დანიშნულსა დღესა კათოლიკოსი, მღვდელმთავარნი, თავადნი, სარდალნი, სალთხუცესნი, მდივანბეგნი ქართლ-კახეთისა, შეიკრიბნენ სამეფოსა პალატაში და შევიდნენ განსჯასა. პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა. მას შეუდგნენ კათოლიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი ქიზიყისა, ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. მეფე სდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა; აკურთხევდა ჰაზრთა ამათ, ზეგარდამო შთაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. „ნუ ჰყოვნი, მეფეო! – იტყოდა ჭაბუა, – მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მე-

[431] **პლატონ იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1978, გვ. 15-18.

ფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილისშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყანისა. – ვითარ მოელო მეფობა ქართლისა. ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოელო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება". – „ბატონო მეფევ, – მოახსენა ქაიხოსრო წერეთელმან, – უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, – მაშინ დაუტევეთ იმერეთისა მეფობა, მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება, იყოლიონ თვისდა მეფე თვისი. ამითი არა დაშავდება რა. სცადეთ რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით. – ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, რომ სცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა". შემდეგ დუმილისა მეფისაგან, მუხრანის-ბატონმან იოანე მოახსენა კრებასა: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაცა ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?" – სარდალმან დავით, განრისხებულმან წარმოსთქვა სიტყვა: „მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისისა ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება". – სიტყვამან ამან დაბადა ამბოხი, აწყინა მეფესა და წყინებული მეფე წამოდგა და შევიდა სხვასა ოთახსა. დაშალა შეკრებილება პირველი.

სცნო დედოფალმან დარეჯან საუბარი ესე ყოველი, განრისხნა და მიაწერა ჰაზრი ესე მეფის ძეს გიორგის, რადგანაც სარდალი დავით იყო დისწული მისი საყვარელი და მეტოქი მუხრანის-ბატონისა, დაიბარა ჭაბუა და მრისხანედ უბრძანებდა ყვედრებითთა სიტყვათა „არა, ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული, – იტყოდა ჭაბუა, – მეფისა და სამეფოისა. ჰაზრი ჩემი დაჰშთება უცვალებელად, მტკიცედ და უკეთუ არ აღსრულდება, შთავიტან თან საფლავსა. რად მიბრძანებთ, არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყანისა. ვიცი, რასაცა ვიტყვი. არ ვხედავ კეთილად საქმესა და ასე ვარჩევ? ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტსა? – ვჰგონებ იქმნება საქმე ეშმაკისა, ბორო-

ტისა კაცისა და ქვეყნის მტერისა. მამაპაპათა სისხლი დაულვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ, ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ".

მეფის ძე გიორგი, მორიდებული მამისა და დედინაცვლისა, არ ინახვინებდა არცა დესპანთა და არცა კარისკაცთა, რათა არა წარმოსთქვან რაიმე სიტყვა და არა მივიდეს ჰაზრი რაიმე ახალი მეფისადმი მასზედ გაიჭვიანებულისა.

ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილისშვილისა ხელთაგან.

დღესა მესამესა, შემდეგ პირველისა, იყო შეკრებილება მეორე. ჭაბუა კვალად იტყოდა მასვე; კათოლიკოსი ანტონი ამტკიცებდა მათსა ჰაზრსა. მაშინ მეფემან უბრძანა მეფის ძეს გიორგის: „რას იტყვი, გიორგი, შენ?" – „ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, – იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, – ბრძანებს მაცხოვარი". – სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა. ჭაბუამ კვალად აღამაღლა ხმა და მოსთხოვა მდაბლად, რათა თანახმა იქმნეს მეფე ერთობისა ჰაზრისათვის და აღასრულოს თხოვა იმერეთისა დესპანთა. მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. – დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა". ესრეთ დაბოლოვდა დესპანობა იმერთა და ჰაზრი ერთობისა.

მასვე წელსა 1790 წარავლინეს ჯარი ქართველთა 4.000 და თა-

ნაჰყვა სარდლად მუხრანის ბატონი იოანე, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ეშიკალას-ბაში ჩოლაყაშვილი; ანდრონიკაშვილი რევაზ (ცოლისძმა მეფის ძისა გიორგისა), და მეფის ძე იულონ; გარდააგდეს მეფე დავით და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს"[432].

ზემოთ მოხმობილი ვრცელი ამონაწერის მოკლე შინაარსი ასეთია: სოლომონ I-ის გარდაცვალებისა და დავით გიორგის ძის გამეფების შემდეგ იმერეთის სამეფოდან თბილისში ერეკლე II-თან ელჩები (ექვთიმე გენათელი, დოსითეოზ ქუთათელი, ქაიხოსრო წერეთელი, ზურაბ წერეთელი, იოანე აბაშიძე და სხვ.) ჩავიდნენ. ელჩებს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-სათვის იმერეთის სამეფოს შეერთება უთხოვიათ. მეფეს დარბაზის სხდომა მოუწვევია, რომელიც სამ დღეს გაგრძელებულა. დარბაზის წევრნი ერთ აზრზე ვერ დამდგარან, ნაწილი იმერეთის სამეფოს შეერთებას უჭერდა მხარს, ნაწილი წინააღმდეგი იყო. ერეკლე მეფის მიერ იმერეთის სამეფოს შეერთების პრინციპული წინააღმდეგი ყოფილა **დარეჯან დედოფალი**. სერიოზული განსჯის შემდეგ ერეკლე მეფეს დარბაზის სხდომაზე განუცხადებია: „თხოვასა ამასა ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა, ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიც უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. – დესპანნო! წარვედით იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესერთისა კავშირთა თვით-თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართვლისა თანა"[433]. პლატონ იოსელიანის მიხედვით, იმერეთიდან დელეგაციის ჩამოსვლის წელსვე – 1790 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარი იმერეთში გადასულა და ტახტზე ერეკლეს შვილიშვილი **დავით არჩილის ძე – სოლომონ II** აუყვანია. ამრიგად, თუ პლატონ იოსელიანს დაუჯერებთ 1790 წელს იმერეთის სამეფოდან თბილისში ელჩობა ჩამოსულა და ერეკლე მეფისათვის იმერეთის სამეფოს შეერთება უთხოვია. ერეკლე II-ს უარი უთქვამს, მაგრამ იმავე 1790 წელს იმერეთის სამეფოში ჯარი გაუგზავნია და ტახტზე თავისი შვილიშვილი დავით არჩილის ძე აუყვანია. პლატონ იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" მოყვანილი ცნობა ბევრ კითხვას ბადებს: 1) რა წყაროდან იღებდა საკმაოდ ვრცელ და დაწვრილებით

---

[432] **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1978, გვ. 15-18.

[433] **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1978, გვ. 17-18.

ცნობას პლატონ იოსელიანი? ჩვენთვის ცნობილ არც ერთ საისტორიო წყაროში ასეთი ცნობა დაცული არ არის; 2) პლატონ იოსელიანს აღრეული აქვს მოვლენები. ავტორს თუ დაუჯერებთ ერეკლე II-ს სამეფო დარბაზის სხდომაზე, თითქოს ასეთი რამ უთქვამს: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. – დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა"[434]. თავი, რომ დავანებოთ იმის განსჯას: გაუხდებოდა თუ არა შვილიშვილი დავითი ერეკლეს მტრად იმერეთის სამეფოს შეერთების შემთხვევაში, ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ აშკარა უზუსტობას. **ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის სხდომა 1790 წელს გამართულა. ამ დროისათვის ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე „იმერთა ტახტისათვის განმზადებული" ყოფილა, ანუ ჯერ იმერეთის ტახტზე არ იყო ასული. სანდო წყაროებით დასტურდება, რომ ერეკლე II-ის შვილიშვილის დავით არჩილის ძის მეტოქე დავით გიორგის ძე 1789 წლის ივლისში, ანუ სამეფო დარბაზის გამართვამდე გაცილებით ადრე, იმერეთის ტახტიდან უკვე ჩამოგდებული იყო. 1789 წლის 12 ივლისს იმერეთში დავით არჩილის ძე (სოლომონ II) გამეფდა**[435]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლატონ იოსელიანს თბილისში იმერეთის სამეფოდან დელეგაციის ჩამოსვლის, ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის გამართვის, იმერეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის გადასვლისა და დავით არჩილის ძის (სოლომონ II-ის) გამეფების დათარიღებაში შეცდომა აქვს დაშვებული. ყოველივე ეს შეიძლებოდა მომხდარიყო არა 1790 წელს, არამედ მხოლოდ 1788-1789 წლებში, უფრო ზუსტად, 1789 წლის ივლისამდე[436].

ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის სხდომაზე ერეკლე II-ის მიერ იმერეთის სამეფოს შეერთების საკითხის განხილვა პლატონ იოსელიანს

---

[434] **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1978, გვ. 17-18.

[435] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ. 245.

[436] **ვალერიან მაჭარაძე**. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1995, გვ. 245.

იმდენად დაწვრილებით აქვს გადმოცემული, რომ იგი არ შეიძლება ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყოს, არ შეიძლება ავტორის გამოგონილი იყოს, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ **პლატონ იოსელიანი ერეკლე მეფის მოძულე ქართლის თავადების წრეში იყო აღზრდილი.** ამასთან ერთად, გამორიცხული არ არის, რომ პლატონ იოსელიანს იმერეთის სამეფოს ელჩების თბილისში ჩამოსვლისა და ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზის სხდომის შესახებ ცნობა ვინმემ მიაწოდა. თუ ეს ასეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ცნობის მიმწოდებელი ერეკლე II-ის მოძულე ქართლის თავადების წრიდან იქნებოდა.** პლატონ იოსელიანის წიგნში მოტანილი ცნობის ჭეშმარიტება (უფრო ზუსტად, სამეფო დარბაზის სხდომაზე ერეკლე II-ის განცხადება), ეჭვს ბადებს იმის გამოც, რომ **ერეკლე II-ის არგუმენტი ძალზე სუსტი და არადამაჯერებელია.** ნუთუ სამეფო დარბაზის სხდომაზე, ქართლ-კახეთის მეფის მიერ იმერეთის სამეფოს შემოერთების წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ წამოუყენებიათ? განვიხილოთ ეს საკითხი დაწვრილებით. 1555 წლის ამასიის ზავით, ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ისტორიული ტერიტორია ორად გაიყვეს: ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანს ერგო, იმერეთის სამეფო – ოსმალეთს. ეს გადანაწილება არაერთხელ დაადასტურა ირანსა და ოსმალეთს შორის დადებულმა ზავებმა: 1590 წლის **სტამბოლის**, 1612 წლის **სტამბოლის**, 1618 წლის **სერაფის**, 1619 წლის **სტამბოლის**, 1639 წლის **ზოჰაბის**, ასევე რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის **სტამბოლის** ზავმა[437]. 1783 წლამდე ძალაში იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიის XVI-XVIII საუკუნეებში დადგენილი გადანაწილება: იმერეთის სამეფო ოსმალეთის სავასალო იყო, ხოლო ქართლისა და კახეთის სამეფოები (შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფო) – ირანისა[438]. 1783 წლიდან, გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა და ამიერიდან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას ორი უზენაესი ხელისუფალი ჰყავდა: – **ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერატორი, იმერეთის სამეფოს – ოსმალეთის**

---

[437] **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე. საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება ირან-ოსმალეთ-რუსეთს შორის. 1555-1921. გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2007. ჩვ. 5-15.

[438] **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარესამყარო. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება რუსეთ-ირან-ოსმალეთს შორის. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2011, გვ. 12-40.

სულთანი. ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს შეერთების საკითხში სამეფო დარბაზი ერთსულოვანიც რომ ყოფილიყო და იმერეთის სამეფოს შეერთებას ერეკლე II-ც დასთანხმებოდა, ორი ქართული სამეფოს გაერთიანება მაინც შეუძლებელი იქნებოდა და თუ იგი მაინც მოხდებოდა, დიდ გართულებებს გამოიწვევდა საერთაშორისო ასპარეზზე. თუ ერეკლე II იმერეთის სამეფოს შეიერთებდა, ამას ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა: ოსმალეთის სულთანი არ დაუშვებდა მისი სავასალო ტერიტორიის (იმერეთის სამეფოს) შეერთებას რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ეს პოლიტიკური აქტი იმას ნიშნავდა, რომ გაერთიანებული სამეფოების მეფე ერეკლე II იქნებოდა, ანუ ოსმალეთის სავასალო ტერიტორია, იმერეთის სამეფო, ავტომატურად შედიოდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში და იმერეთის უზენაესი მფარველი ხდებოდა რუსეთის იმპერატორი. საეჭვოა, საქმე ოსმალეთის პროტესტით დასრულებულიყო. რუსეთის იმპერატორი ვერ დაუშვებდა თავის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის მეფის მიერ ოსმალეთის სავასალო ტერიტორიის – იმერეთის სამეფოს შეერთებას. 1787 წლიდან მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1791 წელს დამთავრდა. მართალია, რუსეთმა ომში ოსმალეთი დაამარცხა, მაგრამ **იასის ზავით (1791 წ.) იმერეთის სამეფო, ისევე, როგორც გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები რუსეთმა ოსმალეთის სავასალო ტერიტორიად აღიარა.** ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ იმერეთის სამეფოს შეერთება რუსეთის იმპერატორისათვის იმხანად სულაც არ წარმოადგენდა პირველხარისხოვანი მისწრაფების საგანს. რუსეთი და ოსმალეთი ომამდეც, (1787 წლამდე), ომის დროსაც (1787-1791 წლებში) და ომის შემდგომაც (1791 წლიდან) უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ცდილობდნენ, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს შეერთება წარმოადგენდა. **ამდენად, რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს შეერთებით ახალ თავსატეხს არ გაიჩენდა და ერეკლე II-ს იმერეთის სამეფოს შეერთების უფლებას არ მისცემდა.** გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, ერეკლე II ვალდებული იყო საგარეო პოლიტიკა რუსეთის იმპერატორთან შეეთანხმებინა. იმერეთის სამეფოს შეერთება კი სწორედ საგარეო პოლიტიკას განეკუთნებოდა, რადგან იმერეთის სამეფო ოსმალეთის სავასალო იყო, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში იმყოფებოდა და ერეკლე II რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას აღი-

არებდა. ყოველივე ეს, ცხადიბ, კარგად უნდა სცოდნოდათ ერეკლე II-ს და ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზის წევრებს. ერეკლე II-ს იმერეთის სამეფოს შეერთების საწინააღმდეგოდ რაღაც უსუსური არგუმენტების წამოყენება სულაც არ სჭირდებოდა, რადგან იყო ერთი მთავარი არგუმენტი: **ოსმალეთი არ დაუშვებდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს შეერთებას. არც რუსეთი მისცემდა ერეკლე მეფეს იმის უფლებას, რომ იმერეთის სამეფოს შეერთების გამო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაეძაბა.**

თავი VI. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ და ლაშქრობის შემდეგ (1791–1797 წწ.)

§ 1. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ (1791 წელი – 1795 წლის სექტემბერი)

ერეკლე II-მ, როგორც გამოცდილმა მხედართმთავარმა, იმერეთის სამეფოს, გურიისა და სამეგრელოს სამთავროების ჯარის შესაძლებლობების მცოდნემ, კარგად უწყოდა, რომ **იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ჯარის შეკრება და მისი ქართლში და, მით უმეტეს, კახეთში გადმოყვანა ურთულეს, უფრო სწორად, გადაუჭრელ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ჯარის შეკრებას დიდი დრო სჭირდებოდა, ძნელად მოსაპოვებელი იყო საბრძოლო ცხენები, შეიარაღება (განსაკურებით თოფები), და ტყვია-წამლის მარაგი, სურსათი ჯარისათვის და ფურაჟი ცხენებისათვის, გზები გამოუსადეგარი იყო ჯარის სწრაფი გადაადგილებისათვის. დაბოლოს, იმერეთის სამეფოდან, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებიდან ერეკლე II-ის მოსაშველებლად ჯარის გამოგზავნა დამოკიდებული იყო შინაპოლიტიკურ ვითარებაზე,** ჯარის გაგზავნა, მეფისა და მთავრების დიდი სურვილის მიუხედავად, ყოველთვის ვერ მოხერხდებოდა. ამრიგად, **ივერიელ მეფე-მთავართა ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს აღა მაჰმად ხანის შემოსევისაგან ვერ დაიცავდა.** მაშინ რატომ გამოვიდა ერეკლე II ტრაქტატის დადების ინიციატივით? ქართლ-კახეთის მეფეს ერთადერთი მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა: **ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე თავს იმართლებდა, რომ იგი გულხელდაკრეფილი არ იჯდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო აღა მაჰმად ხანს მომზადებული დახვედროდა.** ამიტომ იყო, რომ 1791 წელს ერეკლე II-მ ივერიელ მეფეთა და მთვართა ტრაქტატი რუსეთში მყოფ **გაიოზ არქიმანდრიტს** გაუგზავნა, რომელმაც 1792 წლის 1 იანვარს ტრაქტატი **ალექსანდრ ბეზბორდკოს** გადასცა. ტექსტი ქართულიდან რუსულად რუსეთში მოღვაწე პრემიერ-მაიორ სიმონ ეგნატაშვილს უთარგმნია[439].

---

[439] **ვალერიან მაჭარაძე.** ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. II. გამომცემლობა თბილისის უნივერ-

* * *

1791 წელს **აღა მაჰმად ხანი** ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს მოუახლოვდა. ირანის ხანების ნაწილი მას მორჩილებას უცხადებდა, ნაწილი კი ირანის მბრძანებლად არ აღიარებდა. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით უსასტიკესი შინაომები მიმდინარეობდა. ამ ომების შედეგებზე ბევრად იყო დამოკიდებული ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი.

1791 წლის დამდეგს აღა მაჰმად ხანი ჯარით აზერბაიჯანისაკენ დაიძრა. მისი მიზანი იყო იქაური ხანების მორჩილება. აღა მაჰმად ხანი თავრიზთან შეჩერდა, საიდანაც მაცნეები გაუგზავნა ხანებს და დამორჩილება მოსთხოვა. **ნახჭევნის** ხანმა მორჩილების ნიშნად ძმა აახლა, **ხოის** ხანმა – მეუღლე და ძმა, **არდებილის** ხანმა მეუღლე და ძმა, **ურმიის** ხანი პირადად გამოცხადდა მეუღლითა და შვილებით, **თავრიზის** ხანიც პირადად ეახლა. ხანებს აღა მაჰმად ხანმა ყოველწლიური გადასახადი დაუწესა და თანაც ერთი წლის გადასახადი წინასწარ გამოართვა[440].

აღა მაჰმად ხანს მორჩილება არ გამოუცხადეს ყარაბაღის ხანმა **იბრაჰიმმა** და ერევნის ხანმა **ჰუსეინმა**. ერევნის ხანი თავს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ვასალად თვლიდა, ხოლო ყარაბაღის ხანს თავად ჰქონდა პრეტენზია ხოის, ნახჭევნისა და ერევნის სახანოებზე და მათი ხანებისაგან ითხოვდა მორჩილებას. აღა მაჰმად ხანი მზად იყო ყარაბაღისა და ერევნის სახანოებზე გასალაშქრებლად. ერეკლე II თვლიდა, რომ საშიშროება რეალური იყო. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა დახმარებისათვის ავარიის ხან **ომარს** მიმართა, რომელიც სასწრაფოდ დაიძრა ჯარით ყარაბაღის სახანოსაკენ. აღა მაჰმად ხანის გეგმები ჩაშალა მის წინააღმდეგ მოწყობილმა შეთქმულებამ. აღა მაჰმად ხანი თეირანისაკენ გაემართა, ჯარი ქალაქიდან ორი დღის სავალზე შეაჩერა, თეირანში შევიდა, სხვადასხვა მიზეზით თავისთან დაიბარა შეთქმულებაში ეჭვმიტანილები და ყველანი სიკვდილით დასაჯა[441].

1791 წელვსე შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ, აღა მაჰმად ხანი გილიანისაკენ დაიძრა, რათა მისი ურჩი **მურთაზ ყული ხანი** დაესაჯა. მურთაზ ყული ხანმა თალიშის ხან **მუსტაფას** შეაფარა თავი და 1792

სიტეტი. თბილისი, 1995, გვ. 236-237, 247.

[440] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 320.

[441] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 320.

წელს კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ-ანშეფ **ივან გუდოვიჩს** ჯარი სთხოვა აღა მაჰმად ხანისაგან თავის დასაცავად. მალე აღა მაჰ-მად ხანმა მარცხი განიცადა შირაზის ხან **ლიუტფ ალისთან** ბრძოლაში. ბრძოლაში განცდილ მარცხს არ შეუდრკა აღა მაჰმად ხანი, სწრაფად შეკრიბა ახალი ლაშქარი და კვლავ ურჩი ხანების დასასჯელად დაიწყო მზადება. **მურთაზ ყული ხანს** მოკავშირეებმა უარი უთხრეს აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებაზე. იგი 1792 წლის 19 აგვისტოს ენზელში ჩავიდა და რუსეთის ჯარს შეაფარა თავი. ცხადია, რუსეთის ჯარის მიერ მურთაზ ყული ხანის შეფარებამ რუსეთის მიმართ ეჭვები გაუჩინა აღა მაჰმად ხანს[442].

1792 წელს აღა მაჰმად ხანმა შირაზის ხანი ლიუტფ ალი დაამარცხა და შირაზი დაიკავა. 1793 წლის ზაფხულში აღა მაჰმად ხანმა აზერბაი-ჯანში თავის მონაცვლედ (მოადგილედ) **სულეიმან ხანი** დანიშნა. სუ-ლეიმან ხანმა აზერბაიჯანის ხანებს მოსთხოვა აღა მაჰმად ხანის მორ-ჩილებაზე დაეთანხმებინათ ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი. თუ იბრაჰიმ ხანი მორჩილებაზე უარს იტყოდა, სულეიმან ხანს სახანო უნდა დაერბია, აეღო ქალაქი შუშა[443].

* * *

ერეკლე II გრძნობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ძალებით აღა მაჰმად ხანს ვერ გაუმკლავდებოდა. მეფეს რუსეთის დახმარების იმე-დი ჰქონდა. ევერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატის გაგზავნასთან ერთად ერეკლე მეფე 1791 წლის 24 აგვისტოს, **გაიოზ არქტმანდრიტს** ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი ვითარებას აცნობდა. კერძოდ: 1) აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანს იბრაჰიმს ეომე-ბოდა, 2) ირანის ხანები, გარდა ურმიისა, აღა მაჰმად ხანს მორჩილებას უცხადებდნენ; 3) თუ აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანს დაამარცხებდა, ქართლ-კახეთის სამეფოზე გამოილაშქრებდა[444]. ერეკლე მეფე გაიოზ

---

[442] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 322-323.

[443] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 326-327.

[444] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-

არქიმანდრიტს სთხოვდა, რომ შექმნილი ვითარების შესახებ, სადაც ჯერ არს, იქ ეცნობებინა[445].

ევერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის ტრაქტატს რუსეთის საიმპერატორო კარმა ყურადღება არ მიაქცია. სანკტ-პეტერბურგში არც იმ საფრთხეს აგდებდნენ რამედ, რომელსაც აღა მაჰმად ხანის გაძლიერება უქმნიდა ქართლ-კახეთის სამეფოს. არადა, მოვლენათა განვითარება სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იძენდა. რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გამოგზავნისაგან თავს იკავებდა და ამას სხვადასხვა მიზეზით ხსნიდა. მაგრამ რა ახსნა უნდა მოეძებნათ იმისათვის, რომ **1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე II-თვის ნაბოძები არტილერიისა და ყუმბარების ნაწილი (მძიმე ზარბაზნები) 1793 წლის იანვარში ისევ კავკასიის ხაზზე, ეკატერინოგრადში, იყო ჩარჩენილი და აღა მაჰმად ხანის შემოსევის მომლოდინე ერეკლე II ამაოდ უცდიდა არტილერიის თბილისში ჩამოტანას**[446]. რუსეთის საიმპერატორო კარი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლას ღიად არ აპირებდა. 1792 წლის 8 მაისის რესკრიპტით ეკატერინა II კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს ავალებდა, რომ აუცილებლად მიემხრო კასპიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე ირანის სახანოები[447]. ამ სახანოებს განეკუთვნებოდა: **დერბენტის, ბაქოს, შირვანის, თალიშისა** და **ყარაბაღის** სახანოები. ამ სახანოების ნაწილს უკვე მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა, ხოლო ნაწილი რუსეთის მფარველობაში შესვლას ცდილობდა, რაც, ცხადია, აღა მაჰმად ხანის უკმაყოფილებას იწვევდა. რესკრიპტში აღნიშნული იყო, რომ აღა მაჰმად ხანი, იმის გამო, რომ მზად არ იყო რუსეთთან ღია ომისათვის, ცდილობდა თავი რუსეთის მეგობრად წარმოეჩინა[448].

Петербург, 1902, стр. 70.

[445] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 70.

[446] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 112.

[447] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 257.

[448] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии.

ეკატერინა II 1792 წლის 8 მაისის რესკრიპტში ხელსაყრელი პირობების შექმნამდე ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების გაგზავნას მიუღებლად მიიჩნევდა: „отправлять в Грузию войска за благо не приемлется, пока не представляется к тому благоприятныя обстоятельства". იმდენად მიუღებლად მიაჩნდა, რომ ამ საკითხზე, იმპერატორის აზრით, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა: „о чем прежде и помышлять не должно". ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების გაგზავნას იმპერატორი კავკასიის ხაზის გაძლიერებას უკავშირებდა[449].

1793 წლის 1 მარტს ერეკლე II საკტ-პეტერბურგში მყოფ თავის ვაჟს, **მირიანს**, შექმნილი ვითარების შესახებ აცნობებდა: 1. აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ჯარს ამზადებდა. ნაწილი აღა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ აქეზებდა; 2. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა რუსეთის მეტს არავის შეეძლო. ერეკლე II მირიანს წერდა, რომ გენერალ-პორუჩიკ **პლატონ ზუბოვის** მეშვეობით ეკატერინა II-თვის დახმარება ეთხოვა. კერძოდ, ეკატერინა II-ს აღა მაჰმად ხანისათვის უნდა შეეთვალა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა და მასზე თავდასხმა არ გაებედა. ქართლ-კახეთის მეფე მირიანს კიდევ ერთი საქმის მოგვარებას სთხოვდა. 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისთვის ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების ნაწილი ჯერ კიდევ გზაში იყო, ქართლ-კახეთის სამეფოში არ ჩამოეღწია[450]. ცხადია, აღა მაჰმად ხანის შემოსევის მომლოდინე მეფე ერეკლეს ზარბაზნები ჰაერივით სჭირდებოდა, ზარბაზნები კი ცხრა წლის განმვალობაში „მგზავრობდნენ" რუსეთიდან საქართველოსაკენ.

К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 257.

[449] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 264; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 264.

[450] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 8; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 76-77.

1793 წლის 18 აპრილს ერეკლე II მირიან ბატონიშვილს მეორე წერილს უგზავნის. მამა შვილს საყვედურობდა, რომ სამი თვე ამაოდ ელოდა მის წერილებს. შემდეგ მეფე ერეკლე სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი საშიში ვითარების შესახებ ატყობინებდა მირიან ბატონიშვილს: გავრცელებული ხმების მიხედვით, აღა მაჰმად ხანი თეირანიდან შირვანის ხანის დასასჯელად მიემართებოდა. მეფე ამ ცნობას ასეთ კომენტარს უკეთებდა: ხმები შეიძლება თვით აღა მაჰმად ხანის მიერ იყოს დარხეული და სინამდვილეში იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ემზადებოდა.

მეფე შვილს უკვე მეორედ სთხოვდა როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს აღა მაჰმად ხანისათვის შეეტყობინებინა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ბოროტ განზრახვაზე ხელი აეღო. 1793 აპრილისათვის ერეკლე მეფეს ჯერ კიდევ არ მიეღო 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ მისთვის ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების ნაწილი. მეფე მირიანს ამ ზარბაზნების თბილისში ჩამოტანის დაჩქარებას სთხოვდა[451].

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ერეკლე II მირიან ბატონიშვილს ძალზე რთულ დავალებას აძლევდა. მირიანს უნდა შეეტყო საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების, ასევე რუსეთის მიერ ოსმალეთთან დასადები სამშვიდობო ტრაქტატის (ხელშეკრულების) შესახებ. მეფე მირიანს სწერდა, რომ მის ხელთ არსებული ცნობით, მომავალი სამშვიდობო ტრაქტატი საქართველოსაც შეეხებოდა[452]. შექმნილ ვითარებაში ერეკლე მეფეს ძალზე აფიქრებდა ახალციხის ფაშას აგრესიული პოლიტიკა. ფაშა ლეკებს აქეზებდა და ისინიც აგრძელებდნენ ქართლიდან ადამიანების გატაცებას. მეფე გამოსავალს ახალციხეში რუსეთის საიმპერეტორო კარის მიერ წარმომადგენლის გაგზავნაში ხედავდა, რომელიც თვალყურს გაადევნებდა ახალციხის ფაშას მოქმედებას[453]. წერი-

---

[451] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том III. С.-Петербург, 1886, стр. 8; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 78.

[452] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 78.

[453] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-

ლის ბოლოს ერეკლე II მირიან ბატონიშვილს სთხოვდა: ოსმალეთთან ევროპის სახელმწიფოებისა და რუსეთის სამშვიდობო ტრაქტატის დადებას ტყვეების გაცვლა თუ მოჰყვება, შეეცადე, ქართველი ტყვეებიც დააბრუნონ სამშობლოშიო[454].

1793 წლის 7 მაისს ბატონიშვილმა მირიანმა თხოვნა მიართვა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს. უფლისწული იმპერატორს მოახსენებდა:

1. ასტრაბადის მფლობელი აღა მაჰმად ხანი, რომელიც ამჟამად ირანის ნაწილსაც და დედაქალქ ისპაჰანსაც ფლობს, ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის ემზადება;

2. აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე სახანოების მფლობელებს (ხანებს) აიძულებს ირანის შაჰად ცნონ იგი;

3. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაშია, რის გამოც ირანის შაჰის ტახტისათვის მებრძოლი აღა მაჰმად ხანისაგან მას დიდი საშიშროება ელის;

4. ერეკლე II რუსეთის იმპერატორს თხოვდა, რათა მას აღა მაჰმად ხანისათვის ეგრძნობინებინა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაშია[455].

ერეკლე II-ს დავალების შესაბამისად 1793 წლის 7 მაისს მირიან ბატონიშვილმა თხოვნა მიართვა გენერალ-პორუჩიკ გრაფ პლატონ ზუბოვს, რათა მას აღა მაჰმად ხანზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ეკატერინე II-ის წინაშე ეშუამდგომლა[456].

1793 წლის 30 მაისს რუსეთის იმპერიის **სამხედრო საბჭომ** განიხილა ერეკლე II-ის 1793 წლის 1 მარტისა და 18 აპრილის წერილები ბატონიშვილ მირიანისადმი (ამ წერილების საფუძველზე დაიწერა ბა-

---

Петербург, 1902, стр. 78.

[454] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 78.

[455] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 9; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 79.

[456] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 80.

ტონიშვილი მირიანის 1793 წლის 7 მაისის თხოვნა ეკატერინა II-დმი). სამხედრო საბჭომ სხენებული დოკუმენტებიდან სამი საკითხი გამოყო: 1. აღა მაჰმად ხანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის შექმნილი საფრთხე; 2. ეკატერინე II-ის მიერ 1784 წელს ერეკლე II-თვის ნაჩუქარი ზარბაზნების დარჩენილი ნაწილის კავკასიის ხაზიდან (ეკატერინოგრადიდან) ქართლ-კახეთის სამეფოში გაგზავნის შესახებ; 3. ბატონიშვილ მირიანის თხოვნა გენერალ-პორუჩიკ გრაფ პლატონ ზუბოვისადმი. სამხედრო საბჭომ დაადგინა: 1. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ-ანშეფ ივანე გუდოვიჩს გაეგზავნოს მიწერილობა, რომ აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის შემთხვეაში რუსეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ზომები (რუსულ დედანში: „...нужно снабдить предписанием генерала Гудовича, яко начальника в прилеглом к Персии крае здешней Империи, дабы он, вслучае оказываемаго Агою-Мугаметом-Ханом действительнаго расположения напасть на пределы царя Ираклия, обнадежил сего владетеля высочайшим е. в. покровительством и учинил надлежащее внушение оному Хану"); 2. ივან გუდოვიჩს შექმნილ ვითარებაში არ უნდა ემოქმედა გულგრილად,პირიქით, მიეღო ყველა ზომა, რასაც კი შექმნილ ვითარებაში მოხერხებულად მიიჩნევდა (რუსულ დედანში: „... что он (Гудович) на такое предприятие не может взирать равнодушно; да вследствие того и принял бы меры, какия по лучшему своему сведению местных обстоятельств удобными признает..."); 3. აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანების წასახალისებლად გამოიყოს იმდენი თანხა, რამდენიც შესაძლებელი იქნება; ეს თანხა გადაეცეს ან უშუალოდ ხანებს ან ხანებისათვის გადასაცემად – ერეკლე II-ს (რუსულ დედანში: „... поощряя ближних Ханов к потребному тут совокупному сопротивлению властолюбивым замыслам их соперника и подавая с своей стороны им или и самому царю деятельное пособие поколику возможно, не заходя в большия издержки и хлопоты"); 4. ივან გუდოვიჩს გაეგზავნოს განკარგულება ერეკლე II-თვის იმ ქვემეხების გაგზავნის შესახებ, რომლებიც კავკასიის ხაზზე (ეკატერინოგრადში) იყო ჩარჩენილი (რუსულ დედანში: „Равномерно находил Совет нужным предоставить генералу Гудовичу на распоряжение доставить царю Ираклию и помянутую часть артиллерии с нарядами, ежели ее, по данному обещанию, следует ему

еще получить")[457].

თუ როგორ სრულდებოდა რუსეთის იმპერიის სამხედრო საბჭოს 1793 წლის 30 მაისის დადგენილება ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-თვის ეკატერინა II-ის მიერ 1784 წელს ნაბოძები არტილერიის იმ ნაწილის გაგზავნის შესახებ, რომელიც კავკასიის ხაზზე (ეკატერინოგრადში) იყო ჩარჩენილი, კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან. 1795 წლის 17 იანვრით დათარიღებულ წერილში ერეკლე II ეკატერინა II-ს ისევ ეკატერინოგრადში ჩარჩენილი ზარბაზნებისა და ყუმბარების გაგზავნის დაჩქარებას სთხოვდა[458].

1793 წლის მიწურულსა თუ 1794 წლის დამდეგს (წერილს თარიღი არ უზის) ერეკლე II არქიმანდრიტ გაიოზს ატყობინებდა ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილ ვითარებას. ვითარება კი ამჯერადაც საგანგაშო იყო. აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანის იბრაჰიმის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. აღა მაჰმად ხანი ერეკლე II-სგან იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ ქართული ჯარის გაგზავნას ითხოვდა, რომლის სარდალი მეფის ძე უნდა ყოფილიყო. მეფის აზრით, აღა მაჰმად ხანის წინადადების მიღება არ შეიძლებოდა, რადგან ყარაბაღის ხანის დამარცხების შემდეგ იგი ქართლ-კახეთზე გამოილაშქრებდა. მეფე ერეკლეს აფიქრებდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით ყველა უკმაყოფილო ძალას, მათ შორის დაღესტნელებს, აღა მაჰმად ხანი დახმარებას აღმოუჩენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთის მხრიდან დახმარების გარეშე ქართლ-კახეთის სამეფო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. მეფე გაიოზ არქიმანდრიტს სთხოვდა, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა ყოველივე სადაც საჭირო იყო იქ ეცნობებინა[459].

1794 წლის თებერვალში გეორგიევსკში ჩავიდა ქართლ-კახეთის

---

[457] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 9; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 80-81.

[458] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 83.

[459] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 82-83.

ივან გუდოვიჩი

სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) რუსეთის საიმპერატორო კარზე **გარსევან ჭავჭავაძე**, რომელმაც კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა სთხოვა. გარსევან ჭავჭავაძემ ივან გუდოვიჩს აცნობა, რომ მას სანკტ-პეტერბურგში მიჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ის, ასევე სამეგრელოსა და გურიის მთავრების თხოვნა რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ[460]. გარსევან ჭავჭავაძეს ივან გუდოვიჩისათვის უთქვამს: „მართალია, ჯერჯერობით აღა მაჰმად ხანი არავითარ მოთხოვნას არ უყენებს ერეკლე მეფეს, მაგრამ იგი, როგორც ირანის უძლიერესი ხანი, ცდილობს თავი წარმოაჩინოს ირანის მფლობელად. აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის შემთხვევაში ერეკლე მეფეს, როგორც რუსეთის იმპერატორის მფარველობაში მყოფს, იმედი აქვს, რომ რუსის ჯარი დაიცავს მას"[461].

1795 წლის დამდეგს გარსევან ჭავჭავაძემ მოხსენება წარუდგინა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. მოხსენების შინაარსი ასეთია: 1. აღა მაჰმად ხანის ჯარი არდებილში დგას და ქართლ-კახეთზე სალაშქროდ ემზადება; 2. ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვს დახმარებას – რეგულარული ჯარის 6 ან 5 პოლკის გამოგზავნას ქართლ-კახეთის სამეფოში; 3. რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნამდე უნდა გამოგზავნილიყო მოხელე, რომელიც ჯარისათვის სურსათს (პურს) დაამზადებდა, მას დახმარებას აღმოუჩენდა ერეკლე მეფე; 4. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა შემოსულიყო 1795 წლის შემოდგომაზე; 5. ერეკლე მეფე კვლავ ითხოვდა 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ მისთვის ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების მეორე ნაწილის გადაცემის დაჩქარებას, რადგან ისინი კვლავ კავკასიის ხაზზე, ეკატერინოგრადში, იყო ჩარჩენილი[462].

ივან გუდოვიჩი ყურადღებით აკვირდებოდა ირანში მიმდინარე მოვლენებს. 1795 წლის 7 მაისს მან მოხსენება წარუდგინა იმპერატორ ეკატერინა II-ს. მოხსენებიდან ირკვევა:

---

[460] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 9;

[461] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 9-10;

[462] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 89-91.

1. შირაზის ხანი, რომელიც სამი წელი წინააღმდეგობას უწევდა აღა მაჰმად ხანს, თავისიანებისავე ღალატით ხანს ჩაუვარდა ხელში და სიკვდილით დასაჯეს;

2. შირაზის ხანთან ანგარიშის გასწორების შემდეგ აღა მაჰმად ხანი ისპაჰანიდან თეირანში გადავიდა და არდებილსა და თავრიზში ჯარი შეკრიბა. მან ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე სახანოების მფობელებს, განსაკუთრებით კი ერევნის ხანს, მორჩილებისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა;

3. აღა მაჰმად ხანი აპირებდა ერევნის, შემახიის, შაქის, ყარაბაღის, თალიშის სახანოების დალაშქვრას, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას;

4. გავრცელებულა ხმები იმის შესახებ, რომ აღა მაჰმად ხანმა მორჩილების გამოცხადება მოსთხოვა დერბენტის (დარუბანდის) ხანს. ამასთან დაკავშირებით ივან გუდოვიჩს დერბენტის ხანისა და ტარკის შამხლისათვის უცნობებია შემდეგი: თუ აღა მაჰმად ხანი მათ მორჩილებას მოითხოვადა, პასუხი არ გაეცათ მხოლოდ შეეტყობებინათ, რომ ისინი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები არიან. ამიტომ ამიერიდან მორჩილების თაობაზე უნდა მიემართათ კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის;

5. ირანში ბოლო ხანებში მიმდინარე მოვლენების შესახებ კავკასიის სახის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩისათვის ცნობები მიუწოდებია ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს. აღა მაჰმად ხანის თავდასხმის მომლოდინე ერეკლე მეფეს სწორედ რუსი სარდლის დახმარების იმედი ჰქონია (რუსულ დედანში: „Вместе с последними верными известиями о делах Персидских прислал ко мне и царь Карталинский и Кахетинский Ираклий Теймуразович нарочнаго с письмом с сходными уведомлениями о успехах Аги-Мамет-Хана, над Лютф-Али-Ханом Ширязским полученных, будучи встревожен, по известиям до него дошедшим, что Ага-Мамет-Хан хочет напасть на Грузию, и имея в том опасание, ожидает моей помощи”);

6. აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ომში ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** და ერევნის ხანი **ჰუსეინი**. სხვა ხანები აღა მაჰმად ხანს ჰყავდა დაშინებული. განჯის ხანი **ჯავადი**, რომელსაც წინათ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-თან, აღა მაჰმად ხანს ემხრობოდა (რუსულ დედანში: „...

до сих пор остается союзником с царем Ираклием Теймуразовичем, чтобы противостоять Аге-Мамет-Хану, один надежной Ибраим-Хан Шушинской и разве еще хан Эриванской, и некоторые в Адербежане малые владельцы, непокоренные Аге-Мамет-Хану, прочие же ханы будто все страшатся Аги-Мамет-Хана, и ближайший к царю Грузинскому, Ганжинской хан, в согласии и доброхотствует уже Аге-Мамет-Хану")[463].

შექმნილი ვითარების ანალიზის შემდეგ ივან გუდოვიჩს ქართლ-კახეთის მეფისათვის შეუთვლია: აღა მაჰმად ხანი, მართალია, ძალზე სწრაფად გაძლიერდა, მაგრამ ჯერჯერობით ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებსო. ასეთ დასკვნას გენერალი შემდეგი არგუმენტებით ამაგრებდა: ა) აღა მაჰმად ხანის ჯარს მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა ირანშია, ნაწილი – ერევნის სახანოში; ბ) ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმამდე აღა მაჰმად ხანმა რამდენიმე სახანო, მათ შორის ყარაბაღის, უნდა დაიმორჩილოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით დაასკვნიდა ივან გუდოვიჩი, რომ უახლოეს ხანებში ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხე არ ემუქრებოდა (რუსულ დედანში: „...хотя Лютф-Али-Хан Ширязской Агою-Мамет-Ханом Испаганским и побежден, но после трехлетняго его сопротивления, будучи в близком разстоянии от Испагана, и то более чрез измену своих чиновников, что теперь, хотя Ага-Мамет-Хан войски свои и собирает в Ардевили, разделяет оные к движению, — одну часть на Муганскую степь, а другую к Эривану, но как Муганская степь далеко еще от Грузии, и как прежде нежели напасть может Ага-Мамет-Хан на Грузию, должен он покорить многих ханов, из которых некоторые по известиям хотят ему противиться, а особливо хан Шушинской, зная вероломство Аги-Мамет-Хана, что со всеми, ему покорившимися, поступал он варварски, то и не вижу я скорой опасности Грузии")[464]. როგორც ჩანს, ივან გუდოვიჩი მთლად დარწმუნებული არ იყო თავისი დასკვნის სისწორეში და ამიტომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს რჩევას აძლევდა, უზრუნველეყო სამეფოს საზ-

---

[463] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 85-88.

[464] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 88.

ღვრების დაცვა. სამეფოს საზღვრების დაცვისათვის, ივან გუდოვიჩის აზრით, ერეკლე II-ს შემდეგი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა: 1. კავშირი უნდა ჰქონოდა აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანებთან (რუსულ დედანში: „... что царь Ираклий Теймуразович возмет свою осторожность для безопасности границ своих, делая связь с соседними ханами, дабы в нечаянном случае нападения Аги-Мамет-Хана противостоять оному; и что сии ханы, согласясь на общее с ним ополчение противу Аги-Мамет-Хана окажут чрез то усердие свое к высочайшему престолу в. и. в"); 2. თუ აღა მაჰმად ხანი მაინც დაიწყებდა ომს ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ, ერეკლე II-ს ხანები უნდა დაერაზმა მის დასამარცხებლად[465]. როგორც ვხედავთ, ივან გუდივიჩი არცთუ მთლად უსაფუძვლოდ თვლიდა ერეკლე მეფის მოსაზრებას, რომ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოზე მალე გამოილაშქრებდა. მიუხედავად ამისა, იგი მეფეს ჯარით დახმარებას კი არ ჰპირდებოდა, არამედ ჭკუას არიგებდა: აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანებს დაუკავშირდი და ისე დაამარცხეთ საერთო მტერიო. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც აქამდე და შემდგომაც რუსეთის საიმპერატორო კარისა და პირადად ეკატერინა II-ის მითითებას ასრულებდა.

ივან გუდოვიჩი იმპერატორს სთხოვდა ებრძანებინა, როგორ მოქცეულიყო, თუ აღა მაჰმად ხანი აშკარად დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას: თუ აღა მაჰმად ხანი თავს დაესხმოდა ქართლ-კახეთის სამეფოს და თუ დერბენტის ხანსა და ტარკის შამხალს მორჩილებას მოსთხოვდა (რუსულ დედანში: „...ежели действительно Ага-Мамет-Хан Испаганской покусится зделать нападение на Грузию, начнет открыто оказывать враждебные поступки против Россиян, в Персии торгующих, и станет делать усильные требовании от Дербентскаго хана и Шемхала Тарковскаго о признании его Шахом и о покорении ему провинций, или владеемых, — то каким образом поступить мне в таковых случаях?")[466].

---

[465] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 88-89.

[466] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 88-89.

* * *

ივან გუდოვიჩს ეკატერინა II-გან ჯერ კიდევ არ მიეღო პასუხი 1795 წლის 7 მაისის მოხსენებაში დაყენებული საკითხების ირგვლივ, როცა 1795 წლის მაისში თეირანში მყოფმა აღა მაჰმად ხანმა არდებილის ხანს ჯარის შეკრება უბრძანა. ერთი ცნობით, უნდა შეკრებილიყო 50.000, ხოლო მეორე ცნობით – 100.000 მებრძოლი. არტილერიას ფრანგი სპეციალისტები განაგებდნენ. აღა მაჰმად ხანი აზერბაიჯანში აპირებდა ჯარის გადაყვანას, თუმცა ეს ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო გამიზნული[467].

1795 წლის დამდეგს, ასევე მაისსა და ივნისში აღა მაჰმად ხანმა აზერბაიჯანის ხანებს, ასევე შირვანის ხანს მორჩილების გამოცხადება მოსთხოვა. ჯერ კიდევ 1794 წელს ყარაბაღისა და ერევნის ხანებმა აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ დახმარება ოსმალეთის სულთანს სთხოვეს, მაგრამ ოსმალეთმა ირანის შიდა დაპირისპირებაში ჩარევისაგან თავი შეიკავა. მიუხედავად ამისა, ყარაბაღის ხანმა **იბრაჰიმმა** ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-თან აღადგინა კავშირი, არც აღა მაჰმად ხანს გამოუცხადა მორჩილება. შაქის ხანი თავდაპირველად არ დაემორჩილა აღა მაჰმად ხანს, თუმცა შემდეგ შეშინდა და დაჰყვა მის ნებას. შემახიის ხანი **მუსტაფა** შუშის ხან **იბრაჰიმის** მოკავშირე იყო. არც მან გამოუცხადა აღა მაჰმად ხანს მორჩილება, არამედ კავკასიის ხაზის მთავარსადალ ივან გუდოვიჩს მფარველობა სთხოვა. განჯის ხანი **ჯავადი** სიხარულით მიეგება აღა მაჰმად ხანს. დერბენტის ხანმა **შეიხ ალიმ** და ბაქოს ხანმა **ჰუსეინ ყულიმ** პატივით მიიღეს აღა მაჰმად ხანის ელჩი და საჩუქრებიც გაატანეს მბრძანებელთან. აღა მაჰმად ხანს მორჩილება არ გამოუცხადეს თალიშის ხანმა **მირ მუსტაფამ** და გილიანის ხანმა **მურთაზ ყულიმ**. ავარიის ხან **ომარს** მორჩილების სანაცვლოდ აღა მაჰმად ხანი დაღესტნის სარდლის ტიტულს ჰპირდებოდა. ომარ ხანმა ივან გუდოვიჩთან და თავის ნათესავ ყარაბაღის ხანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება არჩია. ძალთა ასეთი განლაგების პირობებში 1795 წლის ზაფხულში აღა მაჰმად ხანმა ყარაბაღისა და ერევნის ხანების წინააღმდეგ ჯარი (8.000 მებრძოლი) გაგზავნა. იბრაჰიმ ხანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარით, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი სარდ-

---

[467] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 331.

ლობდა, ირანელთა ჯარი დამარცხებული იქნა[468].

1795 წლის 6 ივლისს დედოფალმა **დარეჯანმა** წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს. დედოფალი იმპერატორს სწერდა, რომ აღა მაჰმად ხანი ესწრაფოდა „დაპყრობასა ქვეყნისა ჩვენისსა, რომლისათვისცა ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო, შეიწყალენ ესოდენი ქრისტიანენი...". დედოფალი დარეჯანი იმპერატორს სთხოვდა კავკასიის ხაზი მთავარსარდალ ივან გუდოვიჩისათვის ებრძანებინა ჯარის გაგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოში[469].

1795 წლის 20 ივნისს ერეკლე II სანკტ-პეტერბურგში მყოფ გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა როგორმე მოეხერხებინა მისი და ივან გუდოვიჩის პირისპირ შეხვედრა[470]. ეს შეხვედრა არ შემდგარა.

1795 წლის 22 ივნისს გარესევან ჭავჭავაძე ალექსანდრ ბეზბოროდკოს სწერს: მეფე წერილებს მწერს, პასუხს მთხოვს, პასუხი ვერ გამიცია, იქნებ წყალობა მოიღოთ და საქმეზე სალაპარაკოდ მიმიღოო[471]. ალექსანდრ ბეზბოროდკომ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამჯერადაც გააწბილა.

აღა მაჰმად ხანი დიდი სიფრთხილით ცდილობდა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ისა და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის ივან გუდოვიჩის პოზიციის გარკვევას საკუთრივ ირანისა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. 1795 წლის ზაფხულში მან ივან გუდოვიჩთან ორი წარმომადგენელი გაგზავნა. ირანელთა კავკასიის ხაზზე გამოცხადება ოფიციალურად ორი მიზეზით იყო გაპირობებული: 1. ივან გუდოვიჩს აღა მაჰმად ხანის ელჩები რუსეთის საიმპერატორო კარისათვის უნდა წარედგინა; 2. აღა მაჰმად ხანის ერთგულ **აბას ხანის** გათავისუფლება, რომელიც ძმამ, აღა მაჰმად ხანის მოსისხლე მტერმა

---

[468] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 332-333.

[469] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 91.

[470] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 91-92.

[471] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 119.

მურთაზ ყული ხანმა, როგორც მძევალი კავკასიის ხაზზე, ასტრახანში ჩაიყვანა. მურთაზ ყული ხანს ეშინოდა, აღა მაჰმად ხანს არ დაეხოცა მასთან ტყვეობაში მყოფი მისი შვილები[472].

1795 წლის ივლისის დამლევს აღა მაჰმად ხანის ელჩები ასტრახანისა და ყიზლარის გავლით ივან გუდოვიჩთან გამოცხადდნენ გეორგიევსკში და მოახსენეს, რომ ისინი წარმოავლინა ირანის შაჰმა, რომელიც ირანს ალაჰის ნებით განაგებდა. ამასთან ერთად მათ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ირანის ვეზირის წერილი გადასცეს[473]. ივან გუდოვიჩმა აღა მაჰმად ხანის ელჩებს განუცხადა: 1. აქამდე არ იცნობდა არც ირანის შაჰს და არც ირანის ვეზირს; 2. აღა მაჰმად ხანის ელჩებს ირანის შაჰის წარმომადგენლებლად ვერ ცნობდა და მათ რუსეთის საიმპერატორო კარზე ვერ გაგზავნიდა, რადგან მათ თან არ ჰქონდათ წერილები არც რუსეთისა იმპერატორ ეკატერინა II-ის და არც კავკასიის ხაზის მთავარსარდლის სახელზე; 3. აბას ხანს გათავისუფლება იმპერატორის ბრძანების გარეშე შეუძლებელი იყო. ივან გუდოვიჩი აღა მაჰმად ხანის ელჩებს კერძო პირებად მიიჩნევდა, რომლებიც თავისი ნებით ჩავიდნენ გეორგიევსკში და ამდენად, მათ უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ იქ ან დაბრუნებულიყვნენ უკან. აღა მაჰმად ხანის ელჩები დერბენტის გავლით ყუბაში ჩავიდნენ. ყუბიდან ელჩებმა ივან გუდოვიჩთან ვიზიტის შედეგების შესახებ მბრძანებელს მოახსენეს, თავად კი შემდგომი განკარგულების მიღების მოლოდინში იქვე დარჩნენ[474].

აღა მაჰმად ხანი შეურაცხყოფილი დარჩა ივან გუდოვიჩის პასუხ-

---

[472] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 257.

[473] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 257-258.

[474] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 229-230; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 16-17; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 257-258.

ით, გამწარებულმა შური სამხრეთ კავკასის სახანოებზე იძია. მან ხანებს მორჩილების გამოცხადება აღარ აკმარა და მძევლები მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომითა და განადგურებით იმუქრებოდა. ხანების უმრავლესობამ არ მიიღო აღა მაჰმად ხანის ულტიმატუმი. მერყეობდა მხოლოდ დერბენტის ხანი, რომელსაც აღა მაჰმად ხანი შირვანის ნაიბის ტიტულს ჰპირდებოდა. განჯის, შაქისა და შემახიის ხანებმა თავი ირანის ვასალებად გამოაცხადეს[475].

ივან გუდოვიჩი რუსეთის ინტერესების დაცვის მიზნით ზომებს იღებდა. ამ დროისათვის კასპიის ზღვაში, ირანის სანაპიროსთან იმყოფებოდა რუსეთი ოთხი სამხედრო ხომალდი, რომელიც კუნძულ **სარს** იცავდა. ეს კუნძული რუსეთის ჯარს ეკავა, რათა კასპიის ზღვაზე რუსეთის ვაჭრების უსაფრთხოება დაეცვა. ივან გუდოვიჩმა ბრძანება გასცა ზღვაში გასასვლელად კიდევ ერთი ხომალდი მოემზადებინათ და ხუთივე ხომალდიდან ფხიზლად ედევნებინათ თვალი ზღვის სანაპირო ზოლზე ირანელთა მოქმედებისათვის. აღა მაჰმად ხანის ჯარი ამ დროისათვის უკვე თალიშის სახანოს არბევდა. ირანელთა დესანტმა 60 ნავის შემადგენლობით კასპიის ზღვის მხრიდან თალიშის სახანოს ტერიტორიაზე სცადა გადასხდომა. ოპერაცია კუნძულ სარის პირდაპირ მიმდინარეობდა. რუსებმა ირანელები აიძულეს ოპერაცია შეეწყვიტათ და იქაურობას გასცლოდნენ. მალე ირანელებმა წერილი გამოგზავნეს, სადაც აცხადებდნენ, რომ რუსების მიმართ მტრობა არ ამოძრავებთ და მხოლოდ თალიშის ხანს ებრძოდნენ[476].

---

[475] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 17; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 258.

[476] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 331-333; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 258.

* * *

ერეკლე II-ის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მან არ იცოდა საბოლოოდ რომელი მხრიდან შემოუტევდა აღა მაჰმად ხანი. ყველაზე მეტად სავარაუდო მაინც ორი მიმართულება იყო: **პირველი.** ერევნის სახანოდან ბამბაკის გადასასვლელით მდინარე ხრამზე; **მეორე.** აზერბაიჯანიდან მდინარე არაქსზე, ყარაბაღის სახანოს სამხრეთ რაიონებზე, ქალაქ შუშაზე და მდინარე მტკვრის ველზე. ამ ორი გზიდან არც ერთი არ იყო უხიფათო[477]. ერევნის ხანი **მუჰამედი** აღა მაჰმად ხანს ირანის შაჰად არ სცნობდა და ქართლ-კახეთის მეფესთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს არჩევდა. ბრძოლით ერევნის სახანოს ტერიტორიის გავლა და ერევნის ძლიერი ციხე-სიმაგრის აღება შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, აღა მაჰმად ხანს ერევნის ხანი ზურგის კომუნიკაციებს მოუშლიდა[478]. ყარაბაღის (შუშის) ხანი **იბრაჰიმი,** ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი, სახანოს დამოუკიდებლად განაგებდა. ყარაბაღის ხანის მფარველობას ეძიებდნენ მეზობელი სახანოები. მას შემდეგ, რაც ყარაბაღის ხანი ავარიის ხან ომარს დაუნათესავდა, იბრაჰიმ ხანი ირანის შაჰის ტახტის მაძიებელთა შორის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი გახდა. ყარაბაღის ხანის დიდი ავტორიტეტი, ცხადია, აღიზიანებდა აღა მაჰმად ხანს. ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობამდე ერთი წლით ადრე მან იბრაჰიმ ხანის დამორჩილება სცადა, მაგრამ აღა მაჰმად ხანის ლაშქარი ყარაბაღის ხანმა დაამარცხა. ასე რომ, ყარაბაღის სახანოზე ჯარით გავლა აღა მაჰმად ხანისათვის მეტად სახიფათო იყო[479]. ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ არსებობდა **მესამე გზაც.** ეს გზა შედარებით უხიფათო იყო, მაგრამ ძალზე გრძელი: არდებილიდან ასლან-

---

[477] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 261-262.

[478] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 362.

[479] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 262.

დუზის გადასასვლელით მდინარე არაქსზე და განჯის სახანოზე. განჯის ხანი **ჯავადი** აღა მაჰმად ხანის ერთგული იყო და სახანოზე ლაშქრის გატარება რაიმე ხიფათთან არ იყო დაკავშირებული. თავისთავად, ნაკლი ამ გზასაც ჰქონდა. აღა მაჰმად ხანს მოუწევდა ჯარის ფლანგისა და ზურგის გაშიშვლება. ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა აღა მაჰმად ხანის აღალს დაეუფლებოდა, რაც თბილისზე სალაშქროდ დაძრული ჯარისათვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა[480].

რომელი მიმართულებაც უნდა აერჩია აღა მაჰმად ხანს, ერთი რამ ცხადი იყო: სალაშქროდ დაძრული ჯარის ბაზა აზერბაიჯანში უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, აღა მაჰმად ხანს ჯარის მოძრაობის მიმართულებად უნდა აერჩია: **აზერბაიჯანი, მდინარე არაქსი, ყარაბაღის სახანო, ქალაქი შუშა, მდინარე მტკვრის ველი**[481].

* * *

ერეკლე II გამალებით ემზადებოდა აღა მაჰმად ხანის დასახვედრად. ამავე დროს, ცდილობდა ჯარით დახმარება მიეღო რუსეთისაგან. 1795 წლის 29 აგვისტოს მეფე გარსევან ჭავჭავაძეს შექმნილი ვითარების შესახებ აწვდიდა ცნობებს: 1. 1795 წლის 29 აგვისტოსათვის ერეკლე II იმერეთის მეფესთან სოლომონ II-სა და იმერეთის ჯართან ერთად ყაზახში იმყოფებოდა; 2. აღა მაჰმად ხანი არდებილიდან დაიძრა და შუშის ციხეს შემოადგა, ხოლო ძმები ალი ყული ხანი და ჯაფარ ყული ხანი ერევნის ციხის ასაღებად გაგზავნა; 3. სომეხთა პატრიარქი თავისი ნებით გამოცხადდა ალი ყული ხანთან, რომელმაც პატრიაქს 80.000 მანეთი და 9 ფუნტი ოქრო მოსთხოვა; 4. აღა მაჰმად ხანი უკვე ერთი თუ შუშის ციხის აღებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ხნის მანძილზე ირანელებმა დიდი ზარალი ნახეს; 5. აღა მაჰმად ხანმა შუშის ციხიდან 6 მილით დაიხია, დაბანაკდა და თბილისზე სალაშქროდ ემზადებოდა;

---

[480] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 262.

[481] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 262.

6. აღა მაჰმად ხანი ომარ ხანს სთხოვდა, როგორც კი იგი თბილისზე დაიძვრებოდა, კახეთში შეიჭრილიყო; 7. აღა მაჰმად ხანი ჭარელებსაც სთხოვს კახეთზე თავდასხმას და ჯილდოდ ყოველ ჭარელ მებრძოლს 100 მანეთს ჰპირდებოდა; 8. აღა-მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარზე გაცილებით დიდი ჯარი ჰყავდა, ამიტომ ივან გუდოვიჩს გაეგზავნა თხოვნა ჯარით (3.000 მებრძოლი) დახმარების შესახებ, მაგრამ პასუხი არ ჩანდა[482]. ერეკლე მეფე გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნის შესახებ ბრძანება გაეგზავნა ივან გუდოვიჩისათვის[483].

1795 წლის აგვისტოს მიწურულს ერეკლე II-მ მიიღო ყარაბაღის ხან იბრაჰიმის წერილი. იბრაჰიმ ხანი მეფეს ატყობინებდა: ირანელთა ჯარი და არტილერია შუშიდან თბილისისაკენ დაიძრა, ჯარს უკან მოჰყვებოდა აღა მაჰმად ხანიც[484].

იბრაჰიმ ხანის წერილის მიღების შემდეგ 1795 წლის 30 ან 31 აგვისტოს (ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება – **ვ. გ.**) ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა ივან გუდოვიჩს. მეფე შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში აყენებდა გენერალს: 1. აღა მაჰმად ხანი თბილისს ლაშქრობის დაწყებას აპირებდა; 2. ომარ ხანი კახეთში შესაჭრელად ემზადებოდა; 3. აღა მაჰმად ხანი ჭარელებს კახეთზე თავდასხმისაკენ მოუწოდებდა და ყოველ მებრძოლს ჯილდოდ 100 მანეთს ჰპირდებოდა, 4. განჯის ხანი აღა მაჰმად ხანს მიემხრო; 5. ერევნის ციხის აღებას ცდილობდა აღა მაჰმად ხანის ძმა ალი ყული ხანი. ერევნის ხანმა ალი ყული ხანს მძევლად ცოლი და შვილი გაუგზავნა; 6. თუ რუსეთის ჯარი (3.000 მებრძოლი) ერეკლე მეფეს დაეხმარებოდა ერევნის ციხესთან მდგარ ალი ყული ხანს ლუშქარს ადვილად გაფანტავდა, რის შემდეგაც აღა

---

[482] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 93-94.

[483] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 94.

[484] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 98.

მაჰმად ხანი მდინარე არაქზე ვეღარ გადმოვიდოდა[485]. იმავდროულად, იმერეთის მეფემ სოლომონ II-ს წერილს უგზავნის ივანე გუდოვიჩს და ერეკლე II-თვის ჯარის მიშველებას სთხოვს[486].

დოკუმენტურად დადასტურებული არ არის 1795 წლის აგვისტოს მიწურულს ერეკლე II-ის ორი წერილისა და სოლომონ II-ის ერთი წერილის გარდა, კიდევ ვისგან და რა შინაარსის წერილები მიიღო თბილისიდან ივანე გუდოვიჩმა. როგორც ივანე გუდოვიჩის მიერ 1795 წლის 13 სექტემბერს შედგენილი ეკატერინა II-თვის წარსადგენი მოხსენებიდან სჩანს მას რამდენიმე დღის წინ ქართლ-კახეთის დედოფლის დარეჯანის წერილი მიულია[487]. 1795 წლის 13 სექტემბერს ეკატერინე II-თვის წარსადგენ მეორე მოხსენებაში ივანე გუდოვიჩი ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის წერილებს იხსენიებს, ასევე იხსენიებს ყარაბაღის ხანის მიერ ერეკლე II-თვის გამოგზავნილ წერილს[488]. ასე რომ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს განსჯისათვის ინფორმაცია საკმაოზე მეტი ჰქონდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე 1795 წლის 13 სექტემბერს ივანე გუდოვიჩმა იმპერატორ ეკატერინა II-ისადმი ორი, ხოლო გრაფ პლატონ ზუბოვისადმი ერთი მოხსენება შეადგინა. სამივე დოკუმენტი მეტად საინტერესოა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობისათვის უშუალოდ თბილისზე აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინა ხანებში, კონკრეტულად, 1795 წლის აგვისტოს მიწურულიდან სექტემბრის დამდეგამდე.

1795 წლის 13 სექტემბრის ეკატერინა II-თვის წარსადგენ პირველ მოხსენებაში ივანე გუდოვიჩი რუსეთის იმპერატორს, მაშინ როდესაც

---

[485] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 98-99.

[486] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 35; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 99.

[487] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 35; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 99-100.

[488] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 102.

ქართლ-კახეთის ჯარი დამარცხებული, ხოლო თბილისი აოხრებული იყო[489], ასეთ ინფორმაციას აწვდიდა:

1. აღა მაჰმად ხანმა განჯა აიღო და მალე ერევანსაც აიღებს (რუსულ დედანში: „...Ага-Мамет-Хан Испаганской, овладевши Ганжею и близок уже будучи к овладению Ериваном, провинциями в зависимости от Грузии около пятидесяти лет состоящими...");

2. აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს უახლოვდება და ქვეყნის განადგურებას აპირებს (რუსულ დედანში: „...Ага-Мамет-Хан ...приближается к Грузинским границам и имеет намерение разорить Грузию...");

3. ერეკლე II და სოლომონ II ჯარით ერევნის ხანის დასახმარებლად გაემართნენ (რუსულ დედანში: „...царь Карталинский и Кахетинский выехал из Тифлиса и пошел к Еривану, соединившись с царем Имеретинским Соломоном...");

4. ერეკლე მეფე რუსეთს ჯარით დახმარებას სთხოვს (რუსულ დედანში: „...просит помощи от Российских войск");

5. გუშინ (ე. ი. 1795 წლის 12 სექტემბერს) მივიღე ერეკლე II-სა და სოლომონ II-ის წერილები, ასევე აღა მაჰმად ხანის საიდუმლო წერილი თავისი სარდლებისადმი, რომელიც ხელში ჩაუვარდა ყარაბაღის ხანს იბრაჰიმს. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს ასაოხრებლად მიემართება (რუსულ დედანში: „Вчерашней же день прислали ко мне письмы с нарочными царь Ираклий Теймуразович и царь Соломон, будучи оба в походе, из которых первой, препровождая перехваченные союзником его Шушинским Ибраим-Ханом предписании Аги-Мамет-Хана к начальникам его войск, изъявляющие точное намерение Аги-Мамет-Хана Испаганскаго итти на разорение Грузии");

6. ომარ ხანის წერილიდან ირკვევა, რომ იგი კახეთში შესაჭრელად ემზადება (რუსულ დედანში: „...письмо Омар-хана Аварскаго, имеющаго в своем подданстве знатное число Лезгинцов, неизвестно к кому писанное, но изъявляющее и его расположении напасть на Кахетию");

7. ერეკლე მეფე იტყობინება, რომ აღა მაჰმად ხანმა უკვე აიღო განჯის ციხე, ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს და ქართლ-კახეთზე

[489] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С-Петербург,1886, стр. 35.

სალაშქროდ ემზადება (რუსულ დედანში: „Царь Ираклий уведомляет, что Ага-Мамет-Хан взял уже из зависящих от Грузии провинций город Ганжу и осадил город Ериван, и точно намерен итти с войсками на Грузию...”);

8. ქართლ-კახეთის მეფესა და იმერეთის მეფეს აღა მაჰმად ხანზე ბევრად ნაკლები ჯარი ჰყავთ, ამიტომ ერეკლე მეფე ითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად რუსეთის ჯარის (3.000 მებრძოლის) მიშველებას, ამ ჯარით მეფე არა მარტო ქართლ-კახეთს გადაარჩენდა, არამედ ერევნის სახანოსაც (რუსულ დედანში: „...число войск, с которыми приближается к Грузии Ага-Мамет-Хан, гораздо более того числа войск, какое он, царь Ираклий Теймуразович обще с Имеретинским царем Соломоном имеет на границах Грузии для отражения Аги-Мамет-Хана, и убедительно просит как наискорея присылки войск Российских до трех тысяч человек, пологая, что помощию оных отразит его, и нетолько Грузию сбережет, но и Ериван избавит”);

9. ერეკლე II-ს მივწერე, რომ აღა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოში შეჭრამდე ბევრი წინააღმდეგობა აქვს გადასალახი, რისთვისაც დიდი დრო დასჭირდება. ერეკლე II-ის, სოლომონ II-ისა და ყარაბაღის ხანის იბრაჰიმის ჯარი საკმარისია იმისათვის, რომ აღამ მაჰმად ხანი მოიგერიონ (რუსულ დედანში: „Почему я царю Ираклию Теймуразовичу писал, как и прежде, что предстоит еще довольно Аге-Мамет-Хану препон к произведению в действо гордых и вредных его предприятий против Грузии, и что соединенные силы его с царем Имеретинским, а особливо Шушинским Ибраим-Ханом, которой твердо располагается отражать Ага-Мамет-Хана, и в письме своем, присланном ко мне в переводе, и его, царя Ираклия Теймуразовича, уговаривает и обнадеживает в обороне, надеюсь я, довольно сильны Ага-Мамет-Хана остановить, и потому нужно только хранить всю предосторожность к соблюдению границ Грузии и к недопущению Аги-Мамет-Хана напасть на оные”);

10. ომარ ხანს წერილი მივწერე და ვურჩიე თავი შეიკავოს კახეთში შეჭრისაგან და იგივე ურჩიოს ლეკებსაც (რუსულ დედანში: „К Аварскому Омар-хану, который, будучи со мною в сношении до ныне, делал многие уверении о усердии и преданности своей к В. И. В., писал я с нарочным и советовал, чтоб он не только сам вредные против

Грузии предприятии остановил, ежели оные имеет, но и Лезгинцам, к которым он имеет большую доверенность, запретил делать против Грузии неприязненные действии, внушая ему, что сие несходствовало бы с изысканием ему высочайшаго покровительства в. и. в., и мог бы он тем навлечь на себя немилость в. и. в. “);

11. სანამ აღა მაჰმად ხანი შუშის ციხეს არ აიღებს და იბრაჰიმ ხანს არ დაამარცხებს, ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხე არ ემუქრება (რუსულ დედანში: „...Ага-Мамет-Хан усилился, и больше устрашением видов, нежели самою силою приводит в робость не только прочих ханов, кроме Ибраим-Хана Шушинскаго, обороняющаго себя твердо, но и царя Ираклия Теймуразовича, котораго распоряжении как в собрании войск, так и прочем, кажется, не надежны, — дерзаю всеподданнейше донести мое мнение, что когда не устоит Ибраим-Хан Шушинской в твердом своем предприятии к обороне, что Грузия может быть в опасности”)[490].

მოხსენების დასასრულს ივან გუდოვიჩი იმპერატორს გარკვეული რჩევებს აძლევდა. გენერალი წერს: თუ იმპერატორი ინებებდა ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნას, ძნელი გადასასვლელების მიუხედავად, ჯარის გადაყვანა გზების შეკეთების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა შემოდგომაზე – აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნოემბრამდე და გაზაფხულზე – აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე. ნოემბერში მთაში აცივება იწყებოდა, ხშირად მოდიოდა დიდი თოვლი, გზაზე საცხოვრებელი ბინები თითქმის არ არსებობდა, არ იყო ფურაჟი. ამიტომ ამ დროს (ნოემბერში და შემდეგ) ჯარი მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა გაგზავნილიყო. მაისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე მდინარე თერგის კალაპოტში წყლის დონე ძალზე მატულობდა, ერთადერთი გზა კი სწორედ თერგის ნაპირს მიუყვებოდა (რუსულ დედანში: „Всеподданнейше дерзаю и о том донести, что на случай высочайшаго повеления в. и. в. для проведения в Грузию войск, хотя переход чрезвычайно труден, но осенью с половины Августа и до Ноября месяца, а весной с Апреля до половины Маия месяца, с приуготовлением дороги, возможен; но в Ноябре месяце стужа в горах начинается, часто выпадает большой снег, жилья по дороге почти нет

[490] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 100-102.

и фуража подножнаго иметь нельзя, — и тогда без крайняго изнурения войск провести не можно; в другое время с половины Маия месяца до половины Августа вода в реке Тереке очень велика и быстра, вдоль которой чрез горы проходит одна только возможная дорога, и чрез которую на одном марше шесть мостов не удобно делать")[491].

1795 წლის 13 სექტემბრის ეკატერინა II-თვის წარსადგენ მეორე მოხსენებაში კავკასიის ხაზის მთავარსარდალი ივან გუდოვიჩი იმპერატორს 1795 წლის ზაფხულში გეორგიევსკში ჩასული აღა მაჰმად ხანის ელჩების შესახებ აუწყებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელჩები ივან გუდოვიჩმა ოფიციალურ პირებად არ ცნო და სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების უფლება არ მისცა. ამჯერად ივანე გუდოვიჩი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ გეორგიევსკიდან გამგზავრების წინ მას ელჩებისათვის განუცხადებია: ქართლ-კახეთის სამეფო იმპერატორის მფარველობაში იყო და აღა მაჰმად ხანმა მასზე თავდასხმა არ გაბედოსო (რუსულ დედანში: „Грузия находится под высочайшим покровительством В. И. В., и что Ага-Мамет-Хан не должен осмеливаться делать на оную нападений")[492].

1795 წლის 13 სექტემბრის გრაფ პლატონ ზუბოვისათვის წარსადგენ მოხსენებაში ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-თვის გაგზავნილ მოხსენებაში მოტანილ ფაქტობრივ მასალას იმეორებს, თუმცა ეს ორი მოხსენება ერთმანეთს მთლიანად არ ემთხვევა. ივან გუდოვიჩი პლატონ ზუბოვს მოახსენებდა: 1. ერეკლე II-მ 1795 წლის მაისში ჯარით დახმარება რომ ითხოვა, მე იმპერატორს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებული უთანხმოებების შესახებ მოვახსენეო (რუსულ დედანში: „Долгом почитаю притом объяснить в-у с-у: при первом получении требования царя Ираклия военной помощи, в Мае месяце, я доносил тогда, что, по внутренним несогласиям в Грузии, сам царь то, кажется, чувствуя, прежде времяни опасался"); 2. ახლა ცხადი გახდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ყველაფერი რიგზე არაა, ჯარი მცირე რაოდენობით

[491] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 101-102.

[492] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 102.

შეიკრიბა (რუსულ დედანში: „Теперь действительно приметно, что нет надобных распоряжений в Грузии, — войска мало собрано...”); 3. ჯარის სიმცირის გამო ერეკლე II-სა და სოლომონ II-ს აღა მაჰმად ხანის მრავალრიცხოვანი ჯარის შიში აქვთ, მაშინ როცა მათზე გაცილებით სუსტი ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი მედგრად ებრძვის აღა მაჰმად ხანს, და ერეკლე II-საც ბრძოლისაკენ მოუწოდებს (რუსულ დედანში: „...и страшатся вместе с царем Соломоном увеличеннаго числа войск Аги-Мамет-Хана, тогда когда Ибраим-Хан Шушинской, будучи слабее, твердо намерен отражать Агу-Мамет-Хана, и царя Ираклия к тому в письме своем уговаривает”); 4. თუ ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული შინაგანი უთანხმოება არ მოგვარდა, აღა მაჰმად ხანი შეძლებს სამეფოს დაპყრობას (რუსულ დედანში: „Теперь вторительно в-у с-у честь имею донести мое мнение, что при распоряжениях, какие берет царь Ираклий, происходящих особливо от внутренних несогласий, ежели Ибраим-Хан Шушинской, довольно предприимчивой и твердой, имея и крепкое в Шуше место, не устоит против Аги-Мамет-Хана, то при таковой робости, какая замечается в Грузии, может Ага-Мамет-Хан завладеть оною”); 5. თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნის შესახებ გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ნოემბრიდან აპრილამდე მთებში დიდთოვლიანობისა და სიცივის გამო, ჯარის გაგზავნა არ შეიძლება.

1795 წლის 13 სექტემბერს შედგენილი მეორე მოხსენების ბოლოს ივან გუდოვიჩი იმპერატორ ეკატერინა II-ს სთხოვს გასცეს უმაღლესი ბრძანება, მისცეს მითითება როგორ მოიქცეს შექმნილ ვითარებაში, კერძოდ: ა) როცა ერეკლე II დაჟინებით ითხოვს ჯარის მიშველებას, ბ) როცა აღა მაჰმად ხანი თანდათან ძლიერდება, გ) როცა ქართლ-კახეთის სამეფოში აღა მაჰმად ხანის შეჭრის საფრთხე რეალურია (რუსულ დედანში: „При таковых безпристанных требованиях царя Ираклия о посылке войск, ежели и действительно Ага-Мамет-Хан вступит в Грузию, к чему он близок, и при усиливании Аги-Мамет-Хана и посылках его ко мне, — каким образом мне поступать, — всепокорнейше прошу исходатайствовать мне высочайшее повеление”)[493].

---

[493] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С-Петербург, 1902, стр. 102-104.

* * *

1795 წლის აგვისტოს მოწურულს ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის მიერ გაგზავნილი საგანგაშო ინფორმაციის შემცველი წერილები როგორ სწრაფადაც არ უნდა მიეღო ივან გუდოვიჩს, ამ სამი წერილის ერთ-ორ დღეში სანკტ-პეტერბურგში გადაგზავნას ვერ მოასწრებდა და, მით უმეტეს, იმპერატორი ეკატერინა II წერილების გაცნობის საფუძველზე უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ნაჩქარევად არ მიიღებდა. 1795 წლის 4 სექტემბერს, სანამ სანკტ-პეტერბურგში ივან გუდოვიჩის მიერ გაგზავნილ ქართველ მეფეთა წერილებს მიიღებდნენ, ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა ივან გუდოვიჩისადმი გასაგზავნ რესკრიპტს. ეს რეკრიპტი არ იყო ერეკლე II-ის მრავალი თხოვნის შედეგი, იგი ირანში განვითარებული მოვლენებითა და რუსეთ-ირანის იმდროინდელი და მომავალი ურთიერთობით იყო განპირობებული. ეკატერინე II იწონებდა აღა მაჰმად ხანის თავდასხმის აღსაკვეთად კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მიერ გატარებულ ღონისძიებებს (რუსულ დედანში: „Принятыя вами предварительныя меры осторожности против покушений Аги-Магомет-хана, усилившагося в большой части Персии, мы в полной мере одобряем, быв уверены, что все таковыя покушения не предуспеют, по крайней мере, нанести безпосредственный вред пределам нашим, и что вы в пограничных народах потщитеся сохранить тишину и к нам приверженность"). ამასთან ერთად, რესკრიპტში აღნიშნული იყო:

1. რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა მისი ვასალი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (რუსულ დედანში: „Царя карталинскаго и кахетинскаго, яко вассала нашего, сходно с собственным нашим достоинством и интересами, обязаны мы защищать против неприязненных на него покушений. Согласие его с шушинским ханом и общее их действие много возспособствуют в затруднении дальних успехов Аги-Магомет-хана; но дабы и паче усилить царя карталинскаго против сего безпокойнаго человека..." (იგულისხმება აღა მაჰმად ხანი – ვ. გ.);

2. ტარკის შამხალი და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის რუსული ორიენტაციის სახანოები აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყვნენ (რუსულ დედანში: „Утверждая нашего тайнаго советника шамхала Тарковскаго в его верности и благонамеренных расположениях, не оставьте склонять его на то, чтобы и он часть войска

своего обратил против Аги-Магомет-хана; тоже самое внушите и другим приверженным нам владельцам, подкрепляя их вашим пособием, для чего позволяем вам: во-первых, по усмотрению вашему, с наблюдением хозяйства, на таковыя войска действительно отряжаемыя против неприязненных покушений помянутаго хана, делать помощь, из суммы, на чрезвычайные расходы по начальству вашему отпускаемой, а затем от корпуса, вам вверенного, производить всякое движение и действие, каковыя только за полезныя найдете, сообразно общему положению дел и края сего...");

3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერების მიზნით რუსეთს უნდა შეესრულებინა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება, რაც ითვალისწინებდა ორი რუსული ბატალიონის გაგზავნას და ტრაქტატით გათვალისწინებული ზარბაზნების რაოდენობის გაზრდას (რუსულ დედანში: „...чтоб вы подали помянутому царю (იგულისხმება ერეკლე II – **ვ.ბ.**) пособие положенными по тракту с ним двумя полными баталионами пехоты, к которым сверх обыкновенных орудий отделить несколько из артиллерии прежде ему обещанных ");

4. რადგან ქართლ-კახეთის სამეფოში მძიმე არტილერიის გადატანა ძნელი იყო, უნდა გაგზავნილიყო საველე ზარბაზნები (ექვსფუნტიანი ზარბაზნები) და ზარბაზნების მომსახურე პერსონალი (რუსულ დედანში: „Но поелику перевоз и употребление орудий большаго калибра в том крае неудобны, для того и заменить оныя легкими, не выше шестифунтовых пушек и тому соразмерных единорогов, определяя к оным людей, потребных для действия ими");

5. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი ბატალიონის გარდა, კიდევ შეიძლებოდა გაგზავნილიყო ორი ბატალიონი ისე, რომ ეს ბატალიონები უაზრო მსხვერპლი არ გამხდარიყო (რუსულ დედანში: „Смотря же по обстоятельствам и по лучшему вашему на месте соображению, можете присовокупить и другие два баталиона, остерегаяся только, дабы оные не были напрасною жертвою в отдаленности и тем при потере людей не подвергнулась предосуждению честь оружия нашего") [494].

---

[494] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 22-23;

1795 წლის 4 სექტემბრის რესკრიპტით ეკატერინა II ივან გუდოვიჩს ავალებდა აღა მაჰმად ხანისათვის ეგრძნობინებინა, თუ რა პირობებში მოხდებოდა რუსეთის მხრიდან მისი ირანის შაჰად აღიარება. აღა მაჰმად ხანს: 1. პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა კასპიის ზღვისპირა ტერიტორიაზე; 2. უნდა შეეწყვიტა რუსეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნების დამორჩილების მცდელობა, პირველ რიგში, ეს ეხებოდა ქართლ-კახეთის მეფესა და ტარკის შამხალს, დერბენტის, ბაქოს, თალიშის, ყარაბაღისა და სხვ. ხანებს; 3. თუ აღა მაჰმად ხანი ამ პირობებს მიიღებდა, მას შეეძლო რუსეთის საიმპერატორო კარზე ელჩობა გაეგზავნა[495].

რუსეთის იმპერატორმა ეკატერინა II-მ რესკრიპტს ივან გუდოვიჩისადმი, როგორც აღვნიშნეთ, 1795 წლის 4 სექტემბერს მოაწერა ხელი. სანკტ-პეტერბურგიდან რესკრიპტი ადრესატმა გეორგიევსკში 1795 წლის 1 ოქტომბერს მიიღო, თბილისისათვის ცხარე ბრძოლები კი 1795 წლის 11-12 სექტემბერს მიმდინარეობდა. 1795 წლის 1 ოქტომბრისათვის აღა მაჰმად ხანს თბილისი და საერთოდ საქართველო კარგა ხნის დატოვებული ჰქონდა[496].

1795 წლის სექტემბრის დამდეგს აღა მაჰმად ხანის ცხენოსანმა ჯარმა 110 ვერსი გაიარა და **აღსტაფას** მიაღწია. აღსტაფაში აღა მაჰმად ხანმა დატოვა მთელი აღალი, ასევე ერთი კორპუსი ყარაბაღის სახანოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში ზურგის დაცვის მიზნით. 35.000 რჩეული მებრძოლით აღა მაჰმად ხანი თბილისზე დაიძრა.

1795 წლის 7 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი მდინარე **ხრამზე**, წითელ ხიდთან, დაბანაკდა და მოწინავე საგუშაგოები იალღუჯის მთაზე განალაგა;

9 სექტემბერს აღა მაჰმად ხანმა **სოღანლული** დაიკავა და მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა;

10 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი სოღანლულიდან თბილისაკენ დაიძრა და დილით 8 საათზე **კრწანისიდან** 2 ვერსის მოშორებით შეჩერდა.

---

[495] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 22-26; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 266.

[496] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 26;

დავით ბატონიშვილმა არტილერიის გამოყენებით ირანელები გააქცია;

11 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ქართველები მედგრად იცავდნენ თავს. აღა მაჰმად ხანი მზად იყო უკან დაეხია, მაგრამ განჯის ხანმა ჯავადმა დაარწმუნა, ქართველების დამარცხება შეიძლებაო.

12 სექტემბერს, დილის 8 საათზე აღა მაჰმად ხანი გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვიდა. იმავე დღეს მტერმა თბილისი აიღო...

17 სექტემბრისათვის ივან გუდოვიჩს ეკატერინა II-ის 1795 წლის 4 სექტემბრის რესკრიპტი მიღებულიც რომ ჰქონოდა, რუსეთის ჯარის სალაშქროდ მომზადებასა და თბილისამდე ჩამოღწევას, თუ მეტი არა, ორი კვირა მაინც დასჭირდებოდა...

§ 2. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის შემდეგ (1795 წლის სექტემბერი-დეკემბერი)

რუსული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მომხდარიდან 70-80 წლის შემდეგ, ცდილობდა რუსეთის საიმპერატორო კარის გამართლებას იმ ტრაგედიაში, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში, თბილისში, დატრიალდა 1795 წლის 11-12 სექტემბერს და მომდევნო დღეებში. რუს ისტორიკოსებს პოზიცია არ შეუცვლიათ არც XX და არც XXI საუკუნეში.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის დიდი მცოდნე **პიოტრ ბუტკოვი** წერდა: „Без сомнения российский двор не ожидал ни толикой слабости со стороны Грузин, ни толикой быстроты и дерзости от Ага-Магомет-Ханы. По сим причинам, не прежде 4 сентября 1795 г. последовало к генералу Гудовичу высочайшее повеление, полученное им 1 октября, подкрепить царя Ираклия, яко вассала российскаго“[497]. როგორც ვხედავთ რუსეთის საიმპერატორო კარის მხრიდან უმოქმედობას პიოტრ ბუტკოვი ორი მიზეზით ამართლებს: 1. რუსეთის საიმპერატორო კარი არ ელოდა ქართველების ასეთ სისუსტეს, ე. ი. ქართველებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მტერს; 2. არც აღა მაჰმად ხანისაგან ელოდნენ ამგვარ სწრაფ და

[497] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 343-344.

გაბედულ მოქმედებას. განვიხილოთ ეს მიზეზები.

რუსეთის საიმპერატორო კარს 1795 წლისათვის ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის რაოდენობაზე, შეიარაღებაზე, ბრძოლისუნარიანობაზე და ა. შ. სანკტ-პეტერბურგში ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდაც ირანში შექმნილ ვითარებაზე, აღა მაჰმად ხანის გეგმებზე, მისი ჯარის რაოდენობაზე, შეიარაღებაზე, ბრძოლისუნარიანობაზე. ამ ინფორმაციას რუსეთის საიმპერატორო კარი წლების განმავლობაში მუდმივად იღებდა მეფე ერეკლე II-გან ხან პირადად და ხან რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენელ (მინისტრ) **გარსევან ჭავჭავაძის** მეშვეობით. ინფორმაციის დიდი ნაკადი სანკტ-პეტერბურგში შედიოდა კავკასიის ხაზის მთავარსარდლისაგან, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღების თავისი, სანდო წყაროები გააჩნდა. ასე რომ, თუ რუსეთის საიმპერატორო კარი ისურვებდა, მას შეეძლო უაღრესად ზუსტი ინფორმაცია მიეღო როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის რაოდენობის, შეიარაღებისა და ბრძოლისუნარიანობის შესახებ, ისე აღა მაჰმად ხანის ჯარის მოძრაობის მარშრუტისა და გადაადგილების სისწრაფის თაობაზე.

რუსეთის საიმპერატორო კარმა რატომ ჩათვალა შეუძლებლად უახლოეს ხანებში აღა მაჰმად ხანის თავდასხმა ქართლ-კახეთის სამეფოზე, როდესაც მოახლოებული საფრთხის შესახებ სანდო ინფორმაცია ჰქონდა: 1. 1793 წლის 7 მაისს სანკ-პეტერბურგში მყოფი მირიან ბატონიშვილი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღა მაჰმად ხანის თავდასხმისაგან მხოლოდ რუსეთი თუ იხსნიდა[498]; 2. 1793 წლის 30 მაისს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ ქართლ-კახეთის სამეფოში აღა მაჰმად ხანის შეჭრის საფრთხე რეალობად მიიჩნია[499]; 3. ქართლ-კახეთის სამეფოში აღა მაჰმად ხანის შეჭრის საფრთხე ასევე ობიექტურადაა დანახული კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩის 1795 წლის 7 მაისის მოხსენებაში, რომელიც მან ეკატერინა II-ს წარუდგინა[500]; 4. 1795 წლის ზაფხულში აღა მაჰმად ხანის

[498] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 791.

[499] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 80-81.

[500] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до

მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას მოახსენებდა გარსევან ჭავჭავაძე[501]; 5. 1795 წლის 6 ივნისს დედოფალი დარეჯანი იმპერატორ ეკატერინა II-ს სწერდა, რომ აღა მაჰმად ხანი სამეფოს საზღვრებთან ახლოს იმყოფებოდა[502]. აღარაფერს ვამბობთ თბილისიდან ერეკლე II-სა და სოლომონ II-ის მიერ გეორგიევსკში ივან გუდოვიჩთან გაგზავნილ წერილებზე[503].

***

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ერეკლე მეფეს ვერ გადაეწყვიტა შეესრულებინა თუ არა აღა მაჰმად ხანის მოთხოვნები. თუ მეფე მოთხოვნებზე დათანხმდებოდა, მაშინ, მძევლად მეფის შვილიშვილი, ბატონიშვილი დავით გიორგის ძე უნდა გაეგზავნათ. სანამ მეფე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა საქმეში განჯის ხანი **ჯავადი** ჩაერია. ჯავად ხანს არ სურდა ერეკლე II-ისა და აღა მაჰმად ხანის კავშირი. ხანი ამბობდა: „თუ ეს კავშირი შედგა... ჩემი საქმე ცუდად იქნება"[504]. ჯავად ხანი ცდილობდა, რომ აღა მაჰმად ხანი დაერწმუნებინა ერეკლე მეფის არაგულწრფელობაში. განჯის ხანი ირანის მბრძანებელს არწმუნებდა, რომ მთიულეთში მყოფი მეფე ერეკლე კახეთში ჯარს აგროვებდა და ამავე დროს ირანის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა რუსეთს. ჯავად ხანმა აღა მაჰმად ხანი იმდენად დააეჭვა, რომ ამ უკანასკნელმა ერეკლე II-სთან ვითომდა მოლაპარაკების მიზნით გაგზავნილ ელჩებს საიდუმლო დავალება მისცა. ელჩებს უნდა დაედგინათ მართლა ემზადებოდა თუ არა მეფე აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ომისათვის და აწარმოებდა თუ

Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 85-89.

[501] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 89-91.

[502] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 91.

[503] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 98-99.

[504] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 51.

არა იგი ჯარის გამოგზავნის თაობაზე რუსეთთან მოლაპარაკებას[505].

ჯავად ხანი ორმაგ თამაშს აგრძელებდა. ხანი ერეკლე II-ს წერდა, რომ თავს ქართლ-კახეთის მეფის მონად მიიჩნევდა. განჯის ხანი ერეკლეს არწმუნებდა, რომ აღა მაჰმად ხანი განჯას მოულოდნელად დაეხსხა თავს და იგი თბილისზე სალაშქროდ ძალდატანებით წამოიყვანა. წერილის ბოლოს ჯავად ხანი ერეკლე მეფეს აღა მაჰმად ხანთან მოლაპარაკებისას შუამავლის როლს სთავაზობდა[506].

მეფე ერეკლემ კარგად იცოდა ჯავად ხანის ორპირობის ამბავი, ამიტომ მის ელჩებს არ მოუსმინა და ქვეყნიდან გააძევა. ჯავად ხანსაც ეს უნდოდა. განჯის ხანმა ერეკლე მეფის მიერ გაძევებული ელჩები აღა მაჰმად ხანს წარუდგინა, რომელთაც ირანის მბრძანებელს აცნობეს: ერეკლე მეფეს 5.000 მებრძოლი ჰყავს შეკრებილი, ჯარის შეკრება კიდევ გრძელდება და სულ მალე მეფე აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ გაილაშქრებსო[507]. აღა მაჰმად ხანი ისე შეშინდა, რომ სარდლები შეკრიბა და რჩევა ჰკითხა. სარდლებს ქართლ-კახეთიდან წამოღებული ნაძარცვის დაკარგვის შეეშინდათ და ამიტომ აღა მაჰმად ხანს ურჩიეს განჯიდან ირანის სიღრმეში დაეხია[508].

* * *

1795 წლის 14 სექტემბერს, ე. ი. აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევიდან ორი დღის შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ-ანშეფ **ივან გუდოვიჩს**. წერილი დიპლომატიური მიმოწერისათვის მიღებული საყვედურით იწყება. არაფერი ამაში მოულოდნელი და საკვირველი არ იყო. წერილს მთიულეთში გახიზნული მეფე აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ წერდა. მეფე ივან გუდოვიჩს შეახსენებდა, რომ მან აცნობა აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე მოსალოდ-

---

[505] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 51.

[506] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 51.

[507] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 52.

[508] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 52.

ნელი ლაშქრობის შესახებ, აცნობა ისიც, თუ სად იმყოფებოდა ირანის ლაშქარი. მეფე გულდაწყვეტილი წერდა, რომ ყოველ დღე ელოდა რუსეთისაგან დახმარებას, მაგრამ ამაოდ[509]. შემდეგ მეფე ერეკლე აღწერს მომხდარს: 1795 წლის 10 სექტემბერს აღა მაჰმად ხანის ჯარი თბილისს შემოადგა; ირანელთა მოწინვე რაზმები ქართველებმა დაამარცხეს; 11 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი დიდი ძალებით გადმოვიდა შეტევაზე, მას წინ აღუდგა ქართველთა გაცილებით მცირე რაოდენობის ჯარი. დილიდან საღამომდე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, ქართველებმა მტრის სამი იერიში მოიგერიეს, ამ ბრძოლებს ბევრი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, ქართველებმა უამრავი ირანელი დახოცეს, მაგრამ მტერი გაცილებით ძლიერი იყო, ქართველები დამარცხდნენ და ირანელებმა თბილისი დაიკავეს[510]. შემდეგ მეფე გენერალს აცნობებდა, რომ იგი ოჯახთან ერთად მთიულეთში იყო, თბილისიდან თან ჰქონდა წაღებული საეკლესიო სიწმინდეები. მეფეს თან ახლდნენ ლტოლვილები თბილისიდან, ყაზახიდან, შამშადილუდან, ყარაბაღიდან, რომლებიც მიუვალ ადგილებში იყვნენ გახიზნული[511]. წერილის ბოლოს ერეკლე II ივან გუდოვიჩს სთხოვდა: 1) სანამ აღა მაჰმად ხანს მთიულებამდე მიუღწევია, დაურბევია ქვეყანა, ტყვედ აუყვანია ადგილობრივი და ლტოლვილი მოსახლეობა, მანამ სასწრაფოდ გამოგზავნონ ჯარი; 2) სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი, დროშა, ზარბაზნები, საეკლესიო სალარო და სხვა ძვირფასეულობა აღა მაჰმად ხანს ჩაუვარდა ხელში; ირანელთა ტყვეობაშია ბევრი თავადი ცოლებითურთ, რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) გარსევან ჭავჭავაძის და, ასევე თავად თარხნიშვილების მთელი სახლობა და სხვ.[512]. დაბოლოს, მეფე იმედს იტოვებდა, რომ აღა მაჰ-

[509] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 104.

[510] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 104.

[511] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 104.

[512] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 104-105.

მად ხანის მოქმედებას რუსეთი დაუსჯელად არ დატოვებდა[513]. მეფე საყვედურით ასრულებს: რუსეთის ჯარი რომ დამხმარებოდა, სამეფოს გადარჩენა შეიძლებოდაო[514]. ქართლ-კახეთის მეფე ივან გუდოვიჩს კატეგორიულ თხოვნას თუ მოთხოვნას უყენებდა: თუ ათ-თორმეტ დღეში რუსეთის ჯარი არ მიეშველებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს მტერი გააჩანაგებდა[515]. ასევე კატეგორიული იყო თხოვნა: ივან გუდოვიჩს მეფისათვის პასუხი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა[516].

ერეკლე II დარწმუნებული არ იყო, რომ რუსი სარდალი მაშინვე აცნობებდა ქართლ-კახეთის სამეფოს გასაჭირს რუსეთის იმპერატორს ეკატერინა II-ს, ხოლო სასწრაფო და გადაუდებელ ღონისძიებებს მყისიერად გაატარებდა. ამიტომ იყო, რომ 1795 წლის 15 სექტემბერს მთიულეთიდანვე მეფე წერილს უგზავნის სანკტ-პეტერბურგში მყოფ **მირიან ბატონიშვილსა** და **გარსევან ჭავჭავაძეს**. აღა მაჰმად ხანის შემოსევასა და თბილისისათვის გამართულ ბრძოლას მეფე დაახლოებით ისევე აღწერს, როგორც წინა დღით ივან გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში[517]. წერილის ბოლოს მეფე მირიან ბატონიშვილსა და გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვს ყველა ღონე იხმარონ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის სასწრაფოდ გამოგზავნისათვის. ჯარი მანამ უნდა გამოეგზავნათ, სანამ აღა მაჰმად ხანი მთიულეთში შეიჭრებოდა[518].

1795 წლის 17 სექტემბერს ერეკლე II ივან გუდოვიჩს კიდევ ერთ

---

[513] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 104-105.

[514] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 105.

[515] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 105.

[516] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 105.

[517] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 105-106.

[518] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 106.

წერილს უგზავნის. წერილიდან ირკვევა, რომ 1795 წლის 16 სექტემბერს მეფეს აღა მაჰმად ხანისაგან წერილი მიუღია. ხანი ითხოვდა: 1. ირანში მეფის ერთ-ერთი ძის მძევლად გაგზავნას; 2. თბილისში თავშეფარებული და შემდეგ მთიულეთში გახიზნული ყარაბაღელი ლტოლვილების (ქრისტიანი სომხების) გადაცემას; 3. აზატ ხანისეულ თეთრი ალმასის ქვას, რომელიც ერეკლე მეფეს აზატ ხანის დამარცხების შემდეგ ჩაუვარდა ხელში; 4. ერეკლე მეფისათვის გრიგორი პოტიომკინის მიერ ნაჩუქარ საათს, რომელიც მეფეს სამეფო დივანში ჰქონდა. ამ მოთხოვნების შესრულების შემდეგ აღა მაჰმად ხანი მეფეს ჰპირდებოდა: 30.000 ქართველი ტყვის გათავისუფლებას, ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების დადებას[519].

მეფის კატეგორიული თხოვნის მიუხედავად, ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის ბრძანების გარეშე გადაწყვეტილების მიღებას ვერ ბედავდა და ერეკლე მეფისათვის აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარის გაგზავნისაგან თავს იკავებდა[520].

ივან გუდოვიჩს კარგად ესმოდა, თუ რა უმძიმეს მდგომარეობაში იყო ქართლ-კახეთის სამეფო და პირადად მეფე ერეკლე II. კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ყველაფერი დაწვრილებით მისწერა ეკატერინა II-ს. საინტერესოა, როგორ მოახსენა იმპერატორს ივან გუდოვიჩმა აღა მაჰმად ხანის თბილისზე ლაშქრობის ამბავი. აი, ზოგიერთი ადგილი გენერლის მოხსენებიდან: 1. 1795 წლის 22 სექტემბერს ივან გუდოვიჩისათვის წერილი გადაუცია დედოფალ დარეჯანის შიკრიკს; 2. 1795 წლის 10 სექტემბერს აღა მაჰმად ხანის ჯარი თბილისს მოადგა (ივან გუდოვიჩი წერს: „10 числа сего сентября осадил Тифлис", რაც სწორი არაა. აღა მაჰმად ხანს თბილისისათვის ალყა არ შემოურტყამს, მისი ჯარი თბილისს სოღანლუღის მხრიდან მოადგა; 3. 10 სექტემბერს დედოფალი დარეჯანი ამალასთან ერთად არაგვის ხეობაში, თბილისი-მოზდოკის გზაზე მდებარე სოფელ ანანურში (თბილისიდან 60 ვერსზე) მისულა; 4. ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონ II თბილისთან ებრძოდნენ აღა

---

[519] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 107; **Н. Дубровин.** Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1867. Издание второе, С.-Петербург, 1897, стр. 32.

[520] **Н. Дубровин.** Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1867. Издание второе, С.-Петербург, 1897, стр. 32.

მაჰმად ხანის ჯარს; 5. დარეჯან დედოფალი თვლიდა, რომ თბილისი უკვე ალყაშემორტყმული იყო და რუსეთისაგან ითხოვდა ჯარით დაუყოვნებლივ დახმარებას[521]. მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩაყენების შემდეგ ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს სწერს, რომ მას არ შეეძლო ერეკლე II-თვის ჯარის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ელოდა იმპერატორის ბრძანებას[522].

ივან გუდოვიჩს ეკატერინა II-თვის გაგზავნილ მოხსენებაში ისეთი ფაქტები მოჰყავდა, რომელთა სისწორეზეც პირადად არ აგებდა პასუხს. ამიტომ იყო, რომ გენერალი იმპერატორს აცნობებდა, რომ ინფორმაციას იღებდა დარეჯან დედოფლის წერილიდან, ასევე დედოფლის შიკრიკის ზეპირი მონათხრობიდან. გენერალი წერს, რომ საზღვრიდან თბილისისაკენ ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის სარდლობით ჯარის უკან დახევის დროს თბილისს მიახლოებულმა იმერეთის ჯარის დიდმა ნაწილმა ბრძოლა არ ისურვა და, ნაცვლად ბრძოლისა, თბილისიდან მთებისაკენ დაძრული მოსახლეობისა და მათი მამულების ძარცვა დაიწყო (რუსულ დედანში: „При распрашивании моем присланнаго с сим письмом от царицы Грузина — явствует, что с самою малою обороною войски Грузинские отступили от своих границ к Тифлису, и что большая часть Имеретинских войск под начальством царя Имеретинскаго вместе с царем Ираклием Теймуразовичем бывших, по отступлении от границ и при приближении к Тифлису, ушли, нехотя дратся, и вместо помощи нападали на тех, которые выезжали из Тифлиса для спасения себя в горы, и грабили их имение")[523].

ქართული ჯარის, კერძოდ კი, იმერეთის ლაშქრის, მოროდიორობაში ბრალდების შემდეგ, ივან გუდოვიჩი უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის ეკატერინა II-ს. გენერალი წერს, რომ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მოკავშირე ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი მედგრად ებრძ-

---

[521] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 108.

[522] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 108.

[523] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 108.

ვის აღა მაჰმად ხანს და შუშის ციხეს არ ანებებსო. იბრაჰიმ ხანის თავგანწირული ბრძოლის ამბავი შემთხვევით არ უხსენებია ივან გუდოვიჩს. გენერალი წერს, რომ აღა მაჰმად ხანმა შეიტყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლში თავდაცვის საკითხში წარმოქმნილი უთანხმოების შესახებ, შუშის ციხეს თავი ანება, ერევნის ციხესაც გვერდი აუარა და ქართლ-კახეთის საზღვრებისაკენ დაიძრა, აქედან კი უკანდახეულ ქართულ ჯარს მიჰყვა თბილისამდე (რუსულ დედანში: „Ага-Мамет-Хан Испаганской оставил твердо обороняющагося Ибраим-Хана Шушинскаго, союзника царя Ираклия Теймуразовича, в стороне, и, узнав о внутреннем между Грузинами на должную оборону несогласии, пошел мимо Еривана к границам Грузии, и оттуда, по отступлении войск Грузинских, прямо к Тифлису, из котораго, по выезде царицы, и многие жители начали удалятся в горы...")[524]. მხოლოდ ეს ორი ფაქტი (იმერეთის ჯარის ბრძოლის ველიდან გაქცევა და მოროდიორობა და სამეფო სახლში ომის წარმოების გეგმაზე არსებული უთანხმოება) **რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ისა და ივან გუდოვიჩისათვის საკმარისი იყო იმისათვის, რომ აღა მაჰმად ხანთან ომში დამარცხება ქართველებისათვის (ერეკლე მეფის, სამეფო სახლის, იმერეთის ჯარისათვის და ა. შ.) დაებრალებინა და არა რუსეთის ჯარისათვის, რომელიც, ერეკლე მეფის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ეკატერინა II-მ საქართველოში არ გამოაგზავნა.** ივან გუდოვიჩი 1795 წლის 12 სექტემბრის შემდეგ შექმნილ მდგომარეობასაც ეხება და ეკატერინა II-ს სწერს, ბატონიშვილები წავიდ-წამოვიდნენო[525]:

ივან გუდოვიჩის 1795 წლის 23 სექტემბრის მოხსენებაში აღა მაჰმად ხანის თბილისზე ლაშქრობის ამბავი დედოფალ დარეჯანის წერილისა და ამ წერილის მიმტანის ზეპირი ნაამბობის მიხედვით აისახა. დარეჯან დედოფლის წერილი ივან გუდოვიჩმა 22 სექტემბერს მიიღო[526]. თვით დარეჯან დედოფალმა აღა მაჰმად ხანის თბილისზე ლაშქრობის ამბები მხოლოდ 10 სექტემბრის ჩათვლით, ე. ი. მისი თბილისიდან გასვ-

---

[524] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 108.

[525] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 108.

[526] **Н. Дубровин**. История войны и владычества русских на Кавказе. Том III. С.-Петербург,1886, стр. 35.

ლის დროისათვის, იცოდა. დედოფლის წერილში 11-12 სექტემბრისა და შემდეგი დღეების მოვლენების შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი, ე. ი. არაფერი იცოდა არც ივან გუდოვიჩმა და, ცხადია, იგი ვერც ეკატერინა II-ს შეატყობინებდა რაიმეს 11-12 სექტემბრის მოვლენების შესახებ. ამიტომაა, რომ 1795 წლის 23 სექტემბერს, როცა თბილისი უკვე თერთმეტი დღის გავერანებული და გადამწვარი იყო, ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს წერს, რომ ქართველების მიერ ცუდად ორგანიზებული თავდაცვის გამო, ძალზე მცირე იმედი მაქვს, რომ თბილისი შენარჩუნებული იქნებაო (რუსულ დედანში: „...из царевичей тоже некоторые разъехались, и старешй, Георгий Ираклиевич, оставался с войском, без соединения с родителем его, в Кахетии. По сим обстоятельствам, по слабой и робкой обороне Грузии, дерзаю донести всеподданнейше мое мнение, что я малую надежду полагаю, чтобы Тифлис мог удержатся“)[527].

ზემოთ განხილული ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის 1795 წლის 14 სექტემბრისა და 17 სექტემბრის წერილები კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ივანე გუდოვიჩმა დაგვიანებით მიიღო. ყოველ შემთხვევაში ეკატერინა II-თვის გაგზავნილ 1795 წლის 23 სექტემბრის დათარიღებული მოხსენების წერისას გენერალი ერეკლე მეფის ზემოთ ხსენებულ ორ წერილს არ იცნობდა[528]. ივან გუდოვიჩს ერეკლე მეფის 1795 წლის 14 სექტემბერისა და 17 სექტემბრის წერილები უკვე მიღებული ჰქონდა ეკატერინა II-სადმი გაგზავნილ 1795 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული მოხსენების წერისას[529]. ერეკლე II-ის ორი წერილი, დარეჯან დედოფლის წერილი, დარეჯან დედოფლის წერილის მიმტანის ზეპირი მონათხრობი და, ცხადია, კიდევ სხვა ინფორმაცია ივან გუდოვიჩს საშუალებას აძლევდა იმპერატორისათვის ვრცელი მოხსენება წარედგინა. 1795 წლის 28 სექტემბრის მოხსენება მართლაც ვრცელია და რიგი მოვლენების დაწვრილებით აღწერას შეიცავს. ივან გუდოვიჩი

---

[527] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 109.

[528] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 104-105, 107, 108-109.

[529] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 109-113.

არც ფაქტების განზოგადებისაგან იკავებს თავს.

თბილისისათვის ბრძოლის წინა პერიოდსა და 1795 წლის სექტემბრის მოვლენებს (10 სექტემბრამდე მოვლენებს) ივან გუდოვიჩი ისევე წარმოადგენს, როგორც 1795 წლის 23 სექტემბერს ეკატერინა II-თვის გაგზავნილ მოხსენებაში. მოხსენების ამ ნაწილის წყარო დარეჯან დედოფლის წერილია[530]. შემდეგ ივან გუდოვიჩი ერეკლე მეფის ორი წერილის მიხედვით გადმოცემს მოვლენებს და მეფის წერილების რუსულ თარგმანს, როგორც ეს იმხანად იყო მიღებული, იმპერატორს უგზავნის. ივან გუდოვიჩი წერდა, რომ მან თბილისში განვითარებული მოვლენების შესახებ ერეკლე მეფისაგან შეიტყო: აღა მაჰმად ხანს თბილისი აუღია, მეფე ერეკლე მთებში გახიზნულა ისე რომ თბილისში დაუტოვებია მთელი თავისი ქონება, სამეფო რეგალიები და ზარბაზნები (რუსულ დედანში: „Ныне получил я от царя Ираклия Теймуразовича с нарочным два письма, которых переводы при сем всеподданнейше представляю. В первом пишет, что Ага-Мамет-Хан, по осаждении Тифлиса, атаковав царя Ираклия Теймуразовича при Тифлисе, с одним своим войском оставшагося, так как нетокмо царя Имеретинскаго войски, но и сам он, оставя царя Ираклия Теймуразовича, ушел в горы, — его разбил, и потому царь Ираклий Теймуразович принужден был с несколькими только людьми удалится к стороне гор, в крепкие места, оставя Тифлис и в нем почти все свое имущество, и даже самые регалии и пушки, в. и. в.“)[531]. ერეკლე II-ის ორივე წერილის შინაარსი დაწვრილებითაა გადატანილი ივან გუდოვიჩის მოხსენებაში მთავარ სათხოვართან ერთად. ერეკლე მეფე უსწრაფესად, 10-12 დღის განმავლობაში, ჯარის გამოგზავნას ითხოვდა (რუსულ დედანში: „...а Ага-Мамет-Хан в Тифлис вошел, и по сим обстоятельствам вновь просит помощи и от Российских войск чрез десять или двенатцать дней“)[532]. ივან გუდოვიჩს მთლიანად

---

[530] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 108.

[531] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 109.

[532] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 109-110.

მოჰყავს ერეკლე მეფის 1795 წლის 17 სექტემბრის წერილის ის ადგილი, სადაც აღა მაჰმად ხანის მიერ წამოყენებულ პირობებზეა საუბარი[533] და იქვე დასძენს, რომ თუ ერეკლე მეფეს რვა დღეში ვერ დავეხმარებით მეფე აღა მაჰმად ხანის პიროებს მიიღებსო (რუსულ დედანში: „ почему царь Ираклий Теймуразович изъясняется, что, ежели чрез восемь дней к нему помощи не пришлется, принужден он будет требовании Аги-Мамет-Хана исполнить")[534]. შემდეგ ივან გუდოვიჩი პირდაპირ ბრალს სდებს ქართლ-კახეთის მეფეს იმაში, რომ მან კარგად გამაგრებული თბილისი ვერ შეინარჩუნა, მით უმეტეს, რომ ჰქონდა კარგი არტილერია, ხოლო აღა მაჰმად ხანი ორი უვარგისი ზარბაზნით მოადგა თბილისსო. ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების გარეშე ირანელთა მიერ თბილისის აღებას ივან გუდოვიჩი სამეფოში „მორჩილებისა" და „ერთსულოვნების" არარსებობით ხსნის (რუსულ დედანში: „На сие ответствовал я царю Ираклию Теймуразовичу, что как Тифлис укреплен, имел довольно пушек и, конечно, мог бы очень долго обороняться против неприятеля, неимеющаго артиллерии (ибо известно, что у Аги-Мамет-Хана только было две дурные пушки), ежелиб было должное послушание и единодушие, то потому таковое скорое завладение Тифлиса Агою-Мамет-Ханом, почти без обороны со стороны войск и подданых царя Ираклия Теймуразовича, чрезмерно мне удивительно...")[535].

ივან გუდოვიჩი დარწმუნებული იყო, რომ აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღება და ქართლ-კახეთის სამეფოს გავერანება მთლიანად ერეკლე II-ისა და სამეფო სახლისმიზეზით მოხდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა: **მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ივან გუდოვიჩმა კავკასიის ხაზიდან ერეკლე II-ს ჯარი არ მიაშველა.** რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში შეიძლებოდა იმის საწინდარი გამხდარიყო, რომ შუშის ციხესთან მდგარ აღა მაჰმად ხანს საერთოდ

---

[533] იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 107, 110.

[534] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 110.

[535] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 110.

უარი ეთქვა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის დაწყებაზე. იგი ვერ გაბედავდა რუსების სისხლის დაღვრას, რადგან რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის გართულება და ომი მას 1795 წლის შემოდგომაზე ნამდვილად არ აძლევდა ხელს. თუ აღა მაჰმად ხანი მაინც გამოილაშქრებდა თბილისზე, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი მას სათანადო წინააღმდეგობას გაუწევდა. ამიტომ იყო, რომ ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის წინაშე წინასწარ იმართლებდა თავს და იმპერატორს მოახსენებდა, თქვენი ბრძანების გარეშე ერეკლე II-ს ჯარს ვერ გავუგზავნიდიო (რუსულ დედანში: „...я до ныне не мог и ныне не могу послать в Грузию Российские войски за неполучением высочайшаго вашего и. величества повеления на всеподданнейшии мои донесении о стесненных обстоятельствах Грузии, как и по отдаленности столицы в. и. в. скоро высочайшия решении доходит не могут"[536].

ივან გუდოვიჩი იმპერატორს სწერდა, რომ სანკტ-პეტერბურგიდან გეორგიევსკამდე უმაღლესი გადაწყვეტილებების (იმპერატორის რესკრიპტების) დაგვიანებით მისვლის გამო მან ზოგიერთი ღონისძიება პირადი პასუხისმგებლობით უკვე გაატარა: 1. გეორგიევსკიდან მოზდოკისაკენ გაიგზავნა ჯარის ნაწილი (რუსულ დედანში: „Но при всем том, по уважению крайняго его положения, подвинул я часть войск к стороне Моздока... "); 2. გაცემული იქნა ბრძანება ჯარის ნაწილი ობერ-კვარტერმაისტერთან ერთად გადასულიყო მდინარე თერგზე და შესდგომოდა საქართველოს საზღვრამდე გაზის შეკეთებას (რუსულ დედანში: „...приказал некоторым переправлятся чрез Терек и послал уже прежде еще далее до границ Грузинских большую партию, искуснаго обер-квартермистра для обозрения дороги и для взятья мер к исправлению ее ")[537]. ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს მოახსენებდა, რომ მოზდოკიდან საქართველოს საზღვრამდე გზის შეკეთება ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის სწრაფად გაგზავნისათვის საკმარისი არ იყო, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე გზა მთიან ადგილებში გადიოდა,

---

[536] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 110.

[537] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 110.

რომელიც უვარგისი იყო ქვეითი ჯარის, განსაკუთრებით კი არტილერიის, ცხენოსანი ჯარისა და დიდი რაოდენობით პროვიანტის გადასატანად (რუსულ დედანში: „Между же тем, поколику царь Ираклий при сей своей прозьбе о помощи полагает самой короткой срок к приходу войск Российских, в которой, ежели бы и высочайшее в. и. в. повеление на то было, чрез отдаленность и ущелины гор Кавказских пройтить так скоро совершенно не можно, тем более, что надобно взять с собою артиллерию, несколько конницы и провианта довольное число, которой получить там надеятся не можно")[538].

ივან გუდოვიჩმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკატერინა II-ს მოახსენა იმ პირობების შესახებ, რომელიც აღა მაჰმად ხანმა ერეკლე II-ს წამოუყენა. წერილში ივან გუდოვიჩი იმპერატორს წერს, თუ რა ურჩია მეფე ერეკლეს ამ პირობებთან დაკავშირებით. პირველი რჩევა, რაც გენერალს მეფისთვის მიუცია, ის იყო, რომ მოლაპარაკება რაც შეიძლება გაეჭიანურებინა. კონკრეტულ მოთხოვნებზე ქართლ-კახეთის მეფეს აღა მაჰმად ხანისათვის ასეთი პასუხები უნდა გაეცა: 1. თუ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებიდან ჯარს გაიყვანდა, მაშინ აზატ ხანისეული თეთრი ალმასის ქვასა და გრიგორი პოტიომკინის ნაჩუქარ საათს მიიღებდა, ხოლო სამეფოს საზღვრებიდან ჯარის გაყვანის შემთხვევაში ყარაბაღელი სომეხი ლტოლვილებიც გადაეცემოდა (რუსულ დედანში: „...что после некоторых оговорок можно Аге-Мамет-Хану отвечать, что желание его об отдаче ему белаго алмаза и часов диванных за отступление от Грузии и ея границ удовлетворено быть может, так как то большой важности не составляет и современем может быть ему возвращено; также и вразсуждении Карабагских жителей, ежели нет там особливых, уважения достойных, причин, мне неизвестных"); 2. აღა მაჰმად ხანისათვის ერეკლე II-ს ბატონიშვილი მძევლად არ უნდა მიეცა, უარი კი შემდეგი მიზეზებით აეხსნა: ა) ბატონიშვილების ნაწილი სამეფოს სხვადასხვა კუთხეში იყო, ხოლო მათი კონკრეტული ადგილსამყოფელი მეფემ არ იცოდა, ბ) ბატონიშვილების ნაწილი რუსეთში იყო, გ) ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იყო, რის გამოც მეფეს დამოუკიდებლად არ შეეძლო

[538] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 110-111.

ირანისათვის მძევლის მიცემის საკითხის გადაწყვეტა, მძევლის მიცემა რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით უნდა მომხდარიყო (რუსულ დედანში: „но вразсуждении отдачи Аге-Мамет-Хану в залог сына царя Ираклия Теймуразовича — советовал, чтобы он сказал, что сего зделать не можно, по той причине будто некоторые из детей его разъехались по другим местам, и где находятся неизвестно, а некоторые будто ушли в Российские границы, и что он на сие решится сам собою не может, так как он состоит под покровительством в. и. в.,")[539].

ცხადია, ივან გუდოვიჩს სურდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგედიაში არც რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II და არც თავად გამოსულიყო დამნაშავე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ცდილობდა ივან გუდოვიჩი თავის მართლებას და ყველაფრის ერეკლე მეფისა და ქართლ-კახეთის სამეფო სახლისათვის გადაბრალებას. ამავე საკითხის შესახებ ივან გუდოვიჩი წერილში მეორედაც მსჯელობს. გენერალი წერს:

1. იგი ადრევე ურჩევდა ერეკლე II-ს ქვეყნის დაცვისათვის არსებითი ღონისძიებების გატარებას (რუსულ დედანში: „чтоб между тем царь Ираклий Теймуразович собирал в крепкие места, в которых он теперь находится, сколько можно войск, побуждая к тому своих подданных внушениями, что сохранение их имущества, царя, отечества и себя того от них повелительно требуют. Напоминал я ему также, что давно советовал я ему взять деятельные меры на оборону Грузии...")[540];

2. ერეკლე II-ს უნდა ეცადა, რომ მყარი კავშირი და კარგი ურთიერთობა ჰქონოდა იმერეთის მეფე სოლომონ II-თან, ყარაბაღის ხან იბრაჰიმთან და სხვა ხანებთან, რათა ერთობლივი ძალებით მოეგერიებინათ აღა მაჰმად ხანი (რუსულ დედანში: „...старатся быть в прочном союзе и соблюдать согласие с царем Имеретинским и Шушинским Ибрагим-Ханом, и другими, по его соображению, и совокупными силами отражать Агу-Мамет-Хана")[541];

---

[539] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 111.

[540] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 111.

[541] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до

3. ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, ყარაბაღის სახანოსა და სხვა სახანოების ძალებით აღა მაჰმად ხანის დამარცხება ივან გუდოვიჩს საერთო თანხმობისა და ერთობის პირობებში სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა. ეს მოხდებოდა მაშინ: თუ საჭირო რაოდენობის ჯარი შეიკრიბებოდა; თუ თბილისელები აღა მაჰმად ხანის ჯარის მოახლოებისას ქალაქიდან კი არ გაიქცეოდნენ, არამედ თბილისს დაიცავდნენ; თუ იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც ტახტზე ერეკლე II-ის წყალობით იჯდა, ბოლომდე ფეხმოუცვლელად იბრძოლებდა. გენერლის აზრით, ეს ერთობა და თანხმობა არ იყო (რუსულ დედანში: „...что, конечно, и удалось бы сие зделать, ежелиб общее согласие между ими было, ежелиб собрано им было достаточное число войск, каковое прежде в Грузии собиралось, ежелиб Тифлисские жители, вместо ухода из Тифлиса при приближении Ага-Мамет-Хана, совокупно решились на отражение его, и ежелиб царь Имеретинской, одолженной Ираклию своим царствованием, со всею искренностию помогал бы ему неотступно")[542];

4. ერთიანობისა და მტკიცე კავშირის არარსებობამ გამოიწვია ის, რომ ქართველებმა არ იბრძოლეს თავდედებით, ისინი მხოლოდ რუსეთის ჯარის იმედად იყვნენ; საზღვრიდან თბილისისაკენ უკან დახევის დროს, თბილისის დაცვის ნაცვლად იმერეთის ჯარის ნაწილი გაიქცა; იმერეთის მეფე სოლომონ II ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, როცა ერეკლე მეფეს თბილისის დასაცავად ჯარი აღარ ყოფნიდა, იმერეთის ჯარის დარჩენილ ნაწილთან ერთად წავიდა ბრძოლის ველიდან; ერეკლე მეფე დარჩა 1.500 მებრძოლის ამარა (რუსულ დედანში: „...когда союзы его (ერეკლე II-ის – ვ. გ.) не были надежно зделаны, когда подданые его, не желая ни его, ни имущества своего, не оборонялись с должною твердостию, а надеялись, как он ко мне писал, на одни только руки Российские, когда войски царя Имеретинскаго в самое нужное время, как скоро приблизился Ага-Мамет-Хан, бежали, когда после того вскоре сам царь Имеретинской с остальными, при нем бывшими, удалился, когда царь Ираклий Теймуразович не имел у себя собраннаго войска, и

Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 111-112.

[542] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 112.

всего на все, по словам присыланных от него, было у него только 1500 человек")[543];

5. ქართველებში ერთიანობის არარსებობამ გამოიწვია, ის, რომ გამაგრებული ქალაქი, რომლის დამცველებს 35 ზარბაზანი ჰქონდათ, თითქმის უბრძოლველად დათმეს(რუსულ დედანში: „...хотя больше четырех месяцев уже известны были ему (იგულისხმება ერეკლე II – ვ.გ) и всей Грузии неприязненные против ея предприятии Аги-Мамет-Хана, когда подданые его вместо защиты Тифлиса, укрепленнаго и имеющаго 35 пушек, по приходе к нему неприятеля, ушли без обороны, то по такому неожиданному положению и удалось Аге-Мамет-Хану тем как скоро воспользоваться, и сии обстоятельства (послужили) настоящею причиною его успехам и потер Тифлиса")[544].

წერილის ბოლოს ივან გუდოვიჩი, უკვე მერამდენედ, ეკატერინა II-ის თვალში ერეკლე II-ის ღირსების დამცირებას ცდილობდა. გენერალი იმპერატორს მოახსენებდა:მეფე ერეკლე ჩემს პასუხს არც კი დალოდებია, ისე დაუწყია მოლაპარაკება აღა აჰმად ხანთან, მაშინ როცა ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი ისევ მედგრად ებრძვის აღა მაჰმად ხანსო (რუსულ დედანში: „И как царь Ираклий Теймуразович положительно в письме своем назначил приходу на помощь войскам невозможной краткой срок, изъяснив, что затем принужден будет взять другие меры, и посланной его только успел доехать в десять дней, то считаю я, что он уже вошел, не дождавшись моего ответа с Агою-Мамет-Ханом в договоры. Соображая сие, я в другом моем письме, не упоминая более уже ни о чем, просил, чтобы он меня уведомил чем скончатся его переговоры и станут ли собираться к нему его подданые в вооружении. Ибраим-Хан Шушинской остался твердо в своей обороне")[545].

აღა მაჰმად ხანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობისა

---

[543] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 112.

[544] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 112.

[545] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 112.

და თბილისის აღების საკითხი 1795 წლის 18 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის უზენაეს საბჭოში განიხილეს. სხდომაზე წაიკითხეს კავკასიის ხაზის მთავარსარდლის გენერალ-ანშეფ ივანე გუდოვიჩის 1795 წლის 23 სექტემბრისა და 27 სექტემბრის მოხსენებები. საბჭომ დაადგინა: 1. ივან გუდოვიჩს სახელმძღვნელოდ უკვე გაეგზავნა იმპერატორის 1795 წლის 4 სექტემბრის რესკრიპტი; 2. ივან გუდოვიჩს უნდა გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რასაც ის საჭიროდ ჩათვლიდა არა მარტო რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთს სამეფოს ტერიტორიის აღა მაჰმად ხანის ჯარებისაგან გასათავისუფლებლად, არამედ იმ ხალხების დასაცავად, რომლებიც იმპერიის ქვეშემრდომობაში იმყოფებოდნენ; 3. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ არ გაღიზიანებულიყო ოსმალეთი[546].

კავკასიის ხაზის მთავარსარდალი ივან გუდოვიჩი ისე, რომ არ იცნობდა რუსეთის იმპერიის უზენაესი საბჭოს დადგენილებას, 1795 წლის 23 ოქტომბერს იმპერატორ ეკატერინა II-ს სწერდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გადასაყვანად გზა უარგისი იყო, თუმცა გზებზე ჯარის მოძრაობა მაინც შეიძლებოდა აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნოემბრამდე და აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე, ნოემბრიდან დაწყებული ჯარის გადაყვანა და ფურაჟის გადატანა დიდთოვლიანობისა გამო შეუძლებელი იყო[547].

1795 წლის ოქტომბრისათვის ივან გუდოვიჩს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის ჯარის მიერ თბილისის აღების შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ. გენერალმა იცოდა, რომ თბილისიდან აღა მაჰმად ხანმა უკან დაიხია, მაგრამ არსებობდა თბილისზე განმეორებითი ლაშქრობის რეალური საფრთხე. ამ დროისათვის ივან გუდოვიჩს უკვე მიღებული ჰქონდა ბრძანება ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ორი ან ოთხი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. მანამდე მთავარსარდალი ცდილობდა ერეკლე მეფისაგან შეეტყო: 1. სად იმყოფებოდა აღა მაჰმად ხანი; 2. ჰქონდა თუ არა ერეკლე მეფეს რაიმე მოლაპარაკება აღა მაჰმად ხანთან; 3. რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ირანის ჯარი; 4. შეეძლო თუ

---

[546] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 113-114.

[547] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 37-38.

არა მეფეს რუსეთის ჯარის გადასაყვანად შეეკეთებინა გზა დარიალის ხეობიდან თბილისამდე. მალე ივან გუდოვიჩმა ასეთი ცნობები მიიღო: 1. აღა მაჰმად ხანი განჯასთან იდგა; 2. ქართლ-კახეთის მეფეს მტერთან მოლაპარაკება არ დაუწყია და შეთანხმებაც არ დაუდია; 3. მეფე-დედოფალი ერთად იმყოფებოდა კახეთში; 4. მეფეს თან არ ახლდა ჯარი; 5) უფლისწულ გიორგის ახლდა კახეთის ლაშქრის ნაწილი; 6. მეფეს გზის შესაკეთებლად სახსრები არ გააჩნდა, თუმცა შეეძლო 7.000 ან 8.000 მებრძოლისათვის სურსათის დამზადება[548].

***

აღა მაჰმად ხანის თავდასხმა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე და თბილისის დარბევა რუსეთის პირდაპირი გამოწვევა იყო. თუ აღა მაჰმად ხანი საკადრისად არ დაისჯებოდა, ამას ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება მოჰყვებოდა. 1795 წლის 8 ოქტომბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს სწერდა: 1. აუცილებელი იყო აღა მაჰმად ხანისათვის ძლიერი დარტყმის მიყენება; 2. ყარაბაღის ხანისა და აზერბაიჯანის სხვა ხანების მიმხრობა; 3. 1796 წლის გაზაფხულზე საქართველოს გავლით აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა; 4. რუსეთის ჯარის მეორე ნაწილი (12 ბატალიონი არტილერიით, დრაგუნთა 30 ესკადრონი, კაზაკთა ჯარი) 1796 წლის მარტში უნდა დაძრულიყო ირანის შიდა პროვინციებისაკენ[549]. ივან გუდოვიჩი იმპერატორს მოახსენებდა: კასპიის ზღვის სანაპიროებიდან ირანის შიდა პროვინციების მიმართულებით დაწყებული ლაშქრობა თუ წარმატებით განვითარედებოდა, მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის მცირერიცხოვანი კონტიგენტი სამეფოს დასაცავად საკმარისი იქნებოდა[550]. ივან გუდოვიჩი 1795 წლის ოქტომბერში ერეკლე II-ს კვლავ არწმუნებდა, რომ განჯასთან მდგარი აღა მაჰმად

---

[548] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 55.

[549] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 56.

[550] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 56.

ხანი თბილისზე არ გაილაშქრებდა და ამდენად, საჭიროდ არ მიიჩნევდა ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის მიერ მოთხოვნილი რუსეთის ჯარის (7.000-8.000 მებრძოლი) გაგზავნას[551]. გენერალი ეკატერინა II-ს არწმუნებდა, საკმარისი იქნებოდა ერეკლე მეფისათვის ჯარის მცირე კონტიგენტის (2.000 მებრძოლი 6 ზარბაზნით) გაგზავნა[552].

1795 წლის ოქტომბერში რუსებმა დაიწყეს კავკასიის ხაზიდან (მოზდოკიდან) საქართველოში მომავალი გზის შეკეთება. ამ საქმეზე დაკავებული იყო 2.000 ჯარისკაცი. სულ შეკეთდა 95 ვერსი სიგრძის გზა. მდინარე თერგზე აღდგინეს ან ააგეს 27 ხიდი. გზის დანარჩენი ნაწილი (საქართველოს საზღვრიდან თბილისამდე) უნდა შეეკეთებინა ქართლ-კახეთის მეფეს. ამისათვის კავკასიის ხაზიდან საქართველოში გამოიგზავნა აუცილებელი ინსტრუმენტები და 100 ფუთი თოფის წამალი ასაფეთქებელი სამუშაოებისთვის. გზის შეკეთება დასრულდა 1795 წლის 2 ნოემბერს[553].

1795 წლის 20 ნოემბერს რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი (1.480 ჯარისკაცი და ოფიცერი), კაზაკთა რაზმთან (20 მებრძოლი) ერთად პოლკოვნიკ **სიროხნევის** მეთაურობით მოზდოკიდან თბილისისაკენ დაიძრა. ჩვეულებრივი შეიარაღების გარდა, პოლკოვნიკ სიროხნევის განკარგულებაში იყო 6 საველე (მსუბუქი) ზარბაზანი ყუმბარების 2 კომპლექტით[554]. პოლკოვნიკ სიროხნევს მიღებული ჰქონდა ბრძანება, თბილისისათვის გვერდი აევლო, რადგან ქალაქში შესვლა სახიფათო იყო. რუსებს ჰქონდათ ცნობა, რომ თბილისში შეიარაღებული რაზმები დათარეშობდნენ. პოლკოვნიკს ერეკლე II-სათვის უნდა გადაეცა შემ-

---

[551] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 59.

[552] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 58-59.

[553] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 61; **Н. Дубровин.** Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России. Издание второе, С.-Петербург, 1897, стр. 38-39.

[554] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 344-345; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 61; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 285-286.

დეგი: თბილისი სასწრაფოდ უნდა მოემზადოს აღა მაჰმად ხანის მეორე ლაშქრობის მოსაგერიებლად[555].

რუსეთის ჯარი თბილისთან 1795 წლის დეკემბრის ბოლოს გამოჩნდა. ორი ბატალიონი და 32 კაზაკი, ცხადია, საკმარისი არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ განჯასთან მდგარი აღა მაჰმად ხანი კვლავ შემოუტევდა თბილისს. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II ეკატერინა II-ს დამატებითი ჯარის, 8.000 მებრძოლის, გამოგზავნას სთხოვდა. თავად მეფე 10.000-12.000 მებრძოლის და უფრო მეტის შეკრებასაც ვარაუდობდა. გარდა დამატებითი ჯარისა, ერეკლე II 1.000.000 მანეთის ოდენობის სესხსაც ითხოვდა[556].

1795 წლის ნოემბერში კავკასიის მთებზე რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის გადმოსვლამ ძალზე შეაშფოთა განჯასთან მდგარი აღა მაჰმად ხანი. განჯის ხან **ჯავადის** თხოვნის მიუხედავად, აღა მაჰმად ხანმა მუღანის ველისაკენ დაიხია. ამან კი სერიოზულად შეაშფოთა განჯისა და სხვა ხანები, რომლებიც მას ერთგულად ემსახურებოდნენ. სამაგიეროდ, გარკვეული შვება იგრძნეს აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანებმა[557]. მუღანის ველზე დაბანაკებულმა აღა მაჰმად ხანმა ერეკლე II-ისა და ივან გუდოვიჩის შეცდომაში შეყვანის მიზნით ცრუ ხმები გაავრცელა, თითქოს ირანის მბრძანებელი 20.000-იანი ლაშქრით კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე სახანოებისა და შემახიის ხანის დასამორჩილებლად ემზადებოდა[558].

1795 წლის 16 ნოემბერს იმპერატორმა ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ, გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩისადმი გასაგზავნ რესკრიპტს. იმპერატორი წერდა, რომ იგი საქმის კურსში იყო მოვლენათა განვითარების შესახებ და ჩამოთვლიდა კიდეც უმთავრეს მათგანს: 1. აღა მაჰმად ხანმა თბილისის განადგურების შემდეგ ქალაქი დატოვა და განჯისაკენ დაიხია; 2. აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის მომლოდინე მეფე ერეკლე რუსეთისგან ჯარით დახმარებას ითხოვდა; 3.

---

[555] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 61.

[556] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 345.

[557] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 61-62.

[558] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 62.

ივან გუდოვიჩმა კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ მიმავალი გზა შეაკეთა; 4. გზის შეკეთების შემდეგ კავკასიის ხაზიდან ქართლ-კახეთის მეფის დასახმარებლად ორი რუსული ბატალიონი დაიძრა[559]. ეკატერინა II ივან გუდოვიჩს შემდეგ რჩევას აძლევდა:

1. კავკასიონის მთები გვიან შემოდგომაზე ჯარის გადასაყვანად და სურსათის გადასატანად ძალზე მოუხერხებელი, რთული იყო. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ჯარი არა 1795 წლის გვიან შემოდგომით, არამედ 1796 წლის გაზაფხულზე გაგზავნილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში, მით უფრო, რომ 1796 წლის გაზაფხულიდან რუსეთის ჯარის დერბენტზე (დარუბანდზე) შეტევა და კასპიის ზღვის სანაპიროებზე ლაშქრობა იგეგმებოდა;

2. თუ ქართლ-კახეთის სამეფოში გაგზავნილი ჯარი კავკასიის მთებზე არ გადასულიყო, ორივე ბატალიონი უკან უნდა დაბრუნებულიყო გამოსაზამთრებლად და მხოლოდ 1796 წლის გაზაფხულზე დაძრულიყო თბილისისაკენ;

3. მეფე ერეკლესათვის ჯარის გაგზავნის გადადება უნდა აეხსნათ ორი მიზეზით: მეფემ არ შეაკეთა დარიალიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა; რუსეთის ჯარს ქართლ-კახეთის სამეფოში არ ექნებოდა ნორმალურად გამოზამთრების პირობები;

4. თუ კავკასიის ხაზიდან დაძრული რუსულ ბატალიონებს უკვე გადაელახათ კავკასიის მთები, ივან გუდოვიჩს ყველა ზომა უნდა მიეღო, რომ ჯარს ნორმალურად გამოეზამთრებინა. ჯარის გამოსაზამთრებლად აღა მაჰმად ხანისაგან გადამწვარ თბილისში პირობები არ იქნებოდა, ამიტომ აჯობებდა, კახეთში გამოეზამთრებინა[560]. ქართლ-კახეთის სამეფოში გაგზავნილი ჯარის შესანახად ივან გუდოვიჩი სასწრაფოდ მიიღებდა 50.000 ოქროს ან ვერცხლის მანეთს[561]. ივან გუდოვიჩმა იმპერატორ ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის რესკრიპტი ნოემბრის ბოლოს მიიღო. ამ დროისათვის რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი თბილისიდან კახეთისაკენ მიემართებოდა[562].

---

[559] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 59.

[560] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 59-60.

[561] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 60.

[562] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-

მართალია, აღა მაჰმად ხანმა თბილისი დატოვა, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის შეწყვეტას არ აპირებდა. ამ საფრთხის შესახებ 1795 წლის 23 ნოემბერს გარსევან ჭავჭავაძე ვიცე-კანცლერ **ივან ოსტერმანს**[563] მოახსენებდა. ქართველი დიპლომატი იტყობინებოდა: 1. თბილისიდან გასული აღა მაჰმად ხანი დაღესტნელებს აქეზებს კახეთზე თავდასხმების მოსაწყობად; 2. საქართველოს კლიმატი აღა მაჰმად ხანს ხელს არ შეუშლდა ომის ზამთარში დასაწყებად, ასე რომ, გაზაფხულზე რუსეთის დახმარება უკვე დაგვიანებული იქნებოდა; 3. თუ ზამთარშივე რუსეთმა ქართლ-კახეთში იმდენი ჯარი არ გაგზავნა, რომ აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა შესაძლებელი გახდეს, მაშინ საქართველოში ორი პოლკი მაინც უნდა გაიგზავნოს თავისი პროვიანტით, რათა ხალხი გამხნევდეს და გაზაფხულამდე თავი დაიცვას, ვიდრე რუსეთიდან დიდი ჯარი გაიგზავნებოდეს[564]. გარსევან ჭავჭავაძემ იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ჯარის გაგზავნისაგან თავს შეიკავებდა მთაში ცუდი გზებისა, დიდთოვლობისა და სიცივის მომიზეზებით. ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვიცე-კანცლერ ივან ოსტერმანს წერდა: რუსეთის ჯარს, საზღვრიდან პირველ დასახლებულ პუნქტში, სტეფანწმინდაში, პირადად ჩავიბარებ და ჯარსაც და პროვიანტსაც მე გავყვები თბილისამდეო[565]. წერილი შემდეგი სიტყვებით მთავარდება: „თქვენის ბრწყინვალების ჩემგან მოხსენებით დამძიმების მიზეზი პირველი ეს არის: რომელიც აბიდა აღამაჰმადხანმა დიდს რუსეთს უყო საქართველოს წახდენით, ამაში უმაღლესს კარსაც ვაჩვენო ჩემი მონური სამსახური და ჩემს მშობელს ქვეყანასაც, და მეორე, რომ ამ თანამდებობაში ვარ შეკრული, სიტყვა არცერთის მხრიდამ არა მომადგეს რა, და ნება თქვე-

---

Петербург,1886, стр. 61.

[563] **ივან ოსტერმანი** (1725-1811) – გრაფი, რუსეთის იმპერიის ვიცე-კანცლერ ანდრეი ოსტერმანის უმცროსი ვაჟი, რუსეთის ვიცე-კანცლერი (1775 წ.), 1796 წლის ნოემბრიდან 1797 წლის აპრილამდე –კანცლერი.

[564] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 66; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 114;

[565] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 115;

ივან ოსტერმანი

ნის ბრწყინვალებისა არის, რომელმაც განზომა საქმეთა უმჯობესად იცით"[566].

1795 წლის 31 დეკემბერს ერეკლე II ალექსანდრ ბეზბოროდკოს წერს წერილს. მეფე იმპერატორ ეკატერინა II-ის წინაშე შუამდგომლობას ითხოვს, რათა ის თხოვნა დაკმაყოფილდეს, რომელიც გარსევან ჭავჭავაძემ მიართვა ივან ოსტერმანს[567]. 31 დეკემბერსვე ერეკლე II ივან ოსტერმანსაც უგზავნის წერილს. მეფე ვიცე-კანცლერს სთხოვს, უშუამდგომლოს ეკატერინა II-თან, რათა იმპერატორმა კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებითი ჯარის გაგზავნა უბრძანოს[568].

აღა მაჰმად ხანი არ ცხრებოდა. აშკარა გახდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შემდეგ იგი არც რუსეთის იმპერიის მფარველობაში ან ქვეშევრდომობაში შესული სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოებს დაინდობდა. რუსეთის საიმპერატრო კარზე დიდხანს ფიქრობდნენ ირანის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმებზე, პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებზე. ბოლოს ირანში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

§ 3. გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის ლაშქრობა ირანში (1796 წლის აპრილი – დეკემბერი)

საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომის „Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии", რომელიც 1899 წელს გენერალ-მაიორ ვასილი პოტტოს რედაქციით გამოიცა თბილისში, მეთექვსმეტე თავი ასე იწყება:

---

[566] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 120-121.

[567] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, 120-121; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 116.

[568] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 116-117.

„Нашествие на Грузию Ага-Магомет-хана и варварское избиение ея жители произвели в Петербурге, не ожидавшем такого быстаго движения со стороны персиян, крайне удругающее впечатление, и, как справедливо говорит Зисерман*, легло укором на нашу политическую совест**. Розорение Грузии, находившейся под покровительством России, было приямым оскорблением достоинства великой державы, прямым вызовом ея на войну“[569].

განსჯასთან მდგარმა აღა მაჰმად ხანმა 1795 წლის ნოემბერში **სულეიმან ხანის** სარდლობით 20.000 მებრძოლი შემახიის ხან **მუსტაფას** დასამორჩილებლად გაგზავნა. ამ ლაშქრობაში სულეიმან ხანს შაქის ხანი **მუჰამედ ჰასანი** ახლდა თან. შემახიის ხანი მუსტაფა მთებში გაიხიზნა[570]. შემახიის სახანოზე თავდასხმით აღა მაჰმად ხანმა კიდევ ერთხელ უგულებელყო რუსეთის იმპერიის ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. ამჯერად აღა მაჰმად ხანის მოქმედებას რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის ბრძანება ივან გუდოვიჩს ავალებდა: თუ აღა მაჰმად ხანი შირვანში შეიჭრებოდა, შემახასა და ბაქოს დაიკავებდა, კასპიის ზღვის სანაპიროზე რუსეთის სამფლობელოებს მიუახლოვდებოდა, მაშინ რუსეთის ჯარს დერბენტი უნდა დაეკავებინა, დაეცვა ტარკის შამხალი და დერბენტის ხანი. ივან გუდოვიჩს საბრძოლო მოქმედებები 1796 წლის გაზაფხულზე უნდა დაეწყო. ვითარება შეცვალა აღა მაჰმად ხანის გააქ-

---

[569] * **არნოლდ ლევის ძე ზისერმანი** (1824-1897) – კავკასიაში ჩამოვიდა 1842 წელს, მუშაობდა თბილისში, ოსეთში, დაღესტანში, ყაბარდოში, 1867 წელს პოლკოვნიკის წოდებით გავიდა პენსიაზე, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და მემუარები (**А.Л. Зисерман.** История 80-го пехотнаго Кабардинскаго генерал-фельдмаршала князя Барятинскаго полка (1726-1880). Том 1-3. Типография В. Грацианскаго, С. – Петербург, 1881; **А.Л. Зисерман.** Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867). Ч. 1-2 Типография А.С. Суворина, Санкт-Петербург, 1879).

** История Кабардинскаго полка, т. I (ავტორს მხედველობაში აქვს გამოცემა: **А.Л. Зисерман.** История 80-го пехотнаго Кабардинскаго генерал-фельдмаршала князя Барятинскаго полка (1726-1880). Том 1. Типография В. Грацианскаго, С. – Петербург, 1881.

Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 285.

[570] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 347.

ტიურებამ. გარდა ამისა, მერყეობა დაეტყო დერბენტის ახალგაზრდა ხან **შეიხ ალის**. იყო იმის საფრთხე, რომ აღა მაჰმად ხანი დერბენტს დაიკავებდა[571].

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის ბრძანების შესრულებას 1796 წლის გაზაფხულის ნაცვლად 1795 წლის ზამთარში შეუდგა. 1795 წლის 19 დეკემბერს რუსეთის ჯარის ქვეითთა 3 ბატალიონი, კაზაკთა 1 ესკადრონი (250 კაზაკი), 500 ყალმუხი 6 საველე ზარბაზნითა და პროვიანტის ორთვიანი მარაგით გენერალ-მაიორ **ივან საველიევის** სარდლობით ყიზლარიდან დერბენტისაკენ დაიძრა[572]. ასე დაიწყო რუსეთმა ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. პოლკოვნიკ **სიროხნევის** მეთაურობით რუსეთის ჯარი (1.480 მებრძოლი) ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ 1795 წლის 20 ნოემბერს გამოემართა, ხოლო თბილისს დეკემბრის მიწურულს მოაღწია[573]. გენერალ-მაიორ საველიევის სარდლობით რუსეთის ჯარი (2.250 მებრძოლი) ყიზლარიდან დერბენტისაკენ 1795 წლის 19 დეკემბერს დაიძრა[574], ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ წამოსული რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი დუშეთსა და თბილისს შორის მოძრაობდა.

---

[571] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, 348-349.

[572] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 286-287; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 348-349.

[573] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 344-345; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 61; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 285-286.

[574] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 286-287; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 348-349.

1796 წლის 15 თებერვალს გენერალ-მაიორი ივან საველიევი დერბენტს მიუახლოვდა. რუსეთის ჯარის გარდა, მას თან ახლდა დაღესტნელთა ჯარი. დერბენტის ხანის ცხენოსანთა რაზმმა ცეცხლი გაუხსნა რუსეთის ჯარის წინ მიმავალ კაზაკებს. ამ უკანასკნელთ დაეხმარა 200 ეგერი და დერბენტის ხანის ცხენოსანთა რაზმი უკუაქციეს. რუსეთის ჯარი დერბენტიდან ორი ვერსის მოშორებით დაბანაკდა. მომდევნო დღეებში რუსებმა დერბენტის გარშემო სიმაღლეები დაიკავეს და ქალაქის დაბომბვა დაიწყეს. 22 თებერვალს დერბენტის ხანმა გენერალ-მაიორ საველიევთან მოლაპარაკება დაიწყო. გენერალმა დერბენტში ორი ოფიცერი გაგზავნა. დერბენტის ახალგაზრდა ხანი შეიხ ალი თანახმა იყო რუსეთის ჯარი დერბენტში შესულიყო, მაგრამ აღა მაჰმად ხანის მხრიდან შურისძიებისა ეშინოდა[575]. გენერალი საველიევი მიხვდა, რომ შეიხ ალი დროის მოგებას ცდილობდა. დერბენტის დაკავების შემდეგ გენერალი საველიევი აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდა, რადგან ჯარი დასვენებას საჭიროებდა. მთელმა თებერვალმა მუდმივ წვიმასა, თოვლსა და ძლიერ ქარში გაიარა, ჯარი დაიქანცა, შემცირდა ფურაჟისა და შეშის მარაგი. ამას დაერთო ისიც, რომ გაუსაძლისი პირობების გამო დაღესტანელთა ჯარი შინ დაბრუნდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო გენერალმა ივან საველიევმა დერბენტის გამაგრება[576].

საბრძოლო მოქმედებები 1796 წლის 26 თებერვალს ირანელთა მიერ დერბენტის საარტილერიო დაბომბვით განახლდა, რომელიც 25 მარტამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდში ირანელებმა სამჯერ შეუტიეს ქალაქს, მაგრამ რუსებმა სამჯერვე უკუაქციეს. ცხადი გახდა, რომ დერბენტს რუსები ადვილად არ დათმობდნენ. ამ ბრძოლების დროს ტარკის შამხალის ვაჟმა **მეჰთიმ** და ტაბასარანის ყადიმ ივან გუდოვიჩს დახმარება შესთავაზეს. ივან გუდოვიჩი შეთავაზებას დაეთანხმა და ამ ნაბიჯის შესახებ გენერალ საველიევსაც აცნობა. საველიევმა ტაბასარანის ყადისთან თავის წარმომადგენელად ექიმი გაგზავნა, რომელიც სინამდვილეში კაპიტანი **სიმონოვიჩი** იყო. კაპიტანმა სიმონოვიჩმა დაზვერა ის გზა, რომლითაც ირანელები ტაბასარანიდან დერბენტის სამხრეთ კედ-

---

[575] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 352-353.

[576] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 253.

ლებს შეიძლებოდა მისდგომოდნენ[577].

1795 წლის მარტში მოულოდნელად გენერალ-მაიორმა ივან საველიევმა დერბენტის დატოვების ბრძანება მიიღო. ბრძანება გენერალმა დაუყოვნებლივ შეასრულა და ჯარი 1795 წლის მარტის ბოლოს 15 ვერსის მოშორებით, სოფელ დარბთან, დააბანაკა. ამ დროისათვის გენერალ საველიევის დაქვემდებარებაში რუსეთის ჯარის დანაკარგი მოკლულთა სახით 9 და დაჭრილთა სახით 5 მებრძოლს შეადგენდა[578].

რუსეთის საიმპერატორო კარმა ირანის წინააღმდეგ უფრო ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყება გადაწყვიტა.

* * *

ირანის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიცია დიდხანს და საგულდაგულოდ მზადდებოდა. 1796 წლის თებერვალში ექსპედიციის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალ-პორუჩიკი გრაფი **ვალერიან ზუბოვი**[579].

---

[577] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 253.

[578] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 353-354.

[579] **ვალერიან ზუბოვი** (1771-1804) – გრაფი, გენერალ-ანშეფი. ბავშვობაშივე ჩაწერილი იყო პრეობრაჟენსკის გვარდიულ პოლკში, შემდეგ –ცხენოსან გვარდიაში, მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა სწრაფად დაწინაურდა სამხედრო სამსახურში: 1785 წელს მიენიჭა კორნეტის, ხოლო 1788 წელს–პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება, 1789 წელს პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შემდეგ გაიგზავნა გენერალ-ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინის არმიაში რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე, მონაწილეობდა ბენდერის ციხე-სიმაგრის შტურმში. 1789წელს ბენდერის აღების სასიხარულო ცნობით გრიგორი პოტიომკინმა იგი სანკტ-პეტერბურგში გაგზავნა, ეკატერინა II-მ ახალგაზრდა ოფიცერს ფლიგელ-ადიუტანტობა უბოძა და პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიანიჭა. მოქმედ არმიაში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა იზმაილის ციხე-სიმაგრის შტურმში, გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა ბრიგადირის სამხედრო წოდება, იმავდროულად მიენიჭა იზმაილოვის ლეიბ-გვარდიის პოლკის სეკუნდ-როტმისტრის წოდება, 1792 წელს გახდა გენერალ-მაიორი. 1793 წელს მამასთან, ალექსანდრ ზუბოვთან და ძმასთან, პლატონ ზუბოვთან ერთად გრაფის წოდება ებოძა, 1794 წელს მონაწილეობდა პოლონელთა აჯანყების ჩახშობაში, ამავე წელს მდინარე დასავლეთ ბუგზე გადასვლისას ყუმბარის ნამსხვრევისაგან ფეხში დაიჭრა (მოგვიანებით ფეხი მოკვეთეს).1796 წელს დაინიშნა ირანში გასაგზავნი სამხედრო-საექსპედიციო კორპუსის სარდლად, 1796 წელსვე მიენიჭა გენერალ-ანშეფის სამხედრო წოდება.

ვალერიან ზუბოვი

1796 წლის 19 თებერვალს ვალერიან ზუბოვმა ეკატერინა II-გან მიიღო ვრცელი (დაწვრილებითი) ბრძანება-ინსტრუქცია[580]. იმპერატორი წერდა: 1. 1795 წლის შემოდგომაზე საქართველოში გამოგზავნილ რუსეთის ჯარს კიდევ დაემატებოდა ახალი ძალები (რუსულ დედანში: „Сохранение двух баталионов в Грузию в минувшую осень вступивших, и скорейшее подкрепление оных, дабы тем возможно было обратить к действиям и сию часть, привлечь должно все попечение ваше"); 2. რუსეთის ჯარის საშუალებით მეფე ერეკლემ უნდა შეძლოს თბილისსა და ქვეყნის სხვა პროვინციებზე ძალაუფლების აღდგენა (რუსულ დედანში: „ Коль скоро предуспеете вы соединить оную, то и должны устремить ее к занятию Тифлиса и к возстановлению царя Ираклия не только в столице, но и в прочих областях его..."); 3. რუსეთის ჯარით ერეკლე მეფემ უნდა შეძლოს ერევნისა და სხვა სახანოების დამორჩილება (რუსულ დედანში: „...наблюдая токмо то, чтобы, не разделяя войска наши и предоставляя собственно царю Ираклию, способами у него имеющимися, обратить в повиновение свое подвластных своих и сношениями сопредельных ханов эриванскаго и прочих адербейджанских, властвующих в околичностях границ Порты Отоманской"); 4. რუსეთის ჯარის მიზანია არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს გათავისუფლება, არამედ აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ მედგრად მებრძოლი ყარაბაღის ხანის იბრაჰიმისა და სომეხი მელიქებისათვის დახმარების აღმოჩენა (რუსულ დედანში: „Предмет и назначение корпуса сего, быв освобождение Грузии и подкрепление царя грузинскаго, меликов армянских в Карабаге и Ибраим-хана шушинскаго, твердо и мужественно сопротивляющагося Аге-Матомет-хану, и других утесненных и нам благонамеренных ханов, ищущих освободиться от лютой власти мучителя"); 5. კავკასიის კორპუსის ჯარებს უნდა დაეკავებინათ მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო დაწყებული თბილისიდან განჯამდე და დახმარებოდნენ ყარაბაღში მცხოვრებ ქრისტიანებს (რუსულ დედანში: „...и как предмет и главныя усилия войск, вами лично

[580] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 70-78; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 289-290; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 358.

предводимых, устремлены будут вдоль берегов моря Каспийскаго, то, сообразно тому и в облегчение тех подвигов, действия и сего кавказскаго корпуса простираемы быть долженствуют от Тифлиса вниз по р. Куре на Ганжу и через город сей возстановляя христиан живущих в Карабаге, и показывая намерения к стороне шушинской крепости для освобождения Ибраим-хана, стремиться должны к скорейшему открытию связи с каспийским корпусом, от коего не оставите вы делать всего того, что может споспешествовать к тому")[581].

ირანში გასაგზავნი საექსპედიციო კორპუსის ჩამოყალიბება 1796 წლის გაზაფხულზე დაიწყო **ყიზლარში**. ყიზლარი იმიტომ შეირჩა, რომ მთავარი საბრძოლო მოქმედებები კასპიის ზღვის სანაპიროზე იგეგმებოდა. ვალერიან ზუბოვს დაუქვემდებარეს კასპიის სამხედრო ფლოტილია. იარაღის, სურსათისა და ფურაჟის მთავარ ბაზას **ასტრახანი** წარმოადგენდა, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში იგი **ბაქოში** უნდა გადაეტანათ[582].

გენერალ-პორუჩიკი ვალერიან ზუბოვი ყიზლარში 1796 წლის 25 მარტს ჩავიდა, აქ მას დახვდა კასპიის კორპუსი: ქვეითთა 8 ბატალიონი (6.190 მებრძოლი), დრაგუნთა 4 პოლკი, კაზაკთა 7 ესკადრონი და 21 ზარბაზანი[583]. საბოლოოდ ირანში გასაგზავნი სამხედრო-საექსპედიციო კორპუსი ასე გამოიყურებოდა:

1) კავკასიის გრენადერთა პოლკის 3 ბატალიონი,
2) მუშკეტერთა პოლკის 3 ბატალიონი,
3) მუშკეტერთა 12 ბატალიონი,
4) ეგერთა 7 ბატალიონი,

---

[581] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 78-79.

[582] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 258-289; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 358.

[583] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 85; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 289.

5) დრაგუნთა 27 ესკადრონი,

6) მოსკოვის ლეგიონის 2 ესკადრონი,

7) მსუბუქი კავალერიის 12 ესკადრონი,

8) ჩუგუევოს კაზაკთა პირველი პოლკი,

9) მალოროსიელი რეკრუტები,

10) სხვადასხვა ტიპის ზარბაზანი – 38,

11) კასპიის ფლოტილიის ზარბაზანი – 12,

12) საარტილერიო პოლკის ზარბაზანი – 60.

სულ ირანში გასაგზავნ სამხედრო-საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 30.000 მებრძოლი[584]. ირანში საბრძოლო მოქმედებების დაწყების დროისათვის თბილისში პოლკოვნიკ **სიროხნევის** დაქვემდებარებაში მყოფ რუსეთის ჯარის ქვეითთა 2 ბატალიონს პირველი შესაძლებლოისთანავე უნდა დამატებოდა ქვეითთა კიდევ 2 ბატალიონი, მსუბუქი კავალერიის 12 ესკადრონი და დონის კაზაკთა 2 პოლკი, ასევე 8 საველე ზარბაზანი. საქართველოში განლაგებულ რუსეთის ჯარს ეწოდა **კავკასიის კორპუსი**[585].

ირანში სალაშქროდ გამზადებული სამხედრო-საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდალს გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვს გამოცდილი კადრები შეურჩიეს: გენერალ-მაიორი **სერგეი ბულგაკოვი**[586], გენერალ-მაიორი **ალე-**

---

[584] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 358-359.

[585] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 361; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 289-290.

[586] **სერგეი ბულგაკოვი** (?–1824) –რუსი გენერალი, კავკასიის დაპყრობისათვის ომების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. სამხედრო სამსახურშია 1756 წლიდან, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში, 1789 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, 1790 წელს მონაწილეობდა ყაბარდოელთა აჯანყების ჩახშობაში, აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაატყვევა შეიხი მანსური, 1791 წელს მონაწილეობდა ანაპის შტურმში, 1792წელს დაინიშნა კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის სარდლად და გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის ხაზის მშენებლობაში, კაზაკთა სტანიცების დაარსებასა და იქ დონელი კაზაკების ჩასახლებაში, 1793-1794 წლებში ხელმძღვანელობდა ყაბარდოელთა წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს, 1796 წელს დაინიშნა გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის სამხედრო ექსპედიციაში.

ქსანდრე რიმსკი-კორსაკოვი[587], გენერალ-მაიორი პავლე ციციანოვი,[588] ბარ-

---

[587] ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვი (1753-1840) –ინფანტერიის გენერალი. ბაეშვობაშივე ჩაწერეს პრეობრაჟენსკის ლეიბგვარდიის პოლკში. 1778-1779 წლებში იბრძოდა პოლონეთში, მონაწილეობდა 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1796 წელს დაინიშნა გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის სამხედრო ექსპედიციაში. 1806-1808 და 1812-1830 წლებში იყო ვილნოს გენერალ-გუბერნატორი, 1830 წელს დაინიშნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად.

[588] პაველ ციციანოვი (1754- 1806)–ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გადახვეწილი გარუსებული ქართველი თავადის (ციციშვილის) შთამომავალი, ინფანფერიის გენერალი, კავკასიის დაპყრობისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი. 1761 წელს ჩაწერილი იყო ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში, 1772 წელს ამავე პოლკში პროპორშჩიკად დაიწყო სამსახური, 1777 წელს დაინიშნა პრეობრაჟენსკის პოლკის ეგერთა ასეულის მეთაურად, 1778 წელს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება და გადაყვანილი იქნა ტობოლსკის ქვეითთა პოლკში, 1786 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა სანკტ-პეტერბურგის გრენადერთა პოლკის მეთაურად, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში, 1789 წელს მონაწილეობდა ბენდერის ციხე-სიმაგრის შტურმში, ბენდერის აღების შემდეგ სანკტ-პეტერბურგის გრენადერთა პოლკი გადაყვანილი იქნა პოლონეთში, 1790 წელს მიენიჭა ბრიგადირის სამხედრო წოდება, იმავე წელს დაასრულა სანკტ-პეტერბურგის ახალი პოლკის ფორმირება, 1793 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, 1794 წელს არ დაუშვა პოლონელთა მიერ გროდნოში დაგეგმილი აჯანყების დაწყება, იმავე წელს მონაწილეობდა ვილნოს შტურმში, 1796 წელს გაიგზავნა გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის დაქვემდებარებაში, მონაწილეობდა ირანის ლაშქრობაში, იყო ჯერ კავკასიის კორპუსის სარდალი, ხოლო შემდეგ – ბაქოს სამხედრო კომენდანტი, 1797 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამსახურიდან გადადგა, 1801 წელს სამხედრო სამსახურში დაბრუნდა, 1802 წელს მიენიჭა გენერალ-ლეინტენანტის,ხოლო 1804 წელს – ინფანტერიის გენერლის სამხედრო წოდება. 1802 წლის 11 სექტემბერს დაინიშნა კავკასიის ხაზის ინსპექტორად, ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად და საქართველოს მთავარსარდლად, 1803 წელს რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ჯარით ილაშქრა ჭარ-ბელაქანში ლეკების წინააღმდეგ, 1804 წელს აიღო განჯა, ორგზის დაამარცხა ირანელთა ლაშქარი, რომელსაც ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა სარდლობდა, ერევნის ციხე-სიმაგრის აღებისათვის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. პავლე ციციანოვმა დააასრულა საქართველოს დაპყრობა: 1803 წელს სამეგრელოს მთავარი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა, 1804 წელს რუსეთის ჯარი იმერეთში შეიჭრა და მეფე სოლომონ II, ასევე გურიის მთავარი აიძულა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ. 1806 წელს რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ბაქოს, ქალაქის გასაღების გადასაცემად მიწვეული პავლე ციციანოვი 1806 წლის 8 თებერვალს მოკლეს ბაქოს ხან ჰუსეინ-ყულის ბრძანებით, მასთან ერთად მოკლეს პოდპოლკოვნიკი ელიზბარ ერისთავი.

ონი **ლეონტი ფონ ბენიქსენი**[589], კაზაკთა ატამანი **მატვეი პლატოვი**[590]. კასპიის ფლოტილიას სარდლობდა კონტრ-ადმირალი **ნიკოლაი ფიოდოროვი**[591]და სხვ.

ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების გეგმა ასეთი იყო:

ყიზლარიდან დაძრულ **კასპიის კორპუსს** უნდა დაეკავებინა **დერ-ბენტი** და **ბაქო**. ამ შეტევის პარალელურად **კავკასიის კორპუსს** ქართლ-კახეთის სამეფოს ჯართან ერთად **განჯისა** და **ყარაბაღის** მიმართულებით უნდა დაეწყო ბრძოლა. თუ აღა მაჰმად ხანი რუსთა მთავარ ძალებს – კასპიის კორპუსს – შეუტევდა, მაშინ მას **შირვანის** სახანოს გავლით აღა მაჰმად ხანის ჯარისათვის ზურგიდან უნდა დაერტყა[592].

---

[589] **ლეონტი ფონ ბენიქსენი** (1745-1826) – რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი გერმანელი ბარონი(ლევინ ავგუსტ გოტლიბ თეოფილ ფონ ბენიქსენი)გრაფი, კავალერიის გენერალი. რუსეთში მსახურობდა 1773-1800 წლებში, მონაწილეობდა 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებში, პოლონელთა აჯანყების ჩახშობაში (1794 წ.), 1796 წელს ჩაირიცხა გენერალ-პორუჩიკ ვალერიანი ზუბოვის საექსპედიციო კორპუსში და მონაწილეობდა ირანის ლაშქრობაში, 1802 წელს მიენიჭა კავალერიის გენერლის სამხედრო წოდება, 1805-1807 წლებში იბრძოდა საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ, 1812 წელს დაინიშნა რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსად, მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში, 1813 წელს დაინიშნა რუსეთის სარეზერვო არმიის მთავარსარდლად და 1813-1814 წლებში მონაწილეობდა რუსეთის არმიის მიერ ევროპაში ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. 1814 წელს ებოძა გრაფის წოდება

[590] **მატვეი პლატოვი** (1751-1818) – დონელი კაზაკი, დონის კაზაკთა ჯარის ატამანი, კავალერიის გენერალი, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებში. 1796 წელს გენერალ-პორუჩიკ ვალერინ ზუბოვის ირანში ლაშქრობის დროს მეთაურობდა დონის კაზაკთა ჯარს, 1801 წელს მიენიჭა გენერალ-ლეინტენანტის სამხედრო წოდება და დაინიშნა დონის კაზაკთა ჯარის ატამანად, 1805-1807 წლებში მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1812 წლის სამამულო ომში და რუსეთის არმიის ლაშქრობაში ევროპაში.

[591] **ნიკოლაი ფედოროვი** (1745-1796) – კონტრ-ადმირალი, ასტრახანის პორტის კომენდანტი და კასპიის ფლოტილიის სარდალი. 1761 წელს შევიდა კადეტთა საზღვაო კორპუსში, მსახურობდა ბალტიისა და შავი ზღვების ფლოტებში, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 და 1787-1791 წლების ომებში, 1792 წელს მიენიჭა კონტრ-ადმირალის სამხედრო წოდება. 1785 წელს დაინიშნა ასტრახანის პორტისა და კასპიის ფლოტილიის სარდლად, გარდაიცვალა ირანში რუსეთის ჯარის ლაშქრობის დასრულებამდე.

[592] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 358-361; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-

ყიზლარიდან კასპიის კორპუსის შეტევის მიმართულება (ყიზლარი – დერბენტი – ბაქო) სწორად იყო შერჩეული. სწორად იყო შერჩეული კავკასიის კორპუსის შეტევის მიმართულებაც (თბილისი-განჯა-ყარაბაღი). უფრო მოხერხებული იყო შეტევა თბილისი-ერევნის მიმართულებით, მაგრამ ეს მიმართულება რისკის შემცველი იყო. ერევნის სახანოს ტერიტორია, ისევე, როგორც მდინარე არაქსის ზემო წელი, უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთს და იქ ქართველთა და რუსთა ჯარის შესვლას შეიძლებოდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაეძაბა. გარდა ამისა, იმერეთის მეფე სოლომონ II ოსმალეთთან ურთიერთობის გართულების თავიდან აცილების მიზნით ერევნის სახანოს ტერიტორიაზე ერთობლივ ლაშქრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ერევნის სახანოს ტერიტორიის აღა მაჰმად ხანის ჯარისაგან გათავისუფლება ერეკლე II-ს და ყარაბაღის ხან იბრაჰიმს დამოუკიდებლადაც შეეძლოთ.

* * *

კავკასიის კორპუსის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოზე აღა მაჰმად ხანის განმეორებითი თავდასხმის აღკვეთა, ყარაბაღელი სომეხი მელიქების, ხან იბრაჰიმის და რუსეთისადმი კეთილგაწყობილი სხვა ხანების გამხნევება. კასპიის კორპუსის დერბენტიდან ბაქოს მიმართულებით შეტევაზე გადასვლის პარალელურად კავკასიის კორპუსს (სარდალი გენერალ-მაიორი პაველ ციციანოვი) **თბილისიდან** მდინარე მტკვრის ველის გავლით **განჯის** მიმართულებით უნდა შეეტია, სომეხი მელიქების დახმარებით აეჯანყებინა ყარაბაღის ქრისტიანი მოსახლეობა და ხან იბრაჰიმის დასახმარებლად დაძრულიყო. იბრაჰიმ ხანის ირანელთა ალყისაგან განთავისუფლების შემდეგ კავკასიის კორპუსი მდინარე არაქსზე უნდა გადასულიყო, აზერბაიჯანის ირანული სახანოებიდან განედევნა აღა მაჰმად ხანის ჯარები და კასპიის კორპუსს შეერთებოდა.

* * *

1796 წლის მარტში გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს მანიფესტი ირანის ხალხისადმი. მანიფესტში განმარტებული

историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 289-290.

იყო ირანში რუსეთის ჯარის შესვლის მიზეზები. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო აღა მაჰმად ხანის თავდასხმა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე. ვალერიან ზუბოვს ეკატერინა II-მ უბრძანა მეფე ერეკლე II-თვის, ყარაბაღელი სომეხი მელიქებისათვის, ყარაბაღის ხან იბრაჰიმისათვის, დაღესტნელებისა და შირვანელებისათვის წერილობით ეცნობებინა, რომ რუსეთის ჯარის ირანში ლაშქრობის მიზანი მათი გათავისუფლება იყო[593].

1796 წლის 18 აპრილს კასპიის კორპუსი **დერბენტისაკენ** დაიძრა[594]. დიდი ბრძოლების შემდეგ, 10 მაისს, ვალერიან ზუბოვმა დერბენტი დაიკავა. ბრძოლაში დაიღუპა 11 ოფიცერი, დაიჭრა და მოკლეს დაახლოებით 200 ჯარისკაცი[595]. გზა ირანის შიდა პროვინციებისკენ გახსნილი იყო. 1796 წლის 24 მაისს კასპიის კორპუსი დერბენტიდან გავიდა და 6 ივნისს **ყუბა** დაიკავა, თუმცა ყუბის სახანოს დაკავების შემდეგ **შემახისათვის** ბრძოლა გაჭიანურდა[596].

ვალერიან ზუბოვის სარდლობით ირანში შეჭრილი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წარმატებებმა, ცხადია, ძალზე შეაშფოთა აღა მაჰმად ხანი. ვალერიან ზუბოვს აღა მაჰმად ხანის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. გავრცელდა ხმები, რომ აღა მაჰმად ხანმა **ხორასანში** მოწინააღმდეგეებთან სასტიკი ანგარიშსწორების შემდეგ შაჰის გვირგვინის მიღება გადაწყვიტა, მაგრამ არა ტრადიციისამებრ **არდებილში**, არამედ **მაშჰადში**. აქ მან ნადირ შასეული გვირგვინი დაიდგა. სწორედ ამ დროს ირანში რუსეთის ჯარის შეჭრის ამბავი შეიტყვეს. ირანის მბრძანებელმა სარდლები შეკრიბა და განუცხადა: „რუსებმა ომი გამოგვიცხადეს, თქვენ მათ წინააღმდეგ გაუძღვებით

---

[593] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 371-372.

[594] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 93-97.

[595] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 392-396.

[596] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 297, 301.

ჩემს მამაც ჯარს"[597].

მაშჰადიდან აღა მაჰმად შაჰმა მაზანდარანში დამატებითი ჯარების გაგზავნა ბრძანა, რადგან ეშინოდა, **ენზელსა** და **ასტრაბადში** რუსებს საზღვაო დესანტი არ გადაესხათ. ამავე დროს მან **თალიშის** ხანს შეუთვალა, რომ მალე მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა და **სალიანს** დაიკავებდა. ამ დროისათვის კასპიის ფლოტილია კონტრ-ადმირალ **ნიკოლაი ფედოროვის** სარდლობით **ბაქოში** იმყოფებოდა. ვალერიან ზუბოვმა კასპიის ფლოტილია ბაქოდან გამოიხმო და თალიშის ხანის დახმარების მიზნით კასპიის ზღვის სანაპიროს ბლოკადა დაუსახა მიზნად[598].

* * *

1796 წლის 30 აპრილს **პლატონ ზუბოვმა** წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს. პლატონ ზუბოვი მეფეს ჰპირდებოდა, რომ მისი ძმა, **ვალერიან ზუბოვი**, ყოველ ღონეს იხმარდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. ეკატერინა II-ის ფავორიტი ერეკლე II-ს სწერდა, რომ როდესაც მისი სამეფოს უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა, მეფეს ქვეყანაში წესრიგი უნდა აღედგინა (რუსულ დედანში: „Естьли сильные пособия и мужественные подвиги победоносных войск Российских достаточны будут на избавление, ограждение и утверждение в неприкосновенности и безопасности в настоящем случае царств ваших извне, то впредь внутренне благоустройство оных одно токмо возможет, укореняя тамо порядок и общее благосостояние, сохранить на-веки те преимущества, кои сильным Российским покровительством и победоносным оружием приобретены быть могут")[599].

---

[597] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 302.

[598] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 302-303.

[599] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 88-89.

პლატონ ზუბოვმა

* * *

ირანში შეჭრილი რუსეთის საექპედიციო კორპუსის წინსვლა გარკვეული პერიოდის შემდეგ შეფერხდა. კორპუსი დერბენტს, ყუბასა და ბაქოს შორის გაიფანტა, არ კმაროდა ტვირთის გადასატანი ტრანსპორტი, საგრძნობი გახდა სურსათის ნაკლებობა[600]. 1796 წლის ოქტომბერში კასპიის კორპუსს შეუერთდა კავკასიის კორპუსი. გენერალ-პორუჩიკმა ვალერიან ზუბოვმა კავკასიის კორპუსი განჯის დასაკავებლად გაგზავნა. კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალ-მაიორი პაველ ციციანოვი ამ დროისათვის უკვე დანიშნული იყო ბაქოს კომენდანტად, ხოლო მის ნაცვლად კავკასიის კორპუსის სარდლად დაინიშნა გენერალ-მაიორი **ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვი**. კავკასიის კორპუსის შემდაგნელობაში შედიოდა: ყუბანელი ეგერების 2 ბატალიონი, გრენადერთა 1 ბატალიონი, ტაგანროგის დრაგუნთა 1 პოლკი, პავლოგრადის მსუბუქი კავალერიის 1 პოლკი, დონის კაზაკთა 2 პოლკი ორლოვისა და კირეევის მეთაურობით და 5 საველე ქვემეხი. კორპუსის ტვირთი გადაჰქონდა 800 ოთხთვალასა და 250 აქლემს[601].

ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით კავკასიის კორპუსის განჯის მიმართულებით შეტევის პარალელურად ვალერიან ზუბოვს დაქვემდებარებული კასპიის კორპუსი **შემახიის სახანოს** ტერიტორიაზე შევიდა. შემახიის ხანი **მუსტაფა** გაიქცა და თანაც ახლობლებს დაუბარა, რუსების წასვლამდე არ დავბრუნდებიო. ვალერიან ზუბოვმა შემახიის ხანად მუსტაფას ბიძაშვილი **ყასიმი** გამოაცხადა. შემახიიდან კასპიის კორპუსმა შეტევა გააგრძელა და 1796 წლის 21 ნოემბერს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, **ჯევათთან,** შეჩერდა. აქედან იწყებოდა **მუღანის სტეპი**. კაზაკთა ატამან **მატვეი პლატოვის** კავალერია მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანეს. კაზაკთა საგუშაგო რაზმები თითქმის გილიანამდე აღწევდნენ. უმოკლეს დროში რუსეთის ჯარმა

---

[600] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 305.

[601] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 305-306.

დაიკავა **ბაქოს, ყუბის, ყაზიყუმუხის, შემახიის, შაქის, ყარაბაღის** და **განჯის** სახანოები, კასპიის ზღვის მთელი სანაპირო, მდინარე **თერგის** შესართავიდან მდინარე **მტკვრის** შესართავამდე. ამ წარმატებისათვის ვალერიან ზუბოვს გენერალ-ანშეფის წოდება მიენიჭა და **კავკასიის მთავარსარდლობა** ებოძა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი ხანგრძლივ შვებულებაში გაუშვეს, ხოლო მის ნაცვლად მთავარსარდლად გენერალ-პორუჩიკი **ისლენიევი** დაინიშნა[602].

კასპიისპირეთის საქართველოსა და რუსეთთან მუდმივი კავშირისათვის აუცილებელი იყო კომუნიკაციების დაცვა. ამ მიზნით ვალერიან ზუბოვმა **ტარკასა** და **ბულახში** სიმაგრეების აშენება გადაწყვიტა. **ჯევათთან,** მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გადაწყდა ქალაქ **ეკატერინოსერდის** დაარსება. ახლად დაარსებული ქალაქის მოსახლეობის სწრაფად გაზრდის მიზნით კასპიიის კორპუსის პოლკებიდან 2.000 ახალგაზრდა ჯარისკაცი ეკატერინოსერდში უნდა დასახლებულიყო. ასევე გადაწყდა, ხაზინას დახმარება აღმოეჩინა ქალაქის მცხოვრებთათვის. ამ მიზნით გამოიყო 385.326 მანეთი. ეკატერინა II-ის ბრძანებით, ეს თანხა უკვე 1797 წლიდან უნდა გაეცა ხაზინას[603].

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II. ერთი თვის შემდეგ, 1797 წლის დეკემბერში, ირანში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ბანაკში გამოცხადდა ფელდეგერი და მოიტანა შეტყობინება ტახტზე პაველ I-ის ასვლის შესახებ. ფელდეგერმა საექსპედიციო კორპუსის ყველა პოლკის მეთაურს, გენერალ-ანშეფ ვალერიან ზუბოვის გვერდის ავლით, გადასცა სახელობითი ბრძანება. ბრძანება ჯარის რუსეთის იმპერიის საზღვრებში დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითვალისწინებდა. გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი კავკასიის ხაზის მთავარსარდლად დააბრუნეს, ხოლო გენერალ-ანშეფი ვალერიან ზუბოვი გადააყენეს[604].

---

[602] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 307-308.

[603] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 308-309.

[604] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии.

1797 წლის 5 იანვარს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ივან გუდოვიჩმა იმპერატორ პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო. რესკრიპტი პუნქტებად დაყოფილ რადენიმე ბრძანებას მოიცავდა:

1) კავკასიის ხაზს რუსეთის იმპერიის საზღვარი უნდა დაეცვა მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარის ზემო წელამდე, შემდეგ მდინარე თერგზე ვიდრე ყიზლარამდე. კავკასიის ხაზი მზად უნდა ყოფილიყო არა მარტო დაეცვა რუსეთის საზღვრები, არამედ დაეწყნარებინა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ველური ხალხები;

2) კავკასიის მთებში მცხოვრები ტომები კარგი მოპყრობით რუსეთის მორჩილებად უნდა გადაექციათ. მთიელთა მორჩილებაში მოყვანის მიზნით მათთვის მძველები უნდა გამოერთმიათ და ისინი კავკასიის ხაზზე ან უახლოს საგუბერნიო ქალაქებში გაეგზავნათ;

3) ერთმორწმუნეობის, დიდი ხნის ურთიერთობისა და ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის – **ვ. გ.**) გამო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-თან შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ღირსეული (მისთვის საკადრისი) ურთიერთობა (რუსულ დედანში: „В разсуждении царя карталинскаго, по единоверию и по давним отношениям сих владетелей к самодержавцам всероссийским и по договору, с царем Ираклием постановленному, соблюдать с сим владетелем всякое пристойное сношение“);

4) ტარკის შამხალი, დაღესტნის მფლობელი, დერბენტის, ბაქოსა და სხვა ხანები რუსეთზე დამოკიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ;

5) შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო რუსეთის ქვეშემრდომებეთან ვაჭრობა;

6) დახვეწილი და ფრთხილი გზებით (მეთოდებით) აღა მაჰმად შაჰი უნდა დაეჯერებინათ იმაში, რომ არ შეხებოდა საქართველოსა და კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ტერიტორიას (რუსულ დედანში: „...искусным и осторожным образом внушить Ага-Магомет-хану не прикасался бы ни к Грузии, ниже к другим замлям, на западном берегу Касписйского моря лежащим“);

7) ოსმალეთს არ უნდა გასჩენოდა ეჭვი, რომ რუსეთი მასთან დავის

К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 309.

საგანს ეძებდა[605].

ამრიგად, პაველ I-მა ირანთან ომი შეწყვიტა, რაც ძალზე სავალალო იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ერეკლე II მარტოდმარტო რჩებოდა აღა მაჰმად-ხანის პირისპირ.

კასპიის კორპუსი ყუბა-დერბენტის გზით ყიზლარში დაბრუნდა. კორპუსმა საქართველოში გამოიზამთრა და 1797 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა კავკასიის ხაზზე[606].

1797 წლის გაზაფხულზე კავკასიის კორპუსის საქართველოდან გასვლის გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეფე ერეკლე II და აღა მაჰმად შაჰის მოწინააღმდეგე ხანები. ყველას კარგად ესმოდა, რომ ირანის მრისხანე მბრძანებელი შურს იძიებდა[607].

კასპიის კორპუსის ყიზლარში დაბრუნებამ აღა მაჰმად შაჰს იმედი ჩაუსახა. ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი ყარაბაღში შეიჭრა და მოსახელობის დარბევა დაიწყო. იბრაჰიმ ხანმა შუშის ციხე დატოვა და დაღესტანს შეაფარა თავი. აღა მაჰმად შაჰმა შუშა უბრძოლველად დაიკავა. შუშიდან იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე აპირებდა გამოლაშქრებას. საქართველო ირანის მბრძანებლის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა. 1797 წლის ივნისში[608*] შუშაში შეთქმულება აღა მაჰმად შაჰი მოკლეს[609].

შაჰის მკვლელობამ გარკვეული შვება მოუტანა ქართლ-კახეთის სამეფოს, თუმცა ირანიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა.

---

[605] **Н. Дубровин.** Георгий XII последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1867. Издание второе, С.-Петербург, 1897, стр. 41-42.

[606] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 309-310.

[607] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 427.

[608] * აღა მაჰმად შაჰის მკვლელობის თარიღად სხვადასხვა წყარო მიიჩნევს: 4 მაისს, 22 მაისს, 4 ივნისს, 11 ივნისს (იხ.: **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 430) ქართული წყაროს მიხედვით აღა მაჰმად შაჰი 1797 წლის 5 ივნისს მოკლეს.

[609] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-историческаго отдела при штабе Кавказскаго военнаго округа. Тифлис, 1899, стр. 311.

§4. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა ირანში რუსეთის ჯარის ლაშქრობის წინა ხანებში, ლაშქრობის პერიოდსა და ლაშქრობის შემდეგ (1796 წლის იანვარი – 1797 წლის დეკემბერი)

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აღა მაჰმად ხანის ახალ ლაშქრობას ელოდა. რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ისა და კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩისადმი უშედეგო თხოვნით თავმობეზრებული, მტრის წინააღმდეგ მარტოდმარტოდ მიტოვებული, მოტყუებული და შეურაცხყოფილი მეფე ისევ რუსეთის ჯარის იმედად უნდა დარჩენილიყო.

1796 წლის 8 იანვარს ერეკლე II ეკატერინა II-ს სწერდა: „ტრახტატის (გეორგიევსკის ტრაქტატის – ვ. გ.) ბძანებით, გვაქვნდა იმედი თქვენის უძლეველის მხედრობის მალე მოშველებისა, ვეღარ მოგვასწრო და წაგვახდინეს, როგორადაც გარსევან ჭავჭავაძისაგან მოგხსენდებათ; და აქამდინ რომ ვერ მოვახსენეთ დიდებ. თქვენსა, ბევრის სხვასა და სხვას მიზეზებისაგან მოხდა. უმოწყალესო ხელმწიფევ, აღმაჰმადხან თუმცა მალე და საჩქაროთ დაბრუნდა ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრამ შორს არ წასულა, **მუღანის** საშვალს ადგილსა დგას, რომელიც ჩვენიდამ იქამდინ სამასამდინ ვერსი იქმნება, და იქიდამ კიდევ სათუოთ არ არის ჩვენზედ იმისი მოსვლა“[610]. მეფე აღა მაჰმად ხანის ახალი შემოსევის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად საქართველოში რუსეთის ჯარის გამოგზავნას მიიჩნევდა: „თუ კიდევ თქვენი უძლეველი მხედრობა ლინიიდამ (კავკასიის ხაზიდან – ვ. გ.) მსწრაფლად არ მოგვეშველა და შიშმა არ დააყენა, იმას სხვა საქმე არა აქვს-რა, თუ არ ჩვენ და შუშის **იბრეიმხან**“[611]. ამ დროისათვის თბილისში უკვე იმყოფებოდა

---

[610] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 122. წერილის რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 117.

[611] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 122. რუსული ტექსტი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 117.

1795 ნოემბერში პოლკოვნიკ სიროხნევის მეთაურობით საქართველოში გამოგზავნილი ორი ბატალიონი, თუმცა ორი ბატალიონი სულაც არ იყო საკმარისი აღა მაჰმად ხანის ახალი ლაშქრობის შემთხვევაში ქვეყნის გადასარჩენად. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II ეკატერინა II-ს სწერდა: „ამ დეკემბრის თთვეში (1795 წ. — **ვ. გ.**) თქვენი დიდებ. უძლეველი მხედრობა გვებოძა, — ამაზედ ვმადლობთ ყ[ოვლა]დ ძლიერსა ღ[მერ]თსა და თქვენსა დედობრივსა ჩვენზედ მზრუნველობასა, და დაგვიცს თავი ჩვენი თქვენის დიდებ. ერთგულობასა ზედა ესრეთ ვიდრე წვეთამდე სისხლისა. ხელმწიფეო ჩვენო, ღ[მერ]თს ქვეშეთ ჩვენი სასოება თქვენზედ არის დადებული და ჩვენი ცხოვრებაც თქვენზედ არის დამოკიდებული, თუ აღგვადგენ ამავ ზამთარს და მოგვცემ ხელსა წყალობისასა, ყოვლითურთ წარმართებულ იქმნება ჩვენი საქმე, და თუ ამავ ზამთარ თქვენი უძლეველი და იმის მოპირდაპირე კმასაყოფელი მხედრობა არ გვებოძება, უიჭოთ წაგვახდენს, და ჩვენ, საქართველოს ხალხნი, დიდს განსაცდელში ვიქმნებით და ვართ“[612].

1796 წლის იანვარში ეკატერინა II-ს წერილი მისწერა დედოფალმა **დარეჯანმა**. ქართლ-კახეთის დედოფალი რუსეთის იმპერატორს ატყობინებდა: „და განსაცდელისა ამის ჩვენზედა მოწევნილისათვის, ესოდენთა ტყვედ მიცემულთა ერთათვის, უზომოსა მწუხარებასა შინა მყოფი, წინაშე დიდებ. თქვენისა უხილავად მუხლთა ზედა მდგომარე, ყ[ოვლა]დ უმდაბლესად გევედრებით: ტყვეთათვის, ჩჩვილთა, მოხუცებულთა და ჭაბუკთა, რომელთა ტანჯვითა უწყალოთა და დაწვითა ეკკლესიებისათა განმწარებული გული ჩემი შეინყალეთ, ყ[ოვლა]დ უმოწყალესო ხელმწიფევ, რათა მივიღოთ უმოწყალესი რეზოლუცია თხოვისა მის, რომელიცა მეფისა ჩვენისაგან მოხსენდების იმპ. თქვენისასა, და თუ ამავ ზამთარს უფალი ღენერალ ღუდოვიჩი (გუდოვიჩი – ვ. გ.) არ მოგვეშველა, ვითარცა გიბრძანებიესთ უმაღლესითა უკაზებითა, უთუოთ კიდევ წავხდებით“[613].

---

[612] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 122. რუსული ტექსტი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 117.

[613] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 121-122. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие

1796 წლის 8 იანვარს, ანუ იმავე დღეს, როდესაც ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა ეკატერინე II-ს, მეფემ წერილი მისწერა რუსეთის იმპერიის ვიცე-კანცლერ **ივან ოსტერმანს**. მთავარი სათხოვარი ისევ საქართველოში ჯარის გამოგზავნა იყო, თუმცა ერეკლე მეფე სხვა გულსატკივრით იწყებდა: „**ორმოცდახუთი** წელიწადი არის **ერევანი** ჩვენი იყო, და იმას უწინაც ბევრჯერ სჭერია ჩვენს ოჯახს ერევანი, და იმისის დიდებ. მფარველობას ქვეშ (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატი – ვ. გ.) **განჯითა** და **ერევნით** შემოვედით: აღამაჰმადხანმა ორივ წაგვართვა, და ახლა კიდევ ჩვენი სამფლობელო **ფამბაკი** (იგივე ბამბაკი – ვ. გ.), **ყაზახი** და **ბორჩალო** ფარმანით ერევნის ხანისათვის მიუცია, რომ თვით ერევნელებისაგან ყაზახთათვის მოწერილი წიგნი კნიაზ გარსევან რევაზოვიჩისათვის (გარსევან ჭავჭავაძისათვის – ვ. გ.) გამოგვიგზავნია, იმისგან მოხსენდება თქვენს ბრწყინვალებას. თუმცა ეს ჩვენი სამფლობელო ფამბაკი, ყაზახნი და ბორჩალო შორს არიან აღამაჰმადხანის მორჩილებისაგან, და არც უნდათ იმისი მონების ქვეშ შესვლა, მაგრამ, თუ ამავ ზამთარს უძლეველის მხედრობით კმასაყოფელი შეწევნა ვერ მივიღეთ, ესენიცა და სხვა ჩვენთან შემოერთებულნი მეზობლებიც, უილაჯობით, იმისნი შეიქმნებიან“[614]. ერეკლე II შემთხვევით არ მიანიშნებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში ერევნისა და განჯის სახანოებით შევიდა, ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატი ერევნისა და განჯის სახანოებზეც ვრცელდებოდა და ამდენად, რუსეთის საიმპერატორო კარი ვალდებული იყო აღა მაჰმად ხანისაგან ეს სახანოებიც დაეცვა. წერილი ჯარის გამოგზავნის თხოვნით მთავრდება: „... ვედრებით ვითხოვთ კეთილ-მწადნელობისა თქვენისაგან, რომ წინაშე მათის იმპ. დიდებ. ინებოთ შეწევნა ჩვენი, რომ ამავ ზამთარს **რვა ათასი რიცხვი** მხედრობისა ყ[ოვლა]დ უმოწყალესობით გვებოძოს, რომლითაც აღამაჰმადხანისაგან მიტაცებული ზემოხსენებული ადგილები ისევ დავიპყრათ და იმოდენი რიცხვი ქრისტიანე-ტყვენნი, რომელნიცა

исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 119.

[614] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 124. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 120.

განჯასა, ერევანსა და **ნუხას** იმყოფებიან, ისინი გამოვიხსნათ"[615].

წერილიდან ჩანს, რომ თუ ერეკლე II 1796 წლის ზამთარში (იანვარ-თებერვალში) რუსეთიდან ჯარს (8.000 მებრძოლს) მიიღებდა, მას ქართლ-კახეთის საზღვრების ან კონკრეტულად თბილისის დაცვისათვის კი არ გამოიყენებდა, არამედ **ერევნის, განჯისა** და **ნუხის** სახანოებზე გაილაშქრებდა, რათა იქ მყოფი ქართველი ტყვეები გაეთავისუფლებინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერეკლე მეფე ქართველთა და რუსთა ჯარით აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ომს იწყებდა. ამ ომში მეფეს, ცხადია, ყარაბაღის ხან **იბრაჰიმის** დახმარების იმედი ჰქონდა. იყო თუ არა რეალური 1796 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ქართლ-კახეთის სამეფო ჯარით, რუსეთიდან გამოგზავნილი 8.000 მებრძოლითა და ყარაბაღის ხან იბრაჰიმის ძალებით აღა მაჰმად ხანის დამარცხება და მისი თუნდაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან (განჯის, ერევნის, ნუხის, ყარაბაღის, ნახჭევანის სახანოებიდან) განდევნა, ძნელი სათქმელია. ერთი რამ, რაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისაა, რომ აღა მაჰმად ხანი ფართომასშტაბიან ომსაც არ მოერიდებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოზიციების დაკარგვა აღა მაჰმად ხანს საკუთრივ ირანშიც შეურყევდა პოზიციებს.

მოვლენათა განვითარების გასააზრებლად ძალზე საინტერესოა ერეკლე II-ის წერილი გარსევან ჭავჭავაძისადმი. წერილი 1796 წლის 15 იანვარსაა დაწერილი. მეფე რუსეთის საიმპერატორო კარზე თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს (მინისტრს) სწერს, რომ მისგან მიიღო ოთხი წერილი: პირველი 1795 წლის 1 სექტემბრისა და მეოთხე – 1795 წლის 21 ნოემბრისა. როდის მიიღო მეფემ მეორე და მესამე წერილი, ამის შესახებ არაფერს ამბობს, სამაგიეროდ, აღნიშნავს, რომ 1795 წლის 21 ნოემბრის წერილი მას 1796 წლის 25 იანვარს მიუღია, ე. ი. წერილმა ორ თვეზე მეტ ხანს დაიგვიანა. ერეკლე მეფეს გარსევან ჭავჭავაძისათვის ყველა წერილზე უპასუხია, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩაუთვლია ეს პასუხები გაემეორებინა 1796 წლის 15 იანვრის წერილში.[616] ერეკლე II-ის

[615] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 123-124. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 120.

[616] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-

1796 წლის 15 იანვრის წერილის დედანი (ქართული ტექსტი) შემორჩენილი არ არის, მხოლოდ მისი რუსული თარგმანი გადარჩენილა. წერილი საინტერესოა ფაქტობრივი მასალის თვალსაზრისით. მეფე მოვლენათა განვითარებას შემდეგი თანმიმდევრობით გადმოსცემს: 1. თბილისის აღებიდან (1795 წლის 12 სექტემბერი) მეცხრე დღეს აღა მაჰმად ხანს ქალაქი დაუტოვებია, ირანში დაბრუნებულა და მუღანის ველზე დაბანაკებულა. მეფის ვარაუდით, აღა მაჰმად-ხანი ზამთარში (1796 წლის იანვარ-თებერვალი – **ვ. გ.**) საქართველოში აღარ მობრუნდებოდა; 2. ქართლ-კახეთის მეფეს აღა მაჰმად ხანის ახალი ლაშქრობის შემთხვევაში იმპერატორ ეკატერინა II-სა და კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩის იმედი ჰქონია და ჯარის გაზრდის თაობაზე კიდეც მიუმართავს იმპერატორისათვის; 3. აღა მაჰმად ხანს თბილისში დატყვევებულთა დიდი ნაწილი განჯაში წაუყვანია, მათი ნაწილი ოსმალებისათვის, ხოლო ნაწილი ლეკებისათვის მიუყიდია. ახლობლებს ტყვეების გამოსყიდვა უცდიათ. განჯის ხან **ჯავადს** თითოეული ტყვეზე, გამოსასყიდი თანხის გარდა, დამატებით აუღია ოცდახუთი მანეთი, თუმცა გამოსასყიდის და დამატებითი თანხის გადახდის შემდეგაც ტყვეები არ გაუთავისუფლებია; 4. არზრუმის ფაშა იუსუფს ერეკლე II-თან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილი გამოუთქვამს; 5. 1795 დეკემბერში თბილისში შემოსული რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი თავის პროვიანტით უნდა გამოეგზავნათ საქართველოში. რუსები დუშეთამდე ისე მოსულან, რომ პროვიანტს არ იღებდნენ, გარდა ფურაჟისა, ხოლო დუშეთის შემდეგ პროვიანტს ყიდულობდნენ[617]. წერილის ბოლოს ერეკლე II ისევ იმეორებს თხოვნას: თუ ზამთარში (1796 წლის იანვარ-თებერვალი) ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებითი ჯარი არ გამოიგზავნა, აღა მაჰმად ხანი აუცილებლად მეორედ გამოილაშქრებსო[618].

მეფისაგან წერილებზე პასუხის მიღებამდე, 1796 წლის 18 იანვარს, გარსევან ჭავჭავაძემ ნოტა წარადგინა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. ამ დროისათვის რუსეთის საიმპერატორო კარს

Петербург, 1902, стр. 120-121.

[617] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 121-122.

[618] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 122.

უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება, რომლის პირველ ეტაპს გენერალ-მაიორ **ალექსანდრ სამოილოვიჩის** მიერ დერბენტის დაკავება წარმოადგენდა. 1796 წლის მარტში ყიზლარიდან ირანზე სალაშქროდ გენერალ-პორუჩიკ **ვალერიან ზუბოვის** ექსპედიცია დაიძრა. გარსევან ჭავჭავაძე შექმნილი ვითარების ქართლ-კახეთის სამეფოს სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა და საგარეო საქმეთა კოლეგიას მოახსენებდა: 1. დერბენტსა და განჯაზე ლაშქრობისას საჭირო არ იყო ერევნის სახანოზე ლაშქრობა, რადგან ერევნის ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს მორჩილი იყო; 2. როგორც კი ერევნის ხანი რუსეთის ჯარის მიახლოებას შეიტყობდა, მაშინვე რუსეთს გამოუცხადებდა მორჩილებას და ეცდებოდა რუსების ყველა ბრძანება ისევე მონდომებით შეესრულებინა, როგორც ასრულებდა ერეკლე II-ის ბრძანებებს; 3. თუ რუსეთი ომით არ ეცდებოდა ოსმალეთის მოსაზღვრე ერევნის სახანოს დაკავებას, არ დაიძაბებოდა ურთიერთობა ოსმალეთთან; 4. იმერეთის მეფე სოლომონ II-თვის რუსეთს არ უნდა მოეთხოვა ჯარით დახმარება, ეს აუცილებელი იყო ოსმალეთის ყურადღების მოსადუნებლად. თუ ოსმალეთი იმერეთში, მის სავასალო ქვეყანაში, რუსეთის დასახმარებლად ჯარის შეკრების ამბავს შეიტყობდა, მაშინვე დაიკავებდა იმერეთის იმ ციხეებს, რომლებიც რუსეთ-ოსმალეთის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774 წ.) ოსმალეთის სულთანმა იმერეთის მეფეს დაუთმო. ოსმალეთი ამ ციხეებს გაამაგრებდა და შიგ გარნიზონებს ჩააყენებდა, არ იყო გამორიცხული ოსმალეთის მიერ იმერეთის დაპყრობაც[619].

გარსევან ჭავჭავაძეს სურდა ირანთან მომავალ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა. ამიტომ იყო, რომ იგი საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა: 1. ერეკლე II-თვის წინასწარ შეეტყობინებინათ, თუ როდის დაიძვრებოდა რუსეთის ჯარი ირანზე თავდასასხმელად, რათა მეფეს თავისი ლაშქარი (ცხენოსნები და ქვეითები) საბრძოლველად მოემზადებინა; 2. ერეკლე მეფისათვის წინასწარ ეცნობებინათ ის ადგილი, სადაც რუსთა და ქართველთა ჯარი ერთმანეთს შეხვდებოდა; 3. უკეთესი იქნებოდა, თუ რუსეთის ჯარის სარდლები და მეფე პირისპირ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მიმოწერის გზით არ მიიღებდნენ საჭირო გადაწყვეტილებებს. დაბოლოს, გარსევან

[619] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 123.

ჭავჭავაძე წერდა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, იგი პირადად ჩავიდოდა საბრძოლო მოქმედებების რაიონში[620].

გენერალ-მაიორ საველიევის ჯარის დერბენტისათვის ბრძოლის პერიოდში (1796 წლის თებერვალი-მარტი) და ვალერიან ზუბოვის სარდლობით რუსეთის ჯარის ირანში ლაშქრობის დაწყებამდე (1796 წლის მარტი), 1796 წლის 9 თებერვალს, ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა გარსევან ჭავჭავაძეს. მეფე რუსეთის საიმპერატორო კარზე თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამჯერად აცნობებდა: 1. თბილისიდან გასული აღა მაჰმად ხანი ირანში, მუღანის ველზე დაბანაკდა; 2. მეფე ფიქრობდა, რომ ზამთარში (1795-1796 წლების ზამთარში – **ვ. გ.**) აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოზე აღარ გამოილაშქრებდა; 3. ერეკლე II-ს რამდენიმე წყაროდან (იბრაჰიმ ხანისაგან, ყაზახში მყოფი სოლომონ ავალიშვილისა და განჯაში მყოფი მეფის წარგზავნილისაგან) შეუტყვია, რომ აღა მაჰმად ხანი მუღანის ველიდან აყრილა, მდინარე არაქსი გადმოულხავს; 4. გარდა განჯის ხან ჯავადისა, ყველა ხანი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ მოქმედებას ითხოვდა[621].

ერეკლე II-თვის გარსევან ჭავჭავაძეს ადრე მიუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კავკასიის ხაზიდან რუსეთის ჯარი სამი მიმართულებით დაიძვრებოდა. ეს მიმართულებები იყო: **თბილისის, დარუბანდისა (დერბენტისა)** და **გილიანისა.** ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარი 1796 წლის მარტის შუა რიცხვებისათვის უნდა შემოსულიყო. მეფე შფოთავდა იმის გამო, რომ ცუდი გზების პირობებში რუსეთის ჯარი 1796 წლის აპრილის შუა რიცხვებამდე ვერ მოაღწევდა და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა დაუცველი იქნებოდა[622]. ერეკლე II გარსევან ჭავჭავაძეს რუსეთისათვის მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა: ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფ რუსეთის ჯარს (ორ ბატალიონს) თუ ორი ან სამი ათასი მებრძოლი კიდევ დამატებოდა და რუსეთის ჯარის

---

[620] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 124.

[621] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 126.

[622] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 126-127.

რაოდენობა 5.000 მებრძოლს მიაღწევდა, მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარსა და მდინარე არაქსს შორის მდებარე სახანოები აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ[623]. და უკვე მერამდენედ მეფე გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვს, როგორმე დააჩქაროს ჯარის გამოგზავნის საქმე[624]. წერილის ბოლოს ერეკლე მეფე გარსევან ჭავჭავაძეს იმ ხმების შესახებ აცნობებდა, რომლებიც თბილისში მყოფი რუსეთის ბატალიონების ოფიცრებს გაუვრცელებიათ. ამ ხმების მიხედვით, კავკასიის ხაზზე საქართველოში გამოსაგზავნად თითქოს მზად ყოფილა 10.000 მებრძოლი. მეფე წერს: ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით და ჯარიც არ ჩანსო[625].

გარსევან ჭავჭავაძისათვის წერილის გაგზავნის შემდეგ, 1796 წლის თებერვალშივე, ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა ივან გუდოვიჩს. წერილის დასაწყისშივე მეფე გენერალს აუწყებდა, რომ მას 3 თებერვალს ერთი წერილი უკვე გაეგზავნა. შემდეგ ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვართან შექმნილი ვითარების შესახებ წერდა: 1. მეფე გენერალს ძველ ამბავს შეახსენებდა და ასე მიმართავდა: აღა მაჰმად ხანი შუშის ციხის ალყას აგრძელებდა, როცა თქვენ მოგვწერეთ, რომ სანამ შუშის ციხეს არ აიღებდა, აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ვერ გამოილაშქრებდა; 2. აღა მაჰმად ხანი, ისე, რომ შუშის ციხე არ აუღია, ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობას აპირებდა; 3. თუ ღმერთმა არ ინება აღა მაჰმად ხანის შეჩერება, ქართველთა და რუსთა ჯარი (იგულისხმება თბილისში მყოფი ორი ბატალიონი – ვ. გ.) მტერს ვერ გაუმკლავდებოდა. წერილის დასასრულს მეფე ივან გუდოვიჩს ასეთი თხოვნით მიმართავდა: რადგან თქვენ უკვე გაქვთ იმპერატორიდან ბრძანება აღმოგვიჩინოთ ისეთი დახმარება, როგორიც მტრის მოსაგერიებლად გვჭირდება (ერეკლე II გულისხმობდა ეკატერინა II-ის 1795 წლის 4 სექტემბრის რესკრიპტს ივან გუდოვიჩისადმი), გაწუხებთ

---

[623] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 127.

[624] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 127.

[625] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 127.

თხოვნით, რათა იმპერატორმა ინებოს და დამატებითი ჯარი სწრაფად გამოგვიგზავნოს[626].

ერეკლე II-ის 1796 წლის 9 თებერვლის წერილის მიღების შემდეგ, 1796 წლის 7 მარტს, გარსევან ჭავჭავაძემ მოხსენება წარუდგინა ეკატერინა II-ს. ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა: 1. კავკასიის ხაზიდან საქართველოში გასაგზავნი ჯარის, არტილერიისა და ტვირთისათვის გზა (გზა ქართლ-კახეთის საზღვრიდან თბილისამდე – ვ. გ.) მზად იყო; 2. ერეკლე II მზად იყო ჯარის (10.000-14.000 მებრძოლი) სურსათით უზრუნველსაყოფად; 3. ივანე გუდოვიჩს მიუწერია ერეკლე II-თვის, რომ იმპერატორი უგზავნის ჯარს – 2.000 მებრძოლს, რისთვისაც მეფე დიდ მადლობას მოახსენებდა იმპერატორს და სთხოვდა კიდევ 8.000 მებრძოლის დამატებას. ეს ჯარი ერეკლე II-ს სჭირდებოდა აღა მაჰმად ხანის შემოსევისაგან თავის დასაცავად, ასევე, განჯასა და სხვა ადგილებში მყოფი ქართველი ტყვეების გასათავისუფლებლად; 4. თუ იმპერატორი ჯარის გაზრდას ინებებდა, შესაძლებელი იქნებოდა რუსთა და ქართველთა ძალებით ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვარსა და მდინარე არაქსს შორის მდებარე სახანოების დამორჩილება, ხოლო ის დაღესტნელი ხანები, რომლებიც ჯერ არ არიან რუსეთს ქვეშევრდომები, ქვეშევრდომობას ითხოვდნენ; 5. გავერანებული სამეფოს აღსადგენად ერეკლე II ითხოვდა სესხს 1.000.000 მანეთის ოდენობით; 6. ერეკლე II იმპერატორს სთხოვდა 1784 წელს მისთვის ნაბოძები არტილერიის იმ ნაწილის გადაცემას, რომელიც კავკასიის ხაზზე იყო ჩარჩენილი; 7. ქართლ-კახეთის მეფე სურვილს გამოთქვამდა, კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს პირისპირ შეხვედროდა[627].

1796 წლის მარტში კავკასიის ხაზიდან (ყიზლარიდან) **ვალერიან ზუბოვის** სარდლობით დერბენტის გავლით ირანში სალაშქროდ დაიძრა საექსპედიციო კორპუსი. 27 მარტს რუსეთის საიმპერატორო კარზე ქა-

---

[626] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 129.

[627] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 124-126. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, 128-130.

რთლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან მიიღო შეტყობინება, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. ქართლ-კახეთის მეფეს შეეძლო სრული ნდობით მოჰკიდებოდა გენერალო-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვს იმ საჭიროებებთან დაკავშირებით, რომლებიც მეფეს გააჩნდა; 2. ვალერიან ზუბოვი ერეკლე II-ს გადასცემდა ყველაფერს, რაც აუცილებელი იყო აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად და ტყვეების გამოსახსნელად[628]. საგარეო საქმეთა კოლეგია იმედს გამოთქვამდა, რომ ერეკლე II ყოველივე ზემოთ აღნიშნულს აღიქვამდა რუსეთის იმპერატორის მხრიდან კეთილი ნების გამოვლინებად[629].

ორი დღის შემდეგ, 1796 წლის 29 მარტს, გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან მეორე შეტყობინება მიიღო, რომლის შინაარსი ასეთია: 1. რუსეთის იმპერატორი მისი მფარველობის ქვეშ მყოფთ არ მოაკლებს დახმარებასა და ძლიერ მფარველობას; 2. გენერალ-ანშეფ ივანე გუდოვიჩსა და გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვს მეფე ერეკლე II შეიძლება მოეკიდოს სრული ნდობით მათგან საჭირო დახმარების მიღების დროს; 3. ერეკლე II აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიღებს ყოველგვარ დახმარებას[630].

1796 წლის 28 თებერვალს კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩს წერილი გაუგზავნია ერეკლე II-თვის. მეფეს ეს წერილი 23 მარტს მიუღია. საპასუხო წერილში, რომელსაც რიცხვი არ უზის, მეფე გენერალს სწერდა: გავიხარე, რუსეთის ჯარის გამოგზავნის ამბავი რომ შევიტყვეო[631]. წერილიდან ირკვევა: 1. ივანე გუდოვიჩს თბილისში მყოფი რუსეთის ჯარის (ორი ბატალიონის) მეთაურ პოლკოვნიკ სიროხნევისათვის უბრძანებია საქართველოში დამატებით

---

[628] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 131-132.

[629] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 132.

[630] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 132-133.

[631] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 134.

გამოსაგზავნი ჯარისათვის პროვიანტი შეესყიდა; 2. პროვიანტი ჯარისათვის უკვე შესყიდული ყოფილა; 3. შორს გავარდნილა ხმა საქართველოში რუსეთის ჯარის გამოგზავნის შესახებ[632]. წერილიდან ირკვევა, რომ ივან გუდოვიჩს აინტერესებდა, რა რაოდენობის ჯარის შეკრება შეეძლო ქართლ-კახეთის მეფეს და სად შეიკრიბებოდა იგი. ერეკლე II გენერალს ასეთ პასუხს აძლევდა: რადგან მე რეგულარული ჯარი არ მყავს, მიძნელდება ზუსტი ციფრის დასახელება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ 12.000 მებრძოლს შევკრებო. ჯარის შეკრების ადგილად ერეკლე II თბილისი ჰქონია შერჩეული, თუმცა შეიძლებოდა ამისათვის მდინარე ივრის ნაპირის გამოყენებაც[633]. მეფე ივან გუდოვიჩს კიდევ ერთ, რუსეთისათვის საინტერესო, ამბავს აცნობებდა: აღა მაჰმად ხანი თბილისიდან წასვლის შემდეგ განჯაში შეჩერებულა, განჯის ხან ჯავადის გარდა, მასთან გამოცხადებულან ჯავად ხანის ძმა **რაჰიმ ხანი**, ჭარელების და დაღესტნელების ჯარი. ერეკლე II-ს შვილი ალექსანდრე და შვილიშვილი დავითი ქართველთა, ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმთა ჯარით განჯისაკენ გაუგზავნია. ჯარის გაგზავნას მეფე ორი მიზეზით ხსნიდა: ა) განჯაში მყოფი ქართველი ტყვეების გათავისუფლება, ბ) განჯის ციხეში ჭარელთა ჯარის შესვლის თავიდან აცილება[634].

1796 წლის 30 აპრილს გრაფმა პლატონ ზუბოვმა ოფიციალური წერილით მიმართა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. იმპერატორი ამ დოკუმენტს გაეცნო და ასეთი რეზოლუცია დაადო: „Быть по сему," ანუ მოიწონა. პლატონ ზუბოვის წერილი ვრცელი და საინტერესოა. წერილის ძირითადი შინაარსი ასეთია:

1. იმპერატორმა ეკატერინა II-მ ბრძანა, ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) გარსევან ჭავჭავაძე სანკტ-პეტერბურგიდან გაგზავნილიყო იქ, სადაც მას უკეთ გამოიყენებენ (რუსულ დედანში: „Великая Монархиня, зная способности и ревность

---

[632] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 133-134.

[633] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 135.

[634] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 133-136.

кн. Чавчавадзева, повелеть изволила отправить его для употребления там, где он действительно полезнее будет")[635].

2. გარსევან ჭავჭავაძეს უნდა მოეგვარებინა ერეკლე II-ის ურთიერთობა ირანში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლებთან (რუსულ დედანში: „Он важные услуги возможет оказать в. в., естьли употребите его в сношениях с воинскими начальниками, коим высочайше поручено предводительство победоносных войск Российских")[636].

3. რუსეთის ჯარის, რომლის მთავარსადალი გენერალ-პორუჩიკი ვალერიან ზუბოვი იყო, მიზანს შეადგენდა არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა, არამედ იმათი განადგურება, ვინც იმპერატორის ქვევრდომ ქრისტიანთა ხელყოფა გაბედა (რუსულ დედანში: „Любезной брат мой, граф Валериан Александрович, не пропустит, конечно, ни единаго способа и ни малейшей возможности явить вам и областям вашим, что войско, им предводимое, стремится нетокмо на избавление и ограждение безопасностью царств ваших, но и на поражение и отмщение дерзнувших раззорять христиан, подданных царя, пребывающаго в мощном покровительстве Империи всероссийской")[637].

4 ერეკლე II-ს ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინა გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის ჯარებისათვის (რუსულ დედანში: „всеми силами и возможностями вашими споспешествовать будете усилиям, видам и подвигам войск наших").

5. თუ რუსეთის ჯარი შეძლებდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას მტრისაგან (აღა მაჰმად ხანისაგან), მაშინ ერეკლე II-ს ყველა ღონე უნდა ეხმარა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად და ქვეყნის კეთილდღეობისათვის (რუსულ დედანში: „Естьли сильные пособия и мужественные подвиги победоносных войск Российских достаточны будут на избавление, ограждение и утверждение в неприкосновенности

---

[635] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 140.

[636] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 140.

[637] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 140.

и безопасности в настоящем случае царств ваших извне, то впредь внутренне благоустройство оных одно токмо возможет, укореняя тамо порядок и общее благосостояние, сохранить на-веки те преимущества, кои сильным Российским покровительством и победоносным оружием приобретены быть могут"[638].

6. ქვეყანა, რომელშიც წესრიგი არ არის, ვერასოდეს გახდება ძლიერი და ვერასოდეს მოუტანს მოკავშირეს სარგებელს (რუსულ დედანში: „Владетели разных уделов, противуборствуя намерениям и видам один другого, и не имея взаимнаго уважения, научают примерами подданых к непослушанию, и все, стремясь к разным предметам и видам, не достигают ни единаго. Области, управляемые таковою властию, не будучи сильными к собственной защите своей, не могут быть и полезны союзникам своим"[639].

7. ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დატეხილი უბედურებიდან ცხადი გახდა, თუ რას მოუტანს ქვეყანას მეფის ხელისუფლების დასუსტება და ცალკეულ სამფლობელოებად დაშლა (რუსულ დედანში: „настоящее произшествие с Грузиею примером научить должно — сколь нужно для сохранения царств соединение царской власти, и сколь напротив того пагубно для всех разделение царства на уделы")[640].

პლატონ ზუბოვი ერეკლე II-ს შეახსენებდა, რომ რუსეთის მიზანია ქართლ-კახეთში მეფის ძალაუფლების განმტკიცება და სამეფოს საზღვრების მდინარე არაქსამდე და ოსმალეთის საზღვრებამდე გაფართოება (რუსულ დედანში: „Естьли, пользуясь днесь сильным покровительством победоносных войск Российских, в. в. предуспеете, во славу свою и для блага рода, царств и подвластных вам народов, и для христианства вообще, соединить и утвердить на веки царскую власть нераздельно

---

[638] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 141.

[639] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 141.

[640] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 141; П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 411.

и распространить владычество ваше до Аракса и до пределов Порты Оттоманской)"[641]. პლატონ ზუბოვი იმავე აზრს აგრძელებდა და აღნიშნავდა, რომ როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოში წესრიგი დამყარდება, სამეფო გაძლიერდება, იგი თვითონ დაიცავს თავს მტრების თავდასხმებისაგან (რუსულ დედანში: „устроя в порядке и возвелича силы и способы царств и областей ваших, нетокмо навсегда сами собою против неверных в состоянии будете защищать права свои и собственность подвластных вам народов, но, опровергая дерзостныя покушения врагов ваших, и наказывать их ослаблением их силы и приращением польз подданных ваших)[642]. პლატონ ზუბოვი წერილის დასკვნით ნაწილში ერეკლე II-ს აუწყებს, რომ როცა ქვეყანაში საფუძვლიანად დამკვიდრდება კანონიერება და ქრისტიანი ხელმწიფის სამართლიანი ხელისუფლება, როცა მტრისაგან დაპყრობის მომლოდინენი თავშესაფარს ჰპოვებენ სამართლიან სახელმწიფოში, თქვენს ქვეშევრდომობაში შესულნი თქვენს დიდებას მყარ საფუძველს შეუქმნიან (რუსულ დედანში: „Таким образом твердо основанное бытие царств и законной, и справедливой власти царя христианскаго, ободрить надеждою христиан, страждущих в порабощении у неверных, и, представляя им верный покров и убежище под сению кроткой и справедливой державы вашей, стечение их в подданство ваше умножать будет как славу, так и пользы ваши, прочное основание и, наконец, нерушимое бытие областей ваших; ограждением же безопасностью и неприкосновением пределов доставите всем жизнь и спокойную и изобильную. Событие таковаго благополучнаго для царств ваших состояния и не укоснить совершится, естьли вы, светлейший Царь, удостоите внять безпристрастному моему гласу, внушенному мне прямым к пользам вашим усердием и истинным к особе вашей доброхотством, с каковыми чувствами так, как и с наивысшим высокопочитанием и преданностию имею честь быть")[643].

---

[641] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 142.

[642] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 142.

[643] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-

რუსეთის ჯარების დერბენტიდან ირანში შეჭრამ და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარების შემოსვლამ, ცხადია, ოსმალეთის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. 1790 წლის აგვისტოში ოსმალეთის სერასკირი **იუსუფ ფაშა** არზრუმიდან ახალციხეში ჩავიდა. სერასკირს თან ახლდა, ერთი ცნობით, 13.000, ხოლო მეორე ცნობით, 30.000 მებრძოლი. იუსუფ ფაშამ აღა მაჰმად ხანს შეატყობინა, რომ იგი მზადა იყო ირანის ტერიტორიაზე შესასვლელად, თუკი აღა მაჰმად ხანი ამას ისურვებდა[644]. იუსუფ ფაშამ გარკვეული თანხა დაუგზავნა ტარკის შამხალს, ავარიის ხანს, ყუზიყუმის ხანსა და ლეკებს. სერასკირმა მათ რუსეთის ირანში დამკვიდრების შემთხვევაში შექმნილი საშიშროების შესახებ აუწყა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა[645].

აღა მაჰმად ხანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა მას არ შეეძლო, მით უფრო, რომ ხანების დიდი ნაწილი არ ემორჩილებოდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთში მყოფი რუსეთის ჯარის ორ ბატალიონს კიდევ დაემატა ახალი ჯარიც და არტილერიაც. დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ კასპიისა და კავკასიის კორპუსებისა და ასევე, ურჩი ხანების წინააღმდეგ ბრძოლა აღა მაჰმად ხანს არ შეეძლო. ირანის მბრძანებელს გამოსავალი უნდა ეპოვა.

ვალერიან ზუბოვის მეთაურობით ყიზლარიდან დერბენტის მიმართულებით ლაშქრობის დაწყებამ საგონებელში ჩააგდო დერბენტის ხანი **შეიხ ალი**. შეიხ ალიმ დახმარებისათვის ავარიის ხან **ომარს** მიმართა. შეიხ ალი ომარ ხანს დის მითხოვებას დაჰპირდა. ომარ ხანმა გადაწყვიტა, რომ რუსეთისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება მხოლოდ ოსმალეთის დახმარებით შეიძლებოდა და თხოვნით მამართა ოსმალეთის მთავრობას. სტამბოლში მიმავალ ელჩებს ომარ ხანმა თან გაატანა 30.000 ოქროს მანეთი და კიდევ 10.000 მანეთი. შეიხ ალის დახმარებით ომარ ხანის ელჩები არზრუმის გავლით სტამბოლში ჩავიდნენ[646]. ომარ ხანის წერილი მიმართული იყო ოსმალეთის მინისტრებისადმი. ხანი წერდა: თბილისზე აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის შემდეგ რუსეთმა ქართლ-

---

Петербург, 1902, стр. 142.

[644] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 404-405.

[645] **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 404-405.

[646] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург,1886, стр. 103.

კახეთის სამეფოს დახმარება აღმოუჩინა და თავისი ჯარი დერბენტზე დაძრა. ავარიის ხანი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ დერბენტი მორწმუნეთა (ე.ი. მუსლიმთა) და ურწმონოთა (ე.ი. ქრისტიანთა) შორის მიჯნასა და ამავე დროს სპარსეთის კარს წარმოადგენდა. ომარ ხანის აზრით, რუსებს სურდათ მუსლიმი მოსახლეობის ტყვედ აყვანა აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისში დატყვევებულების სანაცვლოდ. ავარიის ხანი შეშფოთებული იყო იმით, რომ რუსეთის ჯარი დერბენტს მიუახლოვდა და სამი თვის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა ქალაქს. ომარ ხანი ოსმალეთის მინისტრებს დერბენტის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში დახმარებას სთხოვდა. იქვე ავარიის ხანი ოსმალეთის მინისტრებს აცნობებდა, რომ მას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ დახმარებას აღა მაჰმად ხანი დაჰპირდა, მაგრამ შემდეგ პირი უცვალა და ირანის სიღრმეში დაიხია უკან[647]. ომარ ხანი ცდილობდა ოსმალეთის მინისტრებისათვის შექმნილი ვითარება, რაც შეიძლება, შავ ფერებში დაეხატა. ხანი წერდა, რომ რუსებმა მოისყიდეს და მიიმხრეს ტარკის შამხალი, ტაბასარანის ყადი და სხვა ხელისუფალნი, სცადეს მისი მოსყიდვაც. ომარ ხანს განსაკუთრებით აშფოთებდა ის, რომ დაღესტნის მმართველებში შეირყა რწმენა ალაჰისადმი, რაც ურწმუნოებთან (რუსებთან – **ვ. გ.**) კავშირში გამოიხატა. ავარიის ხანი ოსმალეთის მინისტრებს სთხოვდა: თუ სიშორის გამო ოსმალეთის ჯარის დერბენტის დასაცავად გაგზავნა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ სტამბოლიდან დაღესტნის მმართველებისა და სხვა დიდებულებისათვის უნდა გაეგზავნათ ბეჭდით დამოწმებული ოსმალეთის სულთნის ბრძანება და საჩუქრები[648].

სტამბოლში ჩასულმა ომარ ხანის ელჩებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. დერბენტის ხანი შეიხ ალი რუსების ჯარის წინააღმდეგ დაღესტნელი მმართველების დახმარების იმედად დარჩა[649].

1796 წლის სექტემბერში აღა მაჰმად ხანმა ფირმანით მიმართა ერეკლე II-ს. შემორჩენილია ამ დოკუმენტის სპარსულიდან რუსული თარგმანი. ქართლ-კახეთის მეფის დაუძინებელი მტერი, დაუნდობელი

---

[647] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 104.

[648] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 105.

[649] **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе.Том III. С.-Петербург, 1886, стр. 105.

და ვერაგი ადამიანი ერეკლე მეფეს ღრმა პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით მიმართავდა (რუსულ თარგმანში: „Высокопочтенный, высокоместный, щастливейший, избраннейший из Царей Грузинских и почтеннейший из всех славных Ханов персидских, Царь всей Грузии Ираклий...“)[650]. შემდეგ აღა მაჰმად ხანი ერეკლე II-ს ირანის შეახსენებდა შაჰის სამსახურში მყოფი ქართველთა ჯარის მიერ ავღანელთა წინააღმდეგ ყანდაღარში ლაშქრობის დროს გამოჩენილ გმირობას (რუსულ თარგმანში: „Семьдесят лет тому назад как подвигами Грузинских войск, бывших в походе Кандагарской области, части империи Иранской...“)[651]. ამ შესავლის შემდეგ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის მეფეს მიმართავს და იხსენებს ირანის გარდაცვლილ შაჰს, სულთან ჰუსეინს და ყოველგვარი განმარტების გარეშე წერს, რომ ერეკლე II ირანელი (სპარსი) იყო (რუსულ თარგმანში: „Ваше Высокостепенство есть также Иранец; равно деды и прадеды Твои происходили до ста колен из роду Иранцев же“)[652]. ამის შემდეგ აღა მაჰმად ხანი ერეკლე მეფეს მიმართ გაკვირვებას გამოთქვამს, რუსებთან ერთად რატომ ხარო (რუსულ თარგმანში: „Я удивляюсь тому, что Ты [заодно] с Россиянами“)[653]. აღა მაჰმად ხანი ერეკლე მეფეს განუმარტავს, თუ რატომ არ უნდა იყოს ის რუსეთთან, ანუ რატომ უნდა იყოს ირანთან. ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ ერეკლე მეფე ირანელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ირანთან აღმსარებლობითი ერთობა არ ჰქონდა, მაინც ირანის მხარეზე უნდა ყოფილიყო (რუსულ თარგმანში: „Хотя В-ше Высокост-о с нами не единозаконец, но по происхождению Вашему с Иранцами — единоземец“)[654]. აღა მაჰმად ხანი

---

[650] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 146.

[651] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 146.

[652] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 146.

[653] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902, стр. 146.

[654] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-

ერეკლე მეფეს მოუწოდებდა, არ მიექცია ყურადღება აღმსარებლობაში განსხვავებისათვის (რუსულ თარგმანში: „В Иранской империи много находится мусульман, Турков, Грузинцев, Армян, неверных и прочих законов, то следовало Тебе за единоземство свое стоять и в такия дела не входить")[655]. ფირმანის შუა ნაწილში აღა მაჰმად ხანი ტონს ამკაცრებდა და 1795 წლის სექტემბერში მის მიერ ქართლ-კახეთის დარბევასა და ქართველების დაღუპვაში ერეკლე მეფეს ადანაშაულებდა. აღა მაჰმად ხანი წერდა, რომ იგი არასდროს არ ყოფილა მომხრე ქვეშევრდომების დაღუპვისა (რუსულ თარგმანში: „Учиненному прошлаго года раззорению Грузии и погибили жителей Ты сам причиною, — наша сильная власть никогда б не благоволила на погибель наших подданных")[656]. ფირმანის დასკვნით ნაწილში აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის მეფეს უკვე როგორც ქვეშევრდომს, ისე მიმართვს და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას „ურჩევს" (რუსულ თარგმანში: „В-ше Высокост-о есть человек благоразумный и следущий, то и должно Вам сии дела оставить, и по Вашему с нами единоземству не иметь с Россиянами соединения")[657]. გაჯიუტების შემთხვევაში აღა მაჰმად ხანი ერეკლე მეფეს ომით, ქართველთა და რუსთა სისხლის დაღვრით ემუქრება (რუსულ თარგმანში: „А ежели Вы пребудете в оном упорны, то в скором времени все те места будут находится под палатками государства нашего, и, при помощи Божией, зделаем из крови Российских и Грузинских народов реку текущую")[658].

1796 წლის 10 ოქტომბერს ირანში მყოფმა რუსეთის იმპერიის საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდალმა გენერალ-პორუჩიკმა ვალე-

---

Петербург, 1902, стр. 146.

[655] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 146.

[656] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 146-147.

[657] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 147.

[658] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 147.

რიან ზუბოვმა წერილი გაუგზავნა გარსევან ჭავჭავაძეს. წერილი ვრცელია. ვალერიან ზუბოვი გარსევან ჭავჭავაძეს აცნობებდა, რომ მან კავკასიის კორპუსი გენერალ-მაიორ **ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვის** სარდლობით განჯისაკენ გაგზავნა, რათა დახმარება აღმოეჩინა მეფე ერეკლესათვის[659]. გენერალი გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა ყველა ღონე ეხმარა კორპუსის პროვიანტით მომარაგებისათვის და თბილისში შეექმნა სურსათისა და ფურაჟის ფართო ბაზა, რისთვისაც გამოყოფილი იყო საჭირო თანხა[660]. შემდეგ ვალერიან ზუბოვი გარსევან ჭავჭავაძეს წერდა, რომ კავკასიის კორპუსის მიზანი იყო აღა მაჰმად ხანის ერევნისა და აზერბაიჯანის სახანოებიდან განდევნა, რისთვისაც აუცილებელი იყო აზერბაიჯანის სახანოების გაერთიანება. აზერბაიჯანის სახანოების აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ გაერთიანებაში ვალერიან ზუბოვს ერეკლე II-ის დიდი დახმარების იმედი ჰქონდა[661]. კავკასიის კორპუსის მომარაგებასა და აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე საუბრის შემდეგ ვალერიან ზუბოვი გარსევან ჭავჭავაძეს ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაძლიერების გადაუდებელ აუცილებლობაზე მიანიშნებს (რუსულ დედანში: „безотлагательства нужно приступить к водворению и утверждению в вашем отечестве единовластия“)[662]. გენერალი გარსევან ჭავჭავაძეს აფრთხილებს: თქვენ თვითონ ხომ კარგად იცით, რა სიკეთე მოაქვს მეფის ძლიერ ხელისუფლებას და ისიც კარგად იცით, რა საშინელი შედეგები აქვს მეფის ხელისუფლების დასუსტებასო (რუსულ დედანში: „Сами вы, мой любезный приятель, знать изволите коль великая и прочная от сего имеет произойти польза, и, напротив, коль ужасны последствия поделения на уделы всякой области, и что там общественное благо и единодушие непременно изчезнут, где

[659] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 147.

[660] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 147-148.

[661] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 148.

[662] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 148.

народ правим разнообразно и удовлетворяет прихотям, а не общим потребам")[663]. ვალერიან ზუბოვი იმედს გამოთქვამდა, რომ გარდაქმნების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო აღორძინდებოდა და ყველა მტერზე ძლერი გახდებოდა (რუსულ დედანში: „Грузинское царство, конечно, возстанет и учинится достаточным само по себе к превозможению над всяким своим неприятелем")[664].

1796 წლის 10 ოქტომბერსვე ვალერიან ზუბოვმა წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს. სუბორდინაციიდან გამომდინარე, ვალერიან ზუბოვი მეფეს ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო ვითარების შესახებ არაფერს სწერს და მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებს ეხება. გენერალი მეფეს აცნობებს, რომ რუსეთის იმპერატორის ბრძანების თანახმად, მან კავკასიის კორპუსი **ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვის** სარდლობით განჯისაკენ გაგზავნა. ვალერიან ზუბოვი წერდა, რომ ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვი რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ერთობლივი მიზნის მისაღწევად მისგან აღჭურვილი იყო ყველა უფლებით. რიმსკი-კორსაკოვი ერეკლე II-ს პირადად გადასცემდა ვალერიან ზუბოვის დანაბარევს ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით, როგორც ამას მეფე ისურვებდა[665]. წერილი მეფეს იმასაც აუწყებდა, რომ ვალერიან ზუბოვს აზერბაიჯანის ხანებისთვის წერილი გაუგზავნია. გენერალი ხანებს აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ გაერთიანებისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის განთავისუფლებისაკენ მოუწოდებდა[666].

ერეკლე II-მ ვალერიან ზუბოვს პასუხი რუსი ოფიცრის, პრემიერ-მაიორ **ვერდერევსკის**, მეშვეობით აცნობა. მეფე იუწყებოდა:

1. ერევნის სახანოში აღა მაჰმად ხანის ჯარის განადგურება შეუძლებელი იყო, რადგან რუსეთის ჯარები ერევნიდან ძალზე შორს იმყ-

[663] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 148.

[664] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 148.

[665] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 151.

[666] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 151.

ოფებოდნენ;

2. თბილისზე აღა მაჰმად ხანის თავდასხმის დროს ქართველების დახოცვასა და სისხლის დაღვრაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა განჯის, ნუხისა და ერევნის სახანოების მოსახლეობა;

3. განჯაში უამრავი ქართველი ტყვე იმყოფებოდა;

4. გავრცელდა ცრუ ხმები, რომ თითქოს ქართლ-კახეთის სამეფოში პურის მარაგი არ არსებობდა;

5. ქართლ-კახეთის სამეფოს ლეკებისა და ჭარელებისაგან დაცვა ესაჭიროებოდა;

6. მოხუცებულობის გამო ერეკლე II-ს ერთმმართველობის აღდგენა და საუფლისწულოებისა და სათავადოების მოსპობა არ შეეძლო და მთელს იმედს შვილზე, ბატონიშვილ დავითზე, ამყარებდა, რომელსაც რუსეთში არმიაში სამსახურისათვის აგზავნიდა: „Возсмоновить единовластие и уничтожить уделы он, по старости ием не может, предоставляя все в полную волю Е. И. В., и пологая более всех надежды на внука своего царевича Давыда, коего отправляем к армии"[667].

პრემიერ-მაიორ ვერდერევსკის საუბრიდან ვალერიან ზუბოვს ასევე შეუტყვია: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარი **ალექსანდრე ბატონიშვილის** სარდლობით განჯაში 1796 წლის თებერვალში მისულა. ჯარში 3.000 მებრძოლი ყოფილა, მაგრამ სურათის მარაგის ამოწურვის შემდეგ, 1796 წლის მაისში, 100 მებრძოლილა დარჩენილა, დანარჩენები გაქცეულან; 2. 1796 წლის მარტში ყარაბაღის ხან იბრაჰიმს 3.000 მებრძოლით და ლეკების 3.000 რაზმს ალყა შემოურტყამთ განჯის ციხისათვის. მოალყე ჯარს ერეკლე II-გან დიდი რაოდენობით სურსათი მიუღია. განჯისაკენ დაძრულა ერეკლე II 7.000 მებრძოლით. როგორც კი ეს იბრაჰიმ ხანს შეუტყვია, სასწრაფოდ დაზავებია განჯის ხანს ჯავადს, განჯის ხანს ყარაბაღის ხანისათვის მძევლად მიუცია შვილი, და ასევე ათი ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლები. იბრაჰიმ ხანს ჯავად ხანისაგან ასევე მიუღია 100.000 მანეთი, ლეკებს ყოველ მებრძოლზე მიუღიათ 40 მანეთი; 3. 1795 წლის მაისში განჯასთან მისულ ერეკლე II-ს ყარაბაღის ხან იბრაჰიმთან დაზავების განზრახვა ჰქონია; 4. განჯის ალყის დროს შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაღუპულა ალყაში მყოფთა დიდი

[667] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 151-152.

ნანილი – 5.000 კაცი; 5. პრემიერ-მაიორ ვერდერევსკის განჯაში ყოფნისას შეუმჩნევია, რომ მცხოვრებლები ალყის მოხსნის შემდეგაც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ; 6. ქართლ-კახეთის სამეფოში მოსახლეობა (თავადები, აზნაურები, დაბალი ფენები) მეფე ერეკლეს მმართველობით უკმაყოფილონი ყოფილან, მას სდებდნენ ბრალს თბილისის გავერანებაში; 7. გავრცელებულია ხმები, რომ თითქოს დარეჯან დედოფალს ტახტზე იულონ ბატონიშვილის აყვანა სურდა; 8) ერევნის ციხეში აღა მაჰმად ხანის 400 მებრძოლი გამაგრებულა, რომელთაც საკმაო რაოდენობით პოვიანტი ჰქონიათ[668].

ყარაბაღის ხან იბრაჰიმისა და ლეკების მიერ განჯის ციხის ალყისა (1795 წლის მარტი) და განჯაზე ერეკლე II-ის გალაშქრების შემდეგ (1795 წლის მაისი) მეფემ აღა მაჰმად ხანის ტყვეობიდან გაქცეული მირზა **აბრაამის** წერილი მიიღო[669]. მირზა აბრაამს ტყვეობაში ყოფნისას ბევრი საინტერესო ამბავი შეუტყვია. ეს ამბები მან ჯერ ყარაბაღის ხან იბრაჰიმს უამბო, ხოლო შემდეგ ერეკლე II-ს მისწერა. მირზა აბრაამის ნაამბობი იბრაჰიმ ხანმა წერილით ერეკლე II-ს შეატყობინა. ამრიგად, ერეკლე მეფემ მირზა აბრაამის მიერ ირანში ტყვეობისას გაგებული ამბები ორი წყაროდან – მირზა აბრაამის წერილიდან და იბრაჰიმ ხანის წერილიდან იცოდა[670]. მირზა აბრაამისა და იბრაჰიმ ხანის წერილებიდან ირკვევა, რომ როგორც კი ირანში რუსეთის ჯარის შეჭრის ამბავი შეუტყვია, აღა მაჰმად ხანს სასწრაფოდ ქვეყნის შიდა რეგიონებისათვის შეუფარებია თავი[671]. იბრაჰიმ ხანი ერეკლე II-ს სთავაზობდა ესარგებლათ აღა მაჰმად ხანის გაქცევით და განჯა დაეკავებინათ[672].

---

[668] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 152-153.

[669] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 154-155.

[670] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 154-155, 155-156.

[671] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 154, 156.

[672] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმპერატორმა პაველ I-მა ირანში ლაშქრობა შეწყვიტა და 1796 წლს დეკემბერში კასპიის კორპუსი კავკასიის ხაზზე დააბრუნა. 1797 წლის გაზაფხულზე კავკასიის კორპუსიც კავკასიის ხაზზე დაბრუნდა. თბილისში დარჩა რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი პოლკოვნიკ **სიროხნევის** მეთაურობით. პაველ I-მა სერიოზული ცვლილებები შეიტანა იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. ცხადი გახდა, რომ რუსეთი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ომს აღარ გააგრძელებდა. ეს კი კარდინალურად ცვლიდა ვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ამიერიდან ერეკლე მეფეს იმპერატორ პაველ I-თან უნდა ჰქონოდა ურთიერთობა.

1797 წლის 16 აპრილს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ორი წერილი გაგზავნა სანკტ-პეტერბურგში – ერთი **ალექსანდრ ბეზბოროდკოს**, მეორე – იმპერატორ **პაველ I**-ს[673].

მეფე ალექსანდრ ბეზბოროდკოს სწერდა, რომ დიდად დაამწუხრა ირანში რუსეთის ჯარის ლაშქრობის შეწყვეტამ: „...ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევაშემოსილის მხედრობით სპარსეთში ამჟამად ლაშქრობა დაყენებულა, რაც ჩვენს მფარველად რუსეთის ჯარი იმყოფება — ამათაც წასვლა ეგულებათ, რომელმაც დიდსა შერყევაში და მწუხარებაში შეგვიყვანა“[674]. შემდეგ ერეკლე მეფე ალექსანდრ ბეზბოროდკოს იმ ვითარებას უხატავს, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოჰყვებოდა: „ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაცა მოწერილი მუქარის წიგნი აწ უმაღლესს კარს მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა რუსეთის უმაღლესი საფარველი ახდილი ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებულნი კაცნი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება,

---

Петербург, 1902, стр. 156.

[673] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 132.

[674] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 131.

ეკკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება"[675]. კონკრეტულად, მეფის სათხოვარი ასეთი იყო „ამისათვის უმდაბლესად გთხოვ შეინყალე უმაღლესის ტახტისა მაგის საფარველ ქვეშ მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი მტერთა წარწყმედისაგან, და შეგვეწიენით მათის იმპერატორების დიდებულების წინაშე, რომ მოწყალების მოიმედენი უნუგეშოდ არ დავრჩეთ, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შ-დ ღ-ისა, უსაკუთრესად მონდობილი არის ყ-დ მოწყალის ჩვენის ხელმწიფის მოწყალებაზედ. და ახლა ჩვენი თხოვნა ეს არის: მათმა უდიდებულესობამ ინებოს მფარველად ჩვენდა **ორს**, ანუ **სამს** წლამდე **ოთხი ათასი** კაცი, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა ნება მათის იმპერატორობის დიდებულებისა აღსრულდეს — რა ერთიც ინებოს, იმდონი დააყენოს; და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს უმაღლესის კარისაგან სამსახური გამოგვეცხადოს, და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოვახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარული იქმნება და მოწყალებად მივიღებთ"[676]. ერეკლე მეფე იმპერატორ პავლე I-ს იმავეს სთხოვდა, რასაც ალექსანდრე ბეზბოროდკოს: „ყ[ოვლა]დ უაღვისტესო ხელმწიფევ, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდიდებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენზედ ახდილად ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებული კაცნი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექმნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმონებრიესად მუხლდადგმით გევედრები, ყ[ოვლა]დ უმოწყალესო ხელმწიფევ, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა და შეინყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწყმენდისაგან, და ინებეთ მფარველად ჩვენდა ბოძება ეგოდენისა ძლევაშემოსილისა მხედრობისაგან **ოთხი ათასი კაცი ორსა, ან სამსა წლამდე**, ვიდრემდის ჩვენცა

---

[675] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 131.

[676] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 131.

ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა თქვენის იმპერატორების დიდებულების ნება აღსრულდეს, — რაერთიც ინებოს, იმდენი დაარჩინოს, და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს თქვენგანაც სამსახური გამოგვეცხადოს, და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოგახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარულ იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. ნუ დაგვაგდებ თქვენის ყ[ოვლა]დ მოწყალების მოიმედეთა, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შემდგომად ღ[ვთ]ისა, უსაკუთრესად მონდობილ არის თქვენს მოწყალებაზედ"[677].

გარსევან ჭავჭავაძე ყოველ ღონეს მიმართავდა, როგორმე შეეყოვნებინა რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოდან გასვლა. მის თაობაზე სანკტ-პეტერბურგში მიმავალი ელჩი მოსკოვიდან ალექსანდრ ბეზბოროდკოს სწერდა, რომ ქართლ-კახეთიდან ჯარის გარდმოყვანა არ დააშუროს"[678]. სანკტ-პეტერბურგში ჩასულმა გარსევან ჭავჭავაძემ საქართველოდან სასიხარულო ამბავი შეიტყო. წერილი 1797 წლის 16 მაისით იყო დათარიღებული. სამშობლოდან გარსევან ჭავჭავაძეს ატყობინებდნენ, რომ რუსეთის ჯარის ორმა ბატალიონმა ჯერჯერობით საქართველოში დარჩენის ბრძანება მიიღოო (რუსულ დედანში: „Маия 7 числа получили мы радостное известие, что находящемуся здесь (русскому) войску наслано повеление оставаться в здешних местах. По таковом известии сам царь и весь народ принес Всевышнему благодарность молебным пением и пришел в ободрение")[679].

მამის, მეფე ერეკლეს, დავალებების შესასრულებლად ყოველ ღონეს ხმარობდა **მირიან ბატონიშვილი**. 1797 წლის 9 ივნისს მირიან ბატონიშვილმა წერილი გაუგზავნა იმპერატორ პაველ I-ს. მეფე ერეკლეს დავალებით, მირიან ბატონიშვილმა წერილთან ერთად აღა მაჰმად ხანის

---

[677] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1898, стр. 132. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 160-161.

[678] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 133.

[679] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 162.

მიერ ერეკლე II-თვის გაგზავნილი ფირმანის რუსული თარგმანიც მიართვა იმპერატორს[680]. დოკუმენტი მაშინვე ქართულად უთარგმნიათ. მოგვყავს ფირმანიდან ფრაგმენტები: "...ჩვენის დიდებულების ბრძანება არის: უმაღლესი საქართველოს ვალი **ერეკლე-ხან**. ღ[ვთ]ის წყალობის შ[ემდგომა]დ ჩვენის ხელმწიფობის წყალობით შენი თავი ამაღლდეს!"[681]. ირანიდან რუსეთის ჯარის გაწვევით გულმოცემული აღა მაჰმად ხანი მეფე ერეკლეს რუსების შესახებ გამარჯვებულის პოზიციიდან წერს: „ასე იცოდე, რომ რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველს ჟამს აღებმიცემა, ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, არას დროს იმათგან ხრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის დაჭერილის ქვეყნების სამზღვარში შემოვიდნენ, — ამათი გარდახდევინება და ამოწყვეტა ჩვენს მაღალს გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოემართა. იმ რუსებმა რომ ჩვენის ბედნიერის დროშების ამ მხარეს წარმომართვა გაიგონეს, თავიანთის საძაგელის ადგილებისაკენვე დაბრუნდნენ. და ახლა ჩვენის ხელმწიფობის თვალნი ამას მჭურეტელობენ, რომ რომელნიც გარდავახდევინოთ და ამოვსწყვიტოთ, ამისათვის ჩვენის ხელმწიფობის დიდებულების ნათელი ამ ადგილებს მოეფინა და ამ მხარის ადგილებს მოეფინა, და ამ მხარის ადგილების მინდრვები ჩვენის ბედნიერის კარვების დასადგმელი ადგილი შეიქმნა. რადგან შენი სიმაღლე ერანის ქვეყნებში დიდის გვარისა და ჰსტიბრისა პატრონი არის, შენის პატივის სიმძიმე ჩვენის მწყალობელის თავადთა წ[ინაშ]ე დამტკიცებული არის, ამისათვის ამ წყალობის კალმით იწერება, რომ პირველს ჟამიდამ აქამომდე წყალობა და სიკეთე შენს სიმაღლეზედ ნიადაგ ჩუ'Ქნის ხელმწიფობის გულში დამტკიცებულ იყო, და წყალობისა და სიკეთის გარდა ჩვენს გულში შენთვის არა იყო რა"[682]. აღა მაჰმად ხანი 1795 წლის სექტემბერში თბილისის აოხრებას მეფე ერეკლეს აბრალებდა: „ის საქმე, რომ

---

[680] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 163-164.

[681] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 133.

[682] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 134.

მაშინ მოხდა (თბილისის აოხრება – **ვ. გ.**) – ის შენგან დაიბადა"[683]. აღა მაჰმად ხანი ერეკლე II უბრძანებდა: „რადგან ჩვენი წყალობა ყოველგან მიფენილი არის, ჩვენის სამართლიანის გონების საშვალ ეს არის დამტკიცებული, რომ შენმა სიმაღლემ და შენმა შვილებმა ჩუ'ტნის დიდებულების სიმდიდრისაგან წყალობის წილი მიიღოთ და დიდს ადგილს მიწევნის წყალობა მოიპოოთ, ამიტომ ეს ჩუ'ტნი ფარმანი შენ მოგევლინება, რომ ჩუ'ტნის ხელმწიფობის კარები შენს საწადელს პირზედ ღია გეგონოს, და როგორც ერთგულების რიგი და ჩვენის ხელმწიფობის წადილი არის, ამის მზგავსად სამსახურის გზაზედ უნდა დასდგე, – ან შენ და ან ერთი შვილებიდამ, დიაღ იმედიანად და ხათრიჯამობით, ჩვენის ხელმწიფობის კარზედ მოხვიდეთ, და ჩვენგან ფერადი წყალობა მიიღოთ, და თუ რაც გვიბრძანებია იმას გარდახდი, და რომელიც გვიბრძანებია ასე არა ჰქმენ, – შენ იცი"[684].

1797 წლის 11 ივნისს ერეკლე II გარსევან ჭავჭავაძეს სასიხარულო ამბავს აუწყებდა: „დღეს რომ ამ თვის ცხრა იყო და ეს წიგნი დავსწერეთ, ჩვენი კაცი **საფარა** მოვიდა განჯიდამ და ეს ანბავი მოგვიტანა: აღამაჰმადხანის ჯარი **არეზის** პირზედ რომ მოვიდაო, **იბრეიმხან** მაშინვე **შუშის** ციხიდამ აიყარა, ცოლშვილით და ნათესავებით **შირვანისაკენ** წავიდა, და დაღისტანში მივაო, თუმცა ზოგიერთა თავის ფამილია უწინვე გაესტუმრებინა, მაგრამ მანამდის აღამაჰმადხანის ჯარი არეზის პირზედ არ მოსულა, თითონ შუშის ციხიდამ არ აყრილა, შ[ემდგომა]დ ისიც ღამით გაქცეულა. იბრეიმხანის გაქცევის **სამს დღეს** უკან აღამაჰმადხან შუშის ციხეში შემოსულა, და არეზის გამოსვლაშიაც **ორიათასი** კაცი დარჩობია, და კიდევ განჯის **ჯავათხანიც** აღამაჰმადხანის დაბარებული ყოფილა, და წასულა. და უკანასკნელ წერილისა ამის აღამაჰმადხანის სიკვდილის ამბავიც მოგვივიდა, რომ ციხეში შემოსული **მეხუთე დღეს, ხუთ ივნისს,** თავის მოსამსახურეთ მოუკლავთ, — სარწმუნო არის, რომელზედაც ეჭვის მიღება არა გმართებსთ"[685]. აღა მაჰმად ხანის მკვლელობა მეფე

---

[683] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 134.

[684] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 134.

[685] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.**

ერეკლეს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. მეფეს ახარებდა ის, რომ რუსეთის ჯარი ჯერჯერობით რჩებოდა საქართველოში, მაგრამ არაფერი უწყოდა იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა ამ ნაწილებს ბრძოლებში მონაწილეობის უფლება. რუსის ჯარის თანადგომა ერეკლე მეფეს ქარის დასალაშქრად, ერევნისა და განჯის სახანოებზე უფლების აღსადგენად სჭირდებოდა: „მართალია, აქ მყოფს რუსეთის მხედრობას ბძანება მოუვიდა აქავ მოცდისა, მაგრამ მოქმედების ბძანება აქვსთ, თუ არა, — არ ვიცი; ეცადე, რომ აქ მყოფს ჯარს ებძანოს საფარში ჩვენთან გამოყოლა, რომ ჩვენ ჩვენს საზღვრებში და ჩვენს შინაგანს ყ[ოვე]ლთვის მაშფოთებელს **ქარეთზე** ვილაშქრებთ, და ესენიც თან გამოგვყვნენ, და აგრეთვე ჩვენი ახლანდელი დაკარგული მამულები, რ[ომ]ლითაც რუსეთის უმაღლესს საფარველს ქვეშ შემოვედით, ესე იგი **განჯა ერევნითურთ**, ჩვენთანვე უძლეველის საჭურველის ჩრდილის ქვეშ დაცვით მოვიბრუნოთ, და გარე საზღვრისა, თუ არა მათის იმპ. დიდ. უმაღლესის ბრძანებით, არსად მივსცე სახე წასვლისა, და არც ასეთს კერძოს შევეხო, რომ ან ხვანთქრის აშლა იყოს, და ან ჩვენის ყ[ოვლა]დ უმოწყალესის ხელმწიფის ნების წინააღმდეგად დასანახველი იყოს; და სხვებრ ჩვენი თხოვნა ისივ არის, რ[ომე]ლიც შენთვის ან წერილით, და ან სიტყვით გვირწმუნებია, და როგორც შეგეძლოს, ვისთანაც მართებული იყოს ჩვენს საქმეში მყოფს გვამებთან, — ეცადე, რომ მათის შუამავლობით დიდებულმა ხელმწიფემ, მტრის ხელით გამომხსნელმა, ჩვენზედ თავისი უმაღლესი მოწყალება დაამრჩობლოს, და ჩვენნი ზემოხსენებულნი სათხოვრები დაპყრობით დაგვიმტკიცოს. რაოდენ შენგან შეიძლებოდეს ყ[ოვ]ლის ჩვენის მოხსენებულის პასუხი ჟამზედ გვაცოდინე, რადგანაც დიდად მარჯვე დრო გვაქვს, რომ ეს სასარგებლო და მარჯვე დრო არ დავკარგოთ"[686].

1797 წლის 11 ივნისს გარსევან ჭავჭავაძემ იმპერატორ პაველ I-ს ერეკლე II-ის სათხოვარი მიართვა. სათხოვარს ელჩი თავისი კომპეტენციის შეხსენებით იწყებდა: რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფო უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის შესახებაც იმპერატორს უკვე მოხსენდა: „მათმა უმაღლესობამ მეფემ

С.- Петербург, 1898, стр. 135-136.

[686] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 136.

ირაკლი თეიმურაზოვიჩმა, ხელმწიფემან ჩემმან, წარმომგზავნა მე დასავრდომელად უსამღრთოესისა თქვენის იმპ. დიდებ. კუარცხლბეკისა მიმართ და მოსალოცავად უავღუსტესის აღსვლისათვის თქვენისა სასქესოსა სამკვიდროსა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსა ზედა; სრულძალმქონებელ მყო მე, რათა წარუდგინო თქვენს იმპ. დიდებ. რომელნიმე სათხოვარნი კერძოსა მისისანი, ვითარცა წერილსა შინა მისსა, ჩემ მიერ მდაბლად მორთმეულსა, მოხსენებულ არს მისთვის"[687]. ხოლო მეფის სათხოვარი უავგუსტესისადმი რამდენიმე პუნქტად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ირანიდან რუსეთის ჯარის გამოყვანის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოში დარჩეს რუსეთის ჯარი, რომელიც მეფეს და ხალხს სიმხნევეს მატებდა და უშიშრად ცხოვრების გარანტიას წარმოადგენდა: „მეფემან, ხელმწიფემან ჩემმან, და ერმან მისმან არა უწყიან და არცა საჭირო არს ცნობა თუ ვითართა მიზეზთათვის რუსეთის იმპერატორის მხედრობას მიეცა ბრძანება, რათამცა გამოვიდნენ სპარსეთით და დაუტეონ საზღვარნი მისნი, მაგრამ მხოლოდ უმაღლესობა მისი და ყოველი ერი მისი ყ[ოვლა]დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვენ, რ[აით]ა მისცეთ უმაღლესი ბრძანება აწ საქართველოსა შინა მყოფსა რუსეთის მხედრობის დასსა, რ[ომე]ლ დაშთნენ მუნ ვ[იდრემ]დის აწინდელნი აღრეულნი გარემოებანი განვლიდნენ, და შ[ემდგომა]დ მისსა, ძალისა მებრ სეპარატის არტიკულისა, შესაძლებელ არს დაშთნენ მუნ ოდენ რიცხვნი იგი, ვ[ითარც]ა ინებებს თქვენი იმპ. დიდებ. მსგავსად დანიშნულისა ტრაკტატისა ყ[ოვლა]დ მოწყალებითა მუნ დაშთომის ბძანებას. ხოლო მეფეცა, ჩემი ხელმწიფე, არა იკადნიერებს მასთან მყოფის რუსეთის მხედრობისას, თუ არ უსაკუთრესის უმაღლესის ბძანებით, საქართველოს საზღვარს გარე ხმარებას, და მეზობლებთა თვისთადმიცა იქმნების მქცეველ თვით უმეგობრესითა სახითა მას ჟამადმდე ვ-დის იქმნების იგი სათნო თქვენის იმპ. დიდებ. და ებრძანების მას განგრძობა მისი, და თვითცა თავით თვისით არა რაჲსათვის და არა ვისთან არა ვითარსამე საქმესა ზედა იწყების შებედვასა, თუ არ თქვენის მაღალმონარხობი-

[687] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 137. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 166.

თის მას ზედა ნებობით, და ყოვლით იქმნების მეძიებელი ღონისა მეზობლებთა მისთადმი მშვიდად, სიყვარულით, მეგობრად და თანხმობით ცხოვრებისათვის. მუნ ყოფნა მხედრობისა ამის აძლევს მეფესა და ერსა ვ[ითარც]ა რ[ომე]ლსამე საფარველსა და დიდსა სიმხნესა განსვენებითისა და უშიშროებითისა ცხოვრებისათვის მათისა, და გარდა ამისსაცა იპყრობს ყოველსა თანამდებობასა შინა თვისსა; და უკეთუ ვინმე ქვეშემვრდომთა მისთაგანმან ვ[ითა]რითამე ბოროტგანზრახვითა მოინდომოს დარღვევა ყ[ოვლა]დ საზოგადოსა მშვიდობისა და განსვენებისა, მაშინ ესე ვითარისა ჟამისათვის შემძლებელ იყვნენ იგინი ბრძანების ქონებით მოსახმარებელად დამშვიდებისათვის მათისა. მხედრობასა მას ყოფნასა მუნ თვისა თავისათვის საზრდოდ სახმარებელსა სურსათსა და სხვათაცა სათადარიკოთა ხორაგთა შინა დღემდე არა ვ[ითა]რნიმე დამჭირნეობანი არა აქვნ და შ[ემგომ]დცა არა ექმნებათ, ვინადგან მეფე, ჩემი ხელმწიფე, პ[ირუ'Ѣ]ლითა თვისითა მზრუნველობითა გადამეტებით შეჰკრებს, რ[ომე]ლ ყოველივე იყოს კეთილ დროᲲსათვის მზა, რომელიცა ახლა არს თვით მცირეს ფასად, რომლისათვისცა მუნ მყოფს ღენერალს და ყოველთა მთავრებთა პოლკთათა ძალუცთ მოწმობა. ესრეთუ'Ѣñ saqarTუ'Ѣლოსა შინა ჰაერი არს ყოველთათვის მრთელ და არა როგორმე მწყენელ აქაურისა მხედრობისა, და პირის-პირ მისა არს ყოველთათვის ვ[ითარც]ა მშობელი ქვეყანა."[688].

2. რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის ტახტის მოსაყდრედ „სჯულიერი მემკვიდრე" ბატონიშვილი გიორგი აღიაროს: „მეფე, მხილველი თვისსა მოხუცებულებითსა წელსა, რომ სისუსტენი მძლე ექმნებიან მას და დღენიცა ცხოვრებისა მისისანი ჰშთებიან მცირენი, და აღმრჩევი და შ[ემდგომა]დ თვისსა სჯულიერისა მემკვიდრის სამეფოსათვის ძისა თვისისა გიორგისა, ყ[ოვლა]დ უმდაბლესად სთხოვს თქვენს დიდებ., რათა გაგზავნოთ თქვენის უმაღლესის კარიდამ ერთი აქაური უფალი, რომლისაცა ნება იქმნეს უმაღლესს დასამტკიცებელად და ანუ განსამაგრებელად მემკვიდრისა ამის"[689].

---

[688] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 137-138. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 166-167.

[689] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.**

3. რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის მეფესა და ხალხს მისცეს კანონი სამეფოს მართვისათვის: „მისცეთ მეფესა და ერსა მას ჰსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართებელობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რ[ა]თმცა მის ძლით აღმოიფხვრან რომელნიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი, რ[ომე]ლიცა მსახურებს საწყენად და წინააღმდეგად მართლსადიდებელსა ქრისტიანებრსა აღსარებასა“[690].

4. კარგ მდგომარეობაში არსებული ქართლისა და კახეთის ციხე-სიმაგრეები ჩაიბაროს რუსეთმა, დანიშნოს იქ ციხისთავები ან კომენდანტები: „ქართლსა და კახეთსა, რ[ომე]ლიცა არს სიმაგრენი დღემდე უკეთესსა მდგომარეობასა შინა, — მათი უმაღლესობა და ერი მისი ითხოვენ მდაბლად, რათა მიიღოთ თქვენის იმპ. ცნობასა შინა შესაბამად, რომლისათვისცა კერძოთ თვისით იგი და ერისად ერთი (ერთხელ და) მარადის მიუთხრობს, რ[ომე]ლ იგინი მდგომარებენ ჩრდილსა და ხელმწიფობასა ქვეშე თქვენის იმპ. დიდებ-სათა; — დაწესებისათვის მათ სიმაგრეთა შინა მთავართა, ანუ კომენდანტთა სდებს უმაღლესსა ნებასა ზედა თქვენის იმპ. დიდებ–სასა“[691].

5. ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული ოქროს, ვერცხლისა და სხვა საბადოთა დამუშავება მეფეს არ შეუძლია და თუ რუსეთის იმპერატორი ამ საბადოთა გამოკვლევასა და დამუშავებაში მეფე ერეკლეს დახმარებას გაუწევდა, შემოსავლის წილს რუსეთი მიიღებდა: „ქართლსა და კახეთს სხვათა და სხვათა ადგილთა შ[ინ]ა არიან სხვა და სხვანი მადანნი, მომცემნი უხვად ოქროსსა, ვეცხლისა და სხვათაცა ნივთთა, ყოვლითურთ სახმარნი და სასარგებლონი, და რადგანაც მეფესა, ჩემსა ხელმწიფეს, არა აქვს შეძლება, რომ ისარგებლოს მათით

С.- Петербург, 1898, стр. 138.

[690] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 138. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 167.

[691] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 138. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 167-168.

და არცა ჰყვანან მცოდნენი კაცნი, და ვერცა მისაცემელად მათთა სხ-
ვის სარწმუნოების მექონთა ერწმუნების, ვინათგან იშიშვის მის ძლით
არა გამდიდრდენ ურწმუნონი და არა განმრავლდნენ სამეფოსა შ[ინ]ა
თვისსა მახმადიანნი, ყ[ოვლა]დ ქვეშემრვდომებრივ წინა უდებს თქვენს
იმპ. დიდებ. და ჰსთხოვს, რ[აჲთ]ა გაგზავნოთ ერთი, ანუ ორი მეცნ-
იერი კაცი გასაჩხრეკელად მათდა, და მასვე დროსა მოწმობისათვის,
რომელ მოხსენება მისი ამისთვის არის მართალ. ოდესცა უმაღლესი
ნება შეუდგების საწარმოებელად მისა, მოქმედებასა შ[ინ]ა მისსა, მაშინ
არიან ოდენ საჭირო მცოდნენი მთავარნი, და მუშაკნი მცირესა სახელმ-
წიფოსა შ[ინ]ა მისსა იპოებიან ზომიერის სასყიდლით, რ[ომ]ლისათვის
არ არს საჭიროება, რ[აჲთ]ა გამოგზავნოს იგინი უშორესის ადგილით;
და ოდესცა უმაღლესი კარი იხილავს სარგებელსა მოხსენებულთა მად-
ნებთაგან, მაშინ მეფე, ჩემი ხელმწიფე, სასოებს, რომ ებრძანების მას
უმაღლესის მონარხობითის მოწყალებისაგან ისარგებლოს, რ[ომ]ლითამე
მათ შემოსავალთა მიერ"[692].

6. რუსეთის იმპერატორმა ინებოს, რომ მეფე ერეკლემ მოჭრას
მონეტა ერთ მხარეზე რუსეთის იმპერატორის სახელით, ხოლო მეო-
რეზე – მეფე ერეკლეს გერბი: „ვინადგან საქართველოსა შ[ინ]ა მარა-
დის კეთდების ყოველი მონეთი ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა
ფრიად მცირე რაოდენობა, ამისათვის მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს,
რ[აჲთ]ა ყ[ოვლა]დ უმოწყალესობით ღირს ჰყოთ იგი და ქვეშემვრდომნი
მისნი ბრძანებითა მით, რომ ერთ კერძოს გამოსახულ იყოს პორტრეთი
თქვენის იმპ. დიდებ-სა, ანუ ასონი დამნიშვნელნი საღმთოსა თქვენის
იმპ. სახელისა, და მეორესა კერძოსა ზედა ნიშანნი მეფისა და საქა-
რთველოსა, მხოლოდ მისთვის, რათამცა ამის ძლით შესაძლებელ იყოს
ცნობა, რომ მონეთი იგი მოჭრილ არს საქართველოჲსა შინა: ოქრო და
ვერცხლი საქართველოსი არს გამოცდილებით უპირველესი, ვითარცა
დასაბამიდგან მარადის იყო"[693].

---

[692] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 138-139. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 168.

[693] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 139. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические

7. რუსეთის იმპერატორმა ინებოს მეფე ერეკლეს შვილებისა და შვილიშვილების რუსეთის სამსახურში შეუზღუდავად მიღება: „მეფე, ჩემი ხელმწიფე, ყ[ოვლა]დ ქვეშემვრდომებრივ სთხოვს თქვენს იმპ. დიდე[ებულებ]ას, უკეთუ ვინმე მეფისა ფამილიისა მის ძეთა და შვილისშვილთაგანი სთხოვს მშობელსა, თვისსა ხელმწიფესა, რუსეთში შემოსვლას თქვენის იმპ. სამსახურსა შინა შესვლისათვის და იგი იქმნების მეფისა მისგან ქმნილ საიმპერატოროს კარის მდაბალს სასარგებლოდ, რომ მიიღონ იგინი თქვენის იმპ. დიდებ. სამსახურსა შინა, და მიეცეს მესამზღვრეს უპირველეს-მთავარს ესე ვ[ითა]რი ბრძანება, რომ თავისუფლად აქეთ გამოუშვას, გამოცხადებითა მით თუ სადით ჯერ უჩნსთ მათ წარსვლა“[694].

8. აღა მაჰმად ხანმა ხელთ იგდო ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი ხაზინა და სხვა ქონება. ჯარის შესანახად და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად ერეკლე მეფეს სესხი სჭირდებოდა: „განსჯასა შინა წარსულთა დაკარგვათა და განსაცდელებათა, რომელნიცა დაითმინა მან მეფემან და ერმან მისმან მოსვლითა აღამაჰმადხანისათა და წარტაცებისა ძლით ყ[ოვე]ლთა მისთა ხაზინათა და სხვათცა ქონებათა, ყ[ოვლა]დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვს მეფე იგი ბოძებისათვის მისსა სესხის სახედ ჯამთა რაერთსაცა ინებებთ, ვ[ითარც]ა ყოვლისათვის მცირეთა რიცხვთა საქართველოს მხედრობათასა, ესრეთვე განმართვისათვის საქმეთა თვისთა აწინდელთა გარემოებათა შ[ინ]ა, რომელსაცა ჯამისა იქმნების იგი მომქცეველ დანიშნულთა დროთა, ანუ პაემანთა ზედა, და რ[ომ]ლისაცა ძალუცს აღება მისგან მუნ საყოფელს აქაურს მინისტრს იქაურის შემოსავლიდამ“[695].

მირიან ბატონიშვილი, როგორც ზემოთ რამდენჯერმე იყო აღნიშ-

документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 168.

[694] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 139. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 168-169.

[695] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 139. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 169.

ნული, სანკტ-პეტერბურგში იმყოფებოდა და მეფე ერეკლეს რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობაში უწევდა დახმარებას. რუსეთში გაემგზავრა **დავით ბატონიშვილიც**. 1797 წლის 8 აგვისტოს კავკასიის ხაზის მთავარსარალი გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი ალექსანდრ ბეზ-ბოროდკოს მოახსენებდა, რომ კავკასიის ხაზიდან სანკტ-პეტერბურგ-ში მიემგზავრებოდა ერეკლე II-ის შვილიშვილი, გიორგი ერეკლეს ძის უფროსი ვაჟი დავითი, რომელიც რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო[696]. დავით გიორგის ძე ერთხანს რუსეთის ჯარში მსახურობდა.

ერეკლე II-ის თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დატოვების შესახებ იმპერატორმა პაველ I-მა არ შეიწყნარა. 1797 წლის 15 სექტემბერს ივან გუდოვიჩი საიმპერატორო კარს მოახსენებდა, რომ საქართველოდან ჯარის გაყვანა შეფერხდა ცუდი გზების გამო, ამჟამად გზა შეკეთებულია და ჯარის გამოყვანაც დაიწყოო (რუსულ დედანში: „Во исполнение всевысоч. повеления В. И. В., употребивши все возможные способы по скорейшему выведению войск, в Грузии находившихся, по разным затруднениям от поздной убыли воды в реке Тереке, от очищения от камней дороги, оная исправлением окончена. 11 Сентября бывший Кавказской гренадерской баталион, разработавший с южной стороны дорогу, прошел уже дефилею гор, но остановился при зделанном депо провианта под горами для прикрытия мостов, дабы горские народы, по ветренности своей, не испортили оных под умыслом взять еще за плату на помощь при починке. Козачий Орлова полк пришел уже в границы и отправлен на Дон. Войски проходят по удобности горы по частям. Последние, стоявшие по дороге к горам на Мухранском поле, в 35 верстах от Тифлиса, ближе к Моздоку, по репорту, должны выступить 14 числа сего Сентября. Оные прежде не выступили, хотя от меня строго подтверждаемо было поспешить оттуда с выступлением, по не даче помощи в Грузии к подвозу войскам купленнаго провианта и по причине побегов нижних чинов. Как подполковник Спешнев командующий там отрядом, уведомляет, что не только беглых солдат в Грузии укрывали, но еще многие из тамошних к побегам подговаривали, как от него присыланными офицерами пойманные солдаты сами объявили, и он

[696] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 173.

тритцать шесть человек нашел чрез посланных офицеров и надеялся и еще возвратить. Я писал уже давно к царю Грузинскому Ираклию Теймуразовичу и просил запретить принимать беглых солдат, но безуспешно. О сем дерзаю всеподданнейше донести В. И. В.")[697].

1797 წლის 8 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერიის კანცლერ **ალექსანდრ ბეზბოროდკოს** წერილი გაუგზავნა და სასწრაფოდ აუდიენცია ითხოვა. წერილში უეცარი ვიზიტის მიზეზიცაა განმარტებული. გარსევან ჭავჭავაძეს სურდა შეეტყო, რუსეთის საიმპერატორო კარსა და ქართლ-კახეთის სამეფო კარს შორის მართლა მზადდებოდა თუ არა ხელშეკრულების დადება: „Как на прошении царя моего не имею письменнаго от в. св. ответа, а получил словесный чрез е. пр. Сергея Лазаревича, то и за то в. св. приношу покорнейшую мою благодарность; однако весьма более был бы я тем доволен и благодарен, еслиб тот ответ мог я получить за год прежде. А как о всех оных прошениях донесено от меня в. св. письменно, то покорнейше прошу пожаловать удостоить меня, хотя в коротких словах, ответом вашим также на письме, дабы сходственно с тем мог я уведомить царя, моего Государя. Мне весьма нужно видеться с в. св., почему и прошу назначить к тому время; но еще того нужнее мне знать о торжественном договоре, который пред всевидящим и правдолюбивым Богом, постановлен высочайшим двором Российским и Грузиею, – существует ли он или нет? – о чем покорнейше и прошу в св. пожаловать в непродолжительном времени меня уведомить. Также прошу в. св. исходатайствовать у В. И. В. повеление к нынешним на Кавказской линии начальникам и к будущим, чтоб они, когда мы, по прежнему обыкновению, будем приглашать к себе на помощь Черкесов, не возбраняли им к нам итти на наше иждивение, по добровольной плате. И ежели на сии два предложения последует высочайшее В. И. В. соизволение, то до времени разными способамы мы можем еще защищаться, не отрекаясь и впредь все то по возможности нашей исполнять, что от здевшяго двора нам повелено будет, и оставаться во всегдашнем послушании, как единоверные и приверженные к высочайшему престолу Православия"[698].

---

[697] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 173-174.

[698] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до

1797 წლის 31 დეკემბერს რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა (მინისტრმა) გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერატორ **პაველ I**-ს ერეკლე II-ის სახელით თხოვნა წარუდგინა[699]. წერილში მიმოხილული იყო, თუ რა მდგომარეობაში იყო 1797 წლის დეკემბრისათვის ქართლ-კახეთის სამეფო. იგი ისტორიული ექსკურსით იწყებოდა: 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ტრაქტატის მეორე სეპარატული მუხლის ძალით რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით მუდმივად უნდა მდგარიყო ქართლ-კახეთის სამეფეოში. 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით თბილისში შემოვიდა, მაგრამ 1787 წლის ოქტომბერში ქართლ-კახეთის სამეფო დატოვა. 1795 წლის დეკემბერში თბილისში ისევ შემოვიდა რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, მაგრამ 1797 წლის სექტემბერში ისევ დატოვა სამეფო. გარსევან ჭავჭავაძე პავლე I-ის მიმართავს და აღნიშნავს, რომ შექმნილი ვითარების გამო მეფე და ხალხი გაურკვევლობაში („უცნობელობაში") არიან: „დიდო ხელმწიფევ, ღირს ჰყავ გამოყვანა ჩემი უცნებელობისა გამო, და მოლოდება ყ[ოვ]ლისა საქართველოჲსა უმოწყალესითა ამას ზ[ედ]ა პასუხითა, რათამცა მათი უმაღლესობა მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ერი მისი, დაშთომილნი მას უცნობელობასა შ[ინ]ა, ვითარცა მე ვარ ამა დროდმდე დაშთომილი, აღთქმითა მით საღრმთოსა ტრახტატისათა და თქვენის დიდ[ებულებისა]დმი ერთგულებითისა ფიცისა ქმნითა – არა იყვნენ მიყვანილნი სრულსა წარწყმედასა შინა, და რათამცა მან, უფლებისა, მქონემან საქმნელად ვისთანამე მეზობლებთა თვისთა ადერბეჟანისა მესაზღვრეთ, სპარსეთისა ხანებთა და მთიურთა დაღისტნისა მფლობელებთადმი საჭიროთა დასაცველად სამეფოსა მისსა მეგობრულისა მიწერ-მიწერისა დასაკვირველისა, – ძალიდვას წარდგომა მყოფმან საუკუნოდ სულით თვისით შენდამი ერთგულებითა და

Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1902, стр. 177.

[699] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1898, стр. 143-146. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.- Петербург, 1902, стр. 177-181.

თანამვრდომობითა"[700]. გარსევან ჭავჭავაძე მეფე ერეკლეს სახელით ქართლ-კახეთის სამეფოდან გაყვანილი ბატალიონებისა და ზარბაზნების უკან დაბრუნებას ითხოვდა: „მეორესა სეპარატის არტიკულსა (გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე სეპარატული არტიკულის – **ვ. გ.**) ზემოდანიშნულსა შემაკავშირებელსა ტრახტატსა შ[ინ]ა დაწესებულ არს მათის სიმაღლის მეფის, ჩემის ხელმწიფის, წინაშე პყრობა **ორის სრულის ბატალიონის** რუსეთის ქვეითის მხედრობისა **ოთხითა ზარბაზნითა**, რ[ომე]ლნიცა აძლევდა ქართველთა დიდთა სიმხნეთა და იმედოვნებათა, ხ[ოლო] მეზობლებთაცა ღირსრწმუნებულ ჰყოფდა მას შ[ინ]ა, ვ[ითარმე]დ ყ[ოვე]ლი სამეფო იგი მდგომარებს საფარველსა ქვეშე ყ[ოვ]ლის რუსეთის უმაღლესისა კარისასა, და აყენებდაცა მათ უმოქმედობასა შ[ინ]ა; და რადგანაც ბატალიონნი იგი არიან აქედამ გამოყვანილნი, მაშინ ყ[ოვლა]დ უმდაბლესად გთხოვთ უბრძანოთ მათ მიბრუნვება მუნვე, მარწმუნებელი, ვ[ითარმე]დ მეფე, ჩემი ხელმწიფე, თვინიერ უმაღლესისა თქვენის დიდებ. ნებისა, არასადმე იკადნიერებს ხმარებასა მათსა, და დააყენებს ქალაქსა შ[ინ]ა თბილისს, მხოლოდ შიშისათვის მტერთა საქართველოსათა დასარწმუნებელად"[701]. გარდა ამისა, გარსევან ჭავჭავაძე პავლე I-ს საქართველოში წმიდა ნინოს ჯვრის დაბრუნებას თხოვდა: „ყ[ოვლა]დ უუმოწყ. ხელმწიფევ, შემდგომად მათსა ბრძანე მიქცევა მამულსა შ[ინ]ა ჩემსა ჯვარისა უფლისა წ[მიდ]ას ნინას მიერ მუნ მოტანილისა და ს[ადიდებლა]დ საქართველოს სამეფოს კერპთმსახურებით გამო მართლსადიდებელსა ქრისტიანებრსა აღმსარებლობასა შ[ინ]ა მომქცევისა. ჯვარი იგი უფლისა დროსა საქართველოდამ სანატრელად სახსენებელის მეფის **ვახტანგის** გამოსვლისასა რ[ომ]ლისამე მუნებურის არქიერისაგან საიდუმლოდ წამოღებულ იქმნა მუნით მონასტრით გამო, და შ[ემდგომა]დ რუსეთ-

---

[700] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели**. С.-Петербург, 1898, стр. 144. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 178-179.

[701] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898, стр. 144. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 179.

სა შინა მოტანისა მიეცა საქართველოს **ბაქარ** მეფის შვილის ცოლს, ცარევნას **ანნას** იეგოროვნას, და დღეს მყოფობს შვილისშვილისა ძის, საქართველოს თავადის **გიორგისას**; აწმყოთა მდგომარეობათაგამო უბედურნი ქართველნი, კ[ეთილა]დ ნიჭად თვისად მიმღებნი ჯვარისა მის, სიწმიდითა მისითა განმხნდებიან, დამამტკიცებელნი თავისა თვისისანი სახარბიელსა იმედოვნებასა შ[ინ]ა, და შ[ემდგომა]დ ესოდენთა სასჯელთა და ვნებათა მტერთა გამო მათთა, შთამოვალს კ[ეთილა]დ მათზ[ედ]ა საღმრთო მადლი, და შ[?]დცა მისსა სცნობენ, ვ[ითარმე]დ შენ, დიდო ხელმწიფევ და იმპერატორო ყოვლისა როსსიისა, და მფლობელო სამეფოთა მათ, არა უტევებ მათ საფარველითა თვისითა"[702]. გარსევან ჭავჭავაძე ასევე ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოში იმ ზარბაზნების ყუმბარების ნაწილის გაგზავნას, რომელიც 1784 წელს იმპერატორმა ეკატერინა II-მ ერეკლე II-ს უბოძა და მას შემდეგ მისი თბილისში სრულიად ჩატანა ვერ მოხერხდა. იმჟამად ზარბაზნები და ყუმბარების დარჩენილი ნაწილი კავკასიის ხაზზე, გეორგიევსკის სიმაგრეში იმყოფებოდა: „ბრძანე ესრეთვე გაშვება საქართველოსა შ[ინ]ა ზარბაზნებთა და ყუმბარებთა მათცა, მუნებურის ღერბით შთამოსხმულთა უმაღლესითა ბრძანებითა სანატრელისა და საუკუნოდ ხსოვნის ღირსის საყვარელის თქვენის დიდებულების მშობლისათა, რ[ომე]ლნიცა უბოძა მან მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, და რომელნიცა დღეემდე მუნით არ არიან გაშვებული, და არიან ლინიასა ზედა **იეგორევის** (გეორგიევსკის – **ვ. გ.**) ციხესა შ[ინ]ა. საქართველო, მხილველი მათისა თვისთანა, შერაცხს მასცა არა მცირედ ნუგეშად თვისად და მიიღებს ვ[ითარც]ა წინდსა მაღალ-მონარხობისა თქვენისა მისდამი კეთილნებობისასა"[703]. გარსევან ჭავჭავაძე **პაველ I**-ს სთხოვდა უკვე მოხუცებული და ავადმყოფი ერეკლე მეფისათვის სანუგეშებელი

---

[702] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 145. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 179-180.

[703] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 145. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 180.

წერილი გაეგზავნა: „განსადიდებელადვე მათის უმაღლესობის მეფის ჩემის უსაყვარლესის ხელმწიფის მოხუცებისა, რ[ომე]ლი რაოდენცა სიღრმეთაგამო წელთა თვისთათა და უფროს მამულისათვის გულისა მისისა განმწერტელისა ჭირისაგან ნუ უკვე მდებარებდეს დღეს სასიკუდინესა ცხედარსა ზ[ედ]ა, ანუ, უკვე საგლოველად ყ[ოვ]ლისა სამეფოსა, მიცვალებულ არს, ღირს ჰყავ წარგზავნა უმოწყალესისა შენის იმპერატორების მანუგეშებელისა წერილისა მისდამი“[704].

* * *

არავინ უწყის, რას განიცდიდა სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული, მრავალომგადახდილი და უეჭველ სიკვდილს მხოლოდ უფლის ნებით გადარჩენილი მეფე. ვიცით, რას ფიქრობდა დავით აღმაშენებელი: **„....სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“** მეფე ერეკლე ამგვარს ვერაფერს გაივლებდა გულში, რადგან მან მემკვიდრეებს ისეთი სამეფო ვერ დაუტოვა, როგორიც დატოვა დავით აღმაშენებელმა. თუმცა, იმასაც ვერ წარმოიდგენდა, რომ უმადური შთამომავლობა ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე მას სასამართლოს მოუწყობდა, ორიოდე გამოჩენილი მეცნიერის გარდა „მოსამართლენი“ იმის ცდაში იქნებოდნენ, შური ეძიათ მეფეზე და ურცხვად ემტკიცებინათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფო, ისევე, როგორც მთელი საქართველო, დიდ პოლიტიკას კი არ შეეწირა, არამედ – ერეკლე მეფის შეცდომებს. ამაზრზენი ასეთი უმადურობა! მომდევნო წლებში ამას მოჰყვა იმავე პათოსით გაჟღენთილი არაერთი წიგნი... სამწუხაროდ, ყველას დავიწყებოდა, რომ დიდი ხნის წინათ „სასამართლო“ შედგა და მსჯავრიც უკვე გამოტანილი იყო:

„ჩვენი ერეკლე ბატონი ერთი პატარა კახია,

ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია!“

და თუ „პატარა ლაშქრითა“ და „დიდი გულით“ დიდ იმპერიებს შეჭიდებული მეფე მაინც დამარცხდა, იგი საყვედურსა და განქიქებას კი არა, მოწიწებასა და სიყვარულს იმსახურებს.

---

[704] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1898, стр. 146. რუსული თარგმანი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 180-181.

დასკვნა

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ხანგრძლივი ურთიერთობა მფარველობითი ხელშეკრულებით (გეორგიევსკის ტრაქტატით) დასრულდა. ამიერიდან მფარველის (რუსეთის) და მფარველობაში მყოფის (ქართლ-კახეთის სამეფოს) ურთიერთობა საერთაშორისო ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისთვის ქართლ-კახეთის სამეფო და რუსეთის იმპერია განვითარების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. **XV საუკუნის დასასრულიდან, ერთიანი ქართული მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, საქართველოში დაიწყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოშლა, შეფერხდა კულტურის განვითარება.** 1555 წლის ამასიის ზავით, საქართველოს ისტორიული ტერიტორია ირანმა და ოსმალეთმა გადაინაწილეს. სამეფო-სამთავროებში დამპყრობთა ბატონობას მალე კიდევ უფრო დიდი უარყოფითი შედეგი მოჰყვა: საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ჭარ-ბელაქანი, სამცხე-საათაბაგო, აჭარა, ართვინი და სხვ.) ირანისა და ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, დაიწყო ამ რეგიონების ძირძველი ქრისტიანული მოსახლეობის ძალდატანებითი ისლამიზაცია. **ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ხანგრძლივმა ბრძოლებმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ერის გენოფონდს. საქართველოს ზოგიერთი რეგიონი მთლიანად გაუკაცრიელდა. მოსახლეობის შემცირებამ და ეკონომიკის გაჩანაგებამ დაასუსტა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი – დაეცა ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობა.** XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების დროისათვის, აშკარად გამოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოში სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისის ყველა ნიშანი: **მოიშალა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, საფინანსო სისტემა, ბიუჯეტში აუცილებელი თანხის მხოლოდ მიზერული ნაწილი თუ შედიოდა.** ამის პარალელურად XVII საუკუნის დასასრულიდან რუსეთში პიოტრ I-მა(1696-1725) დაიწყო კარგად გააზრებული და პერსპექტივაზე გათვლილი სახელმწიფო რეფორმების გატარება. რეფორმები შეეხო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს, სამხედრო საქმეს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებს. **მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩამორჩენილი და**

დაკნინებული რუსეთი იქცა უძლიერეს სახელმწიფოდ (იმპერიად), რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. პიოტრ I-ის უღირსი მემკვიდრეების მმართველობის ჟამს რუსეთის განვითარება შეფერხდა, მაგრამ ეკატერინა II-ის (1762-1796) გამეფების შემდეგ რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დიდი აღმავლობა დაიწყო.

მართალია, გეორგიევსკის ტრაქტატის დამდები ორივე სახელმწიფო თანასწორ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენდა, მაგრამ, ცხადია, ეს თანასწორობა მხოლოდ ფორმალური იყო. **1783 წლიდან დაიწყო ორი ქვეყნის ურთიერთობა, რომელთაგან ერთი (რუსეთის იმპერია) სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აღმავლობას განიცდიდა, სხვა ქვეყნების ხარჯზე მუდმივად ზრდიდა თავის ტერიტორიას, ხოლო მეორე (ქართლ-კახეთის სამეფო) პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის იმდენად ღრმა კრიზისის სტადიაში შესულიყო, რომ ბიუჯეტის სიმწირის, ფაქტობრივი არარსებობის პირობებში ჯარის ორგანიზებასაც ვეღარ ახერხებდა და თავის ტერიტორიას ლეკთა რაზმების გამუდმებული შემოსევებისაგანაც კი ვეღარ იცავდა, რამაც საბოლოოდ ჩასცა ლახვარი ისედაც გაჩანაგებულ ეკონომიკას.**

მფარველსა და მფარველობაში შესულს შორის არსებული დიდი კონტრასტი უფრო ნათელი რომ გახდეს, შევადაროთ ისინი XVIII საუკუნის 80-იანი წლების მდგომარეობით:

1. რუსეთის იმპერიას ჰქონდა წინა საუკუნესთან შედარებით კარგად დახვეწილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები. ამ სისტემებში ბევრი რამ იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გადმოღებული და რუსულ სინამდვილესთან შეხამებული. **რუსეთს აბსოლუტური მონარქიის პირობებშიც გააჩნდა კანონით რეგლამენტირებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, სასამართლო სისტემა,** ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, საფინანსო სისტემა;

2. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ორი-სამი საუკუნის წინ, მას პრინციპული ცვლილება არ განუცდია, არ განვითარებულა, ჩამორჩა არა მარტო დასვლეთ ევროპის ქვეყნებს, არამედ რუსეთსაც და ოსმალეთსაც კი. **ქართლ-კახეთის სამეფოში მოშლილი იყო ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, საფინანსო სისტემა, სახელმწიფო მმართველობის არც ერთი სფერო კანონით არ იყო რეგლა-**

მენტირებული. დადგენილი არ იყო კანონის შემუშავებისა და მიღების წესები;

3. პიოტრ I-ის დროიდან რუსეთში ჩამოყალიბდა რეგულარული არმია, **მკაცრად იყო განსაზღვრული არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვევის, წრთვნის, ფინანსური უზრუნველყოფის, შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლით მომარაგების წესები.** არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ნთქავდა უზარმაზარ სახსრებს;

4. ქართლ-კახეთის სამეფოში ეკონომიკური სიდუხჭირის გამო შეუძლებელი გახდა რეგულარული ჯარის შექმნა, თუნდაც ოთხი-ხუთი ათასი მებრძოლის რაოდენობით. **უკიდურესი საშიშროების პირობებშიც კი ჯარი იკრიბებოდა ძალიან ნელა და თითქმის ყოველთვის იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მეფე ვარაუდობდა.** შეკრებილი ჯარის მხოლოდ მცირე ნაწილს (ზოგიერთი ცნობით 20-30%-ს) გააჩნდა სათანადო შეიარაღება, **არ არსებობდა ომის დროს ჯარის სურსათითა და საბრძოლო საჭურვლით მომარაგების დადგენილი წესი,** ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ლაშქრობა შეწყდა იმ მიზეზით, რომ ჯარს სურსათი არ გააჩნდა;

5. რუსეთის იმპერიაში **დიდი ფინანსები ხმარდებოდა სწავლა-განათლებას (მათ შორის საუნივერსიტეტოსა და სამხედროს), მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, ევროპის ქვეყნებთან სამეცნიერო კონტაქტებს,** სხვადასხვა დონის პედაგოგთა (პროფესორთა) მომზადებას, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას;

6. ქართლ-კახეთის სამეფოში სწავლა-განათლებას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას მხოლოდ მიზერული ფინანსები ხმარდებოდა, **არ შემუშავებულა სახელმწიფო პოლიტიკა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ქვეყანაში არ ხდებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კადრების მომზადება;**

7. რუსეთის იმპერიას ჰყავდა **სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე პოლიტიკური ელიტა, რომელიც აბსოლუტური მონარქიის პირობებშიც კი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში, საკანონმდებლო სისტემისა და კანონმდებლობის სრულყოფაში;**

8. ქართლ-კახეთის სამეფოში **არ არსებობდა პოლიტიკური ელიტა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა სამეფო კარი**

(მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები). ქართული საერო და სასულიერო არისტოკრატიის (თავადების, მეუფეების) მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში, მათი (აბსოლიტური უმრავლესობის) დაბალი პროფესიონალიზმის, სათანადო განათლების არქონის გამო არაეფექტური იყო;

9. რუსეთის იმპერიას ჰყავდა **ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული დიპლომატიური კორპუსი,** რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და მის განხორციელებაში;

10. ქართლ-კახეთის სამეფოში **არ არსებობდა დიპლომატიური კორპუსი, საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა სამეფო კარი (მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები) და თავადები,** რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას დიპლომატიური ურთიერთობისათვის აუცილებელი არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდა;

11. რუსეთის იმპერიას ჰყავდა **სათანადო განათლებისა და დიდი გამოცდილების მქონე სამხედრო ელიტა.** გენერალიტეტსა და ყველა დონის ოფიცერთა შემადგენლობას გამოვლილი ჰქონდა ან შვიდწლიანი ომი (1757-1763 წწ.), ან რუსეთ-ოსმალეთის ომი (1768-1774 წწ.), ან ორივე ერთად. რუსეთში პიოტრ I-ის დროიდან ჩამოყალიბდა ჯარის ფინანსური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების სისტემა;

12. ქართლ-კახეთის სამეფოს **არ ჰყოლია სამხედრო ელიტა, არ ხდებოდა ჯარისათვის აუცილებელი კადრების მომზადება.** სათავადოში შეკრებილ ლაშქარს სათავეში ედგა თავადი ან მისი შვილი, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა სარდლისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. არ არსებობდა ჯარის ფინანსური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების სისტემა.

ასეთ ვითარებაში **ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას, ცხადია, ვერ ვუწოდებთ ორი თანასწორი ქვეყნის ურთიერთობას.** გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, ქართლ-კახეთის მეფეს საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ რუსეთის იმპერატორისათვის კი არ უნდა მიემართა, არამედ – კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის და იმპერატორის პასუხიც მისგან მიელო. **გეორგიევსკის ტრაქტატით, ქართლ-კახეთის სამეფო, საამრთლებრივად და ფაქტობრივად, იქცა რუსეთის იმპერიის ვასალად.** როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატს დებდა, რუსეთის საიმპერატორო კარი **უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სამეფოს გადარჩენაზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოეყენებინა**

ქართლ-კახეთის სამეფო, რა ფუნქცია მიენიჭებინა მისთვის თავის აღ-მოსავლურ პოლიტიკაში, უფრო კონკრეტულად, ოსმალეთის დაშლასა და დანაწილების მისეული გეგმის რეალიზებაში. მას შემდეგ, რაც **ოს-მალეთის ხელის ერთი დაკვრით, ერთი ომით დაშლა-დანაწილების გეგმა რუსეთის საიმპერატორო კარმა უარყო, ხოლო სამხრეთ კავკასიიდან ოს-მალეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება მიზანშეწონი-ლად არ იქნა მიჩნეული, რუსეთის იმპერიისათვის გეორგიევსკის ტრაქტა-ტი ზედმეტ ტვირთად იქცა.** ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის შენახვაც რუსეთმა გაუმართლებლად მიიჩნია.

1795-1796 წლებში რუსეთის საიმპერატორო კარმა ირანის დაშლი-სა და დანაწილების გეგმა შეიმუშავა. 1796 წლის მარტში რუსეთის არმია სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანულ სახანოებში შეიჭრა და მოპოვებული წარმატების შემდეგ ცენტრალური ირანისაკენ დაიძრა. გაჩნდა იმის რეალური შანსი, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში დაკარგულ ფუნქციას დაიბრუნებდა. მაგრამ 1796 წლის 6 ნოემბერს იმპერატორი ეკატერინა II გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, პაველ I-მა, უარი თქვა ირანის დაშლისა და დანაწილების გეგმაზე და იმავე წელს შეწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომი. **ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში კვლავ უფუნქციოდ დარჩა.**

ВАХТАНГ ГУРУЛИ

ЦАРЬ ИРАКЛИ И РОССИЯ. ВЗАИМООТНОШЕНИЯ МЕЖДУ КАРТЛИ-КАХЕТИНСКИМ ЦАРСТВОМ И РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ. 1783-1798

Резюме

24 июля 1783 года долгие отношения между Карти-Кахетинским царством и Российской империей закончились покровительским договором (Георгиевским Трактатом). С этих пор отношения между Россией и Картли-Кахетинским царством регулировались международным договором. Ко времени подписания Георгиеского Трактата Картли-Кахетинское царство и Российская империя находились на разных уровнях развития. В таком положении отношения между Картли-Кахетинским царством и Российской империей, конечно, нельзя назвать отношением двух равных государств. Согласно Георгиевскому Трактату в случае нужды царь Картли-Кахетии должен был обратится не непосредственно к Императору, а – к главнокомадующему Кавказской линии и ответ Императора получить от него-же. Силой Георгиевского Трактата Картли-Кахетинское царство, юридически и фактически, стало вассалом Российской империи. Когда подписивал Георгиевский Трактат, Российский императорский двор не думал о спасении Картли-Кахетинского царства, находившегося в тяжалейшем состаянии, а о том, как использовать Картли-Кахетинское царство, какую функцию дать ей в своей восточной политике, а конкретнее в своем плане разделения Османской империи. После того, как Российский императорский двор отказался от плана разделить Османскую империю одним махом, одной войной, а начинание военных действии против Османской империи с южного Кавказа было признано нецелисообразным, Георгиевский Трактат стал лишным грузом для Российской империи. В такой ситуации Россия пощитала ненужным сохранять войска в Картли-Кахетинском царстве. В 1795-1796 годах Российский императорский двор выработал план разделения Иранской империи. В марте 1796 года Россия ворвалась в иранские ханства юго-восточного Кавказа и после достигшего успеха двинулась к центральному Ирану. У Картли-Кахетинского царства появился реальный шанс вернуть потеренную функцию в восточной политике России. Но 6 ноября 1796 года Императрица Екатерина II скончалась. Ее приемник, Павел I, отказался от плана раздела Ирана и в том же году прикратил войну. Картли-Кахетинское царство вновь осталось без функции в восточной политике Российской империи.

VAKHTANG GURULI

KING EREKLE AND RUSSIA. RELATIONS BETWEEN KARTLI-KAKHETIAN KINGDOM AND RUSSIAN EMPIRE. 1783-1798

Resume

Long relations between Kartli-Kakhetian Kingdom and Russian Empire were finalized by protection treaty (Georgievski Tractate) on 24 July of 1783. From then relations between Russia and Kartli-Kakhetian Kingdom were regulated by international treaty. By the time of signing the treaty Kartli-Kakhetian Kingdom and Russian Empire were on absolutely different levels of development. Of course in such a situation we can not call relations of Kartli-Kakhetian Kingdom and Russian Empire relations of two equal states. According to Georgievski Tractate in case of need King of Kartli-Kakheti should not address to Emperor of Russia directly but to the commander of Caucasian Line and receive an answer of Emperor from him as well. By Georgievski Tractate Kartli-Kakhetian Kingdom became vassal of Russian Empire. While signing Georgievski Tractate Russian Empire House was not thinking how to help Kartli-Kakhetian Kingdom fallen into very difficult situation, but how to use Kartli-Kakhetian Kingdom, what kind of function should it be given in Eastern politics, particularly in dividing Osman Empire. Since Russia turned down the plan of dividing Osman Empire at one pace, with one war and starting military actions against Osman Empire from South Caucasus was not considered as reasonable, Georgievski Tractate became a ballast for Russian Empire. In such a situation Russia considered having troops in Kartli-Kakhetian Kingdom as unjustified. During 1795-1796 Russia prepared a plan of dividing Iran. In March of 1796 Russian Empire invaded khanates of Iran in South-Eastern Caucasus and after achieving success went for central Iran. There was a chance that Kartli-Kakhetian Kingdom will return its function in Eastern politics of Russia. But on 6 November of 1796 Emperor Ekaterina II died. Her successor Pavel I turned down the plan of dividing Iran and during the same year stopped the war. Again Kartli-Kakhetian Kingdom was left without function in Eastern politics of Russian Empire.

სახელთა საძიებელი

სახელთა საძიებელში პირები იხსენიებიან გვარის პირველი ასოს მიხედვით. გამონაკლისს შეადგენენ მეფეები, დედოფლები, ბატონიშვილები, მთავრები, კათოლიკოს-პატრიარქები, საეკლესიო იერარქები, რომლებიც იძიებიან სახელის პირველი ასოს მიხედვით. სახელის პირველი ასოთი იძებნება ასევე ის პირი, რომლის გვარი წყაროებსა და ლიტერარტურაში არ იხსენიება.

საძიებელი შეადგინა **ირინე ტაბატაძემ**.

ა

აბას ხანი(გილიანის ხანის, მურთაზ ყული ხანის ძმა) – 209, 210

აბაშიძე – 78

აბაშიძე იოანე – 186, 188, 189

აბაშიძე ქაიხოსრო – 130, 131

აბაშიძე ჯავარ ხანუმი – 131

აბდულ ჰამიდი (ოსმალეთის სულთანი) – 107

აბრაამი (მირზა) – 288

აგიაშვილი იოანე – 186

ავალიანი – 186

ავალიშვილი ზურაბ – 18, 20

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 208, 277, 287

ალი ბეი – 118

ალი მურად ხანი – 97, 103

ალი სულთანი – 100

ალი ყული ხანი (აღა მაჰმად ხანის ძმა) – 213, 214

ამილახვრები – 34

ამირ ჰამზა (ყაითაღის უცმია) – 104, 105, 107

ანა დედოფალი (აბაშიძე) – 38

ანდრონიკაშვილი – 100, 104

ანდრონიკაშვილი ზაქარია – 186, 189

ანდრონიკაშვილი რევაზ – 189

ანნა (ბაქარ ბატონიშვილის მეუღლე) – 304

ანტონ I (ბაგრატიონი) – 59, 60, 63, 67, 68, 78, 80, 117, 147

ანტონ II (ბაგრატიონი) – 184, 186, 188

აფხაზი – 116

აღა მაჰმად ხანი (შაჰი) – 90, 175, 178, 182, 183, 184, 195, 196, 197, 198, 199, 200, 202, 205, 206, 207, 208,

209, 210, 211, 213, 214, 215, 217, 218, 220, 219, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 230, 231, 232, 233, 234, 235, 237, 238, 239, 240, 241.242, 249, 254, 259, 260, 265, 266, 267, 269, 270, 271, 273, 276, 277, 278, 281, 282, 283, 284, 285, 289, 293, 299

აჰმედ აღა (ყაზახიდან) – 155

აჰმედ სულთანი – 106

აჰმედ ხანი(ხიოს ხანი) – 89, 106

აჰმედ ხანი(ნახჭევანის ხანი) – 90

აჰმედ ხანი(ნუხის ხანი) – 118

ბ

ბაგრატ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 6

ბაგრატიონი (თავადი) – 79

ბათალი ფაშა – 139, 142

ბარათაშვილი – 78

ბარათაშვილი – 116

ბარათაშვილი იოსებ – 186

ბაქარ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 304

ბებუთიშვილი იოსებ – 116

ბეგიჩევი კ. ნ. – 31, 32, 33, 34, 35, 39, 45, 167, 168

ბეზბოროდკო ალექსანდრ – 50, 51, 62, 63, 86, 87, 177, 178, 194, 209, 248, 289, 301, 302

ბენიქსენი ლეონტი – 258

ბულგაკოვი იაკოვ – 26, 98, 121, 138, 139

ბულგაკოვი სერგეი – 256

ბურნაშევი სერგეი – 9, 30, 36, 158, 163, 164, 165

ბურნაშევი სტეპან – 7, 26, 27, 28, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 39, 44, 45, 76, 78, 79, 81, 88, 104, 118, 123, 126, 130, 135, 136, 137, 141, 142, 148, 150, 153, 156, 157, 158, 159, 163, 164, 165, 167, 168, 169, 176

ბუტკოვი პიოტრ – 10, 11, 16, 20, 71, 73, 74, 75, 76, 111, 116, 120, 121, 125, 126, 128, 129 , 130, 131, 132, 133, 134, 155, 156, 160, 162, 168, 169, 170, 176, 180, 195, 196, 198, 208, 209, 210, 211, 224, 244, 249, 250, 251, 252, 254, 256, 258, 260, 266, 281

გ

გაიოზი (არქიმანდრიტი) – 111, 194, 196, 202

გედევანი (თავადი) – 131

გეორგიევი ვლადიმირ – 84, 85, 87, 88

გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) — 38, 59, 79, 80, 137, 147, 151, 187, 188, 189, 296

გრიგოლ დადიანი – 184, 185

გუდოვიჩი ივან – 180, 196, 201 , 203, 204, 206, 207, 209, 210, 211, 215, 218, 219, 220, 221, 223, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 244, 245, 249, 250, 251, 264, 265, 274, 275, 276, 277, 300

გურული ვახტანგ – 82, 191

დ

დარეჯან დედოფალი (დადიანი) – 37, 38, 59, 80, 134, 151, 187, 189, 209, 268

დავით არჩილის ძე (იმერეთის მეფე სოლომონ II) – 189, 190

დავით გიორგის ძე (იმერეთის მეფე დავით II) – 186, 189, 190

დავით ბატონიშვილი(ბაგრატიონი) – 6, 38, 277, 300

დე ბალმენი – 46

დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი) – 186, 188, 189

დრუჟინინა ელენა – 84, 85

დუმბაძე მამია – 24

დუბროვინი ნიკოლაი – 11, 12, 13, 16, 20, 31 37, 38, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 50, 52, 53, 54, 55, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 95, 97, 99, 100, 101, 102, 103, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 198, 200, 202, 204, 210, 211, 215, 216, 222, 223, 2256, 227, 230, 232, 243, 244, 245, 246, 250, 254, 255, 260, 266, 282

ე

ელიხი (რაინექსი) იაკოვ – 25, 27, 49

ეკატერინაII – 26, 27, 48, 49, 50, 52, 53, 59 , 60, 61, 62, 64, 68, 73, 75, 76, 78, 79, 80, 81, 83, 85, 86, 87, 89, 90, 107, 121, 138, 139, 141, 143, 149, 157, 168, 173, 178, 181, 197, 198, 200, 201, 202, 204, 207, 208, 210, 215, 220, 221, 222, 224, 225226, 229, 230, 231, 232, 233234, 236, 237, 238, 240, 241, 242, 243, 244, 245, 248, 249, 250, 253, 259, 260, 261, 264, 267, 268, 269, 271, 275, 304, 307

ენსლი რობერტ – 26

ერეკლე II – 4, 5, 23, 25, 27, 33, 34, 36, 37, 50, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 71, 72, 73, 74, 76, 79, 80, 81, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 117, 118, 119, 120, 121, 122 , 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 170, 171, 173, 174, 175, 177, 178, 179, 181, 182, 183, 184, 186, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 204, 205, 206, 207, 209, 212, 213, 214, 215, 216, 217, 220, 221, 222, 225, 226, 227, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239241, 242, 243, 244, 248, 260, 265, 266, 267, 268, 269, 270, 273, 274, 276, 277, 278, 279, 280, 282, 283, 286, 287, 288, 289, 291, 292, 293, 294, 297, 298, 299, 300, 302, 304, 310

ეფთვიმი გენათელი (შერვაშიძე) – 186, 188, 189

ვ

ვარდოსანიძე სერგო – 2

ვაჩნაძე მერაბ – 191

ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 6, 39, 59, 80, 147

ვახტანგ VI – 25, 303

ვერდერევსკი – 286, 287

ზ

ზისერმანი არნოლდ – 249

ზუბოვი ვალერიან – 252 , 253, 255, 260, 261, 264, 272, 273, 275, 276, 278, 281, 284, 285, 286

ზუბოვი პლატონ – 198, 200, 201, 261, 262, 277, 279, 280

თ

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 6

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (ბერდიაკონი ანტონი) – 80, 81, 147

თუმანიშვილი სულხან – 177, 178, 183

ი

იბრაჰიმ ბეი (შინჯიკაშვილი) – 89

იბრაჰიმ ეფენდი – 107, 108

იბრაჰიმ ხანი(ყარაბაღის ხანი) – 90, 91, 92, 94, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 118, 119, 129, 131, 155, 156, 162, 167, 175, 176, 195, 202, 205, 208, 212, 213, 217, 218, 220, 231, 232, 260, 266, 267, 270, 273, 287, 293

იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 63

იოანე მუხრანბატონი (ბაგრატიონი) – 187, 189

იოსებ II – 86

იოსელიანი – 186

იოსელიანი პლატონ – 16, 17, 20, 184, 186, 189, 190, 191

ისლენიევი – 264

იუზეფოვიჩი ტ. – 180

იულონ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 38, 59, 80, 156, 189

იუსუფ ფაშა – 281

კ

კაკაბაძე სარგის – 20, 134

კაჭკაჭიშვილი მანუჩარ – 89

კინიაპინა ნინა – 84, 85, 87, 88

კვაშინ-სამარინი – 115, 118

ლ

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – 33, 44, 59, 60

ლიონიძე სოლომონ – 134, 186

ლიუტფ ალი ხანი (შირაზის ხანი) – 196, 205

ლომსაძე შოთა – 23

ლორთქიფანიძე – 186

მ

მარიამ დედოფალი (დადიანი) – 184, 185

მარკოვა ოლგა – 15, 16, 48, 50, 55, 64, 65, 66, 67, 71, 85, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 98, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 137, 140, 143, 144, 149, 154, 157, 158, 159, 173, 174, 175, 176

მაჭარაძე ვალერიან – 5, 49, 52, 58 , 59, 60, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 81, 89, 159, 183, 184, 185, 190, 194

მელიქიშვილი – 116

მერლინი – 78, 115, 118

მეჰთი (ტარკლის შამხლის ვაჟი) – 251

მეჰმედ ხანი (განჯის ხანი) – 100

მირიან ბატონიშვილი (ბაგრატიო-

ნი) – 78, 80, 147, 198, 199, 200, 229, 291

მირ მუსტაფა ხანი (თალიშის ხანი) – 208

მირზა სადიკი – 174

მიქელაძე პაატა – 186

მურად ბეი (ეგვიპტელი) – 89

მურთაზ ალი (ტარკის შამხალი) – 105

მურთაზ ყული ხანი (გილიანის ხანი)- – 195, 196, 208, 209

მუსტაფა ფაშა – 175

მუსტაფა ხანი (შემახიის ხანი) – 195, 208, 249, 263

მუჰამედ ხანი (ყაზიყუმუხის ხანი) – 105

მუჰამედ ხანი(ერევნის ხანი) – 106, 107, 212

მუჰამედ ჰასან ხანი (შაქის ხანი) – 249

ნ

ნაზირ ბეი – 92

ო

ომარ ხანი (ავარიის ხანი) – 100, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 135, 136, 147, 168, 169, 170, 195, 208, 214, 216, 217, 281

ორბელიანი პაპუნა – 5

ორბელიანი – 79

ორბელიანები – 34

ორბელიანი დავით – 134, 155, 156, 187

ორბელიანი ნიკოლოზ – 148, 161

ორბელიანი ჭაბუა – 186

ოსტერმანი ივან – 246, 247, 248, 269

პ

პაველ I – 264, 265, 266, 289, 290, 294, 300, 302, 303, 304

პაიჭაძე გიორგი – 5, 6

პანჩენკოვა მ. ტ. – 84, 85, 87, 88

პიოტრ I – 25, 85

პიშჩევიჩი – 115

პლატოვი მატვეი – 258, 263

პოტიომკინი გრიგორი – 27, 28, 29, 30, 48, 52, 53, 73, 77, 81, 85, 86, 92, 93, 94, 98, 105, 123, 124, 134, 135, 137, 149, 156, 157, 158, 165, 170, 173

პოტიომკინი პაველ – 26, 36, 37, 46, 47, 48, 53, 54, 74, 76, 88, 91, 92, 93, 96, 101,

102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 110, 111, 112, 119, 121, 123, 124, 135, 136, 139, 140, 148, 149, 150, 157, 158, 165, 174, 176

პოტტო ვასილი – 13, 14, 16, 20, 48, 49, 50, 74, 75, 76, 77, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 120, 121, 133, 156, 158, 169, 177, 181, 198, 210, 211, 213, 249, 250, 254, 255, 256, 258, 260, 261, 263, 264, 265, 266

უ

ჟიგარევი სერგეი – 86

რ

რაჰიმ ხანი(განჯის ხან ჯავადის ძმა)- – 277

რეინსფელდი (რეინდსფელდსკი) – 77, 114, 115, 116, 117

რიმსკი-კორსაკოვი ალექსანდრ – 257, 263, 285, 286

ს

საველიევი ივან – 250, 251, 252

სამოილოვიჩი ალექსანდრ – 26, 77, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118

სვიმონ გურიელი – 184, 185

სიმონოვიჩი – 251

სიროხნევი – 250, 256, 289, 291

სიუნენბერგი ფიოდორ – 120

სოლომონ I – 27, 28, 49, 50, 60, 62, 68, 80, 131, 189

სოლომონ II (იხ.ასევე: დავით არჩილის ძე)- – 184, 185, 189, 190, 213, 215, 216, 217, 239, 259

სუვოროვი ალექსანდრ – 46

სულეიმან ფაშა (ჯაყელი) – 96, 97, 98, 99, 101, 104, 105, 106, 110, 119, 120, 121, 122, 125, 128, 129, 130, 137, 138, 139, 142, 143, 144, 145, 146, 147, 149, 150, 151, 152, 153, 154, 167, 168, 169, 181

სულეიმან ხანი (აღა მაჰმად ხანის მონაცვლე აზერბაიჯანში) – 196, 249

ტ

ტამარა ვასილი – 26, 54, 55, 56, 77, 78, 79, 80

ტეკელი პიოტრ – 176

უ

ულამ ალი ხანი (ერევნის ხანი) – 106

უმმა ხანი (ავარიის ხანი) – 92, 105, 107, 109, 173

უშურმა (შეიხი მანსური) – 109, 174, 177

ფ

ფაბრიციანი ფიოდორ – 46

ფათალი ხანი – 90, 91, 92, 93, 101, 102, 103, 107, 174, 175

ფედოროვი ნიკოლაი – 258, 261

ფოხტი – 74

ქ

ქერიმ ხანი – 166, 181

ქიქოძე გერონტი – 22

ყ

ყასიმი(შემახიის ხან მუსტაფას ბიძაშვილი) – 263

ყაფლანიშვილი დავით – 186

შ

შეიხ ალი ხანი(დერბენტის ხანი) – 208, 250, 251, 281, 282

შერემეტი ვიტალი – 84, 85, 87, 88

ჩ

ჩერქეზიშვილი – 116

ჩიჯავაძე ქაიხოსრო – 186

ჩოლოყაშვილები – 34

ჩოლოყაშვილი ჯარდან – 186, 189

ჩხეიძე სეხნია – 22

ც

ცაგარელი ალექსანდრე – 7, 8, 9 31, 36, 58, 59, 64, 65, 66, 67, 69, 70, 71, 76, 144, 158, 163, 164, 165, 169, 177, 178, 179, 180, 183, 196, 197, 198, 199, 200, 202, 204, 206, 207, 209, 214, 215, 218, 219, 220, 226, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 246, 248, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305

ცინცაძე იასე – 5, 22, 23, 64, 65, 66, 67, 69, 70, 71

ციციანოვი პაველ – 257, 263

ციციშვილი – 182

ციციშვილი თეიმურაზ – 148, 154

ცქიტიშვილი ზურაბ – 24

წ

წერეთელი ელენე – 131

წერეთელი ზურაბ – 186, 189

წერეთელი ქაიხოსრო – 186, 187, 189

წულუკიძე სეხნია – 186

ჭ

ჭავჭავაძე გარსევან – 63, 80, 81, 134, 177, 182, 204, 209, 214, 225, 226, 229, 248, 267, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 285, 291, 293, 301, 302, 303, 304

ხ

ხერხეულიძე ომან – 6, 22, 23

ხორავა ბეჟან – 2

ჯ

ჯავად ხანი (განჯის ხანი) – 119, 205, 208, 213, 226, 227, 244, 271, 277, 287

ჯავახიშვილი ივანე – 18, 20, 21, 22, 23, 82

ჯაფარ ყული ხანი(აღა მაჰმად ხანის ძმა) – 213

ჯიქია ლევან – 2

ჰ

ჰალილ ეფენდი – 103, 104, 105

ჰარრისი – 26

ჰაუზენი – 91

ჰაჯი ალი – 121

ჰუსეინ ალი – 100

ჰუსეინ ყული ხანი (ხიოს ხანი) – 175

ჰუსეინ ყული ხანი (ბაქოს ხანი) – 208

ჰუსეინ ხანი (ერევნის ხანი) – 166, 167, 195, 205

წიგნში გამოყენებული ფოტოები აღებულია შემდეგი საიტებიდან:

www.burusi.wordpress.com

www.pikabu.ru

www.kvirispalitra.ge

www.mglin-krai.ru

www.dzeglebi.ge

www.multiurok.ru

სარჩევი

წინასიტყვა 3

თავი I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 5

§ 1. წყაროები 5

§ 2. ლიტერატურა 10

თავი II. რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის (XVIII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანები) 25

§1. ზოგადი ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ 27

§2. ცნობები ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა შესახებ 36

§3. ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის შესახებ 39

თავი III. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1782-1784 წლებში 46

§1. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1782 წლის სექტემბერი – 1783 წლის ივლისი) 46

§2. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წლის 24 ივლისი) 56

§3. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში (1783 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) 73

§4. გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია 77

თავი IV. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1783-1787 წლებში 83

§1. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში 83

§2. მუსლიმური სამყაროს რეაქცია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის მიმართ 94

§ 3. ქართული და რუსული ჯარების ერთობლივი ბრძოლები

ლეკთა და ოსმალთა წინააღმდეგ (1784 წლის შემოდგომა — 1785 წლის გაზაფხული) 110

§ 4. ომარ-ხანის ლაშქრობა საქართველოში და რუსული ჯარი . 123

§ 5. რუსეთის ჯარი და ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობა (1785-1787 წწ.) 135

§ 6. რუსეთის ჯარის გაყვანა ქართლ-კახეთის სამეფოდან (1787 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) 155

§ 7. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის მიზეზები 159

§ 8. ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ 166

თავი V. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1787-1797 წლებში 172

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომი და ქართლ-კახეთის სამეფო 172

§ 2. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების მცდელობა – მითი და სინამდვილე 185

თავი VI. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ და ლაშქრობის შემდეგ (1791-1797 წწ.) 194

§ 1. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ (1791 წელი – 1795 წლის სექტემბერი) 194

§ 2. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის შემდეგ (1795 წლის სექტემბერი-დეკემბერი) 224

§ 3. გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის ლაშქრობა ირანში (1796 წლის აპრილი – დეკემბერი) 248

§4. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა ირანში რუსეთის ჯარის ლაშქრობის წინა ხანებში, ლაშქრობის პერიოდსა და ლაშქრობის შემდეგ (1796 წლის იანვარი – 1797 წლის დეკემბერი) 267

დასკვნა 306

РЕЗЮМЕ 311

RESUME 312

სახელთა საძიებელი 313

ГРУЗИНСКИЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. АНДРЕЯ ПЕРВОЗВАННОГО

ПАТРИАРХИИ ГРУЗИИ

ВАХТАНГ ГУРУЛИ

Царь Иракли и Россия

Взаимоотношения между Картли-Кахетинского

царства и Российской империи.

1783-1798

© Вахтанг Гурули, 2018

© ИЗДАТЕЛЬСТВО "ГРУЗИНСКИЙ УНИВЕРСИТЕТ"

ISBN 978-9941-9534-9-1

ТБИЛИСИ 2018

ST. ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY

OF THE PATRIARCHATE OF GEORGIA

VAKHTANG GURULI

King Erekle and Russia

Relations between Kartli-Kakhetian Kingdom

and Russian Empire

1783-1798

© Vakhtang Guruli, 2018

© PUBLISHING HOUSE "GEORGIAN UNIVERSITY"

ISBN 978-9941-9534-9-1

TBILISI 2018

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com
ტ. 239-15-22